სერგეი ლაზარევი – (წიგნი 12)

ცხოვრება, როგორც პეპლის გაფრენა

მატარებელი ზომიერად იტოვებს კილომეტრებს. მზერა იჭერს სხვადასხვა ფრაგმენტებს ცხოვრებიდან... უკვე თავით კი არა გულით შეიგრძნობ ყველა პრობლემის ილუზორულობას. "სინამდვილე გონიერია, გონიერი კი სინამდვილეა" – რატომდაც ჰეგელის ეს ფრაზა ამოტივტივდა ცნობიერებაში. სამყარო მართლაც გონიერია. რატომ ხედავდა ჰეგელი ამ კავშირს, სხვები კი ვერა? ალბათ იმიტომ რომ ცნობიერება და სხეული არ იყო მისთვის აბსოლუტური ღირებულებები. ცნობიერება დაკავშირებულია მატერიალურ ობიექტებთან, ამიტომ ის მერყევია.. ის ყველაზე ზედაპირულ კავშირებს ხედავს. ჰეგელი არა მარტო გრძნობდა რომ მთელი სამყარო ფარულ პროგრამას ანხორციელებს, ის ასევე ხედავდა რომ ეს პროგრამა ყოველ წამს ყველა მოვლენას აკავშირებს ერთმანეთთან. მართლაც, ყველა სიტუაციაშია უმაღლესი აზრი და ხშირად ჩვენთვის ყველაზე უაზრო და არასასიამოვნო სიტუაცია დროთა განმავლობაში გაიაზრება როგორც დახმარება და ხსნა.

მე ამას პაციენტების მაგალითზე ვხედავ. დავუშვათ რომ მათ აქვთ წყევლა, გათვალვა ან ჯადო. ეს ერთმნიშვნელოვნად მიიღება როგორც უბედურება, რომლისგანაც უნდა განვთავისუფლდეთ. მაგრამ სინამდვილეში ხომ ყველა უსიამოვნება ყოველთვის აწონასწორებს სხვა პრობლემას და ანეიტრალებს მას.

ყველაზე საშიში დანაკარგები ისაა, რომლებსაც ჩვენ ვერ ვამჩნევთ. როცა ჩვენ ვკარგავთ კავშირს ღმერთთან და ვეთაყვანებით ადამიანურ ბედნიერებას, ჩვენ ხშირად მხოლოდ სიამოვნებას განვიცდით.. წარმოიდგინეთ რომ ადამიანი დიდხანს და გაჭირვებით აშენებს სახლის საძირკველს. ეს საძირკველი კი მხოლოდ 2 სართულს გაუძლებს. დამიანი სიამოვნებას განიცდის, როცა კედლებს აშენებს და სახლს საცხოვრებლად ამზადებს, საძირკველის შენებისგან კი არანაირ სიამოვნებას არ განიცდის. აი აშენდა ერთი და იწყება მეორე სართულის მშენებლობა. ადამიანი ორმაგად ბედნიერია: მისი ოცნებები და სურვილები სრულდება და ადამიანური ბედნიერების დევნაში ის იწყებს მესამე სართულის შენებას, შემდეგ კი მეოთხესაც. უცებ მოდის ვიღაც ჩინოვნიკი და ეუბნება: "მესამე და მეოთხე სართული დაშალეთ, თქვენთვის არ შეიძლება!" ადამიანი წვალობს, იტანჯება, სძულს ეს ჩინოვნიკი და ვერც კი ხვდება რომ ეს ზედმეტი 2 სართული მისი საფლავი გახდებოდა.

აი როგორ გამოიყურება ეს რეალურ სიტუაციაში: მაგალითად ადამიანმა ცხოვრების აზრად სტაბილურობა და მატერიალური კეთილდღეობა აქცია და მისი საქმეები კარგად წავიდა, გაჩნდა ფული და წარმატებები. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ენერგიის უმეტესი ნაწილი თავისი გეგმების განხორციელებას მოახმარა.

ერთმხრივ ჩვენს ცნობიერებაში მიმდინარე პროცესები არ მოქმედებენ გარე სამყაროზე. ცნობიერებაში რამდენიც გვინდა იმდენი შეგვიძლია ვეთაყვანოთ მატერიალურ კეთილდღეობას და მასში მხოლოდ დადებითი დავინახოთ. მაგრამ ჩვენი სულისთვის, რომელიც დაკავშირებულია ქვეცნობიერთან და ემოციებთან, ყველაფერი სულ სხვაგვარად გამოიყურება: მისთვის სამყარო ერთიანია, ყველაფრის მიზანი და აზრი შემოქმედთან ერთიანობაში ყოფნაა. ყველა სხვა მიზანი უბრალოდ ნადგურდება.

და ადამიანი, რომელსაც აქვს წარმატებები, ფული, სტაბილურობა, იწყებს მატერიალური და სულიერი (к духовным) ღირებულებებისკენ სწრაფვას არა მხოლოდ ცნობიერების დონეზე, არამედ გრძნობებითაც. ეს ორიენტაცია ცნობიერიდან გადადის ქვეცნობიერში და უცებ მის ცხოვრებაში ხდება გაუგებარი, აუხსნელი მოვლენა. ადამიანი მიდის თავის დედასთან, რაღაც წვრილმანით აღიზიანებს მას და დედა, რომელსაც იგი ყოველთვის უყვარდა წყევლის მას. კაცი ვერაფერს ხვდება, დაბნეულია. "რა ეშმაკი შეუძვრა სულში?" – ფიქრობს იგი. ამის შემდეგ კი ენგრევა საქმეები, მოდიან უსიამოვნებები და ავადმყოფობები. მეგობრები უთანაგრძნობენ: "ეს რა ხდება, საკუთარმა დედამ დაგწყევლა! "

და აი ავადმყოფ და გაკოტრებულ ადამიანს აღარაფერი დარჩენია იმის გარდა რომ ახალი მიზნები აირჩიოს. იწყებს ეკლესიაში სიარულს და თანდათან ემატება ღმერთის რწმენა. შემდეგ უჩნდება შეგრძნება რომ აპატია დედას და მიდის მასთან. "არადა შენმა წყევლამ კინაღამ ბოლო მომიღო" – ამბობს იგი "რა წყევლამ? – უკვირს დედას. – "მე არაფერი მახსოვს. ეს არ მომხდარა. შვილო მე ყოველთვის მიყვარდი და ყოველთვის მზად ვიყავი დაგხმარებოდი! " და ადამიანი გამოდის დედის სახლიდან ისევ დაბნეული, მაგრამ ამჯერად ბედნიერი. ამასთან ინტუიციით გრძნობს, რომ ამ ყველაფრის მიღმა უმაღლესი აზრია.

მხოლოდ უზენაესს შეუძლია ყველა კავშირი დაინახოს, ჩვეულებრივ ადამიანს კი შეუძლია მხოლოდ ივარაუდოს. და რადგან თმის ერთი ღერიც კი არ ჩამოვარდება ადამიანს ღვთის ნების გარეშე, ე. ი. ყველა სიტუაციის შედეგი ღვთისკენ სწრაფვა და მასთან ერთიანობა უნდა იყოს.

და რა მოხდებოდა თუკი ეს წყევლა არ იქნებოდა? ახლა მოგიყვებით პატარა ისტორიას და ყველაფერს მიხვდებით. მე მყავს ერთი ნაცნობი, არაა ცუდი ადამიანი. რამდენიმე წლის წინ სირთულეები ჰქონდა ფინანსებთან დაკავშირებით. ჩემს აგარაკზე მივიწვიე, რომ იქ წაემუშავა და ამისთვის ფული აეღო, თუმცა გაირკვა რომ არც ისე ძალიან უყვარს მუშაობა. თან შვილსაც უნდა დახმარებოდა, რომელიც ინსტიტუტში სწავლობდა. მაშინ ასეთი რაღაც შევთავაზე: შეეკრიბა რამდენიმე კაციანი ბრიგადე და ბინები გაერემონტებინა. "ამით შვილსაც დაეხმარები და ბინასაც იყიდი ფულს რომ მოაგროვებ" – ვუთხარი მე. მაგრამ ის ჩემს იდეას გულგრილად მოეკიდა, თუმცა ფული ძალიან ჭირდებოდა.

მე და ამ კაცს ერთი საერთო მეგობარი გვყავდა. მას სახლში ელექტროსადენების მთელი გროვა ჰქონდა და გადაწყვიტა ნაწილი ამ ჩემი ნაცნობისთვის ეჩუქებინა. ესეც მივიდა, სადენების ორი მესამედი

დატვირთა მანქანაზე და თავის სახლში წაიღო. როგორც წესი ასეთ შემთხვევებში ადამიანი კითხულობს, რამდენი შეიძლება რომ წაიღოს და თუ მიაქვს ისიც ნახევარზე ნაკლები. აქ კი მორალის ტორმუზმა ვერ იმუშავა. კეთილდღეობისკენ სწრაფვამ მორალს გადაუსწრო.

მისმა შვილმა ალბათ მამისგან მიიღო მემკვიდრეობით იმის ტენდენცია, რომ უფრო მეტი მიიღოს ვიდრე გასცეს, და ხშირად უსირცხვილოდაც აკეთებდა ამას. და აი ცოტა ხნის წინ მამამისმა კითხვით მომმართა: "იქნებ არასწორად ვლოცულობ? მე ხომ ვკითხულობ შენს წიგნებს და ვგრძნობ რომ რაღაც არ გამომდის." "და რა პრობლემა გაქვს?" – ვეკითხები მე. – "კიბო, - ნაწლავში რამდენიმე პოლიპი მიპოვეს". მის თავზე ბნელ ლაქას ვხედავ – ეს შვილია, რომელიც მამამ არასწორად გაზარდა.

ჩვენ პასუხს ვაგებთ მათზე, ვისაც ვრყვნით. ზემოდან პრემიას გვაძლევენ შვილების კარგად აღზრდისათვის და ხელფასს გვიწყვეტენ თუ არასწორად ვზრდით მათ. კეთილდღეობისადმი თაყვანისცემის ტენდენცია (ხშირად სხვებისთვის საზიანოც) ამ კაცმა თავის შვილსაც გადასცა. და შვილის ქვეცნობიერში ეს ისეთი მნიშვნელოვანი გახდა, რომ კეთილდღეობაზე კონცენტრაციამ სიყვარულის გრძნობა გამოდევნა. წარუმატებლობის და სტაბილურობის მერყეობის მიღება ქვეცნობიერად შვილს უკვე აღარ ძალუძს. სიყვარული მის სულში ნაკლებადაა და ვერაფერს დაეყრდნობა როცა კეთილდღეობა ენგრევა. ის მომავალ წარუმატებლობებზე თვითგანადგურების პროგრამით რეაგირებს. ეს პროგრამა მამასაც უბრუნდება, მისი ენერგიის დონე საგრძნობლად ქვეითდება და როცა კრიტიკულ ზღვარზე ქვემოთ ჩამოდის ჩნდება კისტები, პოლიპები და სიმსივნური უჯრედები.

იმისთვის რომ ამ პრობლემებისგან განთავისუფლდეს, მან უნდა შეცვალოს შვილის ხასიათი, შეცვალოს მისი მსოფლმხედველობა და ემოციები. მაგრამ ჯერ საკუთარი თავით უნდა დაიწყოს. "თუ ის დაიწყებს შეცვლას, სიმსივნის ზრდა შეწყდება, - ვფიქრობ მე, - ასეთი შემთხვევები ხშირად მინახავს. მაგრამ იმისთვის რომ შეიცვალოს, არ უნდა იყოს აგრესია აწმყოს, წარსულის და მომავლის მიმართ. სანამ აგრესია არსებობს, შეცვლა შეუძლებელია. მის შემთხვევაში ალბათ უმჯობესია ოპერაცია გაიკეთოს, მაგრამ სულ ერთია, თუ არ შეიცვლება ახალი პრობლემები გაჩნდება. ასე რომ შეცვლა ყველა შემთხვევაში საჭიროა."

"მოდი თანმიმდევრობით მივყვეთ, - ვეუბნები მას. – ლოცვის წინ უნდა მოწყდე ყველაფერს და მოინანიო. წარმოიდგინე თავი მონანიების დროს". მან წარმოიდგინა და ჩემთვის ყველაფერი ცხადი გახდა. "რისთვის ვინანიებთ? – ვეკითხები მე. – იმისთვის რომ ცოდვა აღარ გავიმეოროთ. რომ აღარ გავიმეოროთ ჯერ უნდა შევიცვალოთ. რომ შევიცვალოთ უნდა მოვახდინოთ კონცენტრირება სიყვარულზე, რომელიც ღმერთთან გვაერთიანებს. ამიტომ მონანიების აზრი – ესაა ტკივილი ჩადენილის გამო და სიყვარული, რომელიც მის გადალახვაში დაგვეხმარება. შენ კი სიყვარულის ნაცვლად გრძნობ საშინელ სინანულს წარსულის გამო და სიძულვილს საკუთარი თავის მიმართ. ეს ხომ სიყვარულის მოკვლაა! რას ნიშნავს წარსულზე სინანული? ეს ღვთაებრივი ნების მიუღებლობაა, შესაბამისად ფარული სიძულვილი და უკმაყოფილება ღმერთის მიმართ. სხვათა შორის, სწორედ კეთილდღეობაზე მიჯაჭვულ ადამიანებს აქვთ წარსულის უკონტროლო მიუღებლობა. ამიტომ დაიმახსოვრე: შენ ინანიებ იმისთვის, რომ შეიცვალო! თუ ინანიებ, ესე იგი უკვე სხვა ადამიანი ხარ და უაზრობაა საკუთარი თავის სიძულვილი წარსულის გამო.

ეს ეხებოდა მონანიებას. ახლა მოწყვეტილობის შესახებ. რატომაა შეუძლებელი ღმერთის რწმენა მსხვერპლის გაღების გარეშე? წარმართობაშიც კი შეუძლებელია რწმენა უმსხვერპლოდ. მსხვერპლი – ესაა ადამიანური ბედნიერებისგან მოწყვეტის სიმბოლო, ამიტომაც სწირავდნენ ყოველთვის ყველაზე საუკეთესოს. მოიშორე შენგან ის რაც ყველაზე ძვირფასია შენთვის და აჩუქე სხვას. განშორების ტკივილთან ერთად ამისგან სიამოვნებაც უნდა მიიღო. აქ საქმე რაოდენობაში არაა. გარდა ამისა შეგიძლია მკაცრად იმარხულო, განმარტოვდე – ამ ყველაფერმა შეიძლება მოგცეს ღვთაებრივის განცდა და შეიცვალო. შეიგნე უბრალო ამბავი: შენს სულს ინერცია აქვს აღებული ღვთაებრივის დაკარგვისკენ. ეს ინერცია გადაეცემა შვილებს და შვილიშვილებს. რომ გქონდეს წყევლა, ის ამ ტენდენციას შეაჩერებდა, მაგრამ რადგანაც ადამიანების მეშვეობით არ მოგცეს განწმენდა, ჩაირთო ავადმყოფობა. თუ ავადმყოფობა ისე გვიან ირთვება რომ ინერციას დიდი ძალა აქვს აღებული, მაშინ ის განუკურნებელი ხდება ანდა სიკვდილით მთავრდება. ერთი კიდევ უფრო საინტერესო მოვლენა შევამჩნიე. არსებობს ცოდვები, რომელთა შეჩერებაც სიკვდილითაც კი შეუძლებელია."

მე მის თვალებში გაკვირვებას ვხედავ. ვაგრძელებ: "ცოდვა, ესაა ღვთაებრივის დაკარგვა საკუთარ თავში, სიყვარულის შემცირება სულში. ჩვეულებრივ იმ სხეულის სიკვდილთან ერთად, რომელიც გვაიძულებს ვცოდოთ, სული იწმინდება ცოდვებისგან. მაგრამ თუ ცოდვა ღრმად შედის შიგნით, მაშინ შეიძლება ნათესავებიც კი განადგურდნენ. თუ კიდევ უფრო ღრმად შედის, შეიძლება განადგურდეს ქალაქი, ერი ან მთელი კაცობრიობაც კი. წარმოიდგინე ხე. კაცობრიობა ღეროა, დიდი ტოტები ერები და სახელმწიფოებია, საშუალო ტოტები ქალაქებია, პატარა ტოტები ნათესავებია, ცალკეული ადამიანი კი ფოთოლია. შემოდგომაზე ფოთოლში შხამი გროვდება. ის წყდება და მიწაზე ეცემა. თუ შხამი ღეროში გადავა, ხე შეიძლება ძირშიც კი მოჭრან. და თუ ერთ წმინდანს შეუძლია გადაარჩინოს მთელი ქალაქი, ასევე შეუძლია ერთ ცოდვილს მთელი ქალაქის დაღუპვა. ამასთან მის ცოდვას ვერავინ შეამჩნევს, რადგან ვცოდავთ არა სხეულით, არამედ სულით. რაც უფრო ეთაყვანება ადამიანი მატერიალურ ან სულიერ (духовное) ბედნიერებას, მით უფრო მეტი ძალით მოკლავს იგი თავის თავში ღვთისადმი სიყვარულს. მიტომ საზოგადოება, რომელიც თავის სურვილებს და კეთილდღეობას ეთაყვანება, სიკვდილისკენ უბიძგებს არა მარტო ცალკეულ პიროვნებას, არამედ მთლიანად თავის თავს.

აქ კიდევ ერთი ძალიან საინტერესო მომენტია. ადამიანის განვითარება ყოველთვის სინუსოიდის პრინციპით მიდის: განვითარება გადადის დეგრადაციაში, მოპოვება იცვლება დაკარგვით, ღვთაებრივი კი უწყვეტლივ გრძელდება და თან მხოლოდ და მხოლოდ იზრდება. და თუ ადამიანი ცდილობს შეამციროს სიყვარულის ინტენსივობა, ეს პროცესი მაშინვე მუხრუჭდება. ადამიანი ცხოვრებისას აგროვებს ღმერთისგან მოწყვეტის ინერციას, ანუ ცოდვებს. სიკვდილი როგორც წესი ამ ცოდვებს გვაშორებს. ხოლო თუ ისინი სულში რჩებიან, მაშინ უკვე საზოგადოებაში გროვდებიან და საზოგადოება ან მთელი ერი უნდა განადგურდეს, რათა ეს პროცესი შეჩერდეს. ამ სქემით ნადგურდებოდნენ უზარმაზარი ცივილიზაციები, ხოლო ღმერთისკენ ქვეცნობიერი სწრაფვის შედეგად იქმნებოდნენ ახალი ერები და ცივილიზაციები.”

ადამიანური ბედნიერება – ეს სურვილების ასრულებაა. არსებობენ სურვილები, რომლებიც დაკავშირებულია აწმყოსთან და რომლებიც მოდიან წარსულიდან, და არსებობენ სურვილები რომლებიც მიმართულია მომავლისკენ. სურვილი – ეს ენერგიაა. არსებობს ენერგიის ორი ნაკადი, რომლებიც ერთმანეთის მიმართულებით მოძრაობენ: კაცური და ქალური საწყისები, წარსული და მომავალი, ეჭვიანობა და სიამაყე. თანმიმდევრულად უნდა მოვიშოროთ სურვილების ამ 2 ფორმაზე დამოკიდებულება, რათა მოვიპოვოთ ღვთაებრივი. ეს ფორმულა გასაგები და მისაღებია. ადრე მე მქონდა უაზრო თაყვანისცემა ადამიანური სიყვარულისადმი და სილამაზისადმი. ბავშვობიდან ვგრძნობდი უზარმაზარ შესაძლებლობებს, ყველა ჩემი სურვილი სრულდებოდა. უნდა მქონოდა სწრაფვა რაღაც მიმართულებით და თაყვანისცემა რაიმესადმი. საზოგადოება მასწავლიდა, რომ თაყვანი ადამიანს უნდა სცე. რომ ადამიანისადმი სიყვარული - ესაა ყველაზე დიდი ბედნიერება. ადამიანური სილამაზე – ესაა ის რისკენაც უნდა ისწრაფო. მე მჯეროდა ამის და ჩემი ენერგია წლების განმავლობაში ამ მიმართულებით მიდიოდა.

და მოკლედ, მე ყოველთვის ვეთაყვანებოდი სილამაზეს და ადამიანურ სიყვარულს. და ალბათ ამიტომაც გადამაგდო ბედმა ფერწერიდან ხალხის მკურნალობისკენ, რათა ათასჯერ და ათასჯერ დამენახა თუ სადამდე შეიძლება მიგვიყვანოს ასეთმა თაყვანისცემამ. შემდეგ როცა ძველ აღქმას ვკითხულობდი, ინტუიციით ვგრძნობდი, არის უზენაესი აზრი იმაში, რომ არ შეიძლება შექმნა ღმერთის გამოსახულება. როცა წარმართი ქმნის კერპს, რომელიც პასუხისმგებელია რაიმე ტერიტორიაზე, ეს რაც არ უნდა გასაკვირი იყოს ლოგიკურია. ადგილობრივი წარმართული ღმერთი განაგებს რაიმე ტყის მასივს, ან ტბას, ის დროსა და სივრცეშია მოქცეული. მაგრამ როცა ჩვენ გვესმის რომ არსებობს ერთიანი უზენაესი ღმერთი, რომელიც ყველაფერს მიღმაა, მისი ყველანაირი გამოსახვა წარმართულ ღმერთად აქცევს მას ჩვენს თვალში და ეს უკვე ერთიანი ღმერთის რწმენა კი არა, წარმართობაში დაბრუნებაა. თუ ჩვენ ვეცადეთ ღმერთის გამოსახვა, მისი მატერიალიზება, მაშინ სქესობრივი ნიშნებიც უნდა მიგვეკუთვნებინა მისთვის. ის ან მდედრობითი სქესის უნდა იყოს, ან მამრობითის, ანუ მიეკუთვნებოდეს დროის ერთ-ერთ ნაკადს და შესაბამისად ის დაკარგავდა მთლიანობას. ესეც წარმართობისკენ დაბრუნებაა. ამიტომ არ შეიძლება ღმერთი დავინახოთ. ჩვენს მატერიალურ ცნობიერებას და მხედველობას არ შეუძლია ამას გაუძლოს. ამიტომაც მოსესაც კი ღმერთი თვალისმომჭრელ ნათებად გამოეცხადა.

ღმერთი არა მარტო სივრცისა და დროის მიღმაა, მან შექმნა ეს სამყარო და არსებობს მასში სულიერი (არამატერიალური) და ფიზიკური (ხელშესახები) ასპექტების სახით. მაგრამ მათი აბსოლუტური ერთიანობის შეგრძნება მხოლოდ სივრცისა და დროის მიღმა შეიძლება. ღმერთი ქმნის დროს, რომელიც ორ ნაკადად იყოფა. ჩვენ, ვურთიერთქმედებთ რა მათთან, შევიგრძნობთ რა მათ ურთიერთწინააღმდეგობას, როგორც მამაკაცური და ქალური საწყისებისას, არ უნდა დაგვავიწყდეს რომ მათ მეორადი ბუნება აქვთ. თუ ნაწილი ავსებს მთლიანს, მაშინ ერთობა ირღვევა.

მე ვიფიქრე იმაზე, თუ რა ემართება დასავლეთის ცივილიზაციას. მისი კრიზისი უეჭველად დაკავშირებულია კათოლიკური ეკლესიის კრიზისთან, ეს კრიზისი კი დაკავშირებულია ღვთისმშობლის კულტთან. ის, რის შესახებაც ქრისტე ლაპარაკობდა, მისმა მიმდევრებმა ვერ გაიგეს და ვერ შემოინახეს სრულად. საწყისი ერთიანი და ძლიერი იმპულსი შესუსტდა და საბოლოოდ ორ ნაკადად დაიყო. ქალური საწყისისადმი თაყვანისცემა კათოლიციზმში, მითუმეტეს მიწიერი და ხელშესახები ქალისადმი, ადრე თუ გვიან გააძლიერებდა წარმართულ ტენდენციებს. ახლანდელი თაყვანისცემა ოქროს ხბოსადმი, რომელიც ძალიანაა გავრცელებული დასავლეთ ცივილიზაციაში, სავსებით ლოგიკურადაა დაკავშირებული კათოლიციზმის კრიზისთან.

“მოკლედ – ვფიქრობ მე, - არის დროის ორი ნაკადი, ორი ტიპის სურვილი, საჭიროა მოვიხსნათ მათგან დამოკიდებულება და მაშინ იქნება სიყვარული და ჰარმონიული განვითარება.”

ამას წინათ საინტერესო წერილი მივიღე. ახალგაზრდა ქალი მწერს, რომ ათი წელი მუშაობდა ჩემი სისტემით. “ამ დროის განმავლობაში შემეძლო შემექმნა ოჯახი, მყოლოდა ბავშვები და ვყოფილიყავი ბედნიერი, - მწერს იგი, - მე კი მთელი ამ წლების განმავლობაში ვამცირებდი ჩემს თავს. უკვე ქალური დაავადებები დამეწყო, არ მყავს ოჯახი და ცოტა ხნის წინ გამოვედი ფსიქიატრიული საავადმყოფოდან.”

ჩემს სისტემაში ამ ქალმა მხოლოდ ამკრძალავი ნიშნები დაინახა, მაგრამ ისინი ხომ იმისთვისაა საჭირო, რომ სწორი გზა მოვნახოთ და დიდ სიჩქარეზე არ დავუღუპოთ. მე არასოდეს არ ჩამითვლია, რომ ქალი დამცირებული უნდა იყოს - უნდა დამცირდეს ადამიანური ღირებულებები კაცის და ქალის სულში. როცა მათ დამცირებას ვიღებთ, გვრჩება მხოლოდ ერთი გზა – ღმერთისკენ, და ტკივილის მიღება სიყვარულის გაძლიერებისკენ უნდა გვიბიძგებდეს და არა მისი ჩაქრობისკენ. პაციენტებს მუდამ ვუმეორებ: თუ თქვენ დაკარგეთ ღვთაებრივის შეგრძნება და ყველანაირ სიტუაციაში უფლის ნებას არ ხედავთ, მაშინ ტკივილისა და წყენის დროს ვიღაცას გაანადგურებთ, თუ შეიკავებთ სხვებისადმი სიძულვილს, მაშინ საკუთარ თავს მოკლავთ. ხოლო თუ სულიერი ტკივილის მომენტში მოწყდებით ადამიანურს და წახვალთ

ღმერთისკენ, მაშინ აღარავის მოკვლა აღარ იქნება საჭირო. ამიტომ ღვთაებრივისკენ მიმავალი ეტაპები საკმაოდ მარტივია. როცა ვკარგავთ ღვთის რწმენას, ვკარგავთ ადამიანებისადმი რწმენასაც, გვეწყება შიში და სიძულვილი მათ მიმართ, შემდეგ ვკარგავთ საკუთარი თავის რწმენას, უკვე საკუთარი თავის სიძულვილს ვიწყებთ. შემდეგ კი ვავადმყოფობთ, ვკვდებით და თანდათან ვიბრუნებთ ღვთის რწმენას.

რა არის სასოწარკვეთილება? ესაა საკუთარი თავისადმი რწმენის დაკარგვა, განვითარების უარყოფა, საკუთარი ენერგიის შეზღუდვა. ჩვენი ადამიანური ბედნიერების დამცირება ღვთაებრივის მოპოვებისთვისაა საჭირო. ამ ქალბატონმა დამცირების იდეა მიიღო როგორც მთავარი რგოლი და დაავიწყდა რომ დამცირებამ სიყვარულისკენ უნდა გვიბიძგოს. ავადმყოფობა, უსიამოვნებანი, წყენა – ეს იძულებითი დამცირებებია. სექსისგან თავშეკავება, მარხვა, სიამოვნებებზე უარის თქმა – ნებაყოფლობითი შეზღუდვებია, რომლებმაც ასევე სიყვარულისკენ უნდა გვიბიძგონ, შესაბამისად ენერგიის დახარჯვისკენ და სიხარულისკენ. ამ ქალმა ის შეცდომა დაუშვა, რომელიც წმინდა წერილშია ნახსენები. ქრისტე გვასწავლიდა რომ მარხვის დროს არ შეიძლება არაგულწრფელად ვაიძულოთ თავს მწუხარება, რომლებიც ტანჯვას და განდეგილობას განასახიერებს. ადამიანები შეზღუდვებში ტანჯვას ხედავდნენ. და მართლაც, თუ ადამიანი ღვთაებრივს ვერ ხედავს, მაშინ ნებაყოფლობითი შეზღუდვაც კი მას მწუხარების და სასოწარკვეთილების მეტს არაფერს მოუტონს.

ადამიანებმა დღემდე ვერ ისწავლეს აზროვნება და ძნელად იჯერებენ იმას, რომ სურვილების დათრგუნვა და შეზღუდვა სიყვარულთან და სიხარულთან უნდა მეგობრობდნენ.

ჰარმონია – ურთიერთსაპირისპიროს ერთიანობა და ბრძოლაა ერთდროულად. თუ ამ ურთიერთსაწინააღმდეგო მხარეებს დაყოფ მიიღებ სიმახინჯეს და განვითარების დათრგუნვას. სუსტი და განუვითარებელი ადამიანი ზომიერად არ ვითარდება. ხან ერთ უკიდურესობაში ვარდება, ხან მეორეში. ძლიერი ადამიანი პირდაპირ და სწორად მიდის და აერთიანებს თავის თავში ტკივილს და სიხარულს. ყველა დიდი ადამიანი ასე იქცეოდა.

გავიხსენოთ ბუდა. მშობლები აბსოლუტურ ბედნიერებაში ზრდიდნენ, ყველა მისი სურვილი სრულდებოდა. სრული ტკბობა ცხოვრებით და მხოლოდ დადებითი ემოციები. მკვდრებს, ავადმყოფებს და მოხუცებს მის თვალთაგან შორს ამყოფებდნენ რომ ბედნიერებისთვის ხელი არ შეეშალათ. მაგრამ როცა ყველა ოცნება და სურვილი სრულდება, ისინი კვდომას იწყებენ, სასიცოცხლო ენერგია იცლება და უმნიშვნელო რეევაც კი საშინელი სტრესით მთავრდება.

როცა ბუდამ პირველად დაინახა მოხუცი და ავადმყოფი, ეს მისთვის ძალიან შემაძრწუნებელი აღმოჩნდა. ინტუიტიურად მიხვდა რა, რომ გადარჩენის შანსი არა აქვს, მეორე უკიდურესობაში გადავარდა – აბსოლუტურ ასკეტიზმში. მაგრამ მას შემდეგ რაც მიხვდა რომ სრულიად გამოფიტა ორგანიზმი უმკაცრესი შეზღუდვებით და მალე ეს დაღუპავდა, შეიგრძნო რომ შესაძლებელია ამ ორი ურთიერთწინააღმდეგობის შეთავსება. ასკეტიზმი ენერგიის ამაღლებისთვისაა საჭირო და არა მისი განადგურებისთვის. ე.ი. არ უნდა ჩავკლათ ჩვენში სურვილები. ასე გაჩნდა შუალედური გზის იდეა.

პირველ საუკუნეებში ბუდიზმი ინდოეთში ერესად ითვლებოდა, რადგან წინააღმდეგობაში შედიოდა საერთო რელიგიურ ტენდენციასთან, რომლის მთავარი იდეაც გარესამყაროსგან მოწყვეტა იყო და სულიერი (духовное) ყოველთვის უფლობდა მატერიალურზე. მატერიალური სამყარო, მისი სურვილებით და ადამიანური ბედნიერებით ინდუიზმში აბსოლუტურ ილუზიად – მაიად ითვლებოდა. რეალობად კი – მხოლოდ სამყაროს სული. ბუდამ აღიარა სურვილების და ადამიანური ბედნიერების რეალურობა, თუმცა ხაზი გაუსვა იმას, რომ ისინი ტანჯვის წყაროდ გვევლინებიან და ჭეშმარიტი ბედნიერება მათზე მიჯაჭვულობისგან განთავისუფლებაა.

სრული ასკეტიზმი და მატერიალური სამყაროსგან მოწყვეტილობა გადადის მის სრულ თაყვანისცემაში. სრული თავშეკავება ადრე თუ გვიან გადავა მის საწინააღმდეგო პოლუსში და გაწონასწორდება ამით. მდიდარი შეიძლება ის გახდეს, ვინც შინაგანად არ არის ფულზე დამოკიდებული, მგრძნობიარე კი ის, ვინც სურვილებზე არაა შინაგანად დამოკიდებული. სექსუალური სიამოვნებები სახიფათო შედეგების გარეშე მხოლოდ იმან შეიძლება მიიღოს, ვინც წინა ცხოვრებაში ასკეტი იყო.

ადრე ადამიანი რამდენიმე ცხოვრება ცხოვრობდა აღმოსავლეთში, თავს იკავებდა მატერიალურისგან და ორიენტაციას მხოლოდ სულიერ (духовное) ღირებულებებზე აკეთებდა. შემდეგ კი საწინააღმდეგო რეჟიმით ცხოვრობდა დასავლეთში. ურთიერთწინააღმდეგობები ერთიდან მეორეში გადადის დროის დიდი ინტერვალის განმავლობაში. ახლა უკვე აღმოსავლეთი თავად გახდა დასავლეთი, და მსოფლიოს ორპოლარულობა დაირღვა. ამიტომაც ერთი მხრივ დასავლეთი დეგრადაციას განიცდის, მეორე მხრივ კი მასში აღმოსავლური ტენდენციები აქტიურდება.

არის ასეთი ცნება, როგორიცაა ემოციის ინერცია. ყველა ჩვენი სურვილის საშუალო ტენდენციამ ღმერთისკენ უნდა წარგვმართოს, ჩვენ ხომ მისგან ვიღებთ მთავარ ენერგიას.

როცა ბავშვის სული ჩასახვამდე რამდენიმე ხნით ადრე მიდის ქალთან, სწორედ ამ ქალის საქციელი და სწრაფვა წყვეტს მომავალი ბავშვის ხასიათს და ბედს. თუ ქალს მხოლოდ ერთ მამაკაცთან აქვს სექსუალური კავშირი, ირთვება დამცავი მექანიზმი – სულიერი სიამოვნება შეიძლება გაიზარდოს, სექსუალური კი შემცირდეს. ასე რომ როცა ქალს მუდმივი პარტნიორი ყავს, თუ მისი სურვილებზე დამოკიდებულება მოიმატებს, მცირდება სიყვარულის ენერგია და შესაბამისად მაშინვე მცირდება სექსუალური ვნებებიც. ამ დროს საჭიროა მარხვა, მოცდა, მეგობრულ ურთიერთობებზე და სულიერ გრძნობებზე გადასვლა. ხოლო თუ ქალი ხშირად იცვლის სექსუალურ პარტნიორებს, მათთან ქალის სული გახსნას ვერ ასწრებს და თავის ქვეცნობიერს სექსუალური სურვილებისადმი თაყვანისცემის ძლიერ

იმპულსებს გადასცემს. მის შვილებში ევას ცოდვა ღვთაებრივთან მთლიანობას დიდი ხნით არღვევს. და თუკი ღვთაებრივი ენერგია ნაკლებია, შეუძლებელია ვილაპარაკოთ ნორმალურ ოჯახზე, ჯანმრთელობასა და ბედნიერებაზე.

საფეხურები

ერთხელ ჩემმა ნაცნობმა მკითხა, რატომაა სტომატოლოგებსა და რეანიმატოლოგებში თვითმკვლელობების ყველაზე დიდი პროცენტი. მე ასე ვუპასუხე:

- პირი – ეს სურვილების სიმბოლოა, ცხოვრებაც სურვილებთანაა დაკავშირებული. რაც უფრო მეტად გინდა დაეხმარო პაციენტს, მით უფრო მეტ ჭუჭყს იღებ შენს თავზე, შემდეგ კი იწყება ავადმყოფობა, სტრესები, ავადმყოფობენ შენი შვილებიც.
- ასე ხომ გამოდის, რომ თანაგრძნობა ყოველი პაციენტისადმი ავადმყოფობამდე მიგვიყვანს?
- დიახ, და ძალიან ხშირადაც. მე ამის შესახებ ხალხი მიიყვება.
- და გამოდის რომ სხვისი დახმარება და თანაგრძნობა საზიანოა?
- ათეისტისთვის საზიანოა. თუ შენ მორწმუნე ხარ და თანაუგრძნობ სხვა ადამიანს, ამასთან არასოდეს დაგავიწყდება, რომ ავადმყოფობა ღმერთის მიერაა გამოგზავნილი, და ადამიანური თანაგრძნობის დროს, შინაგანად მშვიდი რჩები და ღვთის ნებას მიენდობი. თანამგრძნობიარე ათეისტი – ესაა არა მხოლოდ ავადმყოფი, არამედ ადრე თუ გვიან მომაკვდავი ადამიანი.
- კი მაგრამ ბევრი ათეისტი ხომ სრულიად წესიერი ადამიანია?
- შენ მოვლენებს მოკლე მონაკვეთში ხედავ, მე კი აბსტრაქციას უფრო ძლიერად ვაკეთებ, უფრო ფაქიზ (тонкий) დონეებზე გავდივარ და მოვლენებს დინამიკაში ვხედავ. მე შემიძლია ვადასტურო, რომ წესიერი, თანამგრძნობიარე ათეისტი – ავადმყოფი ადამიანია. ან ეს ადამიანი გულგრილია სხვების ტანჯვისადმი, ანუ თრგუნავს სიყვარულს მათდამი და ესე იგი თანდათან დეგრადირდება. უფრო მარტივად რომ თქვათ, შეუძლებელია რომ ათეისტი ადამიანი კეთილი, წესიერი და ამავდროულად ჯანმრთელი იყოს. არამორწმუნე ადამიანისთვის სიყვარული ყოველთვის მიჯაჭვულობაა და განწირულია სხვების ან თავისი თავის დამცირებისთვის.

ვხვდები რომ მას ჩემი არ სჯერა და ვცდილობ მეორე მხრიდან შემოვუარო.

- მითხარი, - ვეუბნები მე, - ოდესმე გაგიგია, რომ განთქმული სარდალი მშიშარა და უვარგისი ყოფილიყოს?

მან გაიღიმა და მხრები აიჩეჩა.

- ეს შეუძლებელია, ხალხი მას არ გაჰყვება. თუ უნებისყოფო და უწესო ადამიანია, ვერ იქნება წინამძღოლი.
- მშვენიერია – ვეუბნები მე. ალექსანდრე მაკედონელის არმია დაუმარცხებელი იყო, რადგან 16 000 მეომრიდან თითოეულს იცნობდა სახეებით და სახელებით.
- მაგრამ ალექსანდრე ხომ წარმართი იყო, - შენიშნა ჩემთან მოსაუბრემ.
- ის იყო წარმართი, რომელიც ეძებდა ერთიან ღმერთს. ის განვითარების პროცესში იყო. ხოლო თუკი მორწმუნე ხდება წარმართი ან ათეისტი, აქ სულ სხვა სურათს დავინახავთ. ერთია როცა ადამიანი ვერ განვითარდა ერთიანი ღმერთის აღიარებამდე, მაგრამ სულ სხვაა როცა ის მას საერთოდ უარყოფს.
- ხო და რას ამბობდი სარდალზე?
- კარგი, დამისახელე ყველაზე ნიჭიერი და მნიშვნელოვანი საბჭოთა სარდალი.
- ჟუკოვი.
- შეგვიძლია მას ნიჭიერი ვუწოდოთ?
- უდავოდ.
- არ შევეხები მის სამხედრო ოპერაციებს, უბრალოდ ამიხსენი შემდეგი ფაქტი. ომის შემდეგ საბჭოთა კავშირში შეიქმნა ატომური იარაღი. ქალაქ ტოცკთან იყო გამოსაცდელი პოლიგონი. მეცნიერები აფრთხილებდნენ რომ არა მხოლოდ აფეთქება, არამედ მისი შედეგებიც კი შეიძლება ძალიან სახიფათო იყოს ადამიანებისთვის. გაჩნდა ამოცანა, გაეგოთ, თუ რა გავლენა შეიძლება მოახდინოს ატომურმა აფეთქებამ ჯარისკაცების ჯანმრთელობაზე. თანაც ავღნიშნავ რომ ეს არ იყო საომარი დრო, როცა სიცოცხლე ნაკლებად ფასდება. მოკლედ ჟუკოვმა იქ ჯარისკაცები გაგზავნა და ივარაუდა რომ როცა ისინი რადიაქტიურ ზონას გაივლიდნენ, შეიძლება დაავადებულიყვნენ და მომკვდარიყვნენ. როგორ ფიქრობ რამდენი ჯარისკაცი გაგზავნა?

ჩემი მეგობარი დაფიქრდა.

- ორმოცდაათამდე კაცი ალბათ? – შემდეგ დაიჭირა რა ჩემი მზერა, შეასწორა: - ასი კაცი?
- მეტი, - ვეუბნები მე. – როგორც ვიცი ორმოცი ათასი კაცი, ოთხი დივიზია.
- რა საჭირო იყო ამდენი ხალხის ჩახოცვა? – გაოგნებული მეკითხება მეგობარი.
- უფრო ზუსტი ინფორმაცია რომ მიეღოთ, სტატისტიკოსებს რომ უფრო ადვილად ემუშავათ... ასე იქცეოდა საუკეთესო სარდალი სხვები საკუთარ ჯარისკაცებს უფრო მეტად სწირავდნენ, ამიტომაც ყოველ მოკლულ გერმანელზე ოთხი მოკლული საბჭოთა ჯარისკაცი მოდიოდა. საბჭოთა ხელმძღვანელების ერთ-ერთი მთავარი თვისება უგულობა და შეუბრალებლობა იყო. ეს ათეისტის ტიპიური ქცევაა.
- კი მაგრამ მათ ხომ სისტემა აიძულებდა ასე მოქცეულიყვნენ?

- მართალია, ეს იყო სისტემამდე ასული ათეიზმი და ხალხის უმოწყალოდ განადგურებას სოციალიზმი ნორმად თვლიდა.
- კარგი, მაშინ მითხარი, რატომ არ მიიღო კომუნიზმმა ღმერთის რწმენა, მაშინ ხომ დაუმარცხებელი და შეუვალი გახდებოდა?
- და როგორ ფიქრობ, რატომ თქვა კომუნისტური თეორიის ერთ-ერთმა მამამ შემდეგი სიტყვები: "როცა საქმე პროლეტარიატის ინტერესებს ეხება, არ შეიძლება ვილაპარაკოთ მორალზე და სულიერ ღირებულებებზე"?
- ამის ახსნა შეუძლებელია, - გაკვირვებული მიყურებს თანამოსაუბრე.
- სულაც არა, უბრალოდ უნდა ვიცოდეთ რა კუთხით მივუდგეთ. მორალის ცნება ჩვენთან რელიგიიდან მოდის. სწორედ ის გვაიძულებს, დავძლიოთ ეგოიზმი და სურვილებისადმი თაყვანისცემა და შევიგრძნოთ ერთიანობა სხვა ადამიანებთან. წარმართსაც შეიძლება ჰქონდეს ეს გრძნობები, მაგრამ მისთვის ეს შემთხვევითი მოვლენაა, მორწმუნესათვის კი კანონზომიერი.

რატომ ამბობდა ენგელსი უარს სულიერ ღირებულებებზე? იმიტომ რომ ეს იყო რელიგიის უარყოფა. მაშინ ჩნდება კითხვა, რით იყო განპირობებული ეს უარყოფა? რატომ არ იყო საჭირო რელიგია? იმიტომ რომ კომუნიზმი თავისი არსით რელიგიის ალტერნატივად აქციეს. უფრო ზუსტად ეს იყო პიველი მცდელობა რელიგიის მეცნიერებასთან გაერთიანებისა.

ნებისმიერი ადამიანი, როცა სხვას თანაუგრძნობს, მორწმუნეც რომ იყოს ცოტა ჭუჭყს მაინც იღებს თავის თავზე შემდეგ იწმინდება. სხვისი ცოდვების მოშორება საკუთარი სულიდან უფრო ადვილია, მაგრამ როცა ასეთი მოქმედება მკურნალობად იქცევა და სამუშაოს სახეს იღებს, ღმერთისადმი სწრაფვა კი არასაკმარისია, მაშინ შეიძლება ბევრი პრობლემა ავიკიდოთ, რომლებიც ავადმყოფობებად გადაიქცევიან.

ყველა ამბობს რომ ექსტრასენსს შეუძლია უარყოფითად იმოქმედოს პაციენტზე, განსაკუთრებით თუ ის არაა მორწმუნე, მაგრამ იმას რომ ექსტრასენსს შეუძლია თავის თავზე აიღოს ჭუჭყი, ვერავინ ხვდება. მკურნალები თავის თავზე ბევრ პრობლემას იღებენ, შემდეგ კი ავადმყოფობენ, ჭკუიდან გადადიან, კვდებიან, განსაკუთრებით მაშინ თუ კიბოიან ავადმყოფებს გადაარჩენენ.

ნატიფ და უხილავ დონეზე ჩვენ ყველანი ერთიანები ვართ, ამიტომ ემოციებს შეუძლიათ შეერიონ ერთმანეთს, სულებს კი – გადაეჯაჭვონ ერთმანეთს. ინგლისში ფსიქიატრი ორი წლის მუშაობის შემდეგ ერთი წელი ისვენებს, ანუ მისი სული და ემოციები უნდა გაიწმინდოს. ჩვენთან კი ფსიქიატრები უფრო და უფრო ემსგავსებიან თავიანთ პაციენტებს.

- რაც ექიმებს შეეხება გასაგებია, - მეუბნება ჩემი მეგობარი, - მე თვითონ ექიმი ვარ. მოდი სახალხო მკურნალებზე მომიყევი.
- კარგი, - ვეუბნები მე, - წარმოიდგინე ასეთი სიუჟეტი. წმინდანთან მიდის ავადმყოფი. წმინდანმა ილოცა და განკურნა. რა მოხდა ამით? ავადმყოფობა დაკავშირებულია ჩვენს ქვეცნობიერ ემოციებთან, უფრო მარტივად რომ ვთქვათ ცოდვა ინახება ჩვენს გრძნობებში, ისინი ღრმა ქვეცნობიერში გადადიან და იქ ზიან. წმინდანი ღმერთისკენ და სიყვარულისკენ ისწრაფვის და მისი გრძნობები დიდ სიღრმეში იწმინდება. თუ ავადმყოფის გრძნობები, სული იწმინდება, ის გამოჯანმრთელებას იწყებს, მაგრამ ამისთვის საჭიროა წმინდანს სული და გული გადაუშალოს და ღმერთი იწამოს.

ყველანაირი ემოცია – ეს შეკუმშული სივრცე და დროა, ემოცია ეს – სიტუაციაა. ამიტომაც როცა ჩვენ დიდ სიღრმეში მყოფ ემოციებს ვიცვლით, ამით ვცვლით ხასიათსაც და ბედსაც.

ახლა კი წარმოიდგინე რომ ადამიანი მიდის მკურნალთან, რომელიც ფიქრობს ფულზე, სახელზე, წარმატებაზე, თავის საყვარელზე. შეუძლია ასეთ მკურნალს რომ დაეხმაროს? სულის გაწმენდაში ნაკლებად, აი ავადმყოფობის ერთი ორგანოდან მეორეზე გადატანა, თავისი ჭუჭყის პაციენტის სულზე ან მის შვილებზე გადატანა – ეს კი შეუძლია. არის კიდევ ერთი ვარიანტი – პრობლემის საკუთარ თავზე აღება. და გამოდის რომ მკურნალი თავის თავზე სხვის ცოდვას იღებს, პაციენტი კი იწმინდება.

- იცი რა არის ყველაზე დიდი გარყვნილება? – ვეკითხები ჩემს მეგობარს. – ეს სასჯელის არ არსებობაა. იგი უფრო დიდი ცოდვებისკენ გვიბიძგებს და უფრო მეტად გვაშორებს ღმერთს. ბევრი მკურნალი კი სწორედ ასე იქცევა.

ჩემთან მიღებაზე ქალბატონი იყო მოსული სერიოზული პრობლემებით. ჩემი დიაგნოსტიკით დადასტურდა რომ ძალიან ადვილად ხდება მიჯაჭვული (привязчивая), აქედან მოდის ეჭვიანობა, ადვილად განაწყენება, გაძლიერებული შიში ახლობლების სიცოცხლეზე, პრობლემები ჯანმრთელობასთან დაკავშირებით, პირად ცხოვრებაში და ა. შ. რას ვურჩევ ხოლმე ასეტ შემთხვევებში? პირველი – შეიგრძნოს რომ სიყვარული ღმერთისადმი უფრო დიდი სიამოვნებაა, ვიდრე სიყვარული სხვა ადამიანისადმი. მეორე – მიიღოს ტკივილი, ღალატი, წყენა და საყვარელი ადამიანის დაკარგვა როგორც წამალი, როგორც ღვთაებრივი სიყვარულის განწმენდა. შეინარჩუნოს სიყვარული წყენის, დაკარგვის, განშორების მომენტში. შემდეგ ისწავლოს მარტოობაში ყოფნა, შეიზღუდოს თავი კვებაში და სექსში, რადგან თუ სურვილებს არ შეიკავებს, ეს ვნებს სულსაც და სხეულსაც. შემდეგ უფრო მეტი უნდა გაიღოს საყვარელი ადამიანებისთვის, ვიდრე თავად აიღოს მათგან.

ეჭვიანობა – სურვილებზე დამოკიდებულებაა, მეტის მიღების სურვილი კი აძლიერებს დამოკიდებულებას. ადამიანი მზე უნდა იყოს, წყარო, და არა გუბე. შეიძლება საკუთარ თავს დავეხმაროთ დიეტით და ბალახებით, ანუ მოვაშოროთ ყველაფერი, რაც აძლიერებს ეჭვიანობას (ტკბილეული, ზედმეტი ჭამა, საფუარიანი პური, ლუდი და ა.შ.) ეჭვიანობა მოქმედებს მხედველობაზე, სმენაზე, სახსრებზე, ავადდება გული და შარდ-სასქესო სისტემა, აქედან გამომდინარე ყველა ბალახი და ხალხური რეცეპტი,

რომლებიც ზემოთჩამოთვლილ ორგანოებს აძლიერებს, დაგვეხმარება შეცვლაში და ჩვენი პრობლემების მოგვარებაში.

მიჯაჭვულობები და ადამიანური ღირებულებები აგრესიის არსებობის დროს მოდიან. თუ მივიღებთ საკვებს ან გვექნება სექსი განსაკუთრებული მადის და სურვილის გარეშე, მიჯაჭვულობა, დამოკიდებულება ისევე როგორც აგრესიის დროს. მე დიდხანს ვიპიქრე ამ თემაზე და ბოლოს მივხვდი რატომ ხდება ასე. შინაგანი აგრესიულობა კლავს სიყვარულს. და თუ შენ სიყვარულის გარეშე აკეთებ რაიმეს, მაშინ დამოკიდებული ხდები მასზე და ეჯაჭვები მას. სიყვარული – ეს უმაღლესი ენერგიაა, მისგან გამომდინარეობს ყველა სურვილი და შესაბამისად თუ რაიმე საქმეს განსაკუთრებული სურვილის გარეშე ვაკეთებთ, ამით ზიანს ვაყენებთ საკუთარ სულს.

მოცარტი აიძულა მამამისმა რომ ბრწყინვალე მუსიკოსი დამდგარიყო, ოღონდ ძალადობით და განსაკუთრებული სიყვარულის გარეშე, აქედან მოდის მისი ადრეული სიკვდილი. ასე რომ თუ გაქვს გადატვირთვები, მაგრამ ამასთან ერთად გაქვს სიყვარულის და ფრენის შეგრძნება, ანუ ენერგია, მაშინ ამ გადატვირთვებმა შეიძლება დიდი ბიძგი მოგცეს განვითარებისკენ, რადგან ისინი გიბიძგებენ სიყვარულის დიდი ინტენსივობისკენ. მაგრამ თუ გადატვირთვები ხანგრძლივი იქნება და დადებითი ემოციების გარეშე, მაშინ ეს გაანადგურებს სიყვარულს სულში. და იმისთვის რომ ეს პროცესი შეჩერდეს, ასეთი გადატვირთვების შემდეგ საჭიროა ავად გავხდეთ ან მოვკვდეთ, რომ სიყვარული დარჩეს სულში.

ჩვევების გამოცვლა

რამდენიმე დღით ყირიმში ვისვენებდი. აბანო, ზღვა, ბილიარდი ადრე როდესაც მეგობრებთან ჩავდიოდი, ძირითადი სიამოვნება სუფრა იყო. შეგვეძლო 10-15 საათი ვმსხდარიყავით სუფრასთან. საბჭოთა კავშირს მდიდარი სუფრა ჰქონდა, დალევა და სუფრაზე ურთიერთობა ადამიანის მთავარი ბედნიერება იყო. შემდეგ შევამჩნიე, რომ ხშირად დროს ვკარგავთ უბრალოდ. ბოლოს და ბოლოს მომწყინდა სუფრასთან უზომოდ ჭამა და ერთ უბრალო რაღაცას მივხვდი: იმისთვის რომ საკუთარი თავი შევცვალოთ, უნდა გამოვიცვალოთ ჩვევები.

ჩვენ ვაზროვნებთ სტერეოტიპებით და ვცხოვრობთ ჩვევებით. როგორც ჩვენს ხორცს სჭირდება ხერხემალი და ძვლები, ასევე სჭირდება ჩვენს ცნობიერებას მყარი ხატ-სახეები (образы), რომლებიც გარესამყაროზე რეაგირებაში გვეხმარებიან. ხშირად ადამიანი ლაპარაკობს თავის დიად და ნათელ მიზნებზე, მაგრამ არ ცვლის თავის ჩვევებს.

მე შევინარჩუნე ურთიერთობა, მაგრამ შევამცირე კვების და ალკოჰოლის დოზა. მეგობრებთან შეხვედრის ადგილები გახდა აბანო და საბილიარდო. ურთიერთობა შენარჩუნდა, მაგრამ მას დავუმატე მოძრაობა, ტემპერატურული და ფიზიკური დატვირთვები. ეს პრინციპი – ნაკლები ვჭამო და მეტი ვიმოძრაო – მე გადავიტანე შვებულებებზე და ყველანაირ დასვენებაზე.

ჯანმრთელობა – ეს სწორი ჩვევებიცაა. შევიცვალე მანქანის მართვასთან დაკავშირებული ჩვევებიც. ადრე საკუთარ თავს უფლებას ვაძლევდი გადაღლილსაც კი მეტარებინა მანქანა. ჩვევების გამოცვლა სწრაფადაც შეიძლება და ნელ-ნელაც. მე მაშინვე შევიცვალე. ერთხელ პეტერბურგში მივდიოდი მანქანით და რეკლამა დავინახე, რომელშიც ასეთი ფრაზა იყო: “ბედნიერება – ეს მიზანი კი არა ნარჩენი პროდუქტია (побочный продукт)” ვიღაც ჭკვიანმა ადამიანმა არ დაიშურა ფული იმისათვის რომ ხალხს ეს მარტივი ჭეშმარიტება გაეგო. ასე რომ ვინც მიზნად სიამოვნებას ისახავს, ყოველთვის მისი მონა იქნება. და ჯანმრთელობას შეინარჩუნებს მხოლოდ მაშინ, თუ ასეთი სიამოვნებები ნაკლები ექნება.

სხვათაშორის ერთმა პაციენტმა მისტიკური ისტორია მომიყვა. ის დიდხანს მიდიოდა დამის ტრასაზე. ეძინებოდა, მაგრამ ეჩქარებოდა და გადაწყვიტა არ გაჩერებულიყო. “და აი, წარმოიდგინეთ, - მიყვება ის, - უცებ უკნიდან დავინახე შორი განათების ფარები. მიახლოვდებოდა დიდი ტრეილერი და გზის დათმობას ითხოვდა. მე დამუხრუჭება დავიწყე და ნაპირზე გადავედი. უცებ ვიხედები და არანაირი ტრაილერი აღარაა. გავჩერდი და დიდხანს ვფიქრობდი, სად შეიძლებოდა გამქრალიყო ამხელა მანქანა. და მხოლოდ მერე მივხვდი რომ ვერც კი შევამჩნიე, როგორ ჩამეძინა და თურმე უნდა მოვმკვდარიყავი. ეს მანქანა და მისი ფარების შუქი კი დამესიზმრა თურმე. და როცა ნაპირზე გადასვლა და გაჩერება დავიწყე გამეღვიძა, ისე რომვერც მივხვდი ამას.” – “ესე იგი უნდა გადარჩენილიყავით, - ავუხსენი სიტუაცია, - თუ ადამიანს რაიმე მისია და დანიშნულება აქვს მას ხშირად შეემთხვევა ხოლმე ასეთი სასწაულები.”

სასწაულები ხშირად ხდება, რათა შეგვახსენოს რომ მატერიალური მსოფლმხედველობა მხოლოდ ნაწილობრივ შეესაბამება რეალობას. მაგრამ თუ სასწაული შეგემთხვა და ცოცხალი გადარჩი, ამით ცუდად არ უნდა ისარგებლო. “იცით, - ვეუბნები პაციენტს, - ყოველთვის, როცა სასწაული შემემთხვევა და ცოცხალი გადავრჩები ხოლმე კრიტიკულ სიტუაციაში, ვცდილობ რადაც შევცვალო ჩემს ჩვევებში, რადგან ასეთი რამ შეიძლება მეორედ აღარ განმეორდეს.”

კარგი ჯანმრთელობა – ეს სწორი ჩვევებია. თუ ჩვენ ვეჩვევით რომ გვიყვარდეს, გავცეთ ენერგია და ამასთან ერთად შევიცვალოთ, ამით ჯანმრთელობასაც ვიძლიერებთ. რას ნიშნავს ენერგიის გაცემა? ეს ნიშნავს დასახული ამოცანის შესრულებას, სირთულეების გადალახვას, საკუთარი თავის რწმენას, სასოწარკვეთილების არ არსებობას, საკუთარი თავის და სხვების აღზრდას. როცა ჩვევა ჯერ კიდევ იქმნება, სანამ ჯერ კიდევ არ მიუღია მყარი სახე, მის ფორმირებაზე უზარმაზარი ენერგია იხარჯება, მაგრამ სამაგიეროდ შემდეგ ის უკვე ავტომატურად მოქმედებს, ისე რომ ვერც ვამჩნევთ.

როცა ადამიანს ნაკლები სიყვარული და ენერგია აქვს სულში, მას უბრალოდ ძალა არ ეყოფა ახალი ჩვევის ჩამოყალიბებისათვის დ ავერ შეიცვლება.

ბუნებაში ყველაფერი პორციების, კვანტების სახით არსებობს. ამიტომ ყველა ცვლილება ეტაპობრივად, პორციებით მიმდინარეობს. ყველაზე კარგი წამოწყება შეიძლება გავანადგუროთ, თუ დიდი მოცულობის სამუშაოს ავიღებთ საკუთარ თავზე. იმისათვის რომ გადარჩეს, ორგანიზმი უარს ამბობს გადატვირთვაზე, და ადამიანს უქრება დასახული ამოცანის შესრულების სურვილი. ამიტომ საკუთარი თავის შეცვლის პროცესი ეტაპობრივი უნდა იყოს.

ყველაზე მთავარი ჩვევა ჩვენს ცხოვრებაში უნდა იყოს – სიყვარულის შენარჩუნება და გაძლიერება ნებისმიერ სიტუაციაში. სიტყვა "შენარჩუნება" უკვე შეგვიძლია შევცვალოთ სიტყვით "გაცემა". მე წლების განმავლობაში ვსაუბრობდი სიყვარულის გრძნობის შენარჩუნებაზე, რადგან მრავალი ასწლეულის განმავლობაში ადამიანები მიეჩვივნენ ამ გრძნობაზე უარის თქმას, დათრგუნვას, დისკრედიტირებას და მართვას.ახლა როგორც იქნა სიტუაციამ შეცვლა დაიწყო. აკრძალვების სისტემიდან გადავდივართ თავისუფალი ფრენის სისტემაზე. როცა სიყვარულის გრძნობა რეალური ხდება და ღვთაებრივი ნების შეგრძნება უწყვეტია, მაშინ უკვე შეიძლება ადამიანის რეალური ტრანსფორმაცია.

სახარებაში ნათქვამია: "მოითხოვეთ და მოგეცემათ, ეძიებდეთ და ჰპოვებდეთ; დააკაკუნეთ და გაგიღებენ". საკუთარი თავის რწმენის არქონა, შებოჭილობა, საკუთარი გრძნობების დათრგუნვა – ეს ყველაფერი სიყვარულის მოსაკლავი ინსტუმენტებია. როგორც არ უნდა იყოს სიყვარულს ადამიანი არასოდეს არ დაკარგავს, თუ თვითონ არ მოინდომებს ამას. და სანამ ის არსებობს, ვერცერთ სიტუაციას ვერ დავარქმევთ გამოუვალს. ჩვენ გვიყვარს ადამიანური და როცა ვკარგავთ მას, სიყვარულის დაკარგვის შეგრძნება გვეუფლება, ეს კი გამოუვალი მდგომარეობის შეგრძნებას ბადებს. მაგრამ თუ მივხვდებით რომ სიყვარული ამ სამყაროსადმი ეს მხოლოდ ნაწილია საერთო სიყვარულისა და ენერგიისა, მაშინ ვკარგავთ რა ადამიანურ ბედნიერებას, ჩვენ უფრო ინტენსიურად ვიწყებთ ღმერთის სიყვარულს. და თუ ნებისმიერი სიტუაციის აზრი – ღმერთამდე მისვლაა, მაშინ უკვე ვერც ავადმყოფობა და ვეღარც სიკვდილი ვერ აქცევს მდგომარეობას გამოუვალად.

მახსენდება ბიბლიური ფრაზა: "ვინც იმრავლებს ცოდნას, იმრავლებს წუხილს". საინტერესოა, რატომაა ასე? ალბათ იმიტომ რომ ჩვენი ცნობიერება სხეულზეა მიჯაჭვული, სხეული კი ხრწნისთვის და სიკვდილისთვისაა განწირული. და რაც უფრო აქტიურად ვითარდება ცნობიერება, რომლის მიზანიც სხეულის კეთილდღეობაა, მით უფრო მტკივნეული ხდება სხეულის განადგურების და დაკარგვის პროცესი.

მარადიულს შეგვიძლია მხოლოდ გრძნობებით შევეხოთ, და იმ გრძნობებით, რომლებიც არაა დამოკიდებული ცნობიერებაზე. ვაანალიზებ ჩემს მდგომარეობას და საინტერესო დასკვნა გამომაქვს. როცა სერიოზული პრობლემის გადაწყვეტა გინდა, ორიენტაციისთვის და გარკვევისთვის ჯერ ცნობიერებას რთავ. ეს პირველი საფეხურია. მეორე საფეხურზე ცნობიერება უნდა გამოირთოს თორემ მოდის შიში, სასოწარკვეთილება და დეპრესია.

ყველა სიტუაცია ღრმა დონეზე მთელ სამყაროსთანაა დაკავშირებული. და როცა ცნობიერება ზედაპირული შრიდან ღრმა შრეებზე გადადის, ხდება მკვეთრი გადატვირთვა, შემდეგ კი სისუსტის და უმწეობის შეგრძნება. და თუ ადამიანი არ ამუხრუჭებს ცნობიერებას და ქვეცნობიერის მართვაზე არ გადადის, ის ნებისმიერი რთული პრობლემისგან პანიკას შექმნის. ფსიქოლოგები ამ მექანიზმს ხშირად ვერ ხედავენ, რუსულ ანდაზებში და ზღაპრებში კი ეს ძალიან ადრე თქვეს. მაგალითად "дурак думкой богатеет" ან "утро вечера умнее", ე.ი. გამორთე ცნობიერება, გადაიტანე პრობლემა გრძნობიერ, ქვეცნობიერ დონეზე, არ დაპანიკდე, არ შეშინდე – ყველა ამოცანას აქვს ამოხსნა. ან კიდევ ასეთი გამოთქმა: "თვალებს ეშინიათ, ხელები კი აკეთებენ", ანუ სიზარმაცე და უმოქმედობა წყენას, შიშს და სასოწარკვეთილებას ბადებს.

ცნობიერება სხეულთანაა დაკავშირებული და თავისი არსით მომთხოვნელად (потребител) გვევლინება. მომთხოვნელი კი ყოველთვის დამოკიდებულია გარესამყაროზე და მას ყოველთვის აქვს ტენდენცია წყენისკენ და დეპრესიისკენ. თუ თქვენ ვინმეს ფულს აძლევთ და ის უარს გეუბნებათ, ხომ არ ვარდებით დეპრესიაში. მაგრამ თუ ვინმესგან ფულს ელოდებით და არ გაძლევენ, ნაწყენი რჩებით. და თუ ძალიან გჭირდებათ, ელოდებით და არ გაძლევენ, მაშინ ჩნდება განკითხვაც, წყენაც და სიძულვილიც.

შინაგანი აგრესია მომთხოვნელობიდან მოდის და ვინც ამაზეა კონცენტრირებული, მას პატიება არ შეუძლია. როცა გაცემა მიღებას აჭარბებს, მკვეთრად მცირდება სამყაროზე დამოკიდებულება და წყენის პატიებაც უფრო ადვილი ხდება. ვინც ხშირად გასცემს, მას ენერგია ემატება და შესაბამისად ჯანმრთელობაც უუმჯობესდება. რატომაა რომ შიმშილობით თითქმის ყველა ავადმყოფობის მორჩენა შეიძლება? იმიტომ რომ მომხმარებლობის და დამოკიდებულების იმპულსი დიდი ხარისხით კვებიდან გამომდინარეობს. და რაც უფრო მრავალფეროვანი, გემრიელი და მიმზიდველია საკვები, მით უფრო სწრაფად ქვეითდება შინაგანი ენერგეტიკა, მატულობს განაწყენებისადმი მიდრეკილება და ავადმყოფობები.

მხოლოდ რამდენიმე წელია რაც მეცნიერები მიხვდნენ რომ ზედმეტ ჭამას დიაბეტამდე, გულ-სისხლძარღვთა დაავადებამდე და პოტენციის დაქვეითებამდე მივყავართ. რელიგია კი ამას რამდენიმე ათასი წელია ამბობს.

საინტერესო ფაქტი: ამერიკაში ჩაატარეს გამოკითხვა, მხოლოდ ერთ კითხვას სვამდნენ: "შეგიძლიათ აპატიოთ იმ ხალხს, ვინც სავაჭრო ცენტრის შენობები დაანგრია ნიუ-იორკში?" და ვინც კატეგორიულად უპასუხა: "არა, არასოდეს!" ყველა მძიმე ავადმყოფი აღმოჩნდა. უკვე დასავლეთის მეცნიერებაც მიდის იმ დასკვნამდე რომ მსოფლმხედველობა და ხასიათი ჯანმრთელობაზე მოქმედებენ.

შემდეგ ვაკვირდებოდი რა ადამიანებს, მივხვდი, როგორ ხდება ბევრი ალკოჰოლიკი. მათ უბრალოდ არ შეუძლიათ პრობლემებისგან გადართვა, ცნობიერების გათიშვა. მომხმარებლობა, სიზარმაცე, ხშირი განაწყენება, ემოციური აგრესიულობა ცნობიერებას უხეშად, ზედმეტად დამოუკიდებლად აქცევენ და

რთულ სიტუაციაში მისი გათიშვა შეუძლებელი ხდება. ადამიანი პანიკიორი ხდება, სასოწარკვეთილებაში ვარდება, ხალხში და მოვლენებში მხოლოდ ცუდს ხედავს და მხოლოდ სასმელს შეუძლია მისი ცნობიერების გათიშვა და დაწყნარება. ჰიპერტროფირებული ცნობიერება ვერასოდეს გადალახავს სტრესს. მართლაც, "ვინც იმრავლებს ცოდნას, იმრავლებს წუხილს".

აანალიზებ რა წარსულს, შორდები პრობლემას, თითქოს ზემოდან ხედავ მას. პრობლემის გაგება სიტუაციისგან აბსტრაგირებას ნიშნავს. წარსულისგან მოწყვეტა ადვილია, აწმყოსგან უფრო ძნელია და გაცილებით რთულია მომავლისგან მოწყვეტა, რომელიც აწმყოში გადადის. სიტუაციაზე დამოკიდებული ანუ ხარბი, შურიანი და სასოწარკვეთილი ადამიანი მასში ვერასოდეს გაერკვევა. ვერ შეძლებს სიტუაციის მართვას.

ჩემი გამოკვლევები თავისი არსით მცდელობაა გარესამყაროზე დამოკიდებულებისგან შემცირებისა. და თუ არ წავალთ ღმერთისკენ, არ შევცვლით ჩვენს ემოციებს, ჩვენს ხასიათს, ჩვენს სულს, ამ დამოკიდებულებას უბრალოდ ვერ გადავლახავთ.

მე განვაგრძობ მომავლის თემას და ვიმეორებ ჩემს უწყვეტ მცდელობებს, შევამცირო მასზე დამოკიდებულება. არსებობს უბრალო კანონი. ჩვენ შეგვიძლია ვფლობდეთ იმას, რაზეც შინაგანად არ ვართ დამოკიდებული. დამოკიდებული ხარ ოჯახძე? არ შეგიძლია საყვარელი ადამიანის დაკარგვა? – ოჯახი არ გეყოლება. ეთაყვანები ფულს შინაგანად? – ფული არ გექნება. არ შეგიძლია მომავლის დანგრევის გადატანა? – ამავე სქემით დაკარგავ მომავალსაც. როგორც წესი ეს სიკვდილით მთავრდება. მაგრამ ზოგჯერ შეიძლება გადავრჩეთ, თუ გაჩნდა ჰემოფილია, დიაბეტი, შიდსი, კიბო.

ადრე მიღებებზე მიკვირდა ხოლმე, როცა ადამიანში მომავალს ვერ ვხედავდი, ის კი ცოცხალი იყო. შემდეგ ირკვეოდა რომ მას კიბო ჰქონდა მესამე-მეოთხე სტადიაში და ყველაფერი ცხადი ხდებოდა. ადრე გამიკვირდებოდა, თუ მეტყოდნენ რომ შეიძლება დავკარგოთ მომავალი, თუ განვიკითხავთ სხვა ადამიანებს, ან ღალატს არ ვაპატიებთ, ან შევიძულებთ, ან გულში ჩავიდებთ წყენას უსამართლობის გამო, ან საკუთარი თავის რწმენას დავკკარგავთ და სასოწარკვეთილებაში ჩავვარდებით. ჩვენ ყოველდღე ვანგრევთ საკუთარ მომავალს, ვამცირებთ მას როგორც შაგრენის ტყავს და ვერც კი ვხვდებით ამას. დიდი მომავალი მხოლოდ მას შეიძლება ჰქონდეს, ვისაც ყოველ მომენტში შეუძლია დაკარგოს იგი და ამ დროს სიყვარული შეინარჩუნოს. ყველაფერს, რასაც უზენაესზე მაღლა ვაყენებთ და შინაგანად ვეთაყვანებით, ადრე თუ გვიან დავკარგავთ.

"რა საინტერესოდაა მოწყობილი სამყარო, - ვფიქრობ მე, - ადიხარ კიბეებიდან ბაქანზე და ფიქრობ: როგორც იქნა დავისვენებ, ახლა შემიძლია ვისიამოვნო და არაფერი ვაკეთო! და უცებ აღმოჩნდება, რომ ეს ბაქანი კი არა მომდევნო საფეხურია და ყველაფერი თავიდან იწყება."

ცოტა ხნის წინ მეგონა რომ თუ მომავალზე დამოკიდებულებას მოვიხსნიდი, ყველა პრობლემა გადაწყდებოდა. მაგრამ როგორც კი ვიგრძენი ფრენის შეგრძნება და ამ არსისგან დამოუკიდებლობა, უცებ ღრმა დონეებიდან ახალი გამოჩნდა, თანაც სრულიად უჩვეულო. ამ სტრუქტურაში დროის ორი ნაკადი ერთ მთლიანობაში გადადის. ასეთი რამ პირველად დავინახე. ასი პროცენტით ვიყავი დარწმუნებული, რომ დროის ნაკადები ურთიერთქმედებენ, მაგრამ ერთ სტრუქტურაში გაერთიანება, ურთიერთგანადგურების გარეშე არ შეეძლოთ. მაგრამ რაც არ უნდა იყოს ეს ფაქტია.

დროის ორი ნაკადი რაღაც შეუცნობელი სახით ერთიანდება და ერთ სტრუქტურაში ცხოვრობს. მე ამ სტრუქტურასთან რაღაცით დაკავშირებული ვარ და დარღვევაც მაქვს მის მიმართ. ვცდილობ მისი სამუშაო სახელწოდება შევარჩიო, მაგრამ თავში არაფერი მომდის. ალბათ რაღაც დროს მერე გავერკვევი.

ძალიან საინტერესოა, აზრზე ვერ მოვდივარ, რამ შეიძლება გამოიწვიოს დროის ორი ნაკადის ერთ მთლიანად გაერთიანება, დრო ხომ სამყაროს შექმნისთანავე გაიყო ორ ნაკადად. ბიბლიაში ეს პროცესი ალეგორიულად გამოხატულია ფრაზით, რომელიც გვეუბნება რომ ღმერთმა ყველაფერი დაყო ნათელად და ბნელად. ასე რომ გამოდის, ეს სტრუქტურა სამყაროს შექმნისთანავე იწყებს არსებობას? და დროის პირველადი ნაკადები ჩანასახოვანი ფორმით არსებობს მასში? თუ ეს სტრუქტურა სამყაროს განვითარებასთან ერთად გაჩნდა? და მისი დანიშნულებაა – უფრო და უფრო მოიცვას და გააერთიანოს დროის ორი ნაკადი? ძნელია თქმა. რამდენიმე ასეული მოდელი უნდა დავატრიალო გონებაში და იქნებ ცხადი გახდეს.

ნებისმიერი ავადმყოფობა – ეს დახმარება და სულის განწმენდაა. და რაც უფრო მეტად ხარ კონცენტრირებული სიყვარულზე, მით უფრო ადვილად და სწრაფად ხდება განწმენდა. იმისათვის რომ ღვთაებრივი იმპულსი მოვიდეს, საჭიროა ადამიანურის დამცირება. თუ სულში სიყვარულის ნაკლებობაა, მაშინ ეს დამცირება თვითგანადგურებაში გადადის. შემდეგ თუ ეს პროცესი არ გადაილახება და თვითგანადგურებას კი სხეული ვეღარ უძლებს, შეიძლება მოკვდეს ან თავად ის, ვისი სულიც იწმინდება, ან მისი შვილები.

ექიმები ჩვეული სქემით მოქმედებენ – ადამიანს წამლებით ჭყიპავენ, წამლებზე დამოკიდებულება კი, განსაკუთრებით ჰორმონალურზე, ადამიანს ინვალიდად აქცევს. ოპერაციის სწრაფად გაკეთების, ან წამლებით მკურნალობის სურვილი ექიმისთვის იგივეა, რაც გენერალისთვის ომის დაწყების სურვილი. მაშინ მივხვდი დასავლეთის ქვეყნებში რატომ ნიშნავენ თავდაცვის მინისტრად სამოქალაქო პირს. გენერალი მთელი ცხოვრება ომისთვის ემზადება და ქვეცობიერად ძალიან უნდა მისი დაწყება. როცა კარიბის კრიზისის პერიოდში კენედი გენერლებს ეკითხებოდა რჩევას, ყველამ ერთხმად უპასუხა რომ საჭიროა ბომბარდირების დაწყება. იმაზე კი, რომ ამას ატომური ომის გამოეწვევა შეეძლო, გენერლები არ ფიქრობდნენ.

დიაგნოსტირების დროს ცოტა ხნის წინ ახალ სტრუქტურაზე გავედი. მე მას “X სტრუქტურა” დავარქვი. მასში დროის ორივე ნაკადია გაერთიანებული. მასზე დამოკიდებულება სურვილების აფეთქებას და ეჭვიანობას ბადებს. მე ვაგრძელებ ამ მიმართულებით მუშაობას და ვცდილობ გავიგო, როგორ შეიძლება გაერთიანდეს დროის ორი ნაკადი.

შემოქმედი ქმნის დროს, რომელიც იყოფა. რაც ნიშნავს “გამოვყოთ ნათელი ბნელისგან”? ნათელი – ენერგიის გამოსხივებაა. ენერგია, მოძრაობა – მიზეზის და შედეგის ურთიერთქმედებაა. მიზეზი და შედეგი – ეს დროის ორი ნაკადია.

თავიდან ჩნდება ინფორმაციის კონა – როგორც მიზეზი, შემდეგ ის გარდაიქმნება ენერგიად. ენერგია ვითარდება, სტრუქტურირდება და გარდაიქმნება ინფორმაციად. თუ სამყაროში არსებობს ნათელი, გამოდის რომ დროის ორი ნაკადი ურთიერთქმედებს. და ეს ორი ურთიერთსაპირისპირო ერთიანდება სიყვარულით, რომელიც შემოქმედისგან გამოდის. მისგან იქმნებიან და მასშივე ბრუნდებიან.

ესე იგი X სტრუქტურის არსებობა, რომლის კლასიფიცირებასაც ამჟამად ვცდილობ, განუწყვეტლივ უნდა იყოს დაკავშირებული სიყვარულის გრძნობასთან. მისი ზრდა იწვევს ამ სტრუქტურის განვითარებას, დროის ნაკადების მასშტაბის გაზრდას. ხოლო თუ სიყვარული გაქრება, ეს სტრუქტურა ორ შემადგენელ ნაწილად დაიშლება. ძალიან საინტერესოა. გამოდის რომ ეს სტრუქტურა ვერ იარსებებს შემოქმედთან კონტაქტის გარეშე და მისი განვითარების მთავარი პირობა მასთან ერთიანობაა.

ეს სტრუქტურა შეიძლება დიდი არ იყოს. ის ამ სამყაროში არსებობს, მაგრამ სხვა სამყაროებშიცაა დუბლირებული. ღრმა დონეებზე ის ერთიანია მთელ სამყაროსთან, ზედაპირულ დონეებზე კი ჩვენი გალაქტიკის ზოგიერთ ადგილას არსებობს, მათ შორის დედამიწაზეც. რადაც სახით ეს სტრუქტურა დაკავშირებულია ადამიანებთან, მათ მომავალთან და წარსულთან. თითქოს ინფორმაციის უნივერსალური შემგროვებელია. მასში ჩადებულია ინფორმაცია ყველაფერზე რაც მოხდა, მათ შორის არა მარტო დედამიწაზე, არამედ გალაქტიკაში და მთელ სამყაროში. ამავდროულად მასშია ინფორმაცია იმის შესახებ თუ რა მოხდება მომავალში. სამყაროს თავისებური მოდელია. იქნებ ეს კაცობრიობის მატრიცაა? რატომ გვაძლევს მასზე დამოკიდებულება ასეთ გიგანტურ პრობლემებს?

რა არის კეთილდღეობაზე და კარგ ბედზე მიჯაჭვულობა? დანაკარგის გადატანის არცოდნა, წარსულზე წუხილი, მომხდარის სრული მიუღებლობა, ბედის დარტყმების ვერგადატანა. მაგრამ ეს მხოლოდ აისბერგის ნაწილია. მთავარი კი – სწრაფვაა მივიღოთ ბედისგან გაცილებით მეტი ვიდრე გავცემთ. თუ თქვენ შეგიყვარებთ ადამიანი, რომელიც მიჯაჭვულია კეთილდღეობაზე, მაშინ მას თქვენში კეთილდღეობა ეყვარება ქვეცნობიერად გამოგწოვთ ენერგიას. ამასთან ეს ენერგია შეუძლია თქვენი მომავალი ცხოვრებებიდანაც გამოგწოვოთ. და მაშინ, რათა შეინარჩუნოთ შინაგანი ენერგია, დაგიავადდებათ თირკმელები.

მაგრამ ამან ღმერთის სიყვარულისკენ უნდა გიბიძგოთ და უნდა შეამციროს თქვენში ადამიანურ ბედნიერებაზე დამოკიდებულება. და თუ ტკივილი სასოწარკვეთილებისკენ და წამლებისკენ გიბიძგებთ, მაშინ უკვე შეიძლება იფიქროთ ოპერაციაზე. მე ექიმების საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. თუ არ გინდა ან არ შეგიძლია შეიცვალო – დაწექი დანის ქვეშ. მაგრამ მაინც ჯობია შეეცადო. რა სახიფათო ძალაა სიყვარული როცა მიჯაჭვულობაში გადაიზრდება! თუ შინაგანად ხარბ ქალს უყვარდება ვინმე, მაშინ მისი რჩეული გლახაკი და ღარიბი უნდა გახდეს. თუ ეჭვიან ქალს უყვარდება ვინმე, მაშინ მის საყვარელ ადამიანს ეწყება პოტენციასთან, სახსრებთან ან გულთან დაკავშირებული პრობლემები. ასეთივე მექანიზმი მოქმედებს მამაკაცებზეც. ის, რაზეც მიჯაჭვულია ჩვენი სული, უნდა დავკარგოთ არა მხოლოდ ჩვენ, არამედ იმანაც, ვისაც შევიყვარებთ.

ადრე არ მესმოდა, რატომ წერდა ნოსტრადამუსი, რომ 2000 წლის შემდეგ ხალში გრძნობები გაცივდება და აგრესიულები გახდებიან. ახლა გასაგებია რატომაც. რაც უფრო მალე იქცევა სიყვარული მიჯაჭვულობად, მით უფრო მალე კლავს იგი და ბადებს აგრესიას. რაც მეტია სიამოვნება, მით მეტია მისი დაკარგვით გამოწვეული ტანჯვა. ღმერთის სიყვარულის შემდეგ კი ყველაზე დიდი ბედნიერება ადამიანური სიყვარულია და გამოდის რომ ყველაზე დიდ აგრესიას სხვა ადამიანისადმი სიყვარული ბადებს. ტყუილად არ ამბობდა ქრისტე, რომ ჩვენი ყველაზე მთავარი მტრები ჩვენივე ახლობლები არიან. სწორედ ახლობლები, რომლებსაც ყველაზე ძალიან ვუყვარვართ და გვეჩვევიან, პირველები გვწყვეტენ ღმერთისგან.

ნებისმიერი საფეხური ჩიხით და გამოუვალი მდგომარეობით მთავრდება, შემდეგ კი აღმოჩნდება რომ ეს შემდეგი საფეხურის დასაწყისი ყოფილა. აიწევი ცოტა მაღლა და ჩიხის ნაცვლად მომდევნო საფეხურს დაინახავ.

რა გვაქვს ამჟამად? – ვფიქრობდი მე, - ასე თუ ისე გადაჭრილი პრობლემა სურვილებთან დაკავშირებით, რომლებიც გვაკავშირებენ წარსულთან და მომავალთან. არის უფრო მასშტაბური სტრუქტურა რომელსაც დავარქვი მომავალი. არის სტრუქტურა X, რომელშიც მომავალიცაა და წარსულიც. ცოტა ხნის წინ სიღრმეებიდან კიდევ ერთი სტრუქტურა ამოტივტივდა, რომელიც ძირითადად წარსულთანაა დაკავშირებული. ჯერ-ჯერობით მისი სამუშაო სახელწოდებაა “ბედი”. საინტერესო ისტორია ხდება, ყველა ადამიანური ღირებულება შევძელი ორ ცნებამდე დამეყვანა: ეჭვიანობა და სიამაყე. ბიბლიაში მათი შესაბამისია ევას ცოდვა და ეშმაკის ცოდვა. დიდხანს ვცდილობდი ეს ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ცნება გამეერთიანებინა და თითქოს გამომივიდა. ყველაფერი გააერთიანა სურვილების სტრუქტურამ, რომელიც წარსულთან და მომავალთანაა დაკავშირებული. თითქოს ერთიანი სტრუქტურა ისევ დაიშალა ორ ნაკადად – მომავალი, იდეალების, სამართლიანობის, უმაღლესი სურვილებისა და იმედების თემით და ბედის თემა, რომელიც დაკავშირებულია ნებისყოფასთან, შესაძლებლობებთან, მართვასთან და წარსულის

გამოცდილებასთან. მომავალი დაკავშირებულია სურვილებთან, ეჭვიანობასთან (с ревностью). წარსული დაკავშირებულია ბედთან, სიამაყესთან. და უფრო ღრმა დონეებზე ისინი კვლავ ერთიანდებიან ერთიან სტრუქტურაში, რომელიც დავამატებ რომ ღმერთთან ერთიანობის გარეშე ვერ იარსებებს.

როგორც ჩანს დუალიზმის პრინციპი ყოველთვის იარსებებს, - ვფიქრობდი მე. – იწყებ სამყაროს შესწავლას და მოდის რაღაც ცნება. რაღაც პერიოდის განმავლობაში ურთიერთქმედებ მასთან და ჩნდება მისი საპირისპირო ცნება. რაც მეტად შეიცნობ სამყაროს, ეს ურთიერთწინააღმდეგობანი უფრო და უფრო უახლოვდება ერთმანეთს და ბოლოს ერთიანდება.

როგორც წესი, იმისათვის რომ გააცნობიეროს თავის პრობლემა და გადალახოს ნაკლი, ადამიანს ეძლევა სიტუაცია. შემდეგ მეორე. ერთი წლის შემდეგ მესამე. ათობით სიტუაცია შეიძლება ბევრი წლის განმავლობაში გაიჭიმოს. მე ჩემი დიაგნოსტიკის წყალობით, მსგავს სიტუაციებს ათასჯერ უფრო სწრაფად გავდივარ და გასაცნობიერებლად ასი წელი კი არა რამდენიმე დღე მყოფნის. ასეთი სისწრაფე მხოლოდ ერთმხრივაა კარგი, მეორე მხრივ კი – ძალიან სწრაფად მიგროვდება პრობლემები.

ცოტა ხნის წინ ცნობილი მკურნალის წიგნი მომხვდა თვალში, რომელმაც მოკლე დროში რამდენიმე მილიონი დოლარი მოიპოვა. წიგნში ის გვთავაზობდა ლოცვასავით წარმოგვეთქვა შემდეგი სიტყვები: “მე ვარ ძალა, მე ვარ ნება, მე ვარ სიხარული, მე ვარ სიყვარული!” მახსოვს რა დამემართა, როცა მტკიცება: “მე მიყვარს ღმერთი” დავაყენე მტკიცებების შემდეგ: “მე მიყვარს ახლობლები” მე მიყვარს ეს სამყარო”. უკვე სამი დღის შემდეგ თითქმის დავბრმავდი.

უკანასკნელ წლებში ბევრი მკურნალი შოულობს ფულს ადამიანის გასაჭირზე და იძლევა რჩევებს, ჩემი აზრით სასიკვდილოს. თუმცა უმეტესობას ცუდი არაფერი ემართება. როგორ ამბობს ერთი ღვთისმეტყველი? ღმერთი უცებ არ სჯის ცოდვებისთვის და ამიტომ ადამიანი კიდევ ბევრის შეცოდებას ასწრებს. ცოდვა – ესაა ღმერთისადმი სიყვარულის დაკარგვა. თუ სიყვარული ცოტაა, ჩვენი სული ვერ შეძლებს ურთიერთსაპირისპიროს გაერთიანებას და ერთ-ერთ მათგანს ეთაყვანება. უკიდურესობაში ვარდება, შემდეგ კი იწყება აგრესია და ნგრევა.

X სტრუქტურა

რუსეთში ამჟამად ორგანიზმის მთლიანობის იდეასთან მიდიან. აღმოჩნდა, რომ ცალ-ცალკე ორგანოების სხვადასხვა დაავადებების მკურნალობა უშედეგოა, თუ იმუნიტეტი ნულზეა.ვფიქრობ ექიმები მალე შეძლებენ დაუკავშირონ იმუნიტეტის ცნება ორგანიზმის შინაგან ენერგიას. შემდეგ კი შინაგანი ენერგიის ცნებას ადამიანის ემოციურ, ფსიქოლოგიურ მდგომარეობას დაუკავშირებენ. შემდეგ ექიმები ალბათ უნდა მიხვდნენ, რომ ორგანიზმის ენერგეტიკაზე მოქმედებენ არა ზედაპირული, არამედ ძალიან ღრმა ემოციები, რომლებიც ქვეცნობიერში ინახება. ნუ ამის მერე უკვე ადვილია შევამჩნიოთ კავშირი მსოფლმხედველობას, ხასიათს, ბედსა და ჯანმრთელობას შორის.

ენერგიის მოპოვებისათვის საჭიროა შინაგანად უფრო კეთილები გავხდეთ, შევამციროთ წყენა, წუხილი და შიში. გამოდის რომ ენერგიის ფიზიკური უკმარისობა აიძულებს ადამიანს რომ უფრო კეთილი გახდეს. და პირიქით, გადაჭარბებული კვება, აღვირახსნილობა, ფიზიკური კომფორტი და ცხოვრების ნაკლებად მოძრავი სტილი აძლიერებენ გარეგნულ ფიზიკურ ენერგიას და კეტავენ შინაგანი ენერგიის, სულის ენერგიის ინტენსივობას. აფუჭებენ ხასიათს, ადამიანი ხდება უფრო გაბოროტებული, ხარბი, დეპრესიული. როგორც კი სულის ენერგია მცირდება, ორგანიზმი სუსტდება, შემდეგ კი თანმიმდევრულად მოდის ავადმყოფობები და ნაადრევი სიბერე. ასე რომ რაც უფრო მეტი ორიენტაცია გვაქვს ზედაპირულ ენერგიაზე, მით ნაკლებად გვექნება იგი. ამიტომაც უფრო მეტს ცოცხლობენ და ჯანმრთელები არიან ის ადამიანები, ვისაც შეუძლია თავი შეიზღუდოს სექსში და კვებაში. სხვათაშორის ძალიან ხანდაზმული ადამიანების წარსულში სექსუალური აღვირახსნილობა და ჭარბი კვება პრაქტიკულად არ გვხვდებოდა.

მანმადე კი ექიმები მიზანმიმართულად მკურნალობენ რომელიმე ორგანოს და პაციენტს წამლებით ბერავენ. კრიტიკულ სიტუაციაში, თუ ცოტა დრო დარჩენილი და ავადმყოფობამ ინერცია აიღო, მკურნალობის ეს ფორმა გამართლებულია. მაგრამ იმის გაცნობიერების გარეშე, თუ რამ გამოიწვია ავადობა, როგორ მოქმედებს სული სხეულზე, ყველანაირი მკურნალობა დაიყვანება წამლებით დაბომბვამდე და ოპერაციებამდე.

როგორც წესი რუსეთში მამაკაცები 55 წლის ასაკში კვდებიან. 50 წლის შემდეგ მამაკაცს კლიმაქსი ეწყება და ჩვეულებრივი რეჟიმი, რომელსაც წლების განმავლობაში მიეჩვია, უკვე გადატვირთვას იწვევს. თუ ამას დავუმატებთ უარყოფით ემოციებს, მომეტებულ კვებას და გადაჭარბებულ სმას, კლიენტი უკვე მზადაა. და მაშინ, ერთი სატირიკოსის ზუსტი შენიშვნით, პენსიას რუსეთში 60 წლის შემდეგ იძლევიან, მამაკაცები კი 50 წლამდე ცოცხლობენ.

განვიხილოთ საკითხი: რას ნიშნავს დაბერება? ე სარის ორგანიზმის ადაპტაცია ენერგეტიკული დონის თანდათანობით დაქვეითებასთან. თუ შინაგან ენერგიას ავიმაღლებთ, დაბერება უფრო ნელა მოხდება. ამას ფაქტებიც ადასტურებენ. თუ ადამიანი ცოტას ჭამს და მეტს მოძრაობს, ის შინაგანი ენერგიის წყაროზე გადაერთვება და უფრო დიდხანს ცოცხლობს.

ამას წინათ აჩვენებდნენ ინტრვიუს ცნობილ აკადემიკოსთან, რომელიც თითქმის ასი წლისაა. მან თავისი ჯანმრთელობის მთავარ რეცეპტად დაასახელა – სუფრიდან შიმშილის შეგრძნებით ადგომა, ანუ გარეგანი ენერგიის უკმარისობის შეგრძნება. საჭიროა გადავერთოთ დამატებით წყაროზე, რომელიც

სინამდვილეში პირველადი წყაროა. ხდება ქვეცნობიერი სწრაფვა ღმერთისკენ, სიყვარულის გრძნობისადმი განწყობა.

იმისათვის რომ იცოცხლოს, ცოცხალმა ორგანიზმმა გარესამყაროსთან ადაპტაცია უნდა შეძლოს. მივხვდი რატომ მოდის მეტი სიხარული როცა მზე ანათებს. ჩვენ ვბაძავთ მას, რასაც ვხედავთ და როცა მზე ანათებს, ჩვენი სული ენერგიის გაცემას იწყებს, და მიუხედავად ყინვისა და ცივი ქარისა მშვენიერ განწყობაზე ვდგებით. ნაკლებად ვხდებით დამოკიდებული გარესამყაროზე. ხოლო როცა მზე არაა, შინაგანი ენერგია ჩერდება და ჩნდება უკმაყოფილების და მოწყენილობის შეგრძნება. ამიტომაც ჯანმრთელია ის, ვის სულშიც მზე მუდამ ანათებს, ანუ მისი კარგი განწობა ამინდზე არაა დამოკიდებული.

ურთიერთობის არსი მსხვერპლია. ნებისმიერი ურთიერთობის პირველი იმპულსია – დავეხმაროთ თანამოსაუბრეს, მივცეთ მას ენერგია, ინფორმაცია. რაც უფრო მეტად ხდება ურთიერთგაცვლა, ენერგიების გაცვლა, მით უფრო საინტერესო ხდება საუბარი. დასავლეთის ადამიანი, მომართული მეტის მიღებაზე, ურთიერთობას გადაეჩვია. უცნობ ადამიანთან გულახდილი საუბარი რომ გამოგვივიდეს, გულწრფელები უნდა ვიყოთ და მსხვერპლის გაღება უნდა შეგვეძლოს. ეს გვეხმარება სიყვარულის შეგრძნებაში და გვიხსნის გადაღლილობას.

ენერგიის გამოფრქვევა არასოდეს არ უნდა იყოს მიმართული მკვლელობაზე, წყენის ფორმით. მწვავე განაწყენება ახლობელ ადამიანზე, ბედზე, არაცოცხალ ბუნებაზე ძალიან სახიფათოა. ადვილად ნაწყენდება მომხმარებელი (потрибитель), სუსტი ადამიანი, ის, ვისაც არ უნდა ენერგიის გაცემა, ვინც არ ცდილობს სიტუაციის შეცვლას. არ მოგწონს გარესამყარო? - შეცვალე იგი. არ შეგიძლია მისი შეცვლა? – შეიცვალე თავად. შემდეგ კი კვლავ შეეცადე - შეცვალო სამყარო.

ნებისმიერი სიტუაცია კანონზომიერია და მიმართულია განვითარებისკენ. თუ ჩვენ გვერევა და განვითარებად ჩვენი სხეულის კეთილდღეობის, შესაძლებლობების და ცნობიერების განვითარებას ვთვლით, მაშინ სიბერის მოახლოებისას, როცა ეს განვითარება დეგრადაციაში გადადის, ჩვენ ვწუხვართ და ვიტანჯებით. ხოლო თუ განვითარებად სიყვარულის უნარის მომატებას ვთვლით, აქ უკვე სისუსტე და სიბერე ხელს ვეღარ შეგვიშლის. სიყვარულის უნარს ვერავინ წაგვართმევს.

ჩემი სამუშაო ხშირად მაძლევს საკუთარი თავის უპირატესობის შეგრძნებას. რა გასაკვირია, შემიძლია ბედი ვმართო. და როგორ მიდის სიყვარული ვერც კი ამჩნევ. აი როცა ტკივილი და დამცირება მოდის, მაშინ აცნობიერებ, რომ თურმე სიყვარული ცოტა გქონია სულში. და რაც უფრო მეტად ხარ დამცირებული, მით უფრო მეტად გათბობს სიყვარულის გრძნობა. “სხვათა შორის, X სტრუქტურაც ვერ იარსებებს სიყვარულის გარეშე”, - გამახსენდა მე.

სამყარო ერთიანია. ის წერტილისგან შეიქმნა და ღრმა დონეზე (на тонком плане)) კვლავ წერტილად არსებობს. ნებისმიერი ობიექტი ამ სამყაროში აბსოლუტურ შინაგან ერთობას ინარჩუნებს მთელს არსებულთან. ნებისმიერი ფიზიკური სტრუქტურა - ეს მოწესრიგებული ენერგიაა. მოწესრიგებულობა – მყარი კავშირების არსებობაა. მოწესრიგებული კავშირი – მიზეზის და შედეგის გამოვლინება. იქ, სიღრმისეულ დონეზე, სადაც სამყარო წერტილია, მიზეზი და შედეგი ერთ მთლიანობად გვევლინება. იმის მიხედვით თუ როგორ ფართოვდება სამყარო, მიზეზი უფრო და უფრო შორდება შედეგს. პოტენციალი წარსულსა და მომავალს შორის უფრო დაძაბული ხდება. სამყაროს საერთო ენერგია იზრდება. წონასწორობისათვის ენერგია უნდა გარდაიქმნას ინფორმაციად. ენერგია – ეს დროის ორი ნაკადია. თუ მათ ერთ წერტილში შევკუმშავთ, მივიღებთ ინფორმაციას.

ნებისმიერი ობიექტის განვითარება – ესაა ინფორმაციის გარდაქმნა ენერგიად, და შემდეგ საწყის წერტილში დაბრუნება.

ვარსკვლავების ნათება, მათ შორის ჩვენი მზის, განპირობებულია იმით, რომ მათში მიმდინარეობს თერმობირთვული სინთეზი. ამ დროს იქმნება ახალი ელემენტები. ნებისმიერი ვარსკვლავი ისწრაფვის ენერგიის ინფორმაციად გადაქცევისკენ. ვარსკვლავი გამოტყორცნის პლანეტებს, რომლებშიც ნაკლები ენერგია, მაგრამ მეტი ინფორმაციაა. პლანეტის ამოცანაა – რაც შეიძლება მეტი მიზეზ-შედეგობრივი კავშირი შექმნას, უკვე არა ცალკეული ატომების ან მოლეკულების, არამედ რთული შენაერთების სახით. რაც მეტი კავშირია ამ შენაერთებში, მით მეტი ენერგია შეიძლება დაიხარჯოს მათზე.

ყველაზე დიდი სიხშირე ინფორმაციისა, შესაბამისად ფარული ენერგიისა, ცოცხალ ბუნებაშია. თუ ცოცხალი არსების ინფორმაციას გადავიყვანთ ენერგიაში, ის გაცილებით უფრო მეტი იქნება, ვიდრე ატომური აფეთქების დროს გამოიყოფა. ეს ნიშნავს რომ სიცოცხლის გაჩენა დედამიწაზე და სხვა პლანეტებზე – ღრმად კანონზომიერი მოვლენაა.

ენერგია იკუმშება და ინფორმაციად გარდაიქმნება, დრო იკუმშება და წერტილად გარდაიქმნება. დროის და ენერგიის შეკუმშვის ხარისხი ცოცხალ ბუნებაში გაცილებით მაღალია, ვიდრე არაცოცხალში.

რით განსხვავდება ცოცხალი ობიექტი არაცოცხალისგან? სიჩქარით, რომელიც ჭირდება ენერგიის ინფორმაციად გარდაქმნას და პირიქით. რა არის ნებისმიერი არსების მთავარი თვისება? ესაა ჰომეოსტაზი, ანუ შინაგანი შემადგენლობის მუდმივობა და უარყოფითი უკუკავშირის არსებობა, ანუ რეაქცია გარესამყაროზე. ჰომეოსტაზის შენარჩუნებისთვის ენერგიის დახარჯვაა საჭირო. რეაქციის არსებობისთვის საჭიროა ენერგია ინფორმაციად გადაიქცეს.

წარმოვიდგინოთ რომ უჯრედი აღმოჩნდა არახელსაყრელ პირობებში. იმისათვის რომ გადარჩეს, მან სწრაფად უნდა მოახდინოს რეაგირება. გარედან მომავალი ყველანაირი ზემოქმედება მოკლე დროში წერტილად უნდა შეიკუმშოს, წარსულის გამოცდილებასთან შეთავსდეს და გამოტანილ იქნეს დასკვნა მომავლისთვის. ანუ ცოცხალი ორგანიზმის რეაქცია გარესამყაროზე შეუძლებელია წარსულის

გამოცდილების და მომავლის პროგნოზირების გარეშე. ეს ნიშნავს, რომ ორგანიზმის რეაქცია გარემოზე შეუძლებელია დროის შეკუმშვის, ენერგიის ინფორმაციად გარდაქმნის გარეშე. ხოლო საპასუხო მოქმედება ორგანიზმისა გარესამყაროზე – ეს ინფორმაციის ენერგიად გარდაქმნის აქტია.

ცოცხალ ბუნებაში უწყვეტად მიმდინარეობს ორი ურთიერთსაპირისპირო პროცესი. ენერგია დროის ორი ნაკადის სახით იკუმშება ინფორმაციად, პროგრამად, გააზრებად. ყველაფერ ამას შეიძლება დავარქვათ გავლენა. ხოლო შემდეგ ვლინდება თავად რეაქცია გარესამყაროს მიმართ, როცა პროგრამა რეალიზდება მოქმედებაში. ცოცხალი ორგანიზმის განვითარება მიდის არა იმდენად რეაქციის აჩქარების განვითარებაზე, არამედ დროის ორი ნაკადის მასშტაბის მოცვაზე. ანუ ხდება მეხსიერების განვითარება და ცხოვრებისეული გამოცდილების, ინტელექტის და პროგნოზირების უნარის დაგროვება. სწორედ ესაა დროის ორი ნაკადის გაერთიანება.

ის, რასაც X სტრუქტურა დავარქვი, ცხოვრება აღმოჩნდა. ჩვენი ცნობიერება მეხსიერებისგან და ინტუიციისგან (პროგნოზირებისგან) შედგება. იგი არსებობს როგორც კავშირი მომხდარი მოვლენებისა მომავალში მოსახდენთან. და როცა ვიხსენებთ წარსულს, ეს ყოველთვის მომავლიოსკენაა მიმართული. როგორც კი ადამიანი იწყებს ცხოვრებას მხოლოდ წარსულით ან მხოლოდ მომავლით, ცნობიერება დეგრადაციას განიცდის. ის, რასაც აწმყოს ვეძახით, რეალურად წარსულის და მომავლის ერთობლიობაა, რომლებიც ღრმა დონეზე ერთ მთლიანს წარმოადგენენ.

როცა შევეცადე სიღრმისეულ დონეზე დამენახა, როგორ იბადებოდა დედამიწაზე სიცოცხლე, საინტერესო სურათი გამოვიდა. თავად სიცოცხლე თავდაპირველად გაჩნდა როგორც ცნობიერების ფორმა დედამიწის გარეთ. მზის ენერგიის, როგორც მამაკაცური საწყისის და დედამიწის ენერგიის, როგორც ქალური საწყისის შეერთებამ გამოიწვია ველობრივი სტრუქტურის შექმნა და დროის ორი სხვადასხვა ნაკადით.

მართალია დედამიწა მზისგან გამოვიდა და მასში ქალური, მატერიალური საწყისი ჭარბობს, ღრმა დონეზე იგი აგრძელებს მზესთან ერთიანობაში ყოფნას. სწორედ ამიტომ ველობრივი სტრუქტურა დროის ორი ნაკადით არ დაიშალა ორ ნაწილად. ღრმა დონეზე დედამიწა და მზე ერთ მთლიანად ყოფნას აგრძელებენ.

სიცოცხლემ, რომელიც ცნობიერების სახით გაჩნდა, ევოლუცია განიცადა დედამიწის ატმოსფეროში. შემდეგ კი დაეშვა მიწაზე სამხრეთ აფრიკის რაიონში, ინდოეთის ოკეანეში. ინფორმაციული და ენერგეტიკული სტრუქტურა ფიზიკურად წყალში გამოვლინდა.

საქმე იმაშია, რომ წყალს გააჩნია მეხსიერება. იგი ერთდროულად ამორფულიცაა და სტრუქტურირებულიც. ენერგიის ინფორმაციად გარდაქმნა წყალში მუდმივად მიმდინარეობს. ტემპერატურული მონაცვლეობის შედეგად წყალს შეუძლია გახდეს მყარი, თხევადი ან გაზისებური. ყინულის ორი ნაჭერი ფორმით სრულიად განსხვავდება ერთმანეთისგან, მაგრამ შემდეგ ყინული დნება და ერთიან გუბედ გადაიქცევა. ზედაპირული ერთიანობა ირღვევა, შინაგანი ერთიანობა კი ინახება. წყალი გამუდმებით იცვლის ფორმას, მაგრამ არ იცვლის შემადგენლობას – ისევე როგორც სამყარო. წყალი თითქოს უნივერსუმის მოდელად გვევლინება. ამიტომაც სიცოცხლის ველობრივ ფორმას ფიზიკურ დონეზე მხოლოდ წყალში შეეძლო რეალიზება. აქ შეისხა ცნობიერებამ ხორცი. მამაკაცურმა საწყისმა წარმოქმნდა ქალური საწყისი. მოხდა “სამოთხიდან განდევნა”.

სიცოცხლეს წყალში მხოლოდ ორმაგი ველის სახით შეეძლო გაჩენილიყო. ანუ იგი ორი ნახევრისგან უნდა შემდგარიყო, ორი ერთმანეთთან დაკავშირებული პოლუსისგან. და როგორც არ უნდა ვითარდებოდეს სიცოცხლე ფიზიკურად, იგი ინარჩუნებს თავს პირველადი ველობრივი სტრუქტურის სახით. ინფორმაციის ძირითადი დაგროვება სწორედ ველის დონეზე ხდება და ჩვენი გენები მათ დუბლირებას ახდენენ უბრალოდ.

უფრო მეტად სავარაუდოა, რომ სიცოცხლე ოკეანეში შეიქმნა როგორც ერთიანი ორგანიზმი – “მოაზროვნე ოკეანე” ორმაგველიანი, დროებრივი ორიენტაციით. დედამიწის ორი ნახევარსფერო, აღმოსავლეთი და დასავლეთი, ორიენტაცია დროის ორ ნაკადზე და დღე-ღამის ცვალებადობა ეხმარებოდა ამ ორგანიზმს ინფორმაციის ფიზიკურ სტრუქტურად გარდაქმნაში. და პირველი წვეთები, თავდაპირველად უწყვეტად გაერთიანებულნი, დროთა განმავლობაში უფრო და უფრო მეტ ინდივიდუალობას იძენდნენ. ინფორმაცია გარდაიქმნებოდა ენერგიად და ხორცად. დღემდე ყველაფერი ცოცხალი მიუხედავად გარეგნული მრავალფეროვნებისა ერთ მთლიან ორგანიზმად არსებობას განაგრძობს. და გამოდის, რომ ღრმა დონეზე ადამიანები პასუხისმგებელნი არიან არა მხოლოდ ერთმანეთზე, არამედ მთელ ცოცხალ ბუნებაზე.

ნებისმიერი ცოცხალი ორგანიზმი ატარებს თავის თავში ინფორმაციას მთელი სამყაროს შესახებ, მისი გაჩენის მომენტიდან. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს სამყაროს აბსოლუტური მთლიანობის იდეას დროსა და სივრცეში. ამიტომაც ადამიანის ემბრიონი პირველ სტადიებზე გამოიყურება როგორც ამება, თევზი, და ა. შ. აბსოლუტური მეხსიერება, სამყაროში მომხდარის შესახებ, დუბლირებას განიცდის ფიზიკურ დონეზე ცოცხალი ორგანიზმების საფეხურებრივი ევოლუციის სახით.

მოძრაობა შეუძლებელია დროის ორი ნაკადის ურთიერთქმედების გარეშე. ამიტომ დნმ უჯრედში ძირითადად წარსულზე და აწმყოზე აგებს პასუხს, ხოლო მემბრანა – ძირითადად მომავალზე და აწმყოზე. ამიტომ აქვს ადამიანს ტვინის ორი ნახევარსფერო. მარცხენა დაკავშირებულია სხეულის ცნობიერებასთან, გამოცდილების დაგროვებასთან, ხოლო მარჯვენა – გრძნობისმიერ ხატ-სახეებთან (с чувственными образами),

ინტუიციასთან და ორიენტირებულია მომავალზე. სხეულის მარჯვენა მხარე უფრო მეტად მომავალზეა ორიენტირებული, ხოლო მარცხენა – წარსულზე.

მე ვფიქრობ: "თუ სიცოცხლე ასეთი ჰარმონიული სტრუქტურაა, მაშინ რატომ გვაძლევს მასზე დამოკიდებულება ამდენ პრობლემას?" ალბათ საქმე უფრო ეხება სიცოცხლის ფიზიკურ სტრუქტურას. ზედაპირული სტრუქტურა სხეულთანაა დაკავშირებული და სიცოცხლის ველობრივი ფორმის პაწაწინა ნაწილად გვევლინება. და ჩვენი სხეულებრივი ცნობიერება ძალიან პატარა ნაწილია იმისა, რასაც ქვეცნობიერს ან არაცნობიერს ვეძახით. ჩვენი სხეულებრივი ცხოვრება მიჯაჭვულია ორ ინსტინქტზე – თავდაცვის ინსტიქტი და გამრავლების ინსტინქტი. ამასთან მეორე უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. სწორედ ამიტომ არა მხოლოდ ადამიანები, არამედ ცხოველებიც, ხშირად თავს სწირავენ შთამომავლობის გადასარჩენად. ხოლო სექსისადმი თაყვანისცემა, რომელიც ფიზიკური ცხოვრების გაგრძელების საშუალებაა, აძლიერებს სიცოცხლეზე დამოკიდებულებას, იწვევს იმუნიტეტის დაქვეითებას, სექსუალურობის დაქვეითებას და საბოლოო ჯამში თავად სიცოცხლის დაკარგვას.

"უცნაურია, - ვფიქრობ მე, - წინა წიგნებში მე უკვე შევეხე ეჭვიანობის და სიამაყის, სიცოცხლის და სურვილების თემას". დიდხანს ვფიქრობდი ამ თემაზე და თანდათან მივხვდი რაც მოხდა. ადრე ადამიანური ღირებულებები არ მქონდა სისტემურად ორგანიზებული. ახლა კი ისინი დაკავშირებულნი აღმოჩნდნენ სამყაროს ფუნდამენტალურ საფუძვლებთან, ისეთებთან როგორიცაა დრო, ენერგია, მატერია. იმისათვის რომ შევიგრძნოთ აბსოლუტური მთლიანობა სამყაროსთან, ჩვენ უნდა დავძლიოთ მათ ცალკეულ ნაწილებზე დამოკიდებულება და სადაც არ უნდა გაგვიტაცოს სამყაროს შეცნობამ, ჩვენ უწყვეტად უნდა ვიყოთ მთლიანობაზე ორიენტირებულნი. ხოლო უმაღლესი ერთიანობა და მთლიანობა – ეს ღმერთისადმი სიყვარულია. და თუ ეს სიყვარული არაა საკმარისი, ნაწილები კარგავენ შინაგან კავშირს და ერთიანობას, შემდეგ კი ცილდებიან ერთმანეთს და იღუპებიან.

სიყვარულის დაკარგვის პროცესი შეიძლება მოხდეს არა მხოლოდ ფიზიკურ, არამედ ველობრივ დონეზეც. და სიცოცხლე ველობრივ ფორმაში, ცნობიერება, ასევე შეიძლება დაიღუპოს სიყვარულის გარეშე. ყველაზე მეტად სავარაუდოა რომ თქმულება ეშმაკის შესახებ სწორედ ამაზე გვიყვება. ყველაზე ჭკვიანმა და ნიჭიერმა, ყველაზე მეტი ნების და შესაძლებლობების მქონე ანგელოზმა თავისი ცნობიერება სიყვარულზე მაღლა დააყენა და ამით დაიწყო ტრაგედია. ის ეშმაკი გახდა. ეს პროცესი ფიზიკურ დონეზეც გრძელდება. და აი, ქრისტეს ყველაზე ნიჭიერმა და ნებისყოფიანმა მოწაფემ, რომელიც ადმინისტრატორის როლს ასრულებდა და საერთო ხაზინას განაგებდა, გადაწყვიტა რომ სიყვარული მეორადია, ხოლო ცნობიერება მორალთან და იდეალებთან ერთად პირველადია. და ტრაგედია უკვე მას ემართება.

ჩვენ ყველას სულში არსებობს იუდა და ყველა ჩვენთაგანის სულში თითქმის ყოველდღე ხდება ტრაგედიები, რომლებსაც ვერ ვამჩნევთ. სიცოცხლე სიყვარულის გარეშე არაფერს ნიშნავს. ცნობიერებაც არაფერს ნიშნავს სიყვარულის გარეშე. სამწუხაროდ ამ ყველაფერს მხოლოდ მას შემდეგ ვხვდებით, რაც ვკარგავთ ჯანმრთელობას, სიცოცხლეს და ცნობიერებას. მაგრამ ჩვენს ცხოვრებაში ყოველთვისაა შუქურა, რომელიც არასოდეს ჩაქრება, რომელიც ყოველთვის გამოგვიყვანს გამოუვალი მდგომარეობიდან, რომელსაც ვერავინ წაგვართმევს და რომელსაც მხოლოდ ჩვენ თვითონ შეგვიძლია რომ ზურგი ვაქციოთ და გზას ავცდეთ. და რა ქვია ამ შუქურას მკითხველმა უკვე იცის.

ლექცია ხარკოვში

ყველა ლექციას თავისი ხიბლი აქვს. პეტერბურგში და მოსკოვში მაყურებელი მომზადებულია. აქ აზრის ფრენაა საჭირო, ახალი ინფორმაცია. სხვა ქალაქებში ხშირად გადაეყრები მოუმზადებელ ადამიანებს. მომეცით ჯანმრთელობა! – აი მათი მთავარი დევიზი. "ხალაფი" ებრაულიდან თარგმანში "რძეს" ნიშნავს. რძეს ბავშვი უფასოდ ღებულობს დედისგან, მაგრამ ენერგია და ზრუნვა, რომელიც მისგან მიიღო, ბავშმა შემდეგ უნდა დააბრუნოს მშობლებისადმი პატივისცემით და ზრუნვით. ეს ბუნების მარადიული კანონია, დიალექტიკის კანონი, თუ გნებავთ ასე დაარქვით.

სამყარო ფართოვდება და იკუმშება, პულსაციას განიცდის და ამ ორი ორთიერთწინააღმდეგობის მონაცვლეობა ბადებს მოძრაობას და განვითარებას. არსებობს პოტენციალთა სხვაობა? – მოძრაობა იქნება. დაბალი ენერგეტიკის დროს ადამიანი ისწრაფვის თავიდან ერთი პოტენციალისკენ, შემდეგ კი მეორესკენ. იქმნება პოტენციალების სხვაობა დროში. მაღალ დონეზე ორი პოტენციალის განვითარებაერთმანეთის გვერდით ხდება. ის, ვინც ცდილობს რომ სამყარო სიკეთედ და ბოროტებად დაყოს, ერთი პოტენციალით ცხოვრობს. თუ ადამიანს უნდა რომ მისი გული მხოლოდ იკუმშებოდეს, ის მოკვდება, თუ მხოლოდ გაფართოებას ელოდება, ის ასევე მოკვდება. ადამიანმა რომ იცოცხლოს გულმა ორ ურთიერთსაპირისპირო რეჟიმში უნდა იმუშაოს – შეკუმშვა და გაფართოება. ადამიანმა შეიძლება ძალიან ბევრი მიიღოს, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არანაკლების გაცემა შეუძლია. როცა ჯერ კიდევ ბავშვობაში მიკეთებდნენ სიკეთეს და გადახდა არ შემეძლო, ჩემ თავს ვეუბნებოდი: კარგი მახსოვრობა უნდა მქონდეს სიკეთეზე, ოდესმე ვეცდები უფრო მეტი გავცე, ვიდრე მივიღე.

სიტყვა "ხალაფიდან" მოდის რუსული სიტყვა халява, რაც ნიშნავს მიღების სურვილს დაბრუნების გარეშე, მაღალ ხელფასს მუშაობის გარეშე, ჯანმრთელობის მიღებას შინაგანი ცვლილებების და საკუთარ თავზე მუშაობის გარეშე. ჯანმრთელობა ისევე უნდა გამოვიმუშავოთ როგორც ფული. საკუთარი ემოციების აღზრდა – მძიმე შრომაა, მაგრამ ხელფასს მაშინვე არ ვიღებთ.

ყალთაბანდმა უნდა დაარწმუნოს ადამიანი რომ კაპიკების ფასად შეუძლია მიიღოს ის, რაც გაცილებით ძვირი ღირს, ხანდახან კი დარწმუნებაც არაა საჭირო – ასეთი ადამიანი ბევრია. ისინი თავად ეძებენ ყალთაბანდებს. და აი უკვე მკურნალების, ჯადოქრების და ექსტრასენსების მთელი არმია ნებისმიერ სიკეთეს გვპირდება: ჯანმრთელობას, კეთილდღეობას, სურვილების ასრულებას. არ გინდა შეცვლა, არ გინდა სულზე ზრუნვა, მოდი ჩემთან და ყველაფერს მიიღებ. სხვები უფრო გამომგონებლურად მოქმედებენ. იღებენ დიდ ფულს, არწმუნებენ რა, რომ ჯანმრთელს და ბედნიერს გახდიან ადამიანს. ვერ გახდიან!

ჩვენი ჯანმრთელობა, ჩვენი ბედი – ეს ჩვენი მსოფლმხედველობაა, ჩვენი ხასიათია. არასწორი მსოფლმხედველობა ეს უკვე ავადმყოფობაა. მახსენდება გუშინდელი ლექცია ხარკოვში. მეორე რიგიდან მამაკაცი დგება.

- ჩემს შვილს კიბო აქვს, - ამბობს ის, - სიტუაცია კრიტიკულია. შეგიძლიათ დამეხმაროთ? შეგიძლიათ ჩემი შვილის დიაგნოსტირება?

მე მესმის ამ ადამიანის. როცა შვილი გიკვდება ეს დიდი ტანჯვაა, მაგრამ ამავდროულად ვხედავ რომ მისი სული სავსეა ადამიანების განკითხვით, მისი სული ეთაყვანება სულიერებას (духовностям) პრინციპებს, იდეალებს. ეს ყველაფერი მისთვის სიყვარულზე მნიშვნელოვანია და ხელშეუხებელია. ჩემი ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, მომავალზე მიჯაჭვულობა უზარმაზარია. შეიძლება წაიკითხა ჩემი წიგნები, შეიძლება შეეცადა შეცვლილიყო, მაგრამ მე ახლა მის ქვეცნობიერს ვხედავ და იქ კი არავითარი ცვლილება არაა. ესე იგი ან არ დამიჯერა, ან დაეზარა, ან უბრალოდ არ წაუკითხავს წიგნები.ბავშვი მრავალჯერ აძლიერებს მშობლის ემოციებს. საინტერესოა, რომ ვუთხრა მამას რომ მისი შვილი ქვეცნობიერად ყველას კლავს, დამიჯერებს? განკითხვა და წყენა ხომ მკვლელობაა. ვხედავ რა მამის თვალებს ვხვდები: არ დამიჯერებს.

როცა მთხოვენ დიაგნოსტირება გავუკეთო ავადმყოფ ბავშვებს, ხშირად მხოლოდ მშობლებით შემოვიფარგლები ხოლმე. რა აზრი აქვს ბავშვის მდგომარეობის შეფასებას, როცა მშობლებს ქვეცნობიერად სძულთ საკუთარი თავი ან სხვები. როგორ დაეხმარებიან ბავშვს თუკი თავად არ შეიცვლებიან?

- თქვენ ვერ გადალახეთ ადამიანების განკითხვის თემა, ვეუბნები მამაკაცს. – თქვენ არ შეგიძლიათ მიიღოთ მატრამვირებელი სიტუაცია, არ შეგიძლიათ შეინარჩუნოთ სიყვარული იდეალების და იმედების ნგრევის მომენტში. შეძლებთ შეცვლას? – ბავშვსაც დაეხმარებით.

ხედავ, რომ ამ ადამიანს ჩემი არ ესმის. თავის ადგილას ჯდება და მისგან გაურკვევლობის ფლუიდები მოდიან.

ჩვენი გრძნობები – ეს ველია, და ჩვენ ნებისმიერ მანძილზე შევიგრძნობთ ერთმანეთს. მინდა კიდევ რაღაც ვუთხრა ამ კაცს, მაგრამ თავს ვიკავებ. ეს სიტუაცია ხშირად გამივლია: უშედეგოა და ხშირად საზიანოცაა დაეხმარო იმას, ვისაც თავად არ უნდა რომ საკუთარ თავს დაეხმაროს. მას უბრალოდ სხვანაირად წარმოედგინა ჩემი დახმარება. რა უნდა მეთქვა? თქვენი შვილი ჯანმრთელია, წადით სახლში? არ გამოდის ასე.

არის ასეთი ცნება – ფსიქოლოგიური წესდება (установка). ადამიანი სამყაროს ისეთს ხედავს, როგორსაც თავად მოელის რომ დაინახოს. და მაშინაც კი, თუ რეალობა განსხვავდება სასურველი სურათისგან, ადამიანი მაინც თავისი მოდელის ჩარჩოებში იქცევა. როცა ვთვლით, რომ სამყაროს მთელი რეალობით ვხედავთ, ძალიან ვცდებით. ყოველი ცოცხალი არსება გარესამყაროს ემოციონალურ მოდელს ქმნის. ეს შეიძლება ითქვას სამყაროს მისი სურათია. მის შენარჩუნებაზე და განვითარებაზე დიდძალი ენერგია იხარჯება, სინამდვილეში კი რეალობას ვერ ვხედავთ. ჩვენ ვცხოვრობთ ჩვენი ფიქრებით და ემოციებით შექმნილ სამყაროში და ვრეაგირებთ გარესამყაროზე ჩვენი მოდელის ჩარჩოებში, შეუბრალებლად ვაგდებთ რა იმას, რაც მას არ შეესაბამება. და მაშინ როცა ჩვენი მოდელი ძალიან განსხვავებული ხდება რეალობისგან, ჩვენ უფრო და უფრო აგრესიულად ვიცავთ მას, შემდეგ ვვარდებით სასოწარკვეთილებაში, ვავადმყოფობთ და ვკვდებით. სამყაროს მოდელის შეცვლაზე დიდი ძალა იხარჯება. ადამიანს, სამყაროს ვიწრო და შეზღუდული მოდელით სულელს ეძახიან. უტიფარი სულელი – ესაა ადამიანი, რომელსაც არ უნდა განვითარება. ეს ადამიანი განწირულია. და თუ ასეთ ადამიანზე იზრუნებს სახელმწიფო და ამ სახით ხელს შეუწყობს დეგრადაციას, ეს სახელმწიფოც გადაგვარებისთვისაა განწირული.

მახსენდება ჭკვიანური გამონათქვამი, რომელიც ერთ-ერთ ჟურნალში წავიკითხე – გინდა ახალბედას დაეხმარო? იმუშავე მასთან ერთად; გინდა მოხუცს დაეხმარო? – იმუშავე მის მაგივრად; გინდა ოსტატს დაეხმარო? – ხელს ნუ შეუშლი; გინდა სულელს დაეხმარო? – თავად ხარ სულელი! ეს ნიშნავს, რომ ადამიანი სამყაროს შევიწროებული და შეზღუდული მოდელით, ვერ გაიგებს სწორ რჩევებს. თავიდან მისი მოდელი უნდა დაინგრეს – ეს შეიძლება ავადმყოფობებმა, უბედურებებმა და უსიამოვნებებმა გააკეთონ. და მხოლოდ ამის შემდეგ გრძნობს ის, რომ მისი მოდელი უსუსურია და გაიხსნება ახალი ინფორმაციისთვის. ეს მისი პირადი, ხშირად მტანჯველი არჩევანია.

მეოთხე რიგიდან ახალგაზრდა ქალი დგება და თავის ისტორიას მიყვება:

- დიდიხანია თქვენს წიგნებს ვკითხულობ, მაგრამ გამოცდებს ალბათ ვერ გავუძელი და ამიტომ ქმარს გავშორდი. ახლა მარტო ვცხოვრობ და პატარა გოგოს ვზრდი, ძალიან მიჭირს. მინდა განვვითარდე სულიერად, მაგრამ დრო საერთოდ არ მაქვს. გამოუვალ მდგომარეობაში ვგრძნობ თავს. დეპრესია მეწყება. მინდა შვილი მივატოვო და მონასტერში წავიდე. შემიძლია ამის გაკეთება?

მე ვხვდები რატომ გაშორდა ქმარს. ქალი რომელიც სულიერებას (духовности) ეთაყვანება, ქმარს ვერ აპატიებს. ყველაფერი რასაც ვეთაყვანებით, მარადიული და შეურყვნელი უნდა იყოს. ვეთაყვანებით რა სულიერებას, ჩვენ ვეთაყვანებით სრულყოფილებას და ნებისმიერი გადახრა იდეალისგან, ნებისმიერი უსამართლობა აღარ გვიტოვებს შანსს სიყვარულისთვის და ლმობიერებისთვის.

თვალებში ვუყურებ ამ ქალბატონს და ვხვდები, იმის თქმას, რომ ის მიჯაჭვულია იდეალებზე, აზრი არა აქვს. სამყაროს მისი სურათი დამახინჯებულია, მის მოდელში სიყვარულის ცნება შეცვლილია სულიერების ცნებით. პაუზა ჩამოვარდა, მთელი დარბაზი ელოდა რას ვუპასუხებდი.

- და რა არის სულიერება (духовност)? – მივმართავ ქალბატონს.

იგი დუმს. სინამდვილეში, ვფიქრობ მე, ის არ ის არ ისწრაფვის სულიერებისკენ. ის უბრალოდ ცდილოვს გაექცეს მტკივნეულ სიტუაციებს. უჭირს ცხოვრება და შეიქმნა ლამაზი და მოხერხებული მოდელი – სულიერების სამართლიანი და ლამაზი სამყარო. სავარაუდოდ ეს მონასტერია. იქ უფრო ადვილი იქნება ცხოვრება. მისი შინაგანი თაყვანისცემა სულიერებისადმი – ლამაზ, სუფთა და უკონფლიქტო სამყაროში წასვლის სურვილია; მას უბრალოდ სამოთხეში უნდა და ვერ იტანს ქმარს და გარესამყაროს, იმ ტკივილის გამო, რომელსაც მათგან იღებს. ლამაზი და სუფთა სიყვარული უნდა ტკივილის, ტანჯვის და ცვლილებების გარეშე. უნდა რომ გული ფართოვდებოდეს და არ იკუმშებოდეს.

ტკივილი ღმერთისადმი და სიყვარულისადმი სწრაფვით გადაილახება. როცა იწყებ ყველაფერში ღვთის ნების დანახვას ნებისმიერ დისკომფორტზე სიყვარულით პასუხობ, მაშინ ენერგიაც გიჩნდება გარდაქმნისთვის, სამყაროს აღზრდისთვის, მისი მართვისთვის. მან ვერ ისწავლა სიყვარული და ტკივილისგან გაქცევა უნდა უბრალოდ. რას აკეთებენ ბერები მონასტერში? მუშაობენ, წყდებიან ყველაფერს, თავს იზღუდავენ, ლოცულობენ. მაგრამ ის ხომ სწორედ ასეთ სიტუაციაშია ახლა. უნდა იმუშაოს რომ შვილი გამოკვებოს. მისი შესაძლებლობები შეზღუდულია და თავი უნდა შეიკავოს ბევრ რამეში, ლოცვის დროს კი ადვილად გამონახავს. ის უკვე მონასტერშია, მაგრამ არ ესმის და არც უნდა ამის გაგება.

გარესამყარო – ჩვენი სიყვარულის დანიშნულების წერტილია. ეს ენერგიის გაცემის შესაძლებლობაა – გიყვარდეს, გიხაროდეს, ილოცე! ხოლო სულიერება სიყვარულიდან გამომდინარეობს. ლექციის შემდეგ მსმენელებს კითხვა დავუსვი: რა ნიშნები ახასიათებს სულიერად განვითარებულ ადამიანს? და წესიერად ვერავინ მიპასუხა. მე დავეხმარე:

- შეუძლია სულიერ ადამიანს მკაცრი იყოს?
- შეუძლია.
- შეუძლია ხარბი იყოს?
- არ შეუძლია.
- ხომ ხედავთ, ერთი თვისება უკვე მოვძებნეთ. შეუძლია ასეთ ადამიანს სძულდეს?
- არა რა თქმა უნდა.
- რომ განაწყენდეს?
- არც ეს შეუძლია. ასეთი ადამიანი უფრო ადვილად პატიობს ვიდრე სხვები.
- და სხვების განკითხვა შეუძლია სულიერ ადამიანს?

  პაუზა ჩამოვარდა.
- ჭეშმარიტად სულიერი ადამიანი არ უნდა განიკითხავდეს სხვებს, - ცოტა არ იყოს არადამაჯერებლად შენიშნა ერთ-ერთმა.
- და რა არის ჭეშმარიტი სულიერება? – ისევ პაუზა...
- სულიერი ადამიანი არა მარტო ჭკვიანია, არამედ ბრძენიცაა, - ვკარნახობ მე. – სიბრძნე კი – ეს გონებაა შეერთებული სიყვარულთან. და შეუძლია სულიერ ადამიანს გადაჭარბებულად იკვებოს?
- არა, - ერთხმად მპასუხობს ყველა. – პირიქით, ის სხვებზე ნაკლებს ჭამს. ტყუილად კი არ ამბობენ: სული წმინდათი იკვებებაო.
- და შეუძლია ასეთ ადამიანს იყოს ანგარებიანი, შურიანი?
- რა თქმა უნდა არა!
- მოდი განვაზოგადოთ ჩვენი დასკვნები, - შევთავაზე მე. – როგორც წესი სულიერი ადამიანი ბრძენიცაა, ანუ ის ხედავს მიზეზ-შედეგობრივ კავშირს გარესამყაროში. მას ესმის კავშირი მოქმედებასა დამ ის შედეგებს შორის, ანუ ბრძენიცაა და შორსმჭვრეტელიც. მას განვითარებული აქვს სტრატეგიული აზროვნება. ანუ ჩვენი ქმედებების შედეგებს შორეულ მომავალში ხედავს. სულიერი ადამიანი ყველა ადამიანთან გრძნობს ერთობას, ამიტომ მისთვის შეუძლებელია სხვისი დამცირება, შეურაცხყოფა, დალატი. მისთვის დამახასიათებელია უანგარობა. შეუძლია გაიღოს მსხვერპლი, შეიკავოს სურვილები, იზრუნოს სხვებზე. ასევე შეუძლია იყოს მკაცრი და პრინციპული, იცავდეს რა სიყვარულს და პატიოსნებას. შევეცადოთ ყველა ამ მომენტის განზოგადებას.

ადამიანი, რომელიც გადალახავს შურს, სიხარბეს, ჭამისა და სექსისადმი თაყვანისცემას, - ესაა ადამიანი, რომელიც ამცირებს თავის დამოკიდებულებას გარესამყაროზე და თავის სხეულზე. როგორ მივაღწიოთ ამ დამოკიდებულების შემცირებას? მსხვერპლით და თავშეკავებით. აბსტრაქტულად რომ ვიაზროვნოთ, უნდა მოვწყდეთ ობიექტს. ბრძენი რომ გავხდეთ, უნდა მოვწყდეთ ამ სამყაროს. ამიტომ მარხვა, თავშეკავება, განმარტოება, დუმილი ხელს უწყობენ სულიერების განვითარებას.როცა ჩვენ ვწყდებით მატერიალურ სამყაროს, უფრო ადვილად გავდივართ ნატიფ და ღრმა დონეებზე. სწორედ იქაა ერთიანობის დონე გაცილებით მეტი. იქ უკეთ მოჩანს კავშირი მოვლენებს შორის, მოჩანს მომავალი. აქედან

მოდის მეტი შესაძლებლობები, ღრმა დონეებზე გასვლისას მატერიალურზე დამოკიდებულება მკვეთრად მცირდება.

მაგრამ ეს მხოლოდ და მხოლოდ ღრმა დონეებზე გასვლაა. ნუ დაგავიწყდებათ რომ ყველაზე სულიერი (високодуховное) არსება – ეს ეშმაკია. ამიტომ თუ ჩვენ ვმარხულობთ, ვიზღუდავთ თავს გარეგან ფუნქციებში, ჩუმად ვართ და მარტოობაში ვართ, ეს მხოლოდ იმას ნიშნავს რომ გარეგან ენერგიას ღრმა შრეებში ვაგზავნით. ერთი პოტენციალიდან გადავდივართ მეორეში. მაგრამ თუ ამ სულიერებას ვეთაყვანებით, ჩვენი სულიდან ისევე წავა სიყვარული, როგორც მხოლოდ მატერიალურის თაყვანისცემის დროს. ამიტომაც ამბობდა ქრისტე: "ნეტარ არიან გლახაკნი სულითა".

ეშმაკი – ესაა გენია სიყვარულის გარეშე. უნდა გვესმოდეს, რომ სულიერება – ეს მხოლოდ ერთ-ერთი ასპექტია ღვთაებრივის შესაცნობად. სულიერიც და მატერიალურიც სიყვარულით უნდა თბებოდეს. ის, ვინც თაყვანს ცემს ფულს, სურვილებს, კეთილდღეობას, გადაიქცევა ცხოველად. ხოლო ის, ვინც თაყვანს ცემს განდეგილოვას, ღრმა სულიერ დონეებს, შესაძლებლობების განვითარებას, გადაიქცევა ეშმაკად. და მხოლოდ ის, ვინც სიყვარულს ეთაყვანება, შეიძლება იყოს სულიერი და არ ეშინოდეს მატერიალურის, პერიოდულად შეიძღუდოს რა თავი ერთშიც და მეორეშიც. თავის შეზღუდვა კი სულიერებაშიცაა საჭირო.

არ შეიძლება განვავითაროთ შესაძლებლობები ბავშვში, რომელსაც ჯერ მორალი არ ასწავლეს. თუ ბავშვს სიყვარული არ შეუძლია, შესაძლებლობების და ძალის განვითარება სწრაფად აქცევს მას დამნაშავედ. თუ ცივილიზაციამ სიყვარული ვერ ისწავლა და მას ეთიკური ნორმები უქვეითდება, საჭიროა დამუხრუჭდეს ტექნიკური პროგრესი, წინააღმდეგ შემთხვევაში ასეთი ცივილიზაცია ადამიან-ეშმაკებს დაბადებს და ბოლოს და ბოლოს განადგურდება. ჭეშმარიტად სულიერი ადამიანი ეს არა მხოლოდ ისაა, ვისაც სულიერების გულისთვის მატერიალურისგან თავის შეზღუდვა შეუძლია, არამედ ისიც, ვინც სულიერშიც შეიზღუდავს თავს სიყვარულის გულისთვის. ხოლო თუ გვინდა გავიგოთ რა არის სიყვარულის გრძნობა მთელი თავისი სისავსით, გარდაუვალად ღმერთთან უნდა მივიდეთ, რამეთუ უმაღლესი მთლიანობა – ღვთაებრივ სიყვარულშია. ამ სიყვარულში მთელი სამყარო ერთ წერტილში იკუმშება და დროის მიღმა გადის.

რა არის სიამაყე და ეჭვიანობა? ეს ორ ნაკადად დაყოფილი დროა, დროში გაჩენილი სივრცეა. თუ სასურველი ობიექტი თქვენზე მაღლაა, თქვენ ესწრაფვით მას, გეშინიათ მისი დაკარგვის და ეს ბადებს ეჭვიანობას. თუ სასურველი ობიექტი თქვენს ქვემოთაა, მაშინ მართავთ მას, აკონტროლებთ, ეს კი სიამაყეს ბადებს. ერთიც და მეორეც ამ სამყაროზე დამოკიდებულების გამოვლინებაა. იმისათვის რომ ეჭვიანობა გადავლახოთ, უნდა შევიკავოთ სურვილები და ვაპატიოთ საყვარელ ადამიანს თუ ტკივილი მოგვაყენა. იმისათვის რომ სიამაყე გადავლახოთ, მსხვერპლი უნდა გავიღოთ და არ ვინანოთ წარსულზე. შინაგანი სიამაყის ერთ-ერთი მთავარი თვისება – მომხდარის არ მიღებაა. ინვალიდს შეუძლია ყოველ წუთს ინანოს, რომ ასეთად დაიბადა ან ასეთი გახდა. ეს ძალიან სერიოზული გამოცდაა. იგი შეიძლება თვითგანადგურების უწყვეტ ტალღაში გადაიზარდოს, ან პირიქით, შეიძლება მადლიანი ინსტრუმენტი გახდეს სულის განვითარებისთვის. და ყოველ წამს, როცა თქვენს სულში იბადება ენერგია და იგი ემზადება წარსულისადმი სინანულად გადასაქცევად, შეაკავეთ იგი ამისგან, გადააქციეთ ღმერთისადმი სწრაფვად და სიყვარულად.

თაყვანისცემა არც საკუთარი თავისადმი შეიძლება და არც სხვებისადმი. თუ ერთ ცხოვრებაში მარცხენას ვეთაყვანებით, შემდეგ ცხოვრებაში, მარჯვენის მხარეს გადავალთ. როცა ღმერთის სიყვარული ნაკლებია, ადამიანის აზროვნება ერთპოლუსიანი ხდება. ბედნიერი რომ იყოს, ამ ადამიანმა ვინმე უნდა დათრგუნოს: თავიდან სხვებს ამცირებს, შემდეგ თავის თავს. საჭიროა ვიზრუნოთ საკუთარ თავზე, საკუთარ კეთილდღეობაზე, არ უნდა დავთრგუნოთ ჩვენი სურვილები, ყველა ჩვენ სურვილში ღვთაებრიობის ნაპერწკალია, ამიტომ სურვილები კი არ უნდა დავთრგუნოთ, არამედ უნდა ავღზარდოთ, ტრანსფორმაცია მოვახდინოთ.

არსებობს ორი უკიდურესობა: პირველი – როცა ადამიანი თავის თავს ეთაყვანება და აბსოლუტური ეგოისტი ხდება, მაშინ მასში უფრო და უფრო ვლინდება უტიფრობა და აგრესიულობა. და მეორე – ადამიანებისადმი თაყვანისცემა. აბსოლუტური ალტრუიზმი ასევე აძლიერებს შინაგან აგრესიას, რადგან ის გარესამყაროზე დამოკიდებულებას აძლიერებს. გამუდმებული თვითდამცირება სხვების სასარგებლოდ ბადებს შინაგან აგრესიას გარესამყაროსადმი, ეს ბუნებრივიცაა. ადრე თუ გვიან ჩვენ შეგვძულდება ის, რასაც ვეთაყვანებით. ამიტომ აბსოლუტური ალტრუიზმისკენ მოწოდებანი მხოლოდ სრული ეგოისტებისთვისაა დამახასიათებელი.

ყველაფერში უნდა არსებობდეს ოქროს შუალედი, მაგრამ განვითარების კანონები მაინც მოითხოვენ რომ გაცემაზე უფრო მეტად ვიყოთ მომართული, ვიდრე მიღებაზე, მაშინ ის განვითარდება. უჯრედი ფიქრობს თავის თავზე, მაგრამ ენერგიის უმეტეს ნაწილს მთელს ორგანისმს გადასცემს. შეადარეთ ორი ფრაზა: ადამიანმა თავი მოიკლა საზოგადოების გადარჩენისათვის – ჩვეულებრივ ამას გმირობას უწოდებენ. ახლა შევადგინოთ მეორე ფრაზა: ადამიანმა მოკლა საზოგადოება საკუთარი თავის გადასარჩენად – აბა სცადეთ და მოუძებნეთ ასსეტ საქციელს დასახელება.

ჩვეული სოციალისტური შტამპები გვასწავლიდნენ საკუთარი თავის მსხვერპლად შეწირვას საზოგადოებისთვის, რამაც კანონზომიერად მიგვიყვანა საზოგადოებისადმი თაყვანისცემამდე და ეს სრულიად ბუნებრივია. ათეისტურ სახელმწიფოში აუცილებელია ეთაყვანონ ან წარმართულ ბელადს, ან წარმართულ საზოგადოებას. ჭეშმარიტად მორწმუნე ადამიანი კი თავის თავზეც იზრუნებს და სხვებზეც.

ალტრუიზმმა არ უნდა დაანგრიოს ადამიანის ღირსება. სხვა ადამიანზე ზრუნვა არ უნდა ავიყვანოთ აბსოლუტის რანგზე.

მხოლოდ იმას უნდა დავეხმაროთ, ვინც მზადაა განვითარდეს, შეიცვალოს, გაიაროს სრულყოფის მტანჯველი ეტაპები. ბავშვისადმი დახმარება აუცილებელია, ყმაწვილს ნახევრად უნდა დავეხმაროთ, ხოლო ზრდასრულისადმი დახმარება მინიმალური უნდა იყოს. თუ ადამიანმა ვერ ისწავლა და არ უნდა ენერგიის და სიყვარულის გაცემა, მისთვის დახმარება საზიანოა და სახიფათოა. ამიტომ სახელმწიფო, ეხმარება რა ინვალიდებს, უნდა ითხოვდეს მათგან მორალურ სრულყოფას, რაც არ უნდა საოცრად ჟღერდეს ეს. ანუ ადამიანს უნდა ესმოდეს რომ ფულს და დახმარებას იმის გამო კი არ იღებს, რომ ინვალიდია, ეს ავანსია მისი შინაგანი განვითარებისათვის. თუ ღმერთი ერთ რამეში გვზღუდავს, ის ყოველთვის გვიხსნის შესაძლებლობებს სხვა რამეში.

კლასიკური ძველინდური შეხედულება ავადმყოფობის და ინვალიდობის პრობლემაზე დაფუძნებულია იმაზე, რომ ისინი სასჯელად გვევლინებიან ცოდვისათვის. არის ლეგენდა, რომ ძველ ისრაელში იყო წიგნი, სადაც ჩაწერილი იყო, რა ცოდვისთვის რა ავადმყოფობა გვეძლევა და ებრაელებმა ღრმად დამარხეს იგი, რათა არავის ცოდნოდა რა ცოდვისთვის გვეძლევა ავადმყოფობა., რათა არ ყოფილიყო განკითხვა და ზიზღი ავადმყოფების მიმართ.

ქრისტიანობა ამის გაცნობიერების გაცილებით მაღალ საფეხურზე ავიდა, რადგან მასში ღმერთისადმი სიყვარულის უფრო მაღალი დონეა. აქ უკვე სხვა ჭეშმარიტება გაიხსნა: ავადმყოფობა – ეს არა იმდენად სასჯელია ცოდვებისთვის, რამდენადაც სულის მომზადება მომავალი რთული მოვლენებისთვის. გინდა თუ არ გინდა ავადმყოფობა გაიძულებს ღმერთისკენ სწრაფვას. ამაშია მისი დანიშნულება. და რაც მეტად ვისწრაფვით ღმერთისკენ, მით ნაკლებად ვავადმყოფობთ.

ამ ლექციაზე დარბაზს ვეუბნებოდი: "თუ სულელს მივცემთ ფულს, ის ვერ გამოიყენებს და დაკარგავს მას. ერთმა ადამიანმა ამერიკაში დიდძალი ფული მოიგო ლატარეაში, მაშინვე წავიდა, ახალი "ფერარი" იყიდა და ნახევარ საათში დაიმტვრა. ამიტომ სულელებს ზემოდან ფულს არ აძლევენ მათვე სასარგებლოდ. იგივე ეხება ენერგიასაც. თუ ენერგიას ისეთ ადამიანს მივცემთ, ვინც სწორად ვერ გამოიყენებს მას, ეს ენერგია მოკლავს ამ ადამიანს. ის, ვისაც სურვილების შეკავება არ შეუძლია, თავისი ინსტიქტების ენერგიის ღვთაებრივ ენერგიად გარდაქმნა არ შეუძლია, მას ზედმეტი ენერგია გარყვნილად, ხარბად, ამბიციურად, სასტიკად და ა. შ. აქცევს. ამიტომაც ადამიანს არასწორი მსოფლმხედველობით და ჩვევებით ხშირად მინიმალური ენერგია აქვს – მხოლოდ იმდენი, რომ იცოცხლოს. ან ავად ხდება, რომ შეწყდეს და შეიცვალოს მისი არასწორი საქციელი და ცხოვრების წესი.

მე ვამთავრებ ლექციას, თავი კი მიბრუის. 20 წუთით ადრე უნდა დამემთავრებინა. მე თვითონ მოვექეცი ადამიანთ-მოყვარეობის მახეში და მაშინვე შეიცვალა ადამიანების რეაქცია – მომეცი, მომეცი ახლა! დამეხმარე ახლავე! მიშველე! აი რა გაჩნდა ხალხის თვალებში ბოლო წუთებში. გავდივარ და კორიდორს მივყვები. საგრიმიოროში უნდა შევიდე და აზრზე მოვიდე.

ვცდილობ შევხედო, დავარღვიე თუ არა რამე ლექციის ბოლოს და ვხედავ სიკვდილის გაორმაგებულ სურვილს საკუთარი თავისადმი კეთილდღეობის კუთხით. ანუ სხვებისადმი დახმარება თვითგანადგურებად მექცა. არაფერია, ვფიქრობ მე. ყველაფერი ერთად არ მოდის – ვისწავლი. ადრე გავღიზიანდებოდი ადამიანებზე, რომლებიც ენერგიას მწოვენ და საკუთარ თავს ვეტყოდი: მორჩა, ასეთებს აღარ დავეხმარები! ახლა უკვე სხვაგვარად ვაზროვნებ: ადამიანების ბრალი არაა, ეს ჩემმა არასწორმა მიდგომამ გამოიწვია მათი პროვოცირება. დახმარება სწორი უნდა იყოს! უნდა გადაილახოს თაყვანისცემა არა მხოლოდ ჩვეული, არამედ მაღალი ადამიანური ღირებულებებისადმი. სხვებისადმი დახმარებასაც არ უნდა ვცეთ თაყვანი. არ უნდა დაგვავიწყდეს ღვთის ნება და არაა საჭირო მასთან კონკურენცია. მთავარი დახმარება მისგან მოდის. და როცა პაციენტი დაივიწყებს მკურნალს და ღმერთისკენ და სიყვარულისკენ დაიწყებს სწრაფვას, ეს გამოჯანმრთელების დასაწყისი იქნება.

მანქანით მივდივარ და მზით განათებულ ქალაქს ვუყურებ. ზაფხულის ლამაზი დღეა, არადა უკვე სექტემბრის ბოლოა. სულში გაჩნდა სიმსუბუქე, რომელიც ძლიერდება, მიუხედავად ფიზიკური დაღლილობისა. "ესე იგი მსოფლმხედველობა მირეგულირდება რადგან ენერგია გაჩნდა", - ვფიქრობ მე. და ფრენის ეს შეგრძნება არაფერზე არაა დამოკიდებული. თუ სწორად ეხმარები სხვებს, ე.ი. ეხმარები საკუთარ თავსაც. მნიშვნელობა აღარ აქვს – წვიმს და სუსხია ქუჩაში თუ მზეა. "სამუშაო დამთავრებულია, - ვფიქრობ მე, - რეზულტატები არაა ცუდი."

მომავალი

2006 წლის იანვარში შედგა ჩემი გამოსვლა ხარკოვში. ხშირად მიწვევენ სხვადასხვა ქალაქებში, მაგრამ როგორც წესი უარს ვამბობ. მთავარი მიზეზი ისაა, რომ ვიდეოკამერაზე ჩემი პირველი ჩაწერის დღიდან ვცდილობ აღარ გავნმეორდე.

უკანასკნელ ხანებში მივხვდი, შესაძლებელია რომ არაფერი აღარ გაიმეორო. რა თქმა უნდა არსებობს ტრადიციები, რომლებიც უნდა დაიცვა. ყველა სიტუაციაში არსებობს ჩონჩხი – მთავარი კონსტრუქცია, რომელიც პრინციპში ყოველთვის ერთი და იგივე სხვადასხვა გარეგნული ვარიაციებით. სხვათაშორის, ყირიმში გენერალური სადღეგრძელო გვაქვს მეგობრების შეხვედრის ტრადიციასთან დაკავშირებით.

გადავერთე. დავუბრუნდეთ ლექციებს. იმას, რომ არ ვმეორდები, მინუსებიც აქვს და პლუსებიც. პლუსი იმაშია, რომ მე თვითონ მაინტერესებს როგორ წავა ლექცია, ეს კი დიდი ენერგიის დახარჯვას გულისხმობს, ანუ ასტიმულირებს შემოქმედებას დ ახელს უწყობს ახალ იდეებს დარბაზშივე დაიბადონ

ლექციის მსვლელობისას. ამიტომაც ვგრძნობ დარბაზს და მიჭირავს იგი. სხვათაშორის, რითაა სახიფათო ფონოგრამა? მას ხელოვნების გადაგვარებისკენ მივყავართ. ხმა, ბგერა, ეს ენერგიაა, მაყურებელთან კონტაქტის დამყარების საშუალებაა, ამიტომ დარბაზი რომ ფონოგრამის გარეშე დავიკავოთ, საჭიროა დიდი რაოდენობით ენერგია, ე სკი ბევრს არ შეუძლია.

ჩვენი ქვეცნობიერი ორობითი პრინციპით მუშაობს – მასში ან დეგრადაციის პროცესი მიმდინარეობს, ან განვითარების. მაგალითად ადამიანი წლობით ასრულებს ფონოგრამაზე ორ-სამ სიმღერას და დებულობს გაცილებით მეტ ფულს, ვიდრე რეალურად გამოიმუშავებს. შემდეგ კი რატომღაც ეწყება სულთან და სხეულთან დაკავშირებული პრობლემები. მომღერლის ენერგეტიკის ნაკლებობა რომ შესამჩნევი არ გახდეს, გამოსვლა კორდებალეტით, სტრიპტიზით ინიღბება, მომღერალი წრიალებს სცენაზე, გამოხატავს გრძნობებს, სულში კი სიცარიელეა.

ასე რომ, დავუბრუნდეთ ლექციებს. მათი პლუსი – ეს შემოქმედებითობაა, ხოლო მინუსი – ის, რომ ამის გამო ხშირად გამოსვლა არ შემიძლია. მაგრამ ეს ახლა უკვე მახარებს კიდეც. მახსოვს 1995 წელს როგორ მოვიდა ჩემთან პოპულარობა: აქტიურად დაიწყო მიწვევები და გამოსვლები სხვადასხვა ქალაქებში. თავიდან საინტერესო იყო – მოგზაურობა, ურთიერთობა, სიახლეები, გასამრჯელო. მაშინ პოპულარული ვიყავი, დარბაზები კი სავეს იყო.

სადღაც 1997-ში ვიგრძენი რომ გადაღლილობა დამეწყო. მე ხომ სერიოზულ ინფორმაციას ვიძლევი, და მუდმივად უნდა დავიჭირო დარბაზი. ამას გარდა დიაგნოსტირებასაც ვახდენ. და კითხვებზე პასუხის გაცემის დროს, უბრალოდ პასუხი კი არ უნდა გავცე, არამედ დავალაგო ის ისე, რომ დაეხმაროს კონკრეტულ ადამიანს. 1998-ის დასაწყისში შეუძლოდ ვიგრძენი თავი, უბრალოდ აღდგენას ვერ ვასწრებდი.

მე აღარ განვიკითხავ უბედურ ადამიანებს, რომლებსაც ითრევს ბიზნესი, სამუშაო, ფული. აღმოჩნდა რომ ეს ყველაფერი ნარკოტიკივით მოქმედებს. ჩემი სიცოცხლე 1998 წლის დეფოლტმა გადაარჩინა. ხალხმა შეწყვიტა ჩემს გამოსვლებზე სიარული და დასვენება შევძელი. მაშინ ჩემ თავს ვუთხარი: მე ლექციებს ვატარებ განვითარებისთვის, ხალხის დახმარებისთვის, სიამოვნების და ფულის მისაღებად. პრიორიტეტების სისტემა! ამას მაგალითით ავხსნი. ერთმა ქალბატონმა, იმედოვნებდა რა, რომ ცოლად გაყვებოდა, თავის რჩეულს კითხა, თუ რა ადგილს იკავებდა მის ცხოვრებაში. მან კი უპასუხა: "ძვირფასო, პირველ ადგილზე ჩემთვის დედაა, მეორეზე – სამუშაო, მესამეზე – აგარაკი, მეოთხე ადგილი თავისუფალი მაქვს, შენ – მეხუთეზე ხარ."

ასევე ჩემთვისაც 1998 წლიდან გასამრჯელომ მეხუთე ადგილზე გადაინაცვლა. ხარკოვში ადრე არ გამოვდიოდი, მიუხედავად იმისა რომ ყირიმისკენ გზაზე იყო. შემდეგ მეგობრებმა მითხრეს, რომ ეს ყველაზე მსხვილი კულტურული ცენტრია უკრაინაში, სადაც ბევრი სტუდენტია და აუცილებელია აქ გამოსვლა. სხვათაშორის, 2006 წლის სექტემბერში, როცა მეორედ გამოვედი ხარკოვში, მაყურებელი უფრო ნაკლები იყო, მაგრამ დაკმაყოფილების გრძნობა მაინც მივიღე.

2005 წლის დეკემბრის შუაში, დაიწყო ბილეთების გაყიდვა ხარკოვში პირველ გამოსვლაზე. ჩემთვის ჩვეული ამბავი გახდა კონტაქტი პაციენტებთან მიღებამდე და კონტაქტი დარბაზთან გამოსვლამდე. სემინარამდე რამდენიმე დღით ადრე მე უკვე მძიმედ ვარ. ყველა დიალოგი, ურთიერთობა უკვე წინასწარ ხდება ნატიფ დონეზე. სწორედ ამ დროს ხდება გადარჩევა. თუ ადამიანი არაა მზად ან მისთვის არ შეიძლება ჩემთან მიღებაზე მოხვედრა, ის ამ შინაგანი დიალოგის სტადიაზე მშორდება. მაგრამ ისიც შეიძლება რომ მე არ ვიყო მზად და მაშინ დარბაზი მოქმედებს ჩემზე. თუ მინდა რომ დავეხმარო ადამიანებს ჭუჭყისგან განწმენდაში, თავად უნდა ვიცოდე საკუთარი თავის განწმენდა. გინდა თუ არ გინდა, ურთიერთობაში, განსაკუთრებით მაშინ როცა დიაგნოსტირებას ახდენ, სულიერი ჭუჭყი შენსკენ გადმოდის. სწორედ ამიტომ ბევრი ფსიქიატრი თავის პაციენტს ემსგავსება.

ის, რომ იანვრის მაყურებლები ნატიფ დონეზე უკვე მეკონტაქტებიან, უკვე ვგრძნობ, მაგრამ როგორ იმოქმედეს ჩემზე ("пробили"), ვერ ვიგრძენი – ზემოქმედება ძალიან ნატიფი (тонкий) იყო. ჩემმა დამოკიდებულებმა მთავარ ღირებულებებზე მკვეთრად დაიწყო ზრდა. ვფიქრობ, რომ დროთა განმავლობაში, როცა ხალხი გააცნობიერებს, რომ სული გაცილებით უფრო მთავარია ვიდრე სხეული, ისინი იგრძნობენ საფრთხეს, რომელსაც სულის დეგრადაციისკენ მივყავართ. მაშინ ეს ვერ ვიგრძენი. რატომღაც თავდაცვის ჩვეულმა სისტემამ არ იმუშავა. მოვყვები, როგორ გამოიყურება იგი.

წარმოიდგინეთ, რომ თქვენთან მომავლიდან მოდის სახელი, ფული, წარმატება და თქვენმა სულმა ნატიფ დონეზე უკვე მიიღო იგი. მე ვამბობდი, რომ ჩვენი ღრმა ემოციები მომავალზე რეაგირებენ როგორც აწმყოზე. სწორედ ემოციებზე დაყრდნობით ვღებულობდი ინფორმაციას მომავალზე. მოკლედ, სული ხდება ამაყი, ქვეცნობიერში ჩნდება ამბიციები, ქედმაღლობა და ადამიანი, რომელსაც რეალურად ჯერ არ მიუღია წარმატება და მატერიალური კეთილდღეობა, ქვეცნობიერად უკვე ზიანს აყენებს და ღალატობს თავის ახლობლებს. ისინი კი ისე, რომ ვერაფერს ხვდებიან, რეაგირებას ახდენენ ამაზე და აქტიურად "ჭორავენ" მას. და აი აქ იწყება ყველაზე მთავარი: თუ შეგიძლია უსამართლო წყენა აპატიო ახლობლებს, თუ გამომუშავებული გაქვს ტკივილის მიღების დროს სიყვარულის შენარჩუნების მექანიზმი, მაშინ შენი სული ასწრებს თავის წესრიგში მოყვანას და ადამიანური ბედნიერება, რომელიც მომავლიდან მოდის, უკვე ვეღარ მოგკლავს. ანუ შინაგანად თვინიერ და კეთილსინდისიერ ადამიანს შეუძლია მზად იყოს სიმდიდრისთვის და ბედნიერებისთვის, სხვებისთვის კი ამის ქონა სახიფათოა. სხვათაშორის იგივე ხდება უბედურების შემთხვევაშიც. ხშირად ვხედავ, როგორ მოდიან ნატიფ დონეზე ადამიანისკენ უბედურებანი, რომლებიც რამდენიმე წლის შემდეგ უნდა დაატყდეს თავს და თუ ის, შედის რა მათთან კონტაქტში, გრძნობს შიშს,

სიძულვილს, სასოწარკვეთილებას და ხელს უწყობს ამ მდგომარეობას, ამართლებს რა გარეგნული მიზეზებით, ის ამ უბედურებებს გარდაუვალს ხდის.

როგორ შეიძლება ეს გამოიყურებოდეს? მაგალითად სამი-ოთხი წლის შემდეგ ადამიანს მომავლის ნგრევა ემუქრება. დავუშვათ, რომ უნდა მოკვდეს, ან ბიზნესი დაენგრეს, ან ოცნებები. ის ქვეცნობიერად გრძნობს ამ სიტუაციას, მაგრამ მის ზედაპირულ, რეალურ გრძნობებში ეს გამოიყურება როგორც ცოლის ღალატი. რატომ? იმიტომ რომ მომავლის ნგრევა მისთვის საყვარელი ადამიანის ღალატთანაა ასოცირებული. რამდენიმე წლის შემდეგ მას სიკვდილი ელის, ამის ნიშნად კი ცოლისადმი ეჭვიანობის უეცარი აფეთქება გვევლინება. და თუ ის ხელს შეუწყობს ამ გრძნობას სქემით: კვამლი ცეცხლის გარეშე არ არსებობს და თავს იტენის ეჭვებით და ცოლისადმი აგრესიული გამოხტომებით, ის საბოლოოდ ანგრევს სიტუაციას, რომლის გამოსწორებაც შესაძლებელი იყო და თავის პრობლემებს გარდაუვალს ხდის.

წარსული და მომავალი ერთიან კავშირშია და მომავალზე პირველ რიგში ემოციებით გავდივართ. ემოცია – ხიდია აწმყოსა და მომავალს შორის. სწორედ ჩვენი არასწორი ემოციები წამის ყოველ მონაკვეთში ან კლავენ ჩვენს მომავალს, ან პირიქით, ქმნიან და ანვითარებენ მას.

ერთი საპირისპირო მხარე მეორეთი წონასწორდება. ძუნწი ადამიანის გვერდით აუცილებლად აღმოჩნდება ქურდი, ხოლო თუ ადამიანი ძუნწია მომავლისადმი, ყოველთვის გამოჩნდება ის, ვისაც მიუფურთხებია მომავლისათვის, რადგან ის საწინააღმდეგოს – მატერიალურს ეთაყვანება. იდეალისტების გვერდით ყოველთვის იქნებიან ნაძირალები. რუსეთში კოლექტიური ცნობიერება ყოველთვის ჯობდნიდა ინდივიდუალურს, მაგრამ რადგანაც რწმენა ნაკლებად იყო, ხალხი ხშირად ჩამოდიოდა სიყვარულიდან სულიერებაზე. მთელი საბჭოთა პერიოდი ჩვენ ღმერთისკენ კი არა, ნათელი მომავლისკენ ვისწრაფვოდით.

მახსენდება როგორ დამისვა ერთმა ადამიანმა ასეთი კითხვა: "გენიალური ჩეხოვი ძალიან ადრე მოკვდა. სიკვდილის მიზეზი ფილტვების დაავადება იყო. თქვენი ტერმინოლოგიით, ეს სიამაყეა, მაგრამ ის ხომ ძალიან დელიკატური და სულიერი ადამიანი იყო. მაშინ როგორ ახსნით მის სიკვდილს?" – "გახსოვთ ჩეხოვის უმთავრესი ნაწარმოები – პიესა "თოლია"? მისი გმირი – ტრეპლევი – პიესებს წერს არა იმისთვის რომ სახელგანთქმული გახდეს. მას უნდა შექმნას თავისი სამყარო, სადაც არაა ტკივილი, წყენა და დამცირება. მას უნდა იცხოვროს ამ ილუზორულ სამყაროში, სადაც არაა ღმერთი, არაა სიყვარული და ტკივილი და მხოლოდ სურვილების ასრულებაა. არადა ბევრჯერ და ბევრჯერ აწყდება იგი რეალობას და იმის ნაცვლად რომ მიიღოს ტკივილი როგორც ბიძგი სიყვარულისკენ, მას თანდათან სიძულვილი უჩნდება გარესამყაროსადმი და სულ უფრო და უფრო სძულდება იგი. უფრო და უფრო უნდა მისი განადგურება. და აი ის კლავს თოლიას – ეს პროტესტია მთელი სამყაროსადმი და მისი განადგურებისთვის მზადყოფნაა. არსებობს ლეგენდა, რომლის მიხედვითაც გარდაცვალებული მეზღვაურების სულები თოლიებში სახლდებიან. თოლია არის ადამიანის სულის სიმბოლო. "თოლიის" მთავარმა გმირმა, შეიძულა რა მთელი სამყარო, "ეშმაკად" იქცევა და თავის სულს კლავს. ხოლო როცა სული მკვდარია, სხეული განწირულია და გმირის თვითმკვლელობა პიესის ბოლოს კანონზომიერია. ჩეხოვმა, რომელიც თავად გრძნობდა თავს ტრეპლევად, ამ პიესას კომედია უწოდა, ამით ეცადა მოშორებოდა ამ წვრილმან, მაგრამ ამავდროულად საშინელ პრობლემებს. ეცადა, დაეძლია მათზე დამოკიდებულება.

საზოგადოების ლიდერები აირეკლავენ მისი ყველა წევრის ტენდენციებს. მხატვრები, მწერლები, პოლიტიკოსები წინ მიდიან და გრძნობენ იმას, რაც მალე მათ ერს დაემართება. ჩეხოვი ფილტვების პრობლემებით მოკვდა, რადგან ვერ შეძლო გამოსავლის პოვნა. ადამიანურმა შეიპყრო იგი დად ა უფრო და უფრო დაჩრდილა ღვთაებრივი. ასსეტ შემთხვევებში ავადმყოფობა და სიკვდილი სულის ხსნაში გვშველიან ხოლმე. ამიტომ ვერ იპოვა "თოლიის" მთავარმა გმირმა გამოსავალი და განწირული იყო ავტორის მიერ თვითმკვლელობისათვის. ამიტომაც იყო რუსეთი, როგორც სახელმწიფო განწირული."

თუ ჩვენ გვავიწყდება, რომ ღმერთი მართავს ყველაფერს და ვეღარ ვგრძნობთ ყველაფერში მის ნებას, მაშინ თავად ვიწყებთ დროის მართვას. მეტწილად დროის მართვა შესაძლებელია, მაგრამ მხოლოდ ზედაპირულ დონეზე! და უნდა ვიცოდეთ, როდის შევჩერდეთ. მაგრამ ჩვენ, ვწუხვართ რა იმის გამო რაც დაგვემართა, ვერც კი ვხვდებით, რომ ვეცნობიერად ყველაფრის შეცვლა გვინდა, რაც სამყაროში მოხდა. გასაგებია შემდეგ რაც მოხდება.

შეიძლება, ყველაფერი სწრაფად ვაკეთოთ, მაგრამ ამასთან არ ვიჩქაროთ. აჩქარება – ეს აგრესიაა დროის მიმართ. ყველა პაციენტს გამუდმებით ვეუბნები, რომ დრო – ეს ფუნდამენტალური სიდიდეა სამყაროში. დროის მიმართ აგრესია კარგად არასოდეს არ მთავრდება. წარსულზე წუხილი და მისი შეცვლის შინაგანი სურვილი, აწმყოთი უკმაყოფილება და მიუღებლობა იმისა, რაც გემართება, შენი ბედით უკმაყოფილება, მომავლის დაჩქარება, ან მისი შიში – ეს უკვე დიაგნოზია.

სხვათაშორის, წყენის გამომკვებავი მთავარი ფაქტორი – წარსულში მომხდარის მიუღებლობაა. თუ არ შემიძლია მივიღო დანაკარგები, რაც წარსულში მოხდა, მაშინ ვერ შევძლებ წყენის პატიებას, რომელიც მომაყენა ადამიანმა ამ დანაკარგით. აქედან დასკვნა: წყენა რომ დავძლიოთ, საკუთარი ნებით უნდა დავკარგოთ რადაცეები. ხოლო ნებაყოფლობითი დანაკარგი – ეს მსხვერპლია. მსხვერპლის გარეშე არ არსებობს ღმერთის რწმენა. რა გამოდის? ადამიანი, რომელიც ნაწყენდება, მორწმუნე ვერ იქნება, მაშინაც კი თუ ყოველდღე დადის ეკლესიაში, მეჩეთში ან სინაგოგაში. ის თავის თავს მორწმუნედ ჩათვლის, მაგრამ თავისი არსით ყოველთვის შეეწინააღმდეგება ღვთის ნებას და უარს იტყვის მის მიღებაზე.

როცა ხვალინდელი დღისკენ ვიხედები...

ხშირად ვეუბნები პაციენტებს, რომ მამაკაცმა უნდა დაკარგოს ყველაფერი, რასაც შინაგანად მისი ცოლი ეთაყვანება, რათა გადაარჩინოს ამ უკანასკნელის სული, რადგან დედის სულის მდგომარეობა განსაზღვრავს თავისი შვილების არა მხოლოდ ხასიათს, არამედ ბედს და ფიზიკურ მდგომარეობასაც. თუ ქალი ქმრის შესაძლებლობებს ეთაყვანება, ამ უკანასკნელის საქმეები ცუდად მიდის; თუ ეთაყვანება მის სილამაზეს და სექსუალობას, შემდეგ ცხოვრებაში მახინჯი იმპოტენტი იქნება, ქალი კი მაინც ვერსად გაექცევა და სწორედ მას შეიყვარებს, რათა თავისი სექსუალური სურვილების და სილამაზეზე შეხედულების დამცირება მიიღოს, ხოლო თუ არ მიიღებს და ჩაკლავს თავის თავში სიყვარულს, ბედი ვირტუოზულად დასჯის.

ადამიანური მართლმსაჯულებისგან განსხვავებით, ღვთაებრივს ვერსად გავექცევით. ის იქიდან მოვა საიდანაც არ მოელი და ყველაზე მტკივნეულ წერტილში დაგარტყამს. მახსენდება ამერიკული ფილმი "სახლი ქვიშისგან და ბურუსისგან". ფილმის ერთ-ერთი გმირი ცალსახად პრინციპული და მართალი ადამიანია. მხოლოდ ერთი სისუსტე აქვს – უზარმაზარი სიყვარული შვილისადმი, რომელსაც ყველა წესის დაცვით ზრდის. ასწავლის ეთიკურად მოქცევას, სხვების დახმარებას, მაგრამ თავად, შვილის მომავლის, განათლების, კარიერის, კეთილდღეობის გულისთვის, წიხლს აჭერს თავის თანაგრძნობას და სიყვარულის გრძნობას. იურიდიულად ის მართალია და ვერავინ დაადანაშაულებს, მაგრამ ადამიანურად ის ხვდება, რომ არაკეთილსინდისიერად იქცევა და თავს იმით იმშვიდებს, რომ ეს ყველაფერი შვილის კარგი მომავლისთვის კეთდება. მაგრამ სწორედ შვილს, თავისი მომავლიანად ართმევს მას ბედი.

ვფიქრობ, რომ ბევრი წიგნი და კინოფილმი მათი ავტორების სისხლის სამართლის საქმეებთან გაცნობის შემდეგ იქმნება. საუკეთესო სიუჟეტი სურათისთვის – ეს რეალური ცხოვრებაა. და მოკლედ, ღვთაებრივი სასჯელი გარდაუვალია და მოსამართლესაც ვერ მოისყიდი. სასჯელის აცილების მხოლოდ ერთი გზა არსებობს – თავად შევიცვალოთ, ხოლო სიყვარულის და ტკივილის მიღების გარეშე ეს შეუძლებელია. ყველაფერს, რასაც ვეთაყვანებით გარდა ღმერთისა, დავკარგავთ. ამიტომ მიწაზე ჩამოვარდნილი, შინაგანად ღვთისადმი რწმენა დაკარგული ადამიანი, თავისი სიყვარულით კლავს. ამიტომაც გარბის ხშირად სიყვარულისგან, აუფასურებს გრძნობებს, ყველაფერი ფულამდე დაყავს, რათა ელემენტარულად გადარჩეს – გადარჩეს დღეს, რომ გაქრეს ხვალ.

ბევრი ადამიანი თავს მორწმუნედ მიიჩნევს და ამასთან ყველა მცნებას არღვევს და სიყვარულის გრძნობას კარგავს. ზოგიერთში ეს პროცესი ისე ღრმად წავიდა, რომ ღვთაებრივთან შეხება მათთვის სიკვდილის მომტანი ხდება.

ჩემი ინფორმაცია საშუალებას აძლევს ადამიანებს, შეცვალონ თავის ბედი, ჯანმრთელობა და ხასიათი, საბოლოო ჯამში ყველაზე ღირებული ხომ ინფორმაციაა. ამიტომ ადამიანები მოქმედებენ ჩემზე ქვეცნობიერი თაყვანისცემით. ადრე როგორღაც შემეძლო ბალანსირება, მაგრამ ხარკოვში გავყევი დინებას, არაფრის გაკეთება არ შემეძლო. თუ სემინარის დროს ხალხი დარბაზში შესაძლებლობებს, სულიერებას, იდეალებს ეთაყვანება, მაშინ როცა ისინი ჩემზე ახდენენ კონცენტრირებას, ეს დამოკიდებულება ათჯერ უფრო მეზრდება და თუ მე არ შემიძლია გავუმკლავდე განკითხვას, უსამართლობის მიუღებლობას, თუ ხშირად ვჩქარობ ან მეშინია მომავლია, ასეთი თაყვანისცემა შეიძლება სასიკვდილო იყოს ჩემთვის.

მე რა თქმა უნდა ვმუშაობდი ჩემს თავზე და ვცდილობდი შეცვლას, მაგრამ ვხედავდი, რომ ძალა არ მყოფნიდა. ზემოდან დამანახეს, როგორ გამოიყურება ჩემი ნაკლი საკუთარ თავზე მუშაობაში. ჩემთვის ცხადი გახდა, რატომ შეიძლებოდა ჩემი ყოველი წიგნი სიცოცხლის ფასად დამჯდომოდა. რაც უფრო საჭიროა და სერიოზულია ჩემს წიგნში შემავალი ინფორმაცია, მით უფრო ხშირად ვხვდებოდი ურთულეს სიტუაციებში. წმენდა, ყოველი წიგნის წეირს დროს, თითქმის ზღვრულის ზონეზე მიმდინარეობდა. პრინციპში ეს სავსებით ბუნებრივია. სერიოზულ საქმეებზე სუფთა ადამიანმა უნდა ილაპარაკოს. ამიტომაც ყოველთვის მინდოდა ამ სამუშაოს დამთავრება. ის გაცილებით უფრო სახიფათო აღმოჩნდა, ვიდრე ველოდი.

სხვათაშორის, შემდგომ, სექტემბრის გამოსვლაზე ხარკოვში ზედმეტი ადამიანები გადაირჩნენ, ხალხი ცოტა იყო და თავსაც მშვენივრად ვგრძნობდი. ერთმა ქალმა ასეთი კითხვა დამისვა: "ბავშვობიდან არ მიყვარდა ბავშვები, აგრესიაც კი მქონდა მათ მიმართ, მაგრამ ბიჭი მაინც შემეძინა. ის ახლა დიდია ასაკით, მაგრამ პათოლოგიურად ზარმაცია. საერთოდ არაფერი არ უნდა". – "თქვენბ ეს უცნაურად მოგეჩვენებათ, - ვუპასუხე მე, - მაგრამ თქვენი გრძნობები და თქვენი შვილის მდგომარეობა მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული. ბავშვები რომ არ გიყვართ – ეს ქვეცნობიერი სიძულვილია მომავლისა. ე.ი. ამ მომავალზე უდავოა რომ მიჯაჭვული ხართ. თუ თქვენ განიკითხავდით, ვერ იტანდით მამას ან ქმარს, თუ არ შეგეძლოთ უსამართლობის ატანა, თუ არ შეგეძლოთ გყვარებოდათ ის, რაც არ მოგწონდათ, თუ არ შეგეძლოთ ღალატის პატიება, მაშინ თქვენი აგრესია იმის მიმართ უნდა ყოფილიყო მიმართული, რაც მას იწვევდა.

ხარბი თავიდან ლოცულობს ფულზე, შემდეგ კი ეზიზღება იგი. ეჭვიანი თავიდან ლოცულობს საყვარელ ქალზე, შემდეგ კისძულს იგი! ამიტომ თქვენი შვილისთვის სახიფათოა მომავალზე კონცენტრირება: მასში მაშინვე გაიღვიძებს უზარმაზარი აგრესია და ის მოკვდება. რომ გადარჩეს უარი უნდა თქვას მომავალზე. სურვილი ეს ენერგიაა – მომავლისკენ მიმართული. სურვილების, სულიერების, მორალურობის არქონა, სიცოცხლეს უნარჩუნებს მას. მას უნდა დაეხმაროთ, მაგრამ თავიდან თქვენ, მისი დედა გაძლიერებულად უნდა მუშაობდეთ საკუთარი თავის შეცვლაზე."

სხვათაშორის ამ მეორე გამოსვლაზე საინტერესო სიტუაცია მოხდა. ხედავდნენ რა, რომ პარტერში ბევრი ცარიელი ადგილი იყო, ხალხი ზემოდან ჩამოვიდა და დაიკავა ეს ადგილები. ათი წუთი ველოდე სანამ ყველა დასხდებოდა. მე დარბაზს მივმართე: "ჩემი ლექციების დროს ხდება ყველა პროცესის ძლიერი აჩქარება. იგივე ხდება მიღებაზეც, ოღონდ უფრო მეტად. მე ვაძლევ ადამიანს სწორ მიმართულებას, მაგრამ თუ მას არ შეუძლია მიატოვოს თავისი მანკიერებები, მიღების შემდეგ, იმის ნაცვლად რომ გამოჯანმრთელდეს, ის შეიძლება უფრო ცუდად გახდეს.

დაუმსახურებელი ფული კლავს. თქვენ იყიდეთ ბილეთები ერთი ადგილისთვის, მაგრამ ჯდებით მეორეზე. თქვენს ცნობიერებაში ხდება კეთილდღეობაზე კონცენტრირება. ლექციის შემდეგ ის მრავალჯერ გაიზრდება.

იცით რატომ ხდება ბევრი ადამიანი ათეისტი? ხშირად ადამიანი, იწამებს რა ღმერთს, იწყებს მისთვის რაიმეს გამოთხოვნას. ერთი ფულს სთხოვს, მეორე ბინას, მესამე ლამაზ ქალს და ბედნიერ ქორწინებას. და რაც მეტად ლოცულობენ ამყველაფერზე, უფრო უბნელდებათ მათ სული და უფრო ანგარებიანნი ხდებიან. და მაშინ საკუთარი სულის გადარჩენისთვის ისინი უარს ამბობენ რწმენაზე. სინამდვილეში ისინი უარს ამბობენ თავის არასწორ წარმოდგენებზე ღმერთის შესახებ, რომელთა გამოც ბევრი პრობლემა ელით. ღმერთის შესახებ არასწორი წარმოდგენა შეიძლება უფრო სახიფათო იყოს, ვიდრე ათეიზმი. ათეისტი უარყოფს ღმერთს, მაგრამ გრძნობს რა, რომ უმაღლესი სამართლიანობა მაინც არსებობს, ყოველი შემთხვევისთვის მაინც ცდილობს მორალურად მოიქცეს, ხოლო მორწმუნე, არასწორი წარმოდგენით ღვთაებრივი ლოგიკის შესახებ, უფრო და უფრო ამახინჯებს ჭეშმარიტებას, ადამიანურ თვისებებს მიაწერს ღმერთს, მოითხოვს მისგან რაღაცეებს და თავის პირობებს უყენებს მას. ვერც კი ხვდება, რომ ცდილობს ღვთაებრივი ძალა თავისი ინტერესებისთვის გამოიყენოს. ამის შემდეგ კი ასეთ მორწმუნეს ეწყება პრობლემები არა მარტო ჯანმრთელობასთან და ბედთან დაკავშირებით, არამედ ასევე იძულებული იქნება გახდეს ათეისტი.

მსხვერპლის და შეზღუდვების გარეშე არ არსებობს ღმერთის რწმენა. როცა გვინდა მივითვისოთ ის რაც არ დაგვიმსახურებია, ჩვენ შინაგანად ვანგრევთ ამ რწმენას. შური, დაუმსახურებელის მითვისება, ქურდობა – ეს ყველაფერი მსხვერპლის საწინააღმდეგოა.

ასე რომ, - მივმართავ დარბაზს, - თავად გადაწყვიტეთ: გადაჯდეთ თუ არა. გაიგეთ რომ ჩემი ლექცია არტისტის გამოსვლა არაა!"

მეორე დღეს დარბაზში თითქმის აღარავინ გადამჯდარა.

მახსენდება გუშინდელი დღე. როცა დავამთავრე თავი "მომავალი", ხველა დამეწყო. გამოუვალობის შეგრძნება დამეუფლა. შევხედე ჩემ თავს: ფილტვები ბლოკირებულია, შარდ-სასქესო სისტემა რბილად რომ ვთქვათ შეუძლოდ გამოიყურება. საიდან ასეთი დეფორმაციები და ასეთი სიამაყე? კონცენტრირება კეთილდღეობაზე, ანუ თვითგადარჩენის ინსტიქტზე, ჩვიდმეტჯერ აჭარბებს სახიფათო ზღვარს. მიზეზი – მომავალი მკითხველები უკვე შევიდნენ კონტაქტში წიგნის ინფორმაციასთან. უკვე ესმით, როგორ დაეხმარება ეს მათ ბედში და უკვე მოქმედებენ ჩემზე თავისი თაყვანისცემით. ეს ალბათ ბევრ ესტრადის ვარსკვლავს და მწერალს ემართება. ჩანს, რომ ფული და პოპულარობა იმას აქვს, ვისაც შეუძლია გადარჩეს, მიუხედავად ასეთი თაყვანისცემისა. მე ამასთან დაკავშირებით დიდი პრობლემები მაქვს. ყოველთვის კანით ვგრძნობდი თითქოს რომ სახელი და პოპულარობა ჩემთვის სახიფათოა.

ჩემს სახლთან შორიახლოს პატარა ეკლესიაა – ნახევარი საათის სავალია. ფეხით წავედი იქ და ფეხითვე მოვბრუნდი შემდეგ. ბევრად უკეთ გავხდი. რატომ დადიოდნენ მომლოცველები წმინდა ადგილებში ფეხით? იმიტომ რომ თავად სიწმინდესთან მიახლოების პროცესი პატარა დროს არ უნდა იკავებდეს. სული ვერ ასწრებს მომზადებას და ყოველდღიური პრობლემებისგან მოწყვეტას. ამიტომ თუ ტაძარში გინდათ წასვლა, გააჩერეთ მანქანა საკმაოდ მოშორებით და ფეხით მიდით, სულს უფრო გაუადვილდება ამით.

ის, რასაც სულს და ქვეცნობიერს ვეძახით, საკმაოდ ახლო ცნებებია. როცა დავიწყე ხალხის მკურნალობა და ვხედავდი მათ ემოციებს, მივხვდი რომ ქვეცნობიერში შევდივარ, იქ კი სულ სხვა კანონებია. ყველასთვის გასაგებია თუ როგორია ადამიანისთვის დახმარება სხეულის და ცნობიერის დონეზე, მაგრამ ქვეცნობიერის დონეზე ეს დახმარება სულ სხვაგვარად გამოიყურება. დავეხმაროთ სხეულს - ეს ნიშნავს გამოვკვებოთ იგი, დავეხმაროთ სულს – ეს ნიშნავს რაღაც დროით საკვების გარეშე დავტოვოთ იგი. ჩვენს ქვეცნობიერში პრიორიტეტების სრულიად სხვა სისტემებია. ისინი უფრო ახლოს ღვთებრივ ლოგიკასთანაა. თუ წინა ცხოვრებაში ადამიანი იპარავდა, მოძალადე იყო, კლავდა, მაშინ ამ ცხოვრებაში ის შეიძლება მძიმე ავადმყოფი იყოს. მისი მკურნალობა შესაძლებელია, მაგრამ ბოომედ განკურნვა – შეუძლებელი. ბუნება არ დაუშვებს, რომ სული საბოლოოდ გაშავდეს. და თუ ვინმე შეეცდება რეალურად დაეხმაროს, ის უხეშად და მკაცრად იქნება გაჩერებული ბუნების მიერ. ამასთან რაც მეტია მკურნალის შესაძლებლობების დონე, რომელიც ასეთი ადამიანის მკურნალობას მოეკიდება, მით უფრო მალე დაავადმყოფდება ან მოკვდება ასეთი მკურნალი.

ჩვენი შეხედულება სამყაროს შესახებ განუწყვეტლივ იცვლება. სულ ცოტა ხნის წინ რელიგია და მეცნიერება ამტკიცებდნენ: ცხოველებს არა აქვთ სული და არა აქვთ ცნობიერება. ახლა კი სკოლის ბავშვებმაც იციან რომ სული და ცნობიერება ნებისმიერ ცოცხალ ორგანისმს გააჩნია. უბრალოდ ადამიანს უფრო განვითარებული აქვს. მგონი მხოლოდ XIII საუკუნეში აღიარა კათოლიკურმა ეკლესიამ რომ სული ქალსაც აქვს. ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში ქალს ისე ეპყრობოდნენ, როგორც შინაურ ცხოველს და მხოლოდ ორი საუკუნის წინ მიიღო ქალმა განათლების უფლება. კაცის როლის ხაზგასმა შემთხვევითობა არ ყოფილა: ეს საზოგადოების გადარჩენისთვის იყო საჭირო. ქალური საწყისი – მატერიალურის

სიმბოლოა, რაც მეტი ენერგია მიდის ამ სფეროში, მით უფრო მეტად სუსტდება ერთიანობა – სამყაროს ფუნდამენტალური პრინციპი.

მამაკაცური საწყისი სულიერებისკენ მიიწევს. მამაკაცი არა მხოლოდ იღებს ინფორმაციას მომავლისგან, არამედ ამაგრებს სოციალურ კავშირებსაც. თანამედროვე ცივილიზაცია უფრო და უფრო ეთაყვანება მატერიალურ სიკეთეს და თანდათანობით კარგავს მთლიანობას. მამაკაცური საწყისი სუსტდება, სახეიცვლება. ერთი წინააღმდეგობა ანადგურებს მეორეს. ისტორიის ახსნა, გამომდინარე მატერიალური პრინციპებით, უფლებას არ მოგვცემს, დავინახოთ კავშირი მოვლენებს შორის, ანუ წარუმატებლობისთვისაა განწირული.

მე ხშირად დავფიქრებულვარ მხედართმთავარ ალექსანდრე სუვოროვის ფენომენზე. ამ ადამიანს არცერთი მარცხი არ განუცდია. იგი ამარცხებდა მტრის ჯარს, რომელსაც 10-ჯერ მეტი რაოდენობრივი უპირატესობა ჰქონდა. მისი გადასვლა ალპებზე – უნიკალური მოვლენაა კაცობრიობის ისტორიაში. გადაიყვანო მთებზე არმია ცხენებით და ქვემეხებით, საჭირო ეკიპირების გარეშე, პრაქტიკულად შეუძლებელია, მაგრამ ეს შეძლო სუვოროვმა და მხოლოდ იმის გამო, რომ მიყვებოდა უივერსალურ პრინციპს, რომელსაც ერთიანობა ეწოდება.

მიღება

2006 წლის ოქტომბრის ბოლოა. დღეს სატელეფონო მიღება მაქვს. ყველა ადამიანს თავისი პრობლემა აქვს და ყველა ელოდება რომ ისეთ მინიშნებას მივცემ, რომ ჯადოსნური ჯოხის აქნევით ყველაფერს მოვუგვარებ. ანუ ქვეცნობიერად ყველა ცდილობს რომ მე გადმომაბაროს თავისი პრობლემები. მე კი საპირისპირო უნდა გავაკეთო: ვასწავლო ადამიანს თავად როგორ გამოჯანმრთელდეს. ყველას აქვს თავისი უსიამოვნებები, დანაკარგები, ავადმყოფობები, პრობლემები ურთიერთობაში და მე მჭირდება, რომ პაციენტმა დაინახოს შინაგანი კავშირი ყველა მოვლენას შორის, რომელიც მის ცხოვრებაში ხდება.

საბოლოო ჯამში ყველა მიჯაჭვულობა და დამოკიდებულება, ადამიანური ბედნიერებისადმი თაყვანისცემა ორ ინსტინქტამდე დაიყვანება: თვითგადარჩენის ინსტინქტი და შთამომავლობის გაგრძელების ინსტინქტი. ეს გამოვლინდება სიამაყით და ეჭვიანობით, რომლებიც შეესაბამება მამაკაცურ და ქალურ საწყისებს. ნატიფ დონეზე ისინი ერთიანდება სტრუქტურაში, რომელსაც მე ერთიანობას ვუწოდებ. სიცოცხლის განმავლობაში ადამიანი გამოიმუშავებს ენერგიის განკარგვის ინერციას და პერიოდულად მისი სული გამოცდას გადის: რა უფრო მთავარია მისთვის – ერთიანობა ღმერთთან თუ ამ სამყაროსთან. და ამ არჩევანზეა დამოკიდებული მთელი მომდევნო ცხოვრება. მაგრამ ამ ორი ძირითადი ინსტინქტის გარდა ადამიანს აქვს მესამე და მთავარი ინსტინქტი. იგი შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც განვითარების ინსტინქტი. ის გვაიძულებს ვისწრაფოთ ახლისკენ, სიცოცხლისთვის სახიფათო რისკით, ხშირად გვიბიძგებს ოჯახის და ბედის დანგრევისკენ. არადა ხშირად, ანგრევს რა აწმყოს, ის საშუალებას იძლევა გადაგვარჩინოს მომავალში. თავისი არსით, ეს ღმერთის შეცნობის ინსტინქტია. და თუ ის სუსტდება, მაშინ შემდეგ ნელა და შეუქცევადად იწყებს ჩაქრობას ორი დანარჩენი ინსტიქტიც.

და აი, პირველი ზარიც გაისმა. შუახნის ქალი თავისი შვილიშვილის პრობლემებზე მიყვება. მას აუტიზმი აქვს, პლუს ამასთან ერთად პერიოდული ენურეზი. ხოლო მის შვილს, შვილიშვილის დედას, თითქმის დაბადებიდან იქტიოზი აქვს. როცა 7 თვის იყო, კანი უხეში გაუხდა და თუმცა ახლა თითქმის 30 წლისაა, არაფერი შეცვლილა და წამლებიც არ შველიან.

- კიდევ რა პრობლემებია? – ვეკითხები მე.
- იცით, მეორე ბავშვის დაბადების შემდეგ ჩემს შვილს ძალიან უცნაური რაღაც დაემართა, მკერდი თითქმის გაუქრა. მე კი, - აგრძელებს ქალი, - უკანასკნელ წლებში ძალიან მაქვს დაჭიმული ყველა კუნთი და ვგრძნობ, რომ ეს თანდათან უარესდება.
- სულ ესაა?
- მე ფსიქიკური პრობლემებიც მაქვს, უკანასკნელ წლებში რაღაც არსება მთრგუნავს და მამცირებს. და საერთოდ ხან გათვალული ვარ, ხან ჯადო მაქვს. ბევრ მკურნალს მივმართე, მაგრამ უარესად ვხდებოდი.
- კარგი, - ვეუბნები მე, - მოდი ახლა ეს ყველაფერი ერთმანეთთან დავაკავშიროთ. მე ვამბობდი, რომ ყველა პრობლემა ადამიანისა, რომელიც ღმერთისკენ სწრაფვას კარგავს ორ მომენტში გამოვლინდება: ეჭვიანობა და სიამაყე. ეჭვიანობა – ეს სურვილების თემაა, სიამაყე – ეს ცნობიერების თემაა.შესაძლებლობები, ნება, ბედი – ეს ყველაფერი სიამაყის თემაა. ღრმა დონეზე ცნობიერება და სურვილები ერთ მთლიანობას შეადგენს. ამიტომ ხშირად საშინლად ეჭვიანი ადამიანი, გრძნობს რა ქვეცნობიერად სიკვდილის ზღვართან მიახლოებას, გადადიან ერთი მდგომარეობიდან მეორეში. სექსი და ოჯახი მას აღარ აღელვებს, ის მთლიანად უძღვნის თავს სამუშაოს (становится трудоголикам). სამუშაო და ძალაუფლება მისი ცხოვრების მთავარი აზრი ხდება. მაგრამ როცა ის სახიფათო ზღვარს უახლოვდება, ის შეიძლება კვლავ დაუბრუნდეს პირველ მდგომარეობას.

და თუ სული ვერ განთავისუფლდა სურვილებისადმი, მგრძნობელობისადმი თაყვანისცემისგან, მაშინ ადამიანი ავად ხდება და სიკვდილს იწყებს. იმისათვის რომ გადარჩეს, მან უარი უნდა თქვას ეჭვიანობაზე და სიამაყეზე და ღმერთისკენ წავიდეს. როცა მისი სულისათვის ღმერთთან ერთობა ყველაზე მთავარი გახდება, როცა სული სიყვარულისადმი ინერციას აიღებს, თანდათან განწმენდაც მოხდება. გაღვიძებას დაიწყებს ორივე ინსტინქტი. სურვილი და ფიქრი აღარ იქნება სახიფათო, გამოვლინდება შესაძლებლობები

და სურვილებიც ახდება. მაგრამ მანამდე – ვეუბნები ქალს, - თქვენ და თქვენი შთამომავლები სიკვდილისკენ მიდიხართ.

რა არის აუტიზმი? ეს დამცავი ფორმაა სტრესისგან, ორგანიზმი თავს იცავს ამით. მაგალითით განგიმატავთ. პატარა ბავშვს ძაღლი ეცა, დაიღრინა და კბენა სცადა. ამის შემდეგ მას ენა ებმება, თუმცა ერთ ბავშვს ეწყება ასეთი სიტუაციის შემდეგ ენის დაბმა, მეორეს კი არა. ახსნა მარტივია. პატარა ბავშვი მშობლების გრძნობებით ცხოვრობს. და თუ ისინი არასწორად გადიოდნენ სტრესს მისი გაჩენის დროს, მაშინ ის მოკლებულია მტკივნეული სიტუაციების სწორად გადალახვის უნარს. თუ შიში რაღაც ნორმას აჭარბებს, ირთვება ამ შიშის ბლოკირება, ან იგი კლავს. შიში ჩვენი ცნობიერებით იბადება. ესე იგი თუ ცნობიერება დეფორმირებულია, დათრგუნულია, შიში ნაკლები იქნება. ცნობიერება დაკავშირებულია მეტყველებასთან. როცა ცნობიერება ზედმეტად აგზნებულია, მაშინ იწყება ენის დაბმაც. ეს გვაძლევს მომატებულ აგრესიასაც და ეს აგრესია, გადადის რა ნატიფ დონეებში, ანგრევს არა მხოლოდ აწმყოს, არამედ მომავალსაც.

დავუსვათ საკუთარ თავს კითხვა: რატომაა ცნობიერება აგრესიული? გაიხსენეთ ცნობილი გამონათქვამი ძველი აღქმიდან – "ვინც იმრავლებს ცოდნას, იმრავლებს წუხილს." რატომ არ გვაძლევს ცოდნა ბედნიერებას? იმიტომ რომ ცნობიერება სხეულთანაა დაკავშირებული, სხეული კი ითხოვს კვებას და თავის დაცვას და აგრესიისთვისაა განწირული. არის ჩვენი უმაღლესი ცნობიერება, რომელსაც სამმაგი ბუნება აქვს. მისი მთავარი ნაწილი პირველმიზეზთან, შემოქმედთანაა დაკავშირებული; მეორე ნაწილი ქვეცნობიერთანაა დაკავშირებული, რომელსაც სხეული არა აქვს და მთელს სამყაროსთანაა დაკავშირებული; და მესამე ნაწილი – ეს უკვე უშუალოდ ისაა, რასაც ცნობიერებას ვეძახით, რაც სხეულთანაა დაკავშირებული და დამოკიდებულია მასზე.

და მოკლედ, როცა სხეულებრივი ცნობიერება მთავარი ხდება, ადამიანიუს ბუნებრივი აგრესიულობა მრავალჯერ იზრდება. მაგრამ თუ სხეულისთვის აგრესია ჩვეულებრივი მოვლენაა, ქვეცნობიერისთვის ეს უკვე დაუშვებელია. და თუ აგრესიული ცნობიერება ცდილობს მართოს ქვეცნობიერება, ის სხეულთან ერთად უნდა მოკვდეს. როცა ადამიანი უკონტროლოდ მიყვება სხეულებრივ ინსტინქტებს, როცა თავისი სურვილების, კეთილდღეობის თაყვანისცემას იწყებს, მაშინ თავდაპირველად, სანამ სულს ინერცია არ აუღია, აგრესიულობა არაა შესამჩნევი, დროთა განმავლობაში ადამიანი ამჩნევს, რომ მისი სული ბოროტებით ივსება, რომ სულიდან სიყვარული მიდის, რომ ირღვევა მთლიანობა ღმერთთან და სამყაროსთან. მაგრამ ამის გაცნობიერების უნარი ძალიან გვიან მოდის.

ამას წინათ ნაცნობმა საინტერესო ისტორია მომიყვა.

- იცი, - მითხრა მან, - ჩემი ნაცნობი ქალი მიტევს, მოითხოვს რომ ცოლად მოვიყვანო, ბინის ყიდვასაც კი მპირდება. ამასთან სექსუალურად გაუმაძღარია და ბიზნესითაც კია დაკავებული. მიკვირს, საიდან აქვს ამხელა ძალა, რომ ყველაფერზე ყოფნის?

ვთხოვე ქალის სახელი ეთქვა, შევხედე მის ველს და სურათი მაშინვე ნათელი გახდა.

- იცი, არაფერი იდუმალი ამაში არ არის, - ვუთხარი ნაცნობს, - ეს ჩვეულებრივი გადაგვარებაა.

მის გაკვირვებულ თვალებს ვხედავ და ვაგრძელებ.

- გაგიკვირდა, რომ განვითარება სინამდვილეში გადაგვარება აღმოჩნდა? აგიხსნი. წარმოიდგინე, რომ ფერმებს საკვები პროდუქტის ნაკლებობა აქვს. ის მთელი სამყაროსგან მოწყვეტილია, მაგრამ სხვენში დიდი მარაგი აქვს ზამთრისთვის შემონახული. არის მოქმედების სამი ვარიანტი. პირველი – შეეცადოს მეტი იმუშაოს, რომ თავი საკვებით უზრუნველყოს. მეორე ვარიანტი – აიღოს ცოტა ზამთრის მარაგიდან და მუშაობის შემდეგ შეავსოს ეს დანაკლისი. მესამე ვარიანტი – ფართოდ გააღოს სხვენის კარები, შეწყვიტოს მუშაობა და შეჭამოს ზამთრის მარაგი. ეს ყველაზე იოლი, მოსახერხებელი, კომფორტული, მაგრამ სასიკვდილო გზაა. ამ შემთხვევაში ზამთარში ეს ფერმერი და მისი ოჯახი მოკვდებიან.

ჩვენი სული – ეს ასეთივე სხვენია, და ჩვენ ხშირად ვიღებთ მისგან, მაგრამ განუწყვეტლივ უნდა დავაბრუნოთ ეს დანაკლისი და შევავსოთ იგი. იმისათვის, რომ ცოცხალი ორგანიზმების პოპულაცია რთულ პირობებში გადარჩეს, თავისი ენერგიის 80% მომავლის ფორმირებაზე და უზრუნველყოფაზე უნდა დახარჯოს. ტელევიზორში ხშირად აჩვენებენ უზარმაზარი ორგანიზმების ჩონჩხებს, რომლებიც მილიონობით წლების წინ ცხოვრობდნენ. მათ არ ყავდათ მტერი და ამიტომაც გადაშენდნენ. მათი ენერგია მხოლოდ აწმყოზე იხარჯებოდა, მხოლოდ ფიზიკური სხეულის გაძლიერებაზე.

ცოცხალი ორგანიზმების მხოლოდ ის სახეობა გადარჩება, რომელიც სწორად ხარჯავს თავის ენერგიას.

როგორი მნიშვნელოვანიც არ უნდა იყოს სხეული და მისი დაცვა, მასზე ენერგიის მხოლოდ 10%-მდე უნდა დაიხარჯოს. სხეულით სუსტი ძუძუმწოვრები ენერგიის სწორად ხარჯვის ხარჯზე გადარჩნენ. მათი მთავარი ძალები ფუნქციების განვითარებაზე დაიხარჯა და არა სხეულის გაძლიერებაზე. მათ განუვითარდათ ცნობიერება, კოლექტიური აზროვნება. ადამიანის განვითარებაშიც იგივე პროცესს ვხედავთ. რელიგია, აკავებდა რა ადამიანურ სურვილებს და ინსტინქტებს, აიძულებდა ენერგიის დიდ ნაწილს, სულიერი სტრუქტურების განვითარებაზე დახარჯულიყო. ადამიანი ღმერთისკენ ისწრაფვოდა და ამაზე დიდ ენერგიას ხარჯავდა, სანაცვლოდ კი გაცილებით მეტს იღებდა. და ჩნდებოდა პარადოქსი, გარეგნული წინააღმდეგობა – რაც მეტად იზღუდავდა ადამიანი თავის სურვილებს და კეთილდღეობისკენ სწრაფვას, მით მეტ იმპულსს იღებდა განვითარებისთვის. მგრძნობელობა, ნება, სექსუალობა, ცნობიერება მიზნობრივად ვითარდებოდნენ.

აღორძინების ეპოქის დასაწყისში ქრისტიანობა კრიზისში შევიდა – თავშეკავების და "სხვენში ჭირნახულის მომარაგების" იდეა მისი გაძარცვის იდეით შეიცვალა. ბუნებრივია ასეთი პერიოდი მარადიულად ვერ გაგრძელდებოდა და თანდათან გადაგვარებით უნდა შეცვლილიყო. განსაკუთრებით მკაცრი შეზღუდვები რელიგიამ ქალს დააკისრა, ესეც ბუნებრივი იყო. ბავშვი ხომ არა მარტო ვშვათ, არამედ სქესობრივ მომწიფებამდეც მივიყვანოთ. მთელი ეს პერიოდი იგი მჭიდროდაა დაკავშირებული დედასთან და მისი დაბალი ენერგეტიკა მომავალს უკარგავს ბავშვს. ამიტომ ქალის ძირითადი სამუშაო დიასახლისობასთან და ბავშვის აღზრდასთან იყო დაკავშირებული.

- და მოკლედ, - ვეუბნები ჩემს ნაცნობს, - შენი მეგობარი ქალი დაკავებულია ბიზნესით, და თანაც კონცენტრირებულია სექსზე, ანუ ის მიზანმიმართულად ხარჯავს თავის სტრატეგიულ ენერგიას. რა ელის მომავალში? როცა ენერგია არ არის, ინგრევა სამუშაოს საქმეები და იწყება ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები. ისინი რომ გადაწყვიტოს, არის ასეთი საშუალება: იპოვოს მამაკაცი, რომელსაც გამოსწოვს ენერგიას. და რომ გაარღვიოს მისი თავდაცვის უნარი, თავის დამოკიდებულების ქვეშ უნდა მოაქციოს იგი, ანუ ბინა უნდა უყიდოს. ხოლო კავშირი რომ საიმედო იყოს, კაცის გახსნილობა კი უფრო მაღალი, ქორწინების ჯაჭვით უნდა დაუკავშირდეს მას. ბუნებრივია, ეს ქალი შეიძლება ვერც აცნობიერებდეს თავისი საქციელების ჭეშმარიტ მოტივებს, მაგრამ ნებისმიერს, ვისაც მასთან ექნება ურთიერთობა, პრობლემები შეექმნება.

- სხვა თემაზე გადავერთე, - ვეუბნები ქალბატონს, რომელსაც ტელეფონით ველაპარაკები. – დავუბრუნდეთ თქვენს პრობლემას. თქვენს შვილიშვილს აუტიზმი აქვს. ეს ნიშნავს რომ მას არ შეუძლია სტრესის მიღება და მატრამვირებელი სიტუაციის გადატანა სიყვარულით. ესე იგი მკურნალობა ცნობიერების აქტივაციის მიმართულებით კი არ უნდა ხდებოდეს, არამედ ტკივილის მომტან სიტუაციაში სიყვარულის და ენერგიის შენარჩუნების მიმართულებით. ენაბლუობა, აუტიზმი, ბავშვთა ცერებრალური დამბლა – ეს ყველაფერი ერთი რიგის მოვლენებია. ცნობიოერების ჰიპერფუნქცია, აგრესიის აფეთქება და შემდეგ ცნობიერების და სხეულის დამუხრუჭება. ანუ ასეთი ბავშვის მკურნალობისათვის ცნობიერების განვითარება კია არა, პირიქით – მისი დამუხრუჭებაა საჭირო. რატომაა, რომ ბუნება, ცხოველებთან თამაში დადებით გავლენას ახდენს ასსეტ ბავშვებზე?

წარმოიდგინეთ რომ ბავშვი დელფინთან ერთად ბანაობს. მისთვის ეს უდიდესი სიხარულია, სიხარული კი – ენერგიის ხარჯვაა. მთავარ ენერგიას ღმერთისადმი სიყვარულით ვღებულობთ. ანუ სიხარული, ენერგიის გაცემა ღვთაებრივზე კონცენტრაციის აქტივიზაციას იწვევს. ამასთან ცნობიერება ამ მომენტში პირიქით, მუხრუჭდება, რადგან ეს თამაშია, რადგან წყალი ხელს უწყობს ცნობიერების დამუხრუჭებას. ჩვენ ყველანი ხომ წყლიდან ამოვედით. და როცა წყალში ჩავდივართ, ხდება ტვინის მაღალი დონეების რეფლექტორული დამუხრუჭება. შესაბამისად მცირდება აგრესიულობა და სტრესიც უფრო ადვილად გადასატანი ხდება. ბავშვის ქვეცნობიერში ზის ადამიანებისადმი აგრესია, პრეტენზიები და შიში, რომელიც მშობლებისგან მიიღო მემკვიდრეობით. და რათა ამ აგრესიამ არ მოკლას სხვები და მერე თვითგანადგურებად არ გადაიქცეს, ბავშვი აუტისტიც ხდება – ადამიანები ნაკლებად ურთიერთობენ მასთან და აგრესიაც ჩერდება. ცხოველებისადმი აგრესია კი ბავშვს ქვეცნობიერში არა აქვს და როცა ის ურთიერთობს დელფინთან, იგი სამყაროსთან სწორი ურთიერთობის ფორმირებას ახდენს. ეს სიყვარულია, ენერგიის გაცემა, პრეტენზიის, კრიტიკის და წყენის არქონა. და თუ მშობლებმა ვერ გადასცეს ბავშვს ცხოვრებასთან სწორი დამოკიდებულება, ცხოველებთან ურთიერთობისას ის რაღაც დონით თავად სწავლობს ამას.

ახლა კი მოგიყვებით იმ როლის შესახებ, რაც თქვენ ითამაშეთ ამ ბავშვის პრობლემებში, მაგრამ თავიდან აგიხსნით რა არის შიში და რისთვისაა იგი საჭირო. ნებისმიერი ორგანიზმის გარემოსთან ადაპტაცია ორი ცნებით გამოიხატება: რა უნდა გააკეთოს და რა არ უნდა გააკეთოს. რაც მეტია ორგანიზმის განვითარების დონე, მით უკეთ მუშაობს პრინციპი "რა უნდა გააკეთოს", ანუ დაინტერესებულობის პრინციპი. რაც დაბალია დონე, მით უფრო მუშაობს მათრახის პრინციპი. შიში – ეს ენერგიის გაჩერებაა. ენერგიის გაჩერება – ეს სიკვდილია. ამიტომ შიშის ემოცია – ეს საკუთარი სიკვდილის მოდელია. ის ხელს გვიცავს სისულელეების ჩადენისგან. მაგრამ თუ შიში – ენერგიის დაკარგვაა, გამოდის რომ ის სიყვარულის დაკარგვაცაა. თუ თქვენ შიში იმ დროს განიცადეთ, როცა გვერდით დიდმა სატვირთო ავტომობილმა ჩაგიქროლათ, ეს ნორმალურია. სიკვდილის შიშის ეს შეგრძნება თავდაცვის ინსტინქტის ინტენსივობას უზრუნველყოფს და მეორედ აღარ გადახვალთ ქუჩაში უყურადღებოდ, მაგრამ თუ ავტომობილმა გუშინ ჩაგიქროლათ, თქვენ კი კიდევ განიცდით შიშის გრძნობას, ავად გახდებით. ამ ერთი დღე-ღამის განმავლობაში ენერგიის დაკარგვა იმხელა იქნება, რომ ორგანიზმი გამოიფიტება და გადარჩენის შანსები ნაკლები იქნება.

ამგვარად, ავადმყოფობა, ანგრევს რა გარეგან, ფიზიკურ ენერგიას, გადაარჩენს ნატიფ და ღრმა ენერგიას, რომელიც ჩვენი სულის და ჩვენი მომავლის არსებობისთვისაა საჭირო. შიშის გამო შეიძლება დავკარგოთ ენერგია და ეს გრძნობა ძლიერდება გაუბედაობით, თვითდამცირებით, სასოწარკვეთილებით. ეს ყველაფერი ენერგიის დაკარგვის და შესაბამისად სიყვარულის უარყოფის ფორმებია. ხოლო თუ შიში არაკონტროლირებადია, თუ ის ნიაღვარივით მოდის, მოკლე დროში სულის განადგურებაც შეიძლება ამით.

რატომაა, რომ შიშისგან ადამიანს შეიძლება გულიც კი გაუსკდეს ან ჭკუიდან შეიშალოს? ეს ყველაფერი ენერგიის დაკარგვის შეწყვეტის ფორმებია. იმისათვის, რომ მომხდარი გავაცნობიეროთ, ანუ ყველა მოვლენის ერთიანობა გავაცნობიეროთ, ენერგიის დახარჯვაა საჭირო. ყველა მოვლენის მთავარი გაცნობიერება ღმერთის სიყვარულით მოდის, და ამ სიყვარულში სამყაროს ყველა მოვლენაა გაერთიანებული. ხოლო თუკი ადამიანი მიჯაჭვულია თავის სხეულებრივ ცნობიერებაზე, მოვლენათა კავშირის

დანახვა მისთვის პრაქტიკულად შეუძლებელია. და მაშინ კრიტიკულ სიტუაციაში ცნობიერების უზარმაზარი გადატვირთვა ხდება, ხოლო თუ ამას შიშიც ემატება, ამუშავდება დაცვის მექანიზმი და ცნობიერება ჩერდება. რატომ ახდენს შიში პარალიზებას? იმიტომ რომ არაა ენერგია. მშიშარა ადამიანი ვერასოდეს იქნება ბრძენი. სულში სიყვარულის გარეშე ვერ იქნები უშიშარი, ნამდვილი სიყვარული კი შეუძლებელია ღვთის რწმენის გარეშე. ადამიანი, რომელიც სხეულის სიამოვნებებს ეთაყვანება, ყოველთვის იქნება სამყაროს შეუცნობლობისკენ, შიშისკენ და ავადმყოფობისკენ მიდრეკილი.

რა არის შიში გაურკვეველი მიზეზის გარეშე? ეს ღვთიური ნების მიუღებლობაა. ეს უკვე აგრესიაა არა გარეგნულ, არამედ ქვეცნობიერ დონეზე. საინტერესო კავშირი შევამჩნიე: თუკი ადამიანი მომხდარს ვერ მიიღებდა, ღვთის ნებას დაივიწყებდა და სიყვარულის გრძნობას დათრგუნავდა, რამდენიმე ხნის შემდეგ მას უჩნდებოდა სიძულვილი ადამიანებისადმი და გაურკვეველი შიშები. ანუ შიში, რომელიც ჩვენს პარალიზებას ახდენს და სიყვარულზე უარის თქმა მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული.

როგორ ახდენს ადამიანი გარემოსთან ადაპტაციას? პირველ რიგში ღვთაებრივის სიყვარულით, საკუთარი ღვთაებრივი "მე"-ს შეცნობით. იქ შიში და აგრესია არ არსებობს, რადგანაც ღმერთი დროისა და სივრცეს მიღმაა. ადაპტაციის მეორე საფეხური – ესაა ჩვენი ინტუიცია, ჩვენი გრძნობები. ემოციები დაკავშირებულია ქვეცნობიერთან, ის კი გადის რა უფრო ნატიფ დონეებზე, დაკავშირებულია მთელ სამყაროსთან და ამიტომ ჩვენს ემოციებში უკვე არსებობს ცოდნა მომავალ უსიამოვნებებზე, ცვლილებებზე. ჩვენი ქვეცნობიერისთვის არანაირი უსიამოვნება არაა სიახლე, მან იცის რა მოხდება, ამიტომ ემოციების დონეზე სტრესის გადატანა ადვილია. ადაპტაციის მესამე საფეხური – ეს ჩვენი სხეულებრივი ცნობიერებაა. საკუთრივ მას ვთვლით უმთავრესად და სწორედ მასთან ვაიგივებთ თავს, რამეთუ ის ფიზიკურ სხეულთანაა დაკავშირებული. სხეულებრივი ცნობიერება დიდხანს არ ცოცხლობს, ის ძალიან შეზღუდულია და ინფორმაციის მინიმუმი გააჩნია. შესაბამისად მისი ადაპტაციის უნარიც ყველაზე დაბალია – სტრატეგიულ დონეზე. მაგრამ სამაგიეროდ ის დიდი სისწრაფით მუშაობს.

წარმოიდგინეთ დიდი და პატარა ბორბალი. იგივე მანძილი რომ გაიაროს, რასაც დიდი გადის, პატარა ბორბალი ბევრად უფრო სწრაფად უნდა მოძრაობდეს. ამიტომ ჩვენი სხეულებრივი ცნობიერება, აგებს რა სტრატეგიულად, იგებს ტაქტიკურად, სამყაროსთან ყოველწამიერ ადაპტაციაში. მისი მიზანია – შეეუმშოს ინფორმაცია და გადააქციოს იგი ემოციად. ცნობიერება დიდად აჩქარებს განვითარების პროცესს, მაგრამ მუდამ ჩიხში ექცევა, როცა კარგავს კავშირს ქვეცნობიერთან და ღვთაებრივ "მე"-სთან. და თუ ს კავშირი იკარგება, ცნობიერება სულ უფრო ხშირად ახდენს შიშის პროვოცირებას, ენერგიის მძლავრ დანაკარგს, შემდეგ კი ავადმყოფობას და სიკვდილს.

უკვე ვთქვი, რომ შიში – სიყვარულის უარყოფის რეზულტატია. ქალების შემთხვევებში ეს გამოიყურება როგორც სასოწარკვეთილება და სიცოცხლის სურვილის არ არსებობა. წარმოიდგინეთ ასეთი სურათი: ქალი ფეხმძიმედაა, მოულოდნელად ქმარი შეურაცხყოფას აყენებს მას. ამ ქალს კი მაგალითად ორი უმაღლესი განათლება აქვს და მისი ცნობიერების გადატვირთვა ამ უსამართლობას ვერ იღებს. ის ნაწყენია და განიკითხავს, მისი გარეგნული აგრესია ქვეცნობიერში გადადის, აგრესიული აზრები და სიტყვები აგრესიულ გრძნობებში გადადის. გრძნობების, ქვეცნობიერის დონეზე კი ძლიერი და ხანგრძლივი წყენა – ეს უკვე იმის მოკვლის სურვილია, ვინც გაწყენინა. მაგრამ რადგან ის ნატიფ დონეზე ერთიანია თავის ბავშვებთან და ახლობლებთან, ეს სურვილი მათკენ ყველასკენაა მიმართული, შესაბამისად მათ საერთო შვილზეც და საკუთარ თავზეც.

ახლო ნათესავზე განაწყენება ძალიან სწრაფად იქცევა თვითგანადგურების პროგრამად. ჩვენ გვინდა ფოთოლი მოვწყვიტოთ, მაგრამ ფესვებიანად ვგლეჯთ მცენარეს. ერთიანობის პრინციპი ჯერ არავის გაუუქმებია. და აი განაწყენებულ ქალს უკვე უჩნდება სასოწარკვეთილება, ეწყება დეპრესია და მოდიან აზრები თვითმკვლელობაზე. ჩავთვალოთ, რომ მან არ გაუყარა თავი ყულფში, არ დალია საწამლავი, ანუ არ გაამაგრა თავისი ემოცია ქმედებით. შეურიგდა ქმარს და დაივიწყა ყველაფერი. მაგრამ ჩვენი ემოციები – ეს უკვე ჩვენი ქმედებების ჩანასახებია. და ემოციების დონეზე მას უკვე ჩართული აქვს სიყვარულის განადგურების, შინაგანი ენერგიის გაჩერების მექანიზმი.

გადიან წლები, და უცებ ქალი თავის შვილის ხასიათში პათოლოგიას ამჩნევს. ბავშვს ყველაფრის ეშინია, საერთოდ არ შეუძლია მტკივნეული სიტუაციების გადალახვა, პერიოდულად ხდება სასტიკი და აგრესიული. ქალს ექიმებთან დაყავს ბავშვი, მას წამლებით ჭყიპავენ. ფსიქოლოგები, ფსიქოტერაპევტები და ფსიქიატრები რეკომენდაციებს აძლევენ, ბავშვი კი სულ უფრო ცუდადაა. მაშინ დედა ექსტრასენსებთან და მკურნალებთან გარბის. რეზულტატი ისევ სავალალოა. სასოწარკვეთილი ახლა უკვე ეკლესიაში მიდის, ლოცულობს ბავშვის ჯანმრთელობისთვის, სანთლებს ანთებს, მაგრამ ცვლილებები მაინც არაა.

ახლა წარმოიდგინეთ კაცი, რომელსაც ხორბალი უნდა დაეთესა, მაგრამ არ გააკეთა ეს. შემოდგომაზე ყველა მოსავალს იღებს. კაცი მიდის თავის მიწაზე და გაბრაზებული და აღშფოთებული ფიქრობს: "სადაა ბოლოს და ბოლოს სამართალი? რატომ აქვს ყველას ხორბალი, მე კი არა? სად იყურება ღმერთი?" ჩვენც ასე ვართ მოწყობილები. თავიდან ვკლავთ სიყვარულის თესლს და აღმონაცენს ჩვენს სულში, შემდეგ კი რაღაც დროის შემდეგ აღვშფოთდებით და ვწუხვართ, როცა ჩვენ და ჩვენს შვილებს არა გვაქვს ჯანმრთელობა, კეთილდღეობა და ბედნიერება.

- და აი, დავუბრუნდეთ თქვენს შვილიშვილს, - ვეუბნები ქალბატონს, - ველი მის ირგვლივ შეკრულია. ეს ნიშნავს რომ ენერგია პრაქტიკულად არა აქვს და გადარჩენა მხოლოდ განუკურბნელი დაავადებით შეუძლია. ყოველ მოულოდნელ სტრესულ სიტუაციაში მასში სიყვარული და ენერგია კი არა, სიძულვილი და სასოწარკვეთილება გამოვლინდება. ნებისმიერი მტკივნეული სიტუაცია მისთვის თვითმკვლელობის

გამომწვევი იქნება, ამიტომ გაურბის სიტუაციას ცნობიერების ჩაკეტვით. შვილიშვილის ასეთი მდგომარეობის ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ თქვენი ქალიშვილის ჩასახვის წინ სიცოცხლე არ გინდოდათ. და ის, რომ ქალიშვილს დაბადებიდან აქვს პრობლემები კანთან დაკავშირებით, ასევე სიყვარულის ნაკლებობასთანაა დაკავშირებული. თვითგანადგურების პროგრამა კანის და კუჭ-ნაწლავის პრობლემებით მუხრუჭდება. მისთვის ეს ყოველწამიერი დამცირებაა სხეულისა, ცნობიერებისა, იდეალებისა. გინდა, არ გინდა, მაგრამ იძულებული ხარ მიიღო ეს. ექიმებს რომ განეკურნათ კანის დაავადებისგან, უფრო სავარაუდოა, რომ შვილი აღარ გაუჩნდებოდა. მაგრამ რადგანაც თქვენმა ქალიშვილმა ამ ავადმყოფობით ნაწილობრივ განწმენდა მიიღო, იგი ამის შემდეგ სიყვარულისადმი აგრესიის ინფექციას ატარებდა. ის რომ მორწმუნე ყოფილიყო, ბავშვის გაჩენის წინ მას განწმენდის საშუალებას მიეცემოდა. მაგრამ ღმერთის სიყვარული და რწმენა მას არ ჰქონდა, ამიტომ ნებისმიერი წმენდა საპირისპირო ეფექტს გამოიწვევდა, სიტუაციას გააუარესებდა. ამიტომ არავითარი გამოცდა ზემოდან არ მისცეს. დაიბადა პრობლემური ბავშვი.

რატომ შეუმცირდა მეორე ბავშვის დაბადების შემდეგ თქვენს ქალიშვილს მკერდის ზომა? იმიტომ რომ სხეულის სილამაზე აძლიერებს სხეულებრივ ცნობიერებაზე კონცენტრაციას. შესაბამისად ადამიანში იზრდება აგრესია, რომელიც დეპრესიაში გადადის. ფიქრობთ, რომ ამერიკელების თაყვანისცემა სილიკონის მკერდებისადმი და გაბერილი კუნთებისადმი მათ საერთო დეპრესიასთან არაა დაკავშირებული? დაკავშირებულია და თანაც როგორ. ასე რომ თქვენი ქალიშვილისთვის მკერდის გაქრობა – ეს შველაა მისი შვილებისთვის.

მიაქციეთ ყურადღება, რომ აღმოსავლეთში ქალის იდეალი – ეს პატარა მკერდია. იაპონიაში და ჩინეთში ქალები ბინტით იხვევდნენ მკერდს, რათა შეემცირებინათ იგი და ე.ი. ენერგია სხეულიდან სულიერებაზე, კოლექტიურ ცნობიერებაზე გადადიოდა. ეს საზოგადოებას მომავალში გადარჩენის პერსპექტივას აძლევდა. სექსის მიზანი საკუთარი სიცოცხლის, შთამომავლობაში საკუთარი "ეგოს" გაგრძელებაა. სექსისადმი თაყვანისცემა და მასზე კონცენტრაცია კოლექტიური, სულიერი ცნობიერების მკვეთრ დათრგუნვას და ინდივიდუალური, ეგოისტური, მატერიალისტური ცნობიერების მკვეთრ გაძლიერებას იწვევს. როცა სულიერი მატერიალურში გადადის, ხდება უეცარი განვითარება, მაგრამ თუ ეს პროცესი დიდხანს გრძელდება, ინდივიდუალური, მატერიალური ანადგურებს კოლექტიურს და სულიერს.

ცნობიერი უარყოფს ქვეცნობიერს. მაგრამ რამდენადაც ის ქვეცნობიერიდან ემოციებს და ენერგიას იღებს, დაციკლულია რა თავის თავზე, ცნობიერი იშლება და კვდება.

ახლა მოკლედ ჩამოვთვალოთ თქვენი პრობლემები. არის ეჭვიანობის ავადმყოფობები და არის სიამაყის ავადმყოფობები. ვფიქრობ ხვდებით, რომ თქვენს შემთხვევაში სიამაყის თემა მოდის, ამიტომ თქვენი ცხოვრება – დამცირებების ჯერია. საჭირო იყო თქვენი ცნობიერების, შესაძლებლობების და ბედის დამცირება. დამცირებული და დაუცველი უფრო ადვილად მიმართავს ღმერთს, ამიტომ გაგიჩნდათ ფსიქიკური პრობლემები, ჯადო, გათვალვა. კუნთების დაჭიმულობა – შინაგანი სტრესის მოხსნის არცოდნაა.

როცა ჩვენ ვღელავთ, რეფლექტორულად გვეჭიმება კუნთები. ასეთი რეაქცია აუცილებელია, რათა სახიფათო მომენტში სწრაფად გავიქცეთ, მაგრამ თუ ცნობიერებას დაწყნარება არ შეუძლია, ის განუწყვეტლივ განაახლებს სტრესებს და კუნთების დაჭიმულობა ავადმყოფობას გამოიწვევს. როცა კუნთი დაჭიმულია, გამოიყოფა დიდი გარეგანი ენერგია, მაგრამ მკვეთრად მცირდება შინაგანი ენერგია. იმისათვის რომ მოვიდეს შინაგანი ენერგია, რომელიც ცვლილებას და განვითარებას გვაძლევს, კუნთები უნდა მოდუნდეს. ამიტომ დაჭიმული, დაძაბული ადამიანი ვერასოდეს ვერ გააუმჯობესებს თაცვის სპორტულ რეზულტატებს, რაც არ უნდა ივარჯიშოს. ასე რომ კუნთების დაჭიმულობა კიდევ ერთხელ ამტკიცებს რომ თქვენ არ შეგიძლიათ თქვენი ცნობიერების დამუხრუჭება და გათიშვა. ცნობიერების გათიშვის ტექნიკები ოდითგანვე ცნობილია. ეს დილით ცივი წყლით ბანაობაცაა, აბანოც, ბუნებაც, მონოტონური სიარულიც, და რიტმული მუსიკაც – ამის შესახებ უკვე მითქვამს.

სიამაყე მკვეთრად იზრდება, როცა ადამიანს არ შეუძლია მომხდარის მიღება. იმის უნარი, რომ წარსული მივიღოთ, როგორც ღმერთის ნება, გვაძლევს ცნობიერების მკვეთრი დამუხრუჭების უნარსაც. თუ შევწყვეტთ მომავლის განუწყვეტლივ დაგეგმვას, მასზე ღელვას, რაღაც დროით უარს ვიტყვით ჩვენს მიზნებზე, გადავაგდებთ მათ, მოხდება ცნობიერების ძლიერი შეკავება და უფრო გაგვიადვილდება ღვთაებრივი ნების მიღება. გახსოვთ რას ამბობდა ქრისტე? – "არ იფიქროთ ხვალინდელ დღეზე"...

ცნობიერების გადაძაბვა სხეულზე მიჯაჭვულობას იწვევს და ღვთაებრივის ხედვაში გვიშლის ხელს. აწმყოსაც სწორად უნდა მივუდგეთ. შეეცადეთ რაღაც დროით უარი თქვათ სიტუაციის შეფასებაზე. მაშინ გაქრება განკითხვა, კრიტიკა, ანუ შეჩერდება სიყვარულის ენერგიის განადგურება. რა არის სიტუაციის შეფასება, მისი ანალიზი? ეს მიზეზის და შედეგის ურთიერთშეფარდებაა, მათ შორის კავშირის დანახვის მცდელობაა. მაგრამ თუ ჩვენ ვამბობთ: "ეს მოხდა, ესე იგი ასეთი იყო ღმერთის ნება", - ჩვენ ამ კავშირების ხედვიდან მათ შეგრძნებაზე გადავერთვებით. ჩვენმა გრძნობებმა გაცილებით მეტი იციან, ვიდრე ჩვენმა ფიქრებმა. გაიხსენეთ ცნობილი გამოთქმა: "ეშმაკი თავში გვიკაკუნებს, ღმერთი კი გულში."

ღმერთი - მთლიანობაა, ეშმაკი კი - მხოლოდ ნაწილია, რომელსაც თავი მთელი ჰგონია. და როცა ცნობიერება თავს შემოქმედად შეიგრძნობს, როცა ადამიანი ბუნების პატრონად აცხადებს თავს, - ეს ჩვეულებრივი დემონიზმია. შეწყვიტეთ თქვენი ცნობიერებისადმი და სხეულისადმი თაყვანისცემა. სხვათაშორის თქვენ მეკითხებოდით, რატომ ვერ გიშველეს მკურნალებმა. იმიტომ რომ თქვენი ფსიქიკური პრობლემების მიზეზი მარტო თქვენში კი არა, თქვენს შვილებში და შვილიშვილებშია. და თუ მკურნალი გააუმჯობესებდა თქვენი ფსიქიკის მდგომარეობას, ეს თქვენს შვილიშვილებს მიაყენებდა ზიანს.

თქვენ ისედაც ვერ ისწავლეთ სიყვარული და თქვენი ცნობიერების და ჯანმრთელობის მდგომარეობა რომ გაუმჯობესებულიყო, სიყვარულისგან თვითიზოლაცია ახალი ძალით იფეთქებდა. დასკვნა მარტივია: გინდათ დაეხმაროთ შვილებს და შვილიშვილებს? ისწავლეთ სიყვარული, ისწავლეთ მტკივნეული სიტუაციების სწორად გადალახვა, რაღაც დროით დაამუხრუჭეთ ცნობიერება და სხეულის მოთხოვნილებები., კონცენტრირება გააკეთეთ თქვენს ღვთაებრივ "მე"-ზე და მოწყდით ადამიანურ "მე"-ს. მაშინ თქვენი ლოცვა შვილებზე და შვილიშვილებზე შეძლებს მათ შეცვლას. არ დაისახოთ ბევრი მიზანი – პირველი ნაბიჯი გადადგით სწორად. უწყვეტად გქონდეთ ღმერთისადმი სიყვარული და შეინარჩუნეთ იგი ნებისმიერ მტკივნეულ სიტუაციაში. შეძლებთ ამას? დანარჩენი ყველაფერი თავისით მოგვარდება.

კიდევ ერთი ნაბიჯი წინ

ახლა 2006 წლის ოქტომბრის შუა რიცხვებია. ვცდილობ შინაგანად განვეწყო იმისათვის, რომ წიგნი ვწერო. შემოქმედების აქტი – დროის და სივრცის შეკუმშვაა. დაბადების და შემოქმედების პროცესები სამყაროში მიმდინარე მოვლენების მოდელირებას ახდენენ. სამყაროს განვითარება ორი ურთიერთსაპირისპირო პროცესით მიმდინარეობს – გაფართოება და შევიწროება. გარეგნულ დონეზე სამყარო ფართოვდება, ხოლო ღრმა და ნატიფ დონეზე - იკუმშება. ავიღოთ მაგალითად გული. ერთ წამს ის ფართოვდება, მეორე წამს კი იკუმშება. მატერიალური პროცესი – ეს გაფართოებაა, ხოლო სულიერი – შევიწროება. დაბადების პროცესი – ეს გაფართოებაა, ხოლო ის რაც წინ უძღვის დაბადებას, - შეკუმშვაა. თუ გინდათ რომ გული მხოლოდ ფართოვდებოდეს, მოკვდებით. თუ ის მხოლოდ შეიკუმშება ამ შემთხვევაშიც მოკვდებით.

რა არის მთავარი განსხვავება ადამიანსა და ცხოველს შორის? ცნობიერების და სულის არსებობა? მსგავსი არაფერი! ეს ყველაფერი ცხოველსაც გააჩნია. რელიგიური აზროვნება – აი რა არ აქვს არც ერთ ცხოველს. რელიგიური რწმენის გარეშე არც ერთი ტომი არ არსებობდა დედამიწაზე, იმიტომ რომ რწმენა, თუნდაც წარმართული – ეს უკვე ცნობიერების სრულიად სხვა დონე და ხარისხია.

რა არის მეხსიერება? ეს რამდენიმე მოვლენის ერთდროული შენარჩუნებაა გონებაში. იმისათვის რომ ამას მივაღწიოთ, უნდა განვაზოგადოთ ისინი, დავპრესოთ, შევიგრძნოთ მათი შინაგანი ერთობა, ამიტომ მეხსიერების გარეშე ჩვენი ცნობიერება ვერ განვითარდება. რელიგია საშუალებას აძლევს ადამიანს განაზოგადოს და დაპრესოს მოვლენების უზარმაზარი რაოდენობა. დაინახოს თავისი შინაგანი კავშირი ამ მოვლენებთან და შესაბამისად აღმოაჩინოს ახალი შესაძლებლობები შემოქმედებისათვის. მაგრამ მორწმუნე ადამიანი ის არაა, ვინც ტაძარში დადის, არამედ ისაა, ვინც უპირველეს ყოვლისა ხელს უწყობს ღვთაებრივის ზრდას საკუთარ თავში. ამისათვის საჭიროა ღმერთისკენ სწრაფვა, მცნებების დაცვა, რომლებიც ხელს უწყობენ ღმერთთან ერთიანობის შეგრძნებას. იმისათვის რომ დრო და სივრცე შევკუმშოთ, არ უნდა გვქონდეს აგრესია არც წარსულის, არც მომავლის მიმართ. თუთქვენ წუხხართ წარსულის გამო დ ავერ იღებთ მას, თუ ჩქარობთ და მომავლის მოახლოებას ცდილობთ, გეშინიათ მისი, შემოქმედება თქვენთვის ჩაიკეტება და აზრის გრძნობაში შეკუმშვა ვერ მოხდება. ასე რომ შემოქმედება და რწმენა უწყვეტადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. ყველაძე უძველესი, ქვაზე დახატული პირველყოფილი ადამიანების ნახატებიც კი, მაგიურ, რელიგიურ ხასიათს ატარებდნენ და აერთიანებდნენ წარსულის და მომავლის მოვლენებს.

მე ვუყურებ ოქტომბრის მოქუფრულ ცას. ქალაქი შემოდგომაშია ჩაძირული. ბუნება თითქოს კვდება ნელ-ნელა. ზოგიერთ ადამიანში ეს ფარულ დეპრესიას, სასოწარკვეთილებას და ცუდ განწყობას იწვევს, ხოლო ზოგიერთში პირიქით, ამ უფერულობის გადალახვის სურვილს და მაშინ მოკვდომის პროცესში ახალი სიცოცხლე იქმნება. ამიტომ შემოქმედი ადამიანებისთვის, ვისაც სიყვარულის და ენერგიის გაცემის დონე მაღალი აქვს და ამიტომ არ არიან გარემოზე დამოკიდებულნი, ასეთი პერიოდიახალ შესაძლებლობებს ხსნის. "ნუ წუხხართ წარსულის გამო", - თავში ისევ ეს ფრაზა მოდის. ხალხთან შეხვედრის, ლექციის ან სემინარის წინ ყველაფრისგან მოწყვეტილი უნდა ვიყო.

სამყაროს განვითარების უმაღლესი პრინციპი – ერთიანობის პრინციპია. ღმერთისადმი სიყვარული, ესაა სწორედ მასთან ერთობა, ხოლო თუ ადამიანი უმთავრესად ამ სამყაროსთან ერთობას და სიყვარულს მიიცნევს, მაშინვე იწყება იმის ნგრევა, რაც გვიყვარს. მოძრაობა - ეს სიცოცხლეა. როცა სიცოცხლეს ვცემთ თაყვანს, სხვა ადამიანისადმი სიყვარული კი – სიცოცხლის გაგრძელების სურვილია, მაშინვე ჩნდება პრობლემები. სათქმელად ადვილია, მაგრამ ეჭვიანობის ცნება გაცილებით ფართოა, ვიდრე ვფიქრობთ. ლექცია ხარკოვში იმაზე გვიან დავამთავრე, ვიდრე საჭირო იყო, მინდოდა რაც შეიძლება მეტად დავხმარებოდი დარბაზში მსხდომ ხალხს.

სხვა ადამიანთან ერთიანობა არ უნდა იყოს აბსოლუტური. დახმარების სურვილი შინაგანად განზე გადგომის სურვილით უნდა იცვლებოდეს. ურთიერთობებიც სინუსოიდის პრინციპით უნდა ვითარდებოდეს. გულიც ხომ სინუსოიდის პრინციპით გვიცემს.

რაც უფრო ძლიერი ენერგეტიკა აქვს ადამიანს, მით უფრო სახიფათოა მისთვის არასწორი მსოფლმხედველობა. ნებისმიერი პროცესი გულისხმობს ორი ურთიერთსაპირისპირო ტენდენციის არსებობას. ავტომობილით რომ ვიაროთ, აუცილებელია გაზიც ვიხმაროთ და მუხრუჭებიც. თუ თქვენ მხოლოდ მუხრუჭებით სარგებლობა შეგიძლიათ, მანქანას ვერ დაძრავთ, ან ნელა ივლით და ყოველ ცამს გაჩერდებით. ჩვეულებრივ ცხოვრებაში ეს გამოიყურება როგორც დაკომპლექსებულობა, მოუქნელობა, შიში, სასოწარკვეთილება. ხოლო თუ მხოლოდ გაზს მიაწვებით, მაშინ მანქანას დაამტვრევთ ან თავადაც

დაიღუპებით. ცხოვრებაში ამ მოდელს შეესაბამება გამბედაობა და უშიშარობა, რომელიც თავხედობაში და სხვების დამცირებაში გადადის და საბოლოოდ ადამიანი დაღუპვამდე მიჰყავს.

ადამიანურ ბედნიერებაშიც საჭიროა რომ ვიხმაროთ არა მხოლოდ გაზი, არამედ მუხრუჭიც, და თუ თქვენ განიცადეთ ადამიანური ბედნიერება, ის უნდა გავაწონასწოროთ თავშეკავებით და გარესამყაროსგან მოწყვეტით, ხოლო თუ სხვას ეხმარებით, უნდა იგრძნოთ რა დროსაა საჭირო ამ დახმარების შეწყვეტა. თეორიულად ღმერთისადმი სიყვარულით და საკუთარი თავის ტრანსფორმაციით ნებისმიერი ავადმყოფობის განკურნება შეიძლება, მაგრამ თუ სიღრმისეული ცვლილებები არ ხდება, ადამიანი უნდა დაიტანჯოს, იავადმყოფოს, წინააღმდეგ მისი დანაშაული სულის წინააღმდეგ გამრავლდება, და რამდენადაც სულის დონეზე ჩვენ ყველანი ურთიერთკავშირში ვართ, ერთის დეგრადაცია სხვების დაღუპვასაც გამოიწვევს.

ეჭვიანობას საფუძვლად ადამიანური ბედნიერების განუწყვეტელი თაყვანისცემა უდევს, შეუმჩნევლად მასზე დამოკიდებული ხდები. ზედმეტად ხათრიანობა და მორცხვობა – ესეც ეჭვიანობის გამოვლინებებია, რომლებიც იგივე ავადმყოფობებს იწვევენ.

ცნობიერებაში ისევ ერთიანობის თემა ამოტივტივდა. სამყაროში ყველა მოვლენა ერთმანეთთანაა დაკავშირებული, მაგრამ ეს ნატიფ დონეზე. განვითარება – ერთიანობის გაძლიერებაა, საკუთარი თავის სამყაროსთან გაიგივებაა. ფიქრები კვლავ გენერალისიმუს სუვოროვს უბრუნდებიან. ის ბავშვობიდან სუსტი და ავადმყოფი ბავშვი იყო და უკვე მაშინ გააკეთა არჩევანი: გაემაგრებინა უპირველეს ყოვლისა სული (дух) და არა სხეული. და ინტუიციურად ყველა მისი შემდგომი ქმედება სულის გაძლიერებისკენ იყო მიმართული. მისი ჯარისკაცები სასწაულებს გვიჩვენებდნენ, იმიტომ რომ არმია მისი ხელმძღვანელობის ქვეშ ერთიანი ორგანიზმი იყო. სუვოროვმა პირველმა აიძულა ჯარისკაცებს, რომ ელოცათ. "თავად მოკვდი, ამხანაგი კი გადაარჩინე!" – ეს იყო მისი დევიზი. ადრე არ მესმოდა პარადოქსული გამოთქმა: თუ ჯარისკაცს საქმე არაფერი აქვს, ააგლიჯე ღილებიდა აიძულე კვლავ დააკეროს. ახლა ეს გასაგები გახდა. სიზარმაცე და უმოქმედობა ასუსტებს სულს, ამცირებს ერთობას, აგრესიას და მანკიერებებს იწვევს ჯარისკაცებში.

თუ დავუფიქრდებით, სუვოროვი ზუსტად ასრულებდა ღვთაებრივის განვითარების და მასში ჩაწვდომის მთავარ პრინციპებს: სიყვარული ღმერთისადმი, ალტრუიზმი, სხვებზე ზრუნვა, ენერგიის უწყვეტი ხარჯვა, კოლექტიური ცნობიერების განვითარება, ტკივილის მოთმინებით გადატანის ცოდნა. ეს ყველაფერი მის არმიას დაუმარცხებელს ხდიდა. იმარჯვებს სულით ძლიერი – ამას ისტორია არაერთხელ ამტკიცებს. სულით ძლიერი – ეს ისაა, ვისაც აქვს ენერგია, მომავლის მარაგი, და მთავარი ენერგია ღმერთთან ერთობიდან მოდის. რაც მეტია ეს ერთობა, მით უფრო ძლიერი სული აქვს ადამიანს და მით უფრო მეტხანს იარსებებს ის საზოგადოება, რომელიც ასეთი ადამიანებისგან შედგება.

ახლა მომავლიდან ენერგიის ინტენსიური ნაკადი მოდის და ცოცხალის და არაცოცხალის ერთიანობის დონე იზრდება ჩვენს პლანეტაზე. თუ ადრე მხოლოდ სულიერ, განათლებულ ადამიანებს შეეძლოთ მოვლენებს შორის კავშირის დანახვა, ახლა ეს გაუნათლებელი ხალხისთვისაც ხდება შესამჩნევი.

მაღალი ძალების არსებობა ყველაფერში იწყებს გამოვლენას. მსგავსი სიტუაცია იყო დაახლოებით 2000 წლის წინათაც, მაგრამ ახლა, თუ იმის მიხედვით ვიმსჯელებთ რაც ხდება, ახალი ენერგიის ინტენსივობა გაცილებით მაღალი იქნება ადამიანები მზად უნდა იყვნენ ღვთაებრივის მოსვლისათვის. ალბათ ამ დროს უწოდებდა ქრისტე ცათა სასუფევლის მოსვლას.

თამაში

დღეს ღამით ვერ შევძელი დაძინება. ცნობიერება თითქმის ითიშება, იწყება ძილი და უცებ მოდის საინტერესო აზრი. ვხვდები, რომ დილით შემიძლია დამავიწყდეს, ამიტომ ვდგები და კაბინეტში მივდივარ, სადაც რვეული მიდევს ჩანაწერებისთვის.

ხვალისთვის ვაპირებ რომ დავასრულო თავი "სოდომი და გომორი", რომელშიც საუბარი შეეხება ციხესიმაგრე "მასადს". თუმცა ცოტა ხნის წინანდელი საუბბარი საბილიარდოში და ფიქრები ამ თემაზე ძილის საშუალებას არ მაძლევენ. მე ვწვები, მაგრამ მალე ისევ მეღვიძება, როცა საინტერესო აზრი მოდის. დილის ოთხი საათისთვის ყველაფერი მესამედ მეორდება. "ალბათ გავაფორმებ ყველა ამ აზრს ცალკე თავში, - ვფიქრობ მე, - რომელსაც დავარქმევ "თამაშს"."

საინტერესოა, რომ როცა მხარის ტკივილი დამეწყო და საკუთრი თავის დიაგნოსტირება მოვახდინე, პასუხი ერთი და იგივე იყო: ერთიანობის, ადამიანური სიყვარულის ნგრევის ვერმიღება. ხდება ნატიფი დონეების უწყვეტი წმენდა, მე ვერ ვუძლებ და პრობლემები ტკივილის სახით ვლინდებიან.

მხარი შვილებთან და შვილიშვილებთანაა დაკავშირებული. რადგან მარჯვენა მხარე მტკივა, ესე იგი პრობლემები მომავალთანაა დაკავშირებული, ანუ ჩემი შვილების და შვილიშვილების სულებმა ჯერ ვერ მიიღეს სწორი გადაწყვეტილება. მა თარ შეუძლიათ ინსტინქტების ნგრევის მიღება და ღმერთისადმი სიყვარულის შენარჩუნება. პრობლემა სერიოზულია და როგორღაც უნდა გადავწყვიტო. რაღაც არ მაძლევს საშუალებას რომ სიღრმისეულად შევიცვალო. რადგან ღრმა ცვლილება არ ხდება, ესე იგი ისინი ჩემთვის სახიფათონი არიან და ცვლილების პროცესი ავტომატურად ბლოკირდება. ცვლილებები სახიფათოა იმ შემთხვევაში, როცა სიყვარული არაა საკმარისად, გამოდის რომ ჩემი ერთიანობა ღმერთთან არასაკმარისია, სიყვარულის ინტენსივობა მაღალი არაა.

ახლა თავად ვცდილობ ღვთაებრივის შეგრძნობას და მისკენ მივდივარ. ვჩერდები და ვშეშდები, როცა წმენდა სასიკვდილო დონეს უახლოვდება. და რა იქნება როცა ღვთაებრივი თავად მოვა ჩვენთან? წარმოდგენაც კი მიჭირს. სხვათაშორის, ნებისმიერს, ვისაც ამ ინფორმაციასთან აქვს შეხება რაღაც ამდაგვარი ემართება. ქალბატონი, რომელმაც ამ წიგნის ტექსტის ბეჭდვა დაიწყო, მეორე დღეს ავად გახდა.

მეორედ უკვე სიცხიანი და სურდოიანი მოვიდა. გადავწყვიტეთ შეგვესვენა. მივხვდი რომ დასვენება და გონზე მოსვლა სჭირდებოდა.

ახალ თანამშრომელს საქმე კარგად წაუვიდა, მაგრამ მესამე დღეს მის შვილს სისხლდენა დაეწყო ცხვირიდან. "მაპატიეთ, - მითხრა მან, - მაგრამ იძულებული ვარ შეგეკითხოთ. გუშინ ჩემმა შვილმა თავი დაიზიანა – შტანგა ვერ დაიჭირა კარგად ხელში. იქნებ რამეს არასწორად ვაკეთებ?" მე მისი შვილის ველს ვაკვირდები. "წმენდა მხოლოდ თქვენზე კი არ ხდება, არამედ თქვენს შვილებზე და შვილიშვილებზეც, - ვეუბნები მე – თქვენ ამას ვერ ავჩნევთ, მაგრამ თქვენი შვილი სიტუაციას ვერ უძლებს, და ტკივილზე, რომელსაც მისი სული ქვეცნობიერად გრძნობს წმენდის დროს, სიყვარულის უარყოფით, სიცოცხლის უარყოფით რეაგირებს. თვითგანადგურების პროგრამა სისხლთან ერთად გამოდის ცხვირიდან და თავის ტრამვით მუხრუჭდება."

ღვთაებრივთან შეხება მოუმზადებელი ადამიანისთვის – მტანჯველი და სახიფათოა. მაშინ როგორღა არიან ახალი ქრისტიანული მიმდინარეობების ადეპტები? მღერიან, მხიარულობენ და არავითარ დისკომფორტს არ განიცდიან ღმერთისადმი მიმართვის დროს. "თქვენ როგორ ფიქრობთ რატომ? – ვეკითხები მე და პასუხს არ ველოდები ისე ვაგრძელებ, - წარმართი, რომელიც კერპს ემთხვევა და თაყვანს სცემს, ფიქრობს რომ ღმერთთან აქვს ურთიერთობა, მაგრამ ესე მხოლოდ თავად ფიქრობს. ღმერთი დროისა და სივრცეს მიღმაა. როგორ ფიქრობთ, რატომ გვიკრძალავს ათი მცნებიდან ერთ-ერთი კერპის შექმნას?

როცა ღმერთს გამოვხატავთ, ვაქანდაკებთ ქვაში ან ხესი, ჩვენ ვრთავთ ჩვენს ცნობიერს, რომელიც დაკავშირებულია საგნობრივ სამყაროსთან და ხდება ღვთაებრივის დაკარგვის შეუმჩნეველი პროცესი. ჩვენ უფრო და უფრო ვცდილობთ ღმერთის და მისი კანონების ცნობიერებით შეცნობას, ადამიანურ ლოგიკას მივაწერთ მას და ადამიანურად აღვიქვამთ. სრულიად ბუნებრივია, რომ თანდათან პრეტენზიებიც გვიჩნდება ღმერთის მიმართ. ღვთაებრივთან შეხებისას მის მიმართ პრეტენზიები დამღუპველია და იმისათვის რომ გადარჩეს, ადამიანი შეუმჩნევლად შორდება მას, იკეტება მისგან. და რაც უფრო მეტად ეთაყვანება ადამიანი მატერიალურ ღმერთს, მით მეტად ეთაყვანება საკუთარ სხეულს და სურვილებს და არა საკუთარ სულს. მაგრამ თუ ჩვენ ვიკეტებით ღმერთისგან და ვცდილობთ შორს გავექცეთ, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ღმერთი ვერ შეძლებს ჩვენამდე მოსვლას. ადამიანი, რომელიც ღვთაებრივ ლოგიკას ადამიანურით ანაცვლებს, კარგავს სიყვარულს და თანდათან გადაგვარებას იწყებს. და თუ ის ღვთაებრივს ეხება, მაშინ მისი გადაგვარება და სიკვდილი გაცილებით სწრაფად ხდება.

თუ ჩვენი პიანინო ასაწყობია, ვიძახებთ ოსტატს და ის კამერტონის საშუალებითაწყობს მუსიკალურ ინსტრუმენტს. ცოცხალი ორგანიზმების ნებისმიერი პოპულაცია პერიოდულად სამყაროს მთავარ რიტმზე უნდა გადაეწყოს. ეს გადარჩენის და სიცოცხლის საფუძველია. საზოგადოება, რომელიც უკან მობრუნების ზღვარს გასცდა, ღვთაებრივთან შეხებისას ნადგურდება. ღვთაებრივისკენ პერიოდული მისწრაფება მტანჯველია, მაგრამ იძლევა განწმენდის და შეცვლის საშუალებას. პერიოდულად სამყაროში კამერტონის ხმა ჟღერს და ღვთაებრივი ჩვენთან ჩვენი ნების უკითხავად მოდის. და ტრანსფორმაცია ამ დროს იმდენად ძლიერია, რომ მოუმზადებლები კვდებიან.

ამ უნივერსალურ კანონს ყველა ცოცხალი თანადაჯგუფება ემორჩილება. ისინი კვდებიან ან აღმოცენდებიან. საქმის არსით ფიზიკურ დონეზე ადამიანიც მიკროორგანიზმების თანადაჯგუფებაა. სამყაროს კანონი უნივერსალურია. ეს სიყვარულის და ღმერთთან ერთიანობის კანონია და ერთნაირად სამართლიანია ყველასთვის.

ჩვენი პლანეტის არსებობის განმავლობაში ჩნდებოდა და ქრებოდა ცოცხალი ორგანიზმების უზარმაზარი რაოდენობა. ცხოველების და მცენარეების სხვადასხვა სახეობები, სხვადასხვა ტომები და ცივილიზაციები ერთი და იგივე პრინციპით კვდებოდნენ. სამყაროში ჟღერდა კამერტონი სახელწოდებით სიყვარული, და ცოცხალი ორგანიზმები, რომლებიც კარგავდნენ ამ გრძნობას, კვდებოდნენ.

ის, რომ დღევანდელ მსოფლიოში რელიგია ძალას კარგავს და ყალბი ხდება, ხოლო სიყვარულის და მორალის ცნება ფარდობითი ხდება, ამტკიცებს უბრალო და ნათელ ფაქტს: კამერტონს დიდხანს არ გაუჟღერია და დედამიწაზე დიდი ხანია არ მოსულა ღვთაებრივი ლოგიკა. გაიხსენეთ რას ამბობდა ქრისტე: "უკანონობის გამრავლების გამო ბევრში გაცივდება სიყვარულის გრძნობა." იგავი 10 ქალწულზე, რომლებიც საქმროს ელოდნენ, - ღვთაებრივთან შეხების სხვაგვარი ახსნაა. ერთისთვის კამერტონი იჟღერებს როგორც მშვენიერი მუსიკა, ხოლო მეორესთვის, ვინც თავის სულზე არ ზრუნავს, - როგორც შურისმაძიებელი საყვირი.

ხშირად ადამიანი შორდება ღვთაებრივს და თავის სურვილებს მიყვება, ხოლო შემდეგ, სიბერეში, როცა ავადმყოფობა და სიკვდილი ეწევა მას, მშვიდად კვდება. იქნებ არ ღირს ამდენი წვალება და მორალური სრულყოფილება? იქნებ ვიცხოვროთ ჩვენს ნებაზე და შემდეგ მოვკვდეთ? ბევრი ასეც იქცევა. მით უმეტეს რომ თანამედროვე რეკლამა ყველგან მოგვიწოდებს: "მიიღე ცხოვრებისგან ყველაფერი!", ანუ მიჭყევი შენს სურვილებს. ერხელაც არ მინახავს რეკლამა, რომელიც მოგვიწოდებდა: "მიეცი ცხოვრებას პატარა რაღაც მაინც!" არაფერი მსგავსი, მხოლოდ აიღე! აიღე ყველაფერი! რა დარჩება ამ საწყალი ცხოვრებისგან ადვილი წარმოსადგენია. "ასე რომ, - მივმართავ ქალბატონს, - თუ რიგი ნიშნების მიხედვით ვიმსჯელებთ, კამერტონი მალე გაიჟღერებს დედამიწაზე და პირველი ხმები უკვე გაჟღერდა კიდეც. მე ამას ვხედავ, ვაკვირდები რა პაციენტებს სხვადასხვა ქვეყნიდან."

"და მაინც, როგორ დავეხმარო შვილს?" – მეკითხება ქალი. "მასზე მომავალი შვილების მხრიდან მიდის წმენდა. ნატიფ დონეზე ვითარდება ღალატის, დანაკარგის, ტკივილის და წყენის მომავალი სიტუაციები. შვილებზე და შვილიშვილებზე სიყვარულის ენერგიის ყველაზე ინტენსიური გამოსროლის მომენტში

ვახდენთ გავლენას. ესენი სქესობრივი მომწიფების, პირველი სიყვარულის, ქორწინების და ფეხმძიმობის პერიოდებია. და თუ არ შეგეძლოთ სიყვარულის გრძნობის შენარჩუნება ამ პერიოდებში, თუ არ შეგეძლოთ ადამიანური ბედნიერების ნგრევის მომენტში ღმერთისადმი სიყვარულის შენარჩუნება, თუ თქვენს სულში შემონახულია სასოწარკვეთილება და წყენა, მაშინ ასჯერ და ათასჯერ გაიმეორედ გონებაში ეს სიტუაციები".

"შეიძლება გკითხოთ?" – მეუბნება ქალბატონი. "დიახ". – "თქვენ ამბობდით, რომ თუ ადამიანი ჰარმონიულ მდგომარეობაშია, წმენდის დროს, ისე რომ ვერც ხვდება, ადვილად გაივლის მას და შვილებს და შვილიშვილებსაც წმინდავს. მაშინ მე რატომ ვერ შევძელი ჩემი შვილის განწმენდა?" – "ჯერ ერთი მას თავისი ბედი აქვს და თავისი პასუხისმგებლობა ღმერთის წინაშე, მეორეც, მან უკვე გაიარა სქესობრივი მომწიფება, ანუ გარეგნული დამოკიდებულება თქვენზე და ერთიანობის გარეგნული დონე უფრო ნაკლები გახდა. თუ თვითონ არ მოინდომებს ლოცვას და ეკლესიაში სიარულს, ნაკლებად შეძლებთ დახმარებას. წუხილი და წუწუნი უაზრობაა. წინ უნდა იაროთ და აკეთოთ ის რაც შეგიძლიათ. ბოლოს და ბოლოს ჩვენ ხომ არ ვმართავთ ჩვენს ბედს. ჩვენი საქმეა მცდელობა განვაგრძოთ და რა მოხდება, ამას უკვე ზემოთ წყვეტენ."

გავჩუმდი. ჩემს წინ ვიყურები. მეხსიერებამ 3 დღით უკან დამაბრუნა, 25 ოქტომბერს. დიდხანს ვუმიზნებ და ბურთულას ვუყურებ, რომელიც ლუზასთან ახლოს დგას. ადრე ძლიერად დავარტყამდი შორიდან გამოცნობაზე და ასე ვიმსჯელებდი: ერთი მილიმეტრი ცდომილებაც თუ იქნება, ბურთულა არ ჩავარდება; დაშორება სამი მეტრია. ისე დარტყმა, რომ მილიმეტრითაც კი არ ავაცილო პრაქტიკულად შეუძლებელია, ამიტომ ალალბედზე, მიახლოებით ვურტყამდი და ვერ ვაგდებდი. ერთხელ სხვანაირად მოქცევა ვცადე. აზრობრივად დავუმიზნე მეორე ბურთულა ლუზას, დარტყმის წერტილი ვიპოვე, დავიმახსოვრე, შემდეგ კი დავუმიზნე და დავარტყი. საკვირველია, მაგრამ ზუსტად ჩავარდა ლუზაში. ამის შემდეგ თამაშის შედეგიანობა რამდენიმეჯერ გავზარდე.

მოულოდნელად მივხვდი რაშიც იყო საქმე. სინამდვილეში, ისე დარტყმა, რომ მილიმეტრით მაინც არ ააცდინო, პრაქტიკულად შეუძლებელია – იმ შემთხვევაში, თუ სამყარო ქაოსური, მატერიალური კანონებით არსებობს. მაგრამ თუ გვესმის, რომ მატერიალური მოვლენები ჯერ ნატიფ დონეზე ხდება, ეს დონე კი ჩვენს ემოციებთანაა დაკავშირებული, სამყაროს სურათი მაშინვე იცვლება. და თუ მკაფიოდ წარმოიდგენ, დარტყმის მომენტში პირველი ბურთულა როგორ მიგორავს მწვანე ნაჭერზე და როგორ ხვდება საჭირო წერტილს, დანარჩენი უკვე იმ მოდელით ხდება, რომელიც შენმა გრძნობებმა შექმნეს. და მაშინ ის, თუ როგორ აიღებ კიას, როგორ დაუმიზნებ, როგორ დაარტყამ, განსაზღვრული იქნება ნატიფ დონეზე უკვე მომხდარი მეორე ბურთულის ჩავარდნით. ანუ მოვლენის სურათის წარმოდგენა ძლიერი, თავდაჯერებული ემოციის თანხლებით, გავლენას ახდენს იმ მიზეზ-შედეგობრივ კავშირთა ჯაჭვზე, რომელიც შემდგომ განვითარდება. ველის კოდირება განსაზღვრავს მოვლენებს, რომლებიც გავლენას ახდენენ მატერიალურ ობიექტებზე, რომლებიც ამ ველში იმყოფებიან.

მე მივხვდი, რატომ ვერ ვაგდებდი ადრე, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მინდოდა ჩაგდება და კონცენტრაციას ვაკეთებდი ამ სურვილზე. მაგრამ რაც მეტად მინდოდა ეს, მით უფრო მეშინოდა რომ ვერ ჩავაგდებდი და მით უფრო ვწუხდი, თუ ვერ ჩავაგდებდი. თურმე უბრალოდ უნდა შემეგრძნო, როგორ ვარდება ბურთულა ლუზაში. მე მჭირდებოდა, რომ "როლის თესლი" (სტანისლავსკის მეთოდით) გაცოცხლებულიყო ჩემში.

თუ რამდენიმე ცალკეულ მოქმედებას: ვიღებ კიას, ვურტყამ ბურთულას, შემდეგ ის მოძრაობს მაგიდის ზედაპირზე და ხვდება მეორე ბურთულას, რომელიც ლუზაში ვარდება, - თუ მე ყველა ამ მოქმედებას ერთ გრძნობად შევკუმშავ, რომელშიც დაპროგრამებულია ბურთულის ლუზაში ჩავარდნა, მაშინ ყველაფერი სწორედ ისე მოხდება, როგორც წარმოვიდგინე. ხოლო თუ მხოლოდ პირველ მოქმედებაზე გავაკეთებ კონცენტრაციას, ანუ სწორად დარტყმის სურვილზე, ან უკანასკნელზე, როცა ბურთულა ლუზაში ვარდება, - ყველა მოქმედების ერთ ემოციად შეკუმშვა, "როლის თესლის შექმნა", სურათის შექმნა, რომლის მიხედვითაც მომავალი მოვლენები განვითარდება, ჩემთვის შეუძლებელი გახდება. ესე იგი აზრის, გადაწყვეტილების გრძნობად გადაქცევის უნარი წარმატების მთავარი რეცეპტია ცხოვრებაში. ნატიფ დონეზე ყველა მოვლენის მართვაა შესაძლებელი. ამიტომაც ეუბნებოდა ქრისტე თავის მოწაფეებს, რომ თუ მოინდომებდნენ, მთას დაძრავდნენ ადგილიდან.

ბილიარდი იმით მომწონს, რომ შესაძლებელია ამ დროს დატვირთვა მივცეთ სხეულსაც და სულსაც ერთდროულად. პატარა დარღვევა ხასიათსა და განწყობაში და ბურთულები აღარ ვარდებიან ლუზაში. ამ დროს საჭიროა საკუთარ თავთან ბრძოლა, კონცენტრაცია. ამასთან ფსიქოლოგიური დატვირთვა ფიზიკურზე გაცილებით ინტენსიურია. მაგრამ ბილიარდში ჩემთვის ესეც კი არ არის მთავარი. მთავარი – რამდენიმე საათი აზროვნება და განსჯაა, როცა ხელს არავინ მიშლის.

სწორედ ბილიარდის თამაშის დროს მივედი ერთ ძალიან მნიშვნელოვან დასკვნამდე, რომელიც უშუალოდ ეხება საკუთარ თავზე მუშაობას. ახლა ყველაფერს დალაგებულად გადმოვცემ. ბილიარდში არის ასეთი ცნება – ბურთის გაგორება, მე კი ვურტყამდი. რა განსხვავებაა? თავიდან რბილად უმიზნებ კიას, მაგრამ ბოლოს ჩაგდების დიდი სურვილის გამო, კრუნჩხვასავით მოძრაობას აკეთებ და გამეტებით ურტყამ, რომ ძლიერი დარტყმა გამოგივიდეს. დარტყმა აღარ ხდება კონტროლირებადი. არსებობს გამოთქმა "სიბრაზისგან დაბრმავდა", "სურვილმა დააყრუა". შევამჩნიე, რომ დარტყმის მომენტში ვეღარ ვაზროვნებ და მერე ვეღარც კი ვიხსენებ, როგორ დავარტყი. ვერ ვიხსენებ საით გაგორდა ბურთულა, რომელ ბორტს მოხვდა. რაც არ უნდა ვეცადო ვეღარ ვიხსენებ ამ ტრაექტორიას.

სურვილის აფეთქება აბრმავებს, ამას ჩემი გამოცდილებით მივხვდი. და აი, გადავწყვიტე, რომ ამის შემდეგ დაუფიქრებლად კი არა, წყნარად და დაკვირვებით დავარტყამდი, გავაგორებდი ბურთულას... და აი ვუახლოვდები მომდევნო ბურთულას, ვუმიზნებ და ჩემთვის მოულოდნელად ისევ გამეტებით ვურტყამ. შემდეგ - უარესი. 10-15 დარტყმიდან მხოლოდ 1-2-ჯერ გამომივიდა რბილი და თავდაჯერებული დარტყმა. ჩემი "კრუნჩხვითი" რეფლექსი ვერაფრით ვერ დავძლიე.

აღმოჩნდა, რომ იფიქრო და გინდოდეს შეცვლა ძალიან დიდხანს შეიძლება. ცვლილება მაშინ ხდება, როცა იწყებ შეგრძნებას, რომ იცვლები. აზრების დონეზე შეცვლა შეუძლებელია. თუ აზრს გრძნობაში არ გადაადნობ, ვერასოდეს ვერ შეიცვლები. შემდეგ მივხვდი რატომაც. იმიტომ რომ ველობრივი სტრუქტურა ნებისმიერ ცვლილებას გაუძლებს. მასში მეტია ერთიანობის დონე. ის უფრო რბილი და პლასტიურია, ხოლო ფიზიკური სტრუქტურა უბრალოდ იშლება. ჩვენი აზრები სხეულთანაა დაკავშირებული, სხეულს კი ტრანსფორმაციის მკვეთრი საზღვრები აქვს. როცა ზედაპირულ ემოციებს და სხეულებრივ ცნობიერებას ვრთავთ, ჩვენ, როგორც თავკომბალები ვტრიალებთ წყლიან ჭიქაში და ვერავითარ შედეგს ვერ ვხედავთ. ჭეშმარიტი ტრანსფორმაცია ქვეცნობიერის დონეზე ხდება. იქ მდებარეობს ჩვენი ჩვევები, რეფლექსები და ინსტინქტები. ქვეცნობიერში შესვლა ემოციებით შეიძლება, აზრებით იქ შესვლა სახიფათოა.

მაშინ მივხვდი, რატომ აქვს ბევრ პაციენტს სუსტი შედეგები. უკვე ასწლეულია ყველა მიეჩვია განსაზღვრებას "homo sapiens!" – მოაზროვნე, გონიერი ადამიანი. ეს ტერმინი არა მხოლოდ სიმბოლოა ადამიანსა და ცხოველს შორის განსხვავებისა, არამედ ის მთლიანად ადამიანის სიმბოლო გახდა. მაგრამ ეშმაკის მთავარი თვისებაც ხომ ამ სიტყვით შეიძლება გამოვხატოთ: "homo sapiens!" ანგელოზისთვის პირველ ადგილზე სიყვარული დგას, ეშმაკისთვის – გონება და აზრი. ამიტომ ადამიანის ჭეშმარიტი განსაზღვრება – მოსიყვარულე ადამიანია. ესე იგი უნდა წარმოვიდგინოთ და შევიგრძნოთ თავი მოსიყვარულედ, უნდა შევიგრძნოთ თავი მიმტევებლად, უნდა შევიგრძნოთ ჩვენს თავში ღვთაებრივი. უნდა დავინახოთ საკუთარ თავში სხვების აღმზრდელი და მათი მოყვარული. ნებისმიერი ტკივილის, ტანჯვის და წყენის დროს განუწყვეტლივ მოსიყვარულედ უნდა ვგრძნობდეთ თავს.

ვუახლოვდები მაგიდას, ვიხრები და ვეძებ წერტილს, რომელსაც უნდა მოხვდეს პირველი ბურთულა. "კარგი თამაშია ბილიარდი – ვფიქრობ მე, - სხვათა შორის რა არის თამაში საერთოდ? რისგან შედგება ნებისმიერი თამაში? რას აძლევს იგი ადამიანს? რა განსხვავებაა თამაშსა და რეალურ ცხოვრებას შორის?" "საინტერესოა – ვფიქრობ მე, - ვცადოთ გავერკვეთ". ვუმიზნებ, სწორად და რბილად ვურტყამ. დაბრმავება არ ხდება. მე ვხედავ ბურთულას დარტყმის მომენტში და მისი ტრაექტორიის წარმოდგენაც შემიძლია.

მაშასადამე, რით განსხვავდება რეალური ცხოვრება თამაშისგან? ნებისმიერ თამაშში ჩვენ ვიცით წესები და ვიცით მისი მიზანი. თამაშში, რომელსაც ცხოვრება ჰქვია, ჩვენ წესები არ ვიცით, ამიტომაც ვარღვევთ მათ და ვვარდებით თამაშიდან. თუმცა ეს წესები არსებობს. ცხოვრება იგივე პრინციპებით არსებობს, რითაც სამყარო. ესე იგი გამოდის რა შემოქმედისგან, ის ასევე უნდა დაუბრუნდეს მას. და ცხოვრების აზრი – ეს ღვთაებრივის შეცნობაა. როგორ ხდება ეს, ათ მცნებაშია მოცემული. რაშია ნებისმიერი თამაშის აზრი? იმაში რომ აზრი გრძნობად გადავაქციოთ. იქმნება თამაში, იქმნება წესები, და შემდეგ ეს ყველაფერიო გრძნობებით და მოქმედებებით რეალიზდება.

იმისათვის, რომ აზრი, მიმართულება სიტუაციად გადაიქცეს, შუამავალია საჭირო. ასეთ შუამავლად ემოციები, გრძნობები გვევლინება. რაც მეტია ჩვენი გრძნობების ინტენსივობა, მით მეტია სიხარულის გრძნობა. სიხარული და ენერგეტიკული დანახარჯი მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული, ამიტომ თამაშის ერთ-ერთი მთავარი წესია – გვიხაროდეს. სიხარულის უმაღლესი ფორმა კი – სიყვარულია. შემთხვევით არ ამბობდა მოციქული: "ყოველთვის გიხაროდეთ". სასოწარკვეთილება – სიყვარულზე და ენერგიაზე უარის თქმაა. თუ თამაშში სიხარული არაა, მაშინ ის აღარ იქნება თამაში. ცვლილებები აღარ ხდება ადამიანში. ქრება თამაშის მეორე მთავარი პრინციპი – ცვლილება.

როცა თამაშობ და გიხარია, ნებისმიერი ინფორმაცია ძალიან სწრაფად მიიღება და ტრანსფორმირდება ემოციად. იმისათვის რომ ახალი ინფორმაცია მივიღოთ, შეცვლაა საჭირო, ამისთვის კი სასიხარულო ემოციაა საჭირო, რამეთუ ის თავის თავში იმ დიდ ენერგიას ატარებს, რომელიც ახლის ტრანსფორმაციისთვის და ათვისებისათვისაა საჭირო. და თუ ადამიანი ცხოვრებას ისე ეპყრობა, როგორც თამაშს, თუ იგი იუმორის ნიჭითაა დაჯილდოებული, ანუ შეუძლია უხაროდეს იქ, სადაც სხვები როგორც წესი მწარდებიან, მისი შესაძლებლობები იმისა, რომ იყოს ჯანმრთელი და მდიდარი, მკვეთრად იზრდება. რა თქმა უნდა პირველ რიგში სულის სიმდიდრეს ვგულისხმობ. სული, რომელსაც სიხარული არ შეუძლია, იცლება სიყვარულისგან. იმ დროს, როცა უცებ ვხვდებით, რომ ცხოვრება თამაშია, ჩვენ უკვე აღარ ვართ მასზე დამოკიდებული. თამაში ყოველ წამს შეიძლება შეწყდეს, ჩვენ კი თამაშგარეთ აღმოვჩნდებით. ამიტომ არ უნდა ვიყოთ ამ თამაშის მონები. და არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამ თამაშის მთავარი პირობები სიყვარული და სიხარულია.

ამიტომაც არსებობს თეატრი. სცენაზე ვითარდება თამაში, რომელიც ცხოვრებად იწოდება, და ამ თამაშის ყველა მოვლენა იმ გრძნობებისგან ჩნდება, რომლებსაც მსახიობები ქმნიან. დრამატურგი პიესას ქმნის, რომელშიც იდეა აზრობრივ ხატ-სახეებად და სიტუაციებად ტრანსფორმირდება. შემდეგ ეს პროცესი მეორდება. რეჟისორისთვის იდეა ხატ-სახედ იქცევა, ენერგიით ივსება და საგნობრივი ხდება. შემდეგ იწყება მესამე წრე, როცა მსახიობები სცენაზე საკუთარი გრძნობებით ქმნიან რეალურ სიტუაციებს. პიესაში მთავარია – იდეა. რეჟისურაში – ემოცია, ხოლო მსახიობისთვის მთავარი – ეს რეალური მოქმედებაა.

რატომ ამბობდა შექსპირი: "მთელი სამყარო თეატრია, ადამიანები კი მსახიობები?" იმიტომ რომ ცხოვრებაც და თეატრიც თამაშის პრინციპს ემორჩილებიან. პირველი იმპულსი – პირველადი ჩანაფიქრია.

ის თავიდან ნატიფ დონეზე რეალიზდება, შემდეგ კი გარეგნულ, ფიზიკურ დონეზე. თავდაპირველად იყო სიტყვა. სამყარო ღმერთის პირველადი ჩანაფიქრით გაჩნდა, რეალიზაცია განიცადა ნატიფ, სულიერ დონეზე, შემდეგ კი მატერიალურად ტრანსფორმირდა. როცა მაყურებელი სპექტაკლს უყურებს, მან ყველა მოქმედება და მოვლენა ემოციების სფეროში უნდა გადაიტანოს, ანუ მსახიობიდან ის რეჟისორზე უნდა გადავიდეს. ყველა ემოცია ერთ წარტილად უნდა შეიკრას, ერთ ხატ-სახედ, პირველად ჩანაფიქრად. ეს სიყვარულის გრძნობის აფეთქებაა. თეტრში ამას კათარზისს უწოდებენ. და მაშინ დროის ციკლი სრულად აღდგება. ჯაჭვი დრამატურგი – იდეა, რეჟისორი – გრძნობები, მსახიობი – სპექტაკლი გადადის წრის მეორე ნახევარში: მაყურებელი – სპექტაკლი, მაყურებელი – რეჟისურა, მაყურებელი – პიესა, იდეა, კათარზისი, სიყვარულის გრძნობა. სიყვარლის გრძნობის და ენერგიის გარეშეშეუძლებელია გაჩნდეს ნამდვილი იდეა და პიესა.

როგორც სამყარო იბადება სიყვარულის და ენერგიის აფეთქებისგან, ასევე იბადება ცხოვრებაც და სპექტაკლიც. და ეს სამივე თამაში, სპექტაკლად, ცხოვრებად და სამყაროდ წოდებულნი, უნდა დაბრუნდნენ უკან, სიყვარულისკენ.

ქრისტე ამბობდა: "იყავით როგორც ბავშვები." ბავშვს ყველაზე მეტი სიყვარული და ენერგია აქვს, მას სჭირდება განუწყვეტლივ იცვლებოდეს და შეიცნობდეს სამყაროს. და მისი ცხოვრება – ეს უწყვეტი თამაშია, სადაც ყველაფერი განუწყვეტლივ იცვლება და სადაც განუწყვეტლივ უნდა გიხაროდეს. მთავარია გავიგოთ, რომ სიხარულის გრძნობა პირველ რიგში ღმერთისკენ და სიყვარულისკენ უნდა იყოს მიმართული, და არა ჩვენი სხეულისკენ და სურვილებისკენ. ნებისმიერ თამაშში მთავარი სიხარული დაკავშირებულია არა თავად თამაშთან, არამედ იმასთან, რასაც ადამიანი თამაშისგან იღებს. და მაშინ თამაში მთავრდება, ადამიანის სიხარული კი გრძელდება. როცა მთავრდება ან ინგრევა თამაში, ცხოვრებად წოდებული, ჩვენ ამ სპექტაკლიდან სიყვარულის და სიხარულის გრძნობით უნდა გავიდეთ. ცხოვრება და ყველა მასში მიმდინარე მოვლენა საბაბია, საშუალებაა სიყვარულისათვის.

ნებისმიერი თამაში სამყაროს მცირე მოდელია.და რადგანაც ცხოვრება თამაშია, ესე იგი ყველა მოვლენა დაკავშირებულია მასში ერთმანეთთან. თუ სპექტაკლში კედელზე თოფი კიდია, მან უნდა გაისროლოს და ის, ვინც მზადაა შეიგრძნოს შინაგანი კავშირი ყველა მოვლენას შორის, უფრო ადვილად ორიენტირდება თამაშში, რომელსაც ცხოვრება ეწოდება.

"უკანასკნელ დროს, - ვფიქრობ მე, - თამაშით სწავლების ფორმების გამოყენება დაიწყეს. ინფორმაციის ნებისმიერი რაოდენობა, რომელიც თამაშის ფორმით მიეწოდება ბავშვს, ადვილად გადადის ემოციაში, წერტილად იკუმშება და მახსოვრდება. აზროვნება და ცნობიერება წარმოუდგენელია მეხსიერების ცნების გარეშე, მეხსიერება კი მხოლოდ ხატ-სახეების ("ობრაზების") და გრძნობების სახით არსებობს. ერთხელ საინტერესო ექსპერიმენტი ჩავატარე. საქმე იმაშია, რომ რაიმე აზრის გასახსენებლად, მე ის ჩემი მეხსიერებიდან, ქვეცნობიერიდან უნდა წამოვწიო. ნებისმიერი აზრი – ეს რამდენიმე ერთმანეთთან დაკავშირებული სიტუაციაა. მე დიდი ხანია შევამჩნიე, რომ ქვეცნობიერიდან ამოტივტივებული აზრი, თავიდან გამოიყურება როგორც გრძნობა. და ამ გრძნობას თავისი შეფერილობა აქვს. ის გამოდის ქვეცნობიერიდან, ფართოვდება და უცებ – აზრად იქცევა."

მე შევეცადე ამ პროცესის ნატიფ დონეზე დიაგნოსტირებას, მოდელირებას. მაინტერესებდა ტვინის რომელ ზონაში ხდებოდა ეს პროცესი. შედეგი საოცარი აღმოჩნდა. გრძნობის აზრად ტრანსფორმაცია თავის გარეთ ხდება. თავად ზონა 70 სმ-მდე რადიუსის გარშემოწერილობას წარმოადგენს. მაშინ მივხვდი, რატომ ხატავენ წმინდანებს ნიმბით თავის გარშემო.გრძნობების აზრებში გადასვლის ზონა ყველასთვის სხვადასხვანაირად შეიძლება გამოიყურებოდეს.

მახსოვს, როგორ მომიყვა ერთმა ქალმა საინტერესო ისტორია: "ჩემი მეგობრის ქმარი საშინელი ლოთი იყო, მე მახსოვს, ერთ ლექციაზე თქვით საათი ხატების ზემოთ არ უნდა ეკიდოსო. მას კი სწორედ ზემოთ ეკიდა. მივედი და ვეუბნები: "დრო – ეს სურვილების სიმბოლოა. გამოდის, რომ სურვილები შენთვის ღვთაებრივზე მაღლა დგას და ქვეცნობიერად ეჭვიანობა გეზრდება, ამიტომ დაიწყო შენმა ქმარმა ლოთობა". დამიჯერა და ხატი საათის ზემოთ ჩამოკიდა. მეორე დღეს მისმა ქმარმა რაც არ უნდა საკვირველი იყოს სმას თავი დაანება და რამდენიმე თვეა აღარ სვამს."

მომდევნო ბურთულას ვუახლოვდები, ვუმიზნებ და ღიმილს ვერ ვიკავებ – მეგობრის წინადადება მახსენდება: "გინდა გაგაცნო უნიკალური მკურნალი ქალი? შესანიშნავი შედეგები აქვს. იცი როგორ კურნავს? ვერაფრით ვერ გამოიცნობ. შენი წიგნებით. მოკლე ლექციას უკითხავს ადამიანს და შენს წიგნს აძლევს. ის კი კითხულობს და უკეთ ხდება." მე მხრებს ვიჩეჩავ: "რა მნიშვნელობა აქვს ვინ აღმოაჩინა კანონი? მთავარია რომ ის არსებობს და მოქმედებს."

გამახსენდა ჩემი ამასწინდელი საუბარი მამაკაცთან, რომელმაც რამდენიმე შეტყობინება გამომიგზავნა ელ-ფოსტაზე. მას უნდოდა დახმარებოდა ადამიანებს და ჩემი წიგნების შინაარსს უკითხავდა მათ. ავადმყოფებმა გამოჯანმრთელება დაიწყეს. ისინი, ვიზეც საბოლოოდ თქვეს უარი ექიმებმა, იცვლებოდნენ და საერთოდ ავიწყდებოდათ თავისი ავადმყოფობა. მაინტერესებდა რამდენად იმოქმედა ამან მასზე, მე ხომ ვიცი, რამდენად სახიფათოა სხვა ადამიანის ბედში ჩარევა.

სახლში დავურეკე და სასიამოვნოდ ვისაუბრეთ. "შემიძლია მოგილოცოთ, - ვუთხარი მე, - მნიშვნელოვან დარღვევებს ვერ ვამჩნევ თქვენთან." "იცით ერთი პრობლემა მაინც არის", - გამომიტყდა იგი. "კიბოიან ავადმყოფთან მქონდა ურთიერთობა, ამასთან ავადმყოფობა ღრმად იყო წასული. მას შემდეგ, რაც თქვენს წიგნებზე მოვუყევი, მკვეთრად დაეწყო გამოჯანმრთელება. შემდეგ მთხოვა კიდევ ერთხელ შევხვედროდი, რომ მის გარდა მის ნათესავებსაც დავლაპარაკებოდი. "ვგრძნობ რომ მე ვერ შევძლებ მათ

დარწმუნებას", - გამომიტყდა იგი. და აი მივედი მასთან ოჯახში და შეიძლება ითქვას გავიმეორე სეანსი, მეორე დღეს კი ცუდად გავხდი. მივედი სამსახურში დაყ ველა გაოცებული მიყურებს. აღმოჩნდა რომ ერთ დღეში რამდენიმე წლით დავბერდი. შემდეგ აღვიდგინე თავი, მაგრამ ეს დიდი შრომის ფასად დამიჯდა. შეგიძლიათ ამიხსნათ რა მოხდა?"

"ვფიქრობ აღარ უნდა ჩაგეტარებინათ მეორე სეანსი, - ვუთხარი მე, - მოუმზადებელი ადამიანი ღმერთისკენ კი არა თქვენსკენ წამოვა და თქვენ წაგართმევთ ენერგიას ტრანსფორმაციისთვის. ეს საუკეთესო შემთხვევაში, უარეს შემთხვევაში კი – უბრალოდ წაგართმევთ ენერგიას რათა ჯანმრთელი გახდეს, ამასთან არ შეიცვლება და მეტად და მეტად განაგრძობს თქვენს "დავამპირებას". ადამიანს შეიძლება ვუბიძგოთ ღმერთისკენ, მაგრამ არ შეიძლება თან ვატაროთ იგი. ეს სისულელეცაა და სახიფათოცაა. დროულად უნდა შევაჩეროთ დახმარება. პაციენტი თვითგანკურნებაზე უნდა გადაერთოს. ჩვენ პასუხს ვაგებთ არა მხოლოდ იმათზე, ვისაც გადავარჩენთ, არამეთ იმათზეც, ვისაც ვრყვნით."

მე მოვწყდი ჩემს ფიქრებს, რადგან ვხედავ მეგობარს, რომელიც საბილიარდოში შემოვიდა თავის მეუღლესთან ერთად.

- როგორ ხართ, რა გეგმები გაქვთ დღეს? – ვეკითხები მე.

- რაღაც მინდოდა მეკითხა. მე და ჩემ მეუღლეს უცნაური რაღაც შეგვემთხვა. წვეულებაზე ვიყავით შვეიცარიაში. იქ საზოგადოების ნაღები იყო შეკრებილი და ვახშმის დროს რაღაც უჩვეულო დაიწყო. საშინლად მომერია ძილი...

- აი ახლა ჩილეს ჩვეულებრივ ღვინოს ვსვამთ დამ ას შესანიშნავი გემო აქვს, - გააგრძელა მისმა მეუღლემ, - იმ წვეულებაზე კი საუკეთესო ღვინოები იყო, მაგრამ აი დავლიე წითელი ღვინო და ყელი ჩამიწვა. ისეთი უსიამოვნო იყო, რომ ყელში არ გადადიოდა. მერე ვთხოვე თეთრი დაესხათ, საშინლად მჟავე იყო, იმის დალევაც შეუძლებელი აღმოჩნდა. ჭამას ვიწყებ – ყველაფერს ერთნაირი გემო აქვს, ანუ საერთოდ არა აქვს გემო. ყველაზე სასაცილო ისაა, რომ როცა წვეულებიდან გამოვედით, მგლის მადა მომივიდა.

- მე კი სრულიად გამოვფხიზლდი, - დაამატა ქმარმა.

- თქვენში უბრალოდ თავდაცვის სისტემემ იმუშავა, - ვეუბნები მე. – კვება ქვეცნობიერს ხსნის. მდგომარეობა, რომელშიც თქვენ ჭამის დროს ხართ, ქვეცნობიერში გადადის და ათჯერ ძლიერდება, ამიტომ ჭამის წინ კარგია რომ ვილოცოთ. შვეიცარიის საზოგადოებაში მაღალმა სტაბილურობამ, საბანკო სისტემის განვითარებამ იქამდე მიიყვანა სახელმწიფო, რომ ის უფრო მეტს იღებს ვიდრე გასცემს. ეს ენერგეტიკას ამცირებს, და პლუს მსოფლიო კრიზისი. სახელმწიფოს ენერგეტიკაში თვითგანადგურების პროგრამა ძლიერდება. ყველაზე საშინელი დანაკარგები ისინია, რომლებსაც ვერ ვამჩნევთ. ის ხალხი მიეჩვია ამ მდგომარეობას, ისინი ხომ იქ ცხოვრობენ. სხვათა შორის, შვეიცარიაში ახლა წამოწიეს საკითხი ევთანაზიის მიღების შესახებ, ამასთან არა მხოლოდ მძიმე ავადმყოფებისთვის, არამედ მათთვისაც, ვინც უბრალოდ იტანჯება და სიკვდილი უნდა.

რატომაა რელიგია თვითმკვლელობის და ევთანაზიის წინააღმდეგი? გაგიგიათ ასეთი გამოთქმა – დავწვათ უკან დასაბრუნებელი ხიდები? მისი ავტორი ცნობილი ჩინელი მხედართმთავარი სუნ-ძია. ამ გამოთქმის არსი შემდეგშია. თუ მხედართმთავარს აქვს ეჭვი, რომ მისი არმია ვერ გაიმარჯვებს, მან უნდა აამაღლოს ჯარისკაცების საბრძოლო სული, შეკრას ისინი. მთელი სულიერი ენერგია გამარჯვებისკენ უნდა წარმართოს. ამისთვის საჭიროა, რომ არმიეს თანდასწრებით უკან დასახევი ყველა ხიდი დაიწვას.

ყველა ადამიანი ქვეცნობიერად თავისი ენერგიის 20%-ს უკან დახევაზე ხარჯავს. ტუ არმიეს ერთიანობა მაღალი არაა, ადამიანი კონცენტრაციას აკეთებს არა საერთო ამოცანაზე, არამედ საკუთარ თავზე და საკუთარ სიცოცხლეზე. ჩნდება შიში და უკან დახევაზე მიმართული ენერგია 40-50%-ს აღწევს. როცა ეს პროცენტი უფრო მეტი ხდება, ჯარისკაცი შიშითნგარბის ბრძოლოს ველიდან. თუ მან იცის რომ უკან დასახევი გზა არ არსებობს, ის არა მხოლოდ მთელ ენერგიას დახარჯავს გამარჯვებაზე, არამედ ხელუხლებელ მარაგსაც გახსნის და გაიმარჯვებს. ამიტომაც დეზერტირებს ყოველთვის შეუბრალებლად ხვრეტდნენ სხვების თვალწინ. ადამიანი, რომელიც თვითმკვლელობით ასრულებს სიცოცხლეს, დეზერტირია. რაც უფრო მძიმე ამოცანები დგას ადამიანის წინ, მით მეტი სიყვარული და ენერგია უნდა იყოს მის სულში. დეზერტირს სიყვარული არ სჭირდება. ევთანაზიის კანონის მიღება სახელმწიფოებრივ დონეზე საზოგადოების თვითგანადგურების პროგრამას რთავს.

რადგანაც რელიგიის სფეროში არა მარტო ცალკეული ადამიანის, არამედ საზოგადოების სულზე ზრუნვა შედის, ღმერთზე და სიყვარულზე უარის თქმის იდეის მიღება მას არ შეუძლია. დაკანონებული თვითმკვლელობის იდეა საბოლოოდ წაართმევს საზოგადოებას ღვთის რწმენას, მტკივნეული და მტანჯველი სიტუაციების გადატანის უნარს.

ჩვენ მიჩვეულები ვართ, რომ უდიდესი ჭეშმარიტებები ზედაპირულად განვმარტოთ. მიაქციეთ ყურადღება, რომ ქრისტეს ყველა მცნება მიმართულია არა სხეულისადმი, არამედ სულისადმი. და ვფიქრობ რომ აღდგომის მთავარი იდეა სწორედ სულისადმი იყო მიმართული. ქრისტე ხედავდა, რომ გარეგნული რიტუალურობა განდევნის სიყვარულს და ანადგურებს სულს. სული კი სიყვარულით აღდგება. სწორედ სიყვარულზე ლაპარაკობდა იგი ყოველთვის. და თავად ქრისტეს ჯვარცმა – ეს თანმიმდევრული ნგრევაა სხეულისა და სულისა, მათი მიჯაჭვულობებით და ვნებებით და სიყვარულის გამარჯვებაა ამ ყველაფერზე.

ჩვენ ყველანი ჩვენი არსით ღვთაებრივები ვართ. ღვთის სახედ და ხატად ვართ შექმნილნი, ჩვენს სულში არსებობს მუდმივი შემადგენელი ნაწილი, რომელიც არაფერზე არაა დამოკიდებული. არსებობს ფენა, რომელიც ჩვენს ფიზიკურ სხეულთანაა დაკავშირებული, მართავს მას და განსაზღვრავს მის ბედს. და

არსებობს ფენა, რომელიც არა მხოლოდ დაკავშირებულია სხეულთან, არამედ დამოკიდებულია მასზე. ეს ჩვენი სხეულებრივი ცნობიერებაა, მასთან დაკავშირებული ვნებები და სურვილები. მაგრამ თუ სხეული საკვებით იკვებება, სული ღმერთისგან მომავალი სიყვარულით, ენერგიით იკვებება. ის კვდება, თუ ზედმეტადაა სხეულზე მიჯაჭვული და ადდგება, თუ უარს ამბობს სხეულზე და ღმერთისკენ ისწრაფვის.

- სხვათაშორის, რაც შეეხება საკვებს, - ვამბობ მე, - ნებისმიერ პროდუქტში სამი შემადგენელი ნაწილია: კალორია, ენერგია და ინფორმაცია. საკვები შეიძლება ძალიან კალორიული იყოს, მაგრამ ავადმყოფობა გამოიწვიოს, იმიტომ რომ მასში მცირე ენერგია და დაბინძურებული ინფორმაციაა. რა არის შიმშილის გრძნობა? ეს ენერგიაა. ამის წინ მადა ჩნდება. თუ ჩვენ ჭამას ვიწყებთ მადის გარეშე, ეს ნიშნავს, რომ ენერგიის მინიმუმზე ვიკვებებით და საკვებიდან მხოლოდ კალორიას ვიღებთ. შესაბამისად იტვირთება კუჭ-ნაწლავის სისტემა და ჩნდება ავადმყოფობები.

თანამედროვე დასავლური სამყაროსთვის პროდუქტის ინფორმაციული და ენერგეტიკული შემადგენელი – მითია. პროდუქტის ლამაზად შეფუთვა მისი შეფასების მთავარი კრიტერიუმი გახდა. და რაც მეტად ვითარდება მეცნიერება, მით უფრო სწრაფად ხდება საკვები პროდუქტების გადაგვარება. ასევე ხდება ადამიანის სულის გადაგვარებაც, რადგან ხდება სხეულისადმი თაყვანისცემა. იცით როგორ გაჩნდა ადერა? ღვინო კასრებში ჩამოასხეს, გემი დატვირთეს და სხვა ქვეყანაში წაიღეს გასაყიდად. რაღაც პრობლემის გამო ღვინო ვერ გაყიდეს და უკან ჩამოტანა მოუხდათ. ვაჭრები ფიქრობდნენ რომ გაკოტრდებოდნენ, მაგრამ ღვინომ, მუხის კასრებში დიდხანს ყოფნის გამო საიკეთესო გემო შეიძინა და უზარმაზარი მოგება მოიტანა გაყიდვის შემდეგ. ამის შემდეგ კასრები ოკეანესთან მიჰქონდათ, სამხრეთული მზის ქვეშ. ზამთარში კი სარდაფში ინახავდნენ. ადერა 5 წელი მწიფდება კასრებში და შესანიშნავი და სასარგებლო ღვინო დგება. რას აკეთებენ ახლანდელი კომერსანტები? ღვინოს კასრებში ასხამენ, თითქმის დუღილამდე აცხელებენ და ასე "ხარშავენ" რამდენიმე დღე. ერთი კვირის მერე ღვინო მზადაა. გემოთი ძალიან გავს ორიგინალს, ენერგეტიკულად კი – შხამია. ამასთან ნეგატიური მოქმედება შეიძლება რამდენიმე წლის შემდეგ გამოვლინდეს. ინფორმაციული პროცესები ფიზიკურისგან განსხვავებით მრავალი წლის განმავლობაში შეიძლება გაიწელოს. სხვათა შორის ღვინოში მთავარი შემადგენელი ნაწილი – ინფორმაციულია.

ახლა იუმორს შევეხები. თუ ადრე იუმორი ადამიანის ენერგიის მაჩვენებელი იყო, თუ აჩვენებდა ადამიანის უნარს, დადგეს პრობლემებზე და წყენაზე მაღლა, ახლა ის წელსქვემოთ ჩამოვიდა, მტკიცედ ჩაჯდა იქ და სხვა ადამიანების დაცინვად იქცა. ერთმა ნაცნობმა ასეთი რაღაც მითხრა: "თქვენ ამბობთ, რომ სიცილი მოჭარბებული ენერგიის დახარჯვის საშუალებაა, რომ ის ააქტივებს ორგანიზმის ენერგეტიკას და კურნავს მას. მახსოვს რომ ამას წინათ მთელი საღამო ვიცინოდით და მეორე დღეს ცუდად გავხდი". მე ამ სიტუაციას წარსულში შევხედე და ვუთხარი, რომ მის სიცილში რატომღაც ხალხისადმი ზიზღის და მათზე უპირატესობის შეგრძნება იყო, ამიტომაც გახდა ცუდად. ერთი კვირის შემდეგ დამირეკა და მითხრა, რომ ყველაფერი გაახსენდა. "მართლაც, ჩვენს კომპანიაში ერთი გოგონა იყო. გახუმრება და დაცინვა დავუწყეთ მას და შემდეგ ეს ნიაღვარივით წამოვიდა. არ ვიცოდი თუ დაცინვას ავადმყოფობის გამოწვევა შეეძლო" – მითხრა მან.

ასე რომ ჩვენთან რუსეთში ახლა იუმორი ძირითადად სექსუალურ-დამცინავია. და მხოლოდ ცალკეული ნიჭიერი მსახიობები იკავებენ თავს ამისგან.

დღევანდელი თამაში მთავრდება. თამაში, სახელად ცხოვრება, კვლავ გრძელდება. როცა ისიც დამთავრდება, გაგრძელდება ახალი თამაში, ოღონდ ამჯერად სულისთვის. და ყველა ეს თამაში ერთ მთავარ წესს ემორჩილება, რომლითაც ცხოვრობს და ვითარდება მთელი სამყარო.

სოდომი და გომორი

ოთხმოცდაათიანი წლების დასასრულია. მე ვზივარ ავტომობილში, რომელიც შესანიშნავ ტრასაზე მიქრის. გარშემო უდაბნოა, კლდეები, უსასრული მოყვითალო ქვიშა. ჩვენ მკვდარი ზღვისკენ მივდივართ. პეიზაჟს ვუყურებ და მოგონებებში ვიძირები. ამის წინ, როცა ისრაელი მოვინახულე, რამდენიმე საათი ვხეტიალობდი უდაბნოში ეილატის მახლობლად და ყურებში ზუზუნი გამიქრა, ანუ ეჭვიანობა და დამოკიდებულება ამ სამყაროზე მკვეთრად შემცირდა.

ისრაელში უცნაური ენერგეტიკაა. აქ დროის ორი ნაკადია. აღმოსავლეთი და დასავლეთი ჰარმონიულად ეთანხმება ერთმანეთს. დასავლეთი – ეს ცნობიერებაა, დაკავშირებული მატერიალურ სამყაროსთან, აღმოსავლეთი – ეს ქვეცნობიერია და არამატერიალური სამყარო. რამდენადაც სულიერ სამყაროში ყველაფერი ერთიანია, აღმოსავლეთის ადამიანის აზროვნება ხატ-სახოვანია (образное). ხატ-სახე იეროგლიფებით გადაეცემა. აღმოსავლეთის განსახიერებად გაჩერებული ცნობიერება გვევლინება, ანუ ადამიანი, რომელიც მედიტაციაშია. რა შეიძლება იყოს დასავლეთის სიმბოლო? ოქროს ხარის სიმბოლური ფიგურა, რომელიც ნიუ-იორკის ერთ-ერთ მთავარ ქუჩაზე დგას? ან პლეიბოი, რომელიც მანქანაში ზის ლუდის ქილით ხელში? იქნებ სტრიპტიზ-კლუბები? მაგრამ ინტერესი შიშველი ქალებისადმი დასავლეთში თანდათან კლებულობს, რადგანაც მამაკაცების პოტენცია კლებულობს და ცისფერების რაოდენობაც მატულობს. ძნელი სათქმელია. თუ აღმოსავლეთს გააჩნია თავისი ხატ-სახე, დასავლეთი ცალკეულ ნაგლეჯებად აღიქმება, ისევე როგორც მისი აზროვნება, მეტყველება და ანბანი.

მიღების წინ საჭირო გაცემა. იმის წინ, ვიდრე ადამიანურ კეთილდღეობას მივიღებთ, საჭიროა ხანგრძლივად ვთქვათ მასზე უარი. და ინდოეთში რომ არ ჩამოყალიბებულიყო სამყაროსგან აბსოლუტური მოწყვეტილობის იდეა, ალბათ არც თანამედროვე დასავლური ცივილიზაცია ჩამოყალიბდებოდა.

განვითარება სინუსოიდის პრინციპით ხდება. თუ სპირალს გვერდიდან შევხედავთ – სწორედ ეს იქნება სინუსოიდა.

ნიშნული (маятник), დააგროვებს რა სულიერ პოტენციალს, მატერიალურისკენ იწყებს სწრაფვას, მაგრამ იქ გაჩერებაც არ შეუძლია დიდხანს. ნიშნულის გაჩერება ეს სიკვდილია. სავარაუდოდ სიცოცხლე თავდაპირველად ასე ვითარდებოდა. გაჩერების და მომავლის ინტენსიური დაგროვების ფაზა იცვლებოდა აქტივობის, აწმყოსთან ურთიერთქმედების და მომავლის თანდათანობითი დახარჯვის ფაზით. განვითარების დაჩქარებამ ორმაგი სპირალის შექმნამდე მიგვიყვანა და ცოცხალ ორგანიზმში უკვე ორი ურთიერთსაპირისპირო პროცესი ერთდროულად ხდებოდა. სამყაროში ყველაფერი მეორდება. ადრე ცივილიზაციები აგროვებდნენ სულიერ პოტენციალს, ხარჯავდნენ მას მატერიალურ სრულყოფაში და კვდებოდნენ. ორი ურთიერთწინააღმდეგობა: სულიერი და მატერიალური, შეერთდნენ დროში, მაგრამ არა სივრცეში. ადრე თუ გვიან აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ტერიტორიაზე უნდა მომხდარიყო ამ ორი წინააღმდეგობის შეერთება დროის მცირე მონაკვეთში. ეს იქნებოდა ახალი ეტაპი კაცობრიობის განვითარებაში. მაგრამ ამის წინ წინააღმდეგობები უნდა მიხვედრილიყვნენ, რომ ვერცერთი მათგანი ვერ გაძლებდა ცალ-ცალკე. თუ ნებისმიერის ენერგია იზრდება და არ გადადის საწინააღმდეგოში, ხდება თვითლიკვიდაცია. ნებისმიერმა სისტემამ, აღწევს რა თავის განვითარებაში ენერგიის რაღაც დონეს, თავისი ურთიერთწინააღმდეგობა უნდა შექმნას.

“საინტერესო სურათია, - ვფიქრობ მე. – მთელი თანამედროვე ცივილიზაცია შეიქმნა როგორც კოლოსალური იმპულსე ადამიანურისგან მოწყვეტისა და მომავლისკენ სწრაფვისა. ეს ინდოეთის რაიონში იყო. რასია მედიტაციის აზრი? სხეულის და ცნობიერების ყველა ფუნქციის გაჩერებაში. სამუშაო, ოჯახი, ურთიერთობა, აზრები, მხედველობა – ეს ყველაფერი უნდა გაჩერდეს. ადამიანი ტყეში ან გამოქვაბულში მიდიოდა და დიდხანს მედიტირებდა დახუჭული თვალებით. თანდათან ის თიშავდა სხეულის ფუნქციებს. სექსი, კვება, სუნთქვა, ნივთიერებათა ცვლა, გულისცემა – ყველა ეს ფუნქცია თანდათან ქრებოდა. თავისუფლდებოდა ენერგიის უზარმაზარი რაოდენობა, რომელიც არამატერიალური სხეულის, მომავლის ფორმირებაზე იხარჯებოდა.

იმისათვის რომ ახალი არსება დაიბადოს, საჭიროა დნმ, მომავლის შეკუმშული პროგრამა. იმისათვის რომ ახალი ცივილიზაცია დაიბადოს, თავიდან მისი სულიერი მომავალი უნდა ჩამოყალიბდეს. შემდეგ ის წერტილში შეიკუმშება და გაჩნდება აღმოჩენები რელიგიის, კულტურის, მეცნიერების სახით. იდეა დიდხანს იბადება და არაფერი არ ღირს. შემდეგ იდეები ემოციებად იკუმშება და ჩნდებიან მუსიკოსები, პოეტები, მხატვრები. მათი შრომა უკვე ღირებულია და ფასდება. ემოციური სფერო, იქცევა რა კულტურულად, ბადებს ტექნიკურ და მატერიალურ მიღწევებს – აქ გამომუშავების შესაძლებლობა იზრდება. მრავალი ათასწლეულის განმავლობაში აღმოსავლეთი აღმოსავლეთი ბადებდა იდეებს, ახლო აღმოსავლეთი გრძნობებად აქცევდა მათ, ხოლო დასავლეთი მატერიალურ სფეროს ქმნიდა.

ეს პროცესი მკვეთრად შესამჩნევი უკანასკნელ ასწლეულებში გახდა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მსოფლიო ისტორიის ნიშნული შეუკავებლად გადაიხარა მატერიალურისკენ. ორმაგი სპირალის ბუნებრივი სიმბიოზი დაირღვა – დასავლეთმა აჯობა აღმოსავლეთს და თავისი მსოფლმხედველობა მოახვია თავს. დღეს პრაქტიკულად მთელ მსოფლიოში ასკეტიზმი და სულიერება აღარაა მთავარი ბედნიერება. ფული და მატერიალური კეთილდღეობა გამოხატავენ ბედნიერებას არა მხოლოდ დასავლეთის, არამედ აღმოსავლეთის ადამიანისთვისაც. არავის არ უნდა გასამრჯელოს გარეშე მუშაობა, ახალგაზრდობა ოქროს ხბოსადმი თაყვანისცემისკენაა მიდრეკილი. სახეზეა ფულის ზედმეტი რაოდენობა და იდეების ნაკლებობა. ყველაზე დიდი ენერგეტიკა აქვს ბავშვს 9-დან 16 წლამდე. ეს ენერგია იქით მიედინება, საითაც მისი წარმოდგენაა ბედნიერების შესახებ. ახლა ეს წარმოდგენები მჭიდროდაა დაკავშირებული სხეულთან და ცნობიერებასთან.

თანამედროვე ცივილიზაცია გავს ადამიანს, რომელმაც ყრუდ ჩაიკეტა თავი ჰერმეტულ ოთახშიდა ვერ ხვდება რომ მალე გაიგუდება. ჰაერი – ეს იდეებია. მთავარი იდეა სულის განვითარებაა, ხოლო ტექნიკურ განვითარებაზე მიმართული იდეა, ამონასუნთქ ჰაერს გავს. ის ცირკულირებს და მასში სულ უფრო მცირდება ჟანგბადის შემცველობა. და ის, რომ დღეს მსოფლიოში ფსიქიური დაავადებების აფეთქებაა და სულიერ დაავადებებს სხეულის დაავადებებიც სწრაფად ემატება, იმის ნიშანია, რომ კაცობრიობა თანდათან იგუდება.

მახსენდება ციტატა ძველი აღქმიდან: ... *თუ შეისმენ ღვთის ხმას, გააკეთებ მის თვალთათვის სასიამოვნოს, ყურად იღებ მის მცნებებს და დაიცავ მის წესებს, არ მოვმართავ შენსკენ არც ერთ ავადმყოფობას, რომლებიც ეგვიპტეზე მივმართე, რამეთუ მე ვარ ღმერთი შენი მკურნალი.*

ტრასა, რომელსაც მკვდარი ზღვისკენ მივყავარ, რბილად უხვევს და ახალი პანორამა იშლება. უდაბნოს სიმშვიდე და უსაზღვროება აზრების გაჩერებას იწვევს. ჩვეულებრივი ცნობიერება აქ ვერაფერს მოეჭიდება. ის მშვიდდება და წერტილად იკუმშება. გარესამყარო უკვე ცნობიერების სხვა ფენით აღიქმება, რომელშიც არაა ამაოება, შიში და პრეტენზიები.

რატომ მიმართა უფალმა ადამიანებს სწორედ ამ ადგილებში? ალბათ იმიტომ, რომ აქ დროის ნაკადები ორმაგ სპირალს წარმოადგენენ. ჩემს წინ ძველი აღქმის დროინდელი პეიზაჟები იშლება. აქ ეძლეოდა ადამიანებს ღვთაებრივი ენერგია და ინფორმაცია. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს კონტაქტი ძალიან სახიფათო იყო.

გამოიყვანა ბანაკიდან ხალხი მოსემ ღვთის შესახვედრად და დადგნენ მთის ძირას. ბოლავდა მთელი სინაის მთა, რადგან უფალი იყო მასზე ჩამოსული ცეცხლის ალში; როგორც ქურას, ისე ასდიოდა კვამლი და ძლიერად ირყეოდა მთა. თანდათან ძლიერდებოდა საყვირის ხმა (გამოსვლა. 19, 17-19).

“საინტერესოა, - ვფიქრობ მე, - ადრე ამ ყველაფერს როგორც ზღაპარს ისე აღვიქვამდი. მიწისძვრა და ვულკანის ამოფრქვევა წარმომედგინა როგორც გზააბნეული ებრაელების დასაშინებელი ელემენტი”. გავიდა ხანი და დავჭკვიანდი. და ახლა ჭექა ქუხილმა და მეხმა, ცეცხლმა, მიწისძვრამ სულ სხვა აზრი შეიძინეს.

იმის წინ, ვიდრე ადამიანები ათ მცნებას მიიღებდნენ, მიწაზე ღვთაებრივი ინფორმაცია და ენერგია დაეშვა. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, იმისათვის რომ ახალი ინფორმაცია მიიღოს, კაცობრიობამ კატაკლიზმების პერიოდი უნდა გაიაროს. ადრე არსებობდა ერთიანი ებრაული ხალხი და გამოცხადება, რომელიც ზემოდან მიეცათ. ახლა მთელი კაცობრიობა ერთიანი ხალხი გახდა. ეს ნიშნავს, რომ გამოცხადება, რომელიც ჩვენთან მოვა და ღვთაებრივი ენერგიის მასშტაბები გაცილებით მეტი უნდა იყოს. და თუ ცალკეული ადამიანი, ისეთი როგორიც აბრაამია, ღვთაებრივ ინფორმაციას მინიმალური ენერგიით ღებულობდა, რადგან მომზადებული იყო, ადამიანების დიდი რაოდენობისთვის ღვთაებრივი გამოცხადება უზარმაზარი ფიზიკური ენერგიის გამოყოფის თანხლებით ხდებოდა. მოუმზადებელი ადამიანი ვერ აითვისებდა ამ ენერგიას და დაღუპვისთვის იყო განწირული. ამიტომაც უთხრა ღმერთმა მოსეს, რომ ხალხი არ მახლოებოდა ენერგიის გამოდინების ადგილს.

ადამიანის ტრანსფორმაცია სულის მეშვეობით ხდება და თუ მისი სული ძალიანაა მიჯაჭვული სხეულზე და სურვილებზე, ტრანსფორმაციის დროს სხეული ტანჯვისაგან იკრუნჩხება და ადამიანი კვდება. ამიტომ ღვთაებრივ ინფორმაციას მხოლოდ ის მიიღებს, ვინც მინიმალურადაა მიჯაჭვული სხეულზე და ცნობიერებაზე. მღვდლებმაც კი უნდა განიწმინდონ თავი, რათა ღმერთმა არ განგმიროს ისინი. მხოლოდ ორმა ადამიანმა – მოსემ და მისმა თანამგზავრმა – შეძლეს ღვთაებრივთან კონტაქტში შესვლა და გადარჩენა. ათი მცნების მისაღებად მათ საკუთარი სულის ძირფესვიანი ტრანსფორმაციისთვის უნდა გაეძლოთ. აღმოჩნდა, რომ ნებისმიერი ახალი ინფორმაცია მეტად სახიფათოა მოუმზადებელი ადამიანისთვის.

მე როგორღაც გამოვთვალე, რა დრო ჭირდება ადამიანს იმისთვის, რომ ის შინაგანად მოწყდეს თავის სურვილებს და ლოცვამ რეალურად იმოქმედოს. აღმოჩნდა, სამი დღე. სამი დღე უნდა ვიყოთ განმარტოებული მკაცრ მარხვაზე. მაშინ ხდება ხდება ცნობიერებისგან მოწყვეტა და ჩვეული ჯაჭვების გაწყვეტა. პაციენტებს ვეუბნებოდი: “წარმოიდგინეთ ყველა თქვენი პრობლემა, ხუთი ნაბიჯით დაშორდით მათ, დაიცადეთ რაღაც პერიოდი, შემდეგ კი უფრო მეტად დაშორდით. შემდეგ აზრობრივად დახურეთ კარი და კარს მიღმა დატოვეთ ისინი. ახლა ყველაფერს მოწყდით და სამი დღე ილოცეთ. სამი დღის შემდეგ შეძლებთ შეცვლას, შესაბამისად შეიცვლება თქვენი ბედიც.”

ისევ გამახსენდა ციტატა ძველი აღქმიდან: *ჩამოვიდა მოსე მთიდან და განწმინდა ხალხი; გაირეცხეს მათ სამოსელი. უთხრა ხალხს: ზეგისთვის გაემზადეთ, დედაკაცს არ მიეკაროთ. (გამოსვლა 19, 14-15)*

ეს ნიშნავს, რომ მინიმალური ვადა, რომლის განმავლობაშიც ღვთაებრივის მისაღებად უნდა მოვემზადოთ, - სამი დღეა. და ამჟამინდელ დროში, თუ ტაძარში გვინდა მისვლა, ეს არ უნდა გავაკეთოთ დალევის, ზედმეტი ჭამის ან საწოლის შემდეგ. წყალი რეცხავს ემოციებს, ამუხრუჭებს ცნობიერებას, ადამიანს ახალის აღქმის შესაძლებლობებს აძლევს. საკვირველია, მაგრამ რეკომენდაციები ჩვეულებრივი ადამიანისათვის მინიმალურია: სამი დღე არ გავეკაროთ ცოლს, ვიბანაოთ და მოვემზადოთ ღმერთთან შესახვედრად. გამოდის, რომ ერთ-ერთი მთავარი შეფერხება ღვთაებრივის შეცნობისათვის – სექსუალური სურვილების დაკმაყოფილებაა. აქედან მარტივი დასკვნა: ადამიანისთვის, რომელიც სექსუალურ სურვილებზე ვერ ამბობს უარს, ღვთაებრივ ენერგიასთან შეხება პრაქტიკულად შეუძლებელია. და თუ ღვთაებრივი ენერგია მიწაზე დაეშვება, ასეთი ადამიანი ტანჯვით მოკვდება.

ეს დასკვნები რაღაც მოვლენებს მახსენებს. ვცდილობ შეგრძნებები აზრებად ვაქციო, მაგრამ არ გამომდის, ფიქრი მძღოლმა შემაწყვეტინა, რომელმაც შემატყობინა: “მკვდარ ზღვას ვუახლოვდებით. აქვე ახლოს დასათვალიერებელი მოედანია, საიდანაც შესანიშნავი ხედი იშლება. გავჩერდეთ?” “რა თქმა უნდა”, - ვეუბნები მე.

გზიდან გადავდივართ და ისეთ ადგილას ვჩერდებით, სადაც მცხუნვარე მზისგან დამალვა შეიძლება. ხედი არაჩვეულებრივია. შორს მოწითალო-მოიისფრო მთები მოჩანს. მკვდარი ზღვა მუქი ლურჯიდან ღია მწვანე ფერში გადადის და ბრწყინავს მზეზე. ახლა ვხვდები რატომ ცხოვრობდნენ განდეგილები უდაბნოში და მთებში. მთებში შენს უბადრუკობას, უსასრულო სივრცესთან შედარებით, კარგად შეიგრძნობ. უნაყოფო და ცარიელი უდაბნო ცნობიერებას და სურვილებს ამუხრუჭებს. სექსუალური ინსტინქტიც ძალიან ეფექტურად მუხრუჭდება. ქვეცნობიერად ადამიანი ბავშვობიდანვე იმად შეიგრძნობს თავს, რასაც ხედავს. უდაბნო აჩერებს სექსუალურ ინსტინქტებს და ღვთაებრივისკენ სწრაფვასაც აადვილებს.

“ეს ადგილი ოდესღაც ოაზისი იყო, - ვფიქრობ მე, - და აქ სექსუალობის შეკავება ალბათ უფრო ძნელი იყო.” თვალში დასახლებული პუნქტის აღმნიშვნელი აბრა მომხვდა. “უცნაურია, არც-ერთი სახლი არ დგას, რა შუაშია დასახლებული პუნქტი?” მე გადავიკითხე აბრაზე დაწერილი დასახელება და მივხვდი რატომ ვერ ვხედავ ადამიანებს და შენობებს. აბრაზე სიტყვა “სოდომი” აწერია. აღმოჩნდა რომ ეს ქალაქი მკვდარი ზღვის გვერთით იყო, თუმცა მაშინ ალბათ ცოცხალი და სიცოცხლისთვის ყველაზე სასიკეთო ადგილი იყო. და აი, სიცოცხლისადმი და კეთილდღეობისადმი თაყვანისცემას სიცოცხლის საფუძვლების თაყვანისცემამდე მივყავართ.

თავიდან ქალს ეთაყვანებოდნენ, შემდეგ ბავშვებს, შემდეგ სექსუალურ სურვილებს. სექსუალური სურვილი, თავისი დანიშნულებისგან მოწყვეტილი, ჩაიკეტა თავის თავში და გადაგვარდა. და უკვე ჰომოსექსუალიზმის ცალკეული ტოტები საშინელ გარყვნილებად გადაიქცა. ადამიანები არამატერიალურის დონეზე ერთიანდებიან, და რაც უფრო ნაკლებადაა ადამიანი სხეულზე მიჯაჭვული, მით უფრო ადვილია

მისთვის სხვა ადამიანებთან ერთობის შეგრძნება. უმაღლესი ერთობა და უმაღლესი მორალი ღმერთის სიყვარულიდან მოდის. თუ ამ სიყვარულს კარგავს, პიროვნება ადამიანურ სიყვარულზე ჩამოდის. ამ ეტაპზე ის ჯერ კიდევ გრძნობს სხვის ტკივილს და შეუძლია თავის შეკავება მკვლელობისგან, ქურდობისგან და მოყვასის დამცირებისგან. მაგრამ როცა ის სექსუალური სურვილების, სხეულის თაყვანისცემის უფსკრულში ვარდება, ადამიანთან ერთობის და მორალის ცნებები ინგრევიან.

ყველა ტომს და ერს ერთ-ერთ ურყევ კანონად სტუმართმოყვარეობის კანონი ჰქონდა. ეს ნიშნავდა, რომ საზოგადოება გახსნილი იყო გარედან მომავალი ინფორმაციისთვის, მზად იყო ცვლილებებისთვის, ამიტომ მომავალში გადარჩენის შანსი დიდი ჰქონდა. საქციელისთვის, რომელსაც ერთი ადამიანი სჩადის, მთელი საზოგადოება აგებს პასუხს, რადგანაც ნატიფ დონეზე ყველანი ერთმანეთთან არიან დაკავშირებულნი. საერთო ბედით ერთიანდებიან ნათესავები, ტომები, ხალხები, სახელმწიფოები. და თუ ერთმა ადამიანმა ჩაიდინა დანაშაული, ეს ნიშნავს რომ ღრმა დონეზე ეს მთელმა საზოგადოებამ ჩაიდინა.

სოდომის მცხოვრებლები მზად იყვნენ გაეუპატიურებინათ და მოეკლათ თავიანთი სტუმრები. ეს ნიშნავდა რომ საბოლოოდ ჩაიკეტნენ ღვთისაგან და მათი შესაძლებლობები ცვლილებებისკენ ფაქტიურად გაქრა. სამყარო უწყვეტად ფართოვდება, ეს ნიშნავს, რომ ხდება სივრცით-ველობრივი სტრუქტურების უწყვეტი ტრანსფორმაცია. იქ, სადაც ცვლილებები არ ხდება, თითქოს ბარიერი, წინაღობა ჩნდება. ღვთაებრივი ენერგია ამ ადგილას გროვდება და შემდეგ უზარმაზარ ერთგვაროვან ნაკადად მოედინება.

კვლავ მახსენდება ძველი აღქმა და ისევ ვხედავ, როგორ მოდის ღვთაებრივი ინფორმაცია ფიზიკური ენერგიის სახით. აბრაამს ღვთაებრივი გამოცხადება მოევლინა:

ოთხმოცდაცხრა წლის იყო აბრაამი, როცა გამოეცხადა უფალი აბრაამს და უთხრა: მე ვარ ღმერთი ძლიერი. იარე ჩემს წინაშე და სრული იყავი. დავდებ აღთქმას ჩემსა და შენს შორის და დიდად, დიდად გაგამრავლებ. პირქვე დაემხო აბრაამი და ასე ელაპარაკა მას ღმერთი: ეს მე ვარ და აჰა ჩემი აღთქმაც: უამრავ ხალხთა მამა შეიქნები! (დაბ. 17, 1-4)

როგორ შეიძლება ერთი ადამიანისგან მრავალი ხალხი წარმოიშვას? მატერიალისტისთვის ამის გაგება შეუძლებელია. მაგრამ როგორც სამყარო შეიქმნა წერტილისგან და დაუჯერებელ მრავალფეროვნებად გაიშალა, ასევე წერტილისგან ჩნდება ახალი კულტურები და ცივილიზაციები. და შემთხვევით არ იყო აბრაამი ოთხმოცდაცხრა წლის. მისი მთავარი ინსტინქტები ჩაცხრნენ, სხეული და ცნობიერება არ თრგუნავდნენ მის სულს, და იმისთვის, რომ მის შვილს სუფთა ღვთაებრივი იმპულსე ეტარებინა და ახალი ინფორმაცია დაეტია, საჭირო იყო, რომ აბრაამისთვის ღვთაებრივი ადამიანურზე გაცილებით მნიშვნელოვანი ყოფილიყო.

მის სულს უნდა აერჩია, რა უფრო მნიშვნელოვანი იყო – ერთიანობა ღმერთთან თუ ამ სამყაროსთან. ადამიანურ სიყვარულს, ადგილი უნდა დაეთმო ღვთაებრივისთვის. აი ღმერთი აბრაამს საკუთარი შვილის მსხვერპლად შეწირვას სთავაზობს და ისიც უყოყმანოდ იღებს მის წინადადებას. მისი სული მთავარ არჩევანს აკეთებს. ეს ნიშნავს რომ აბრაამის შთამომავლობა სუფთა იქნება შეძლებს ღვთაებრივი ინფორმაციის და ენერგიის მიღებას. ამასთან არა მხოლოდ იმ ენერგიის, რომელიც საკუთარი სიცოცხლისთვის სჭირდება, არამედ ძლიერ პერიოდულ იმპულსებსაც, რომლებიც მომავალი კაცობრიობის გადარჩენას უზრუნველყოფენ. ის, რომ ღმერთი გამოეცხადა აბრაამს და მორალური მცნებების შესახებ მოუყვა მას, ნიშნავს რომ იმ დროს მიწაზე ღვთაებრივი ენერგიის იმპულსე მოვიდა. მაშინ პირველად იქნა მოცემული წინადაცვეთის მცნება, როგორც ადამიანური ბედნიერებისგან მოწყვეტის ერთ-ერთი სიმბოლო. მაგრამ თუ მომზადებული ადამიანისთვის ღვთაებრივი მოდის როგორც გამოცხადება და მცნებები, მოუმზადებელისთვის ის ტანჯვის და სიკვდილის სახით მოდის. ამიტომაც ძველი აღქმის მომდევნო გვერდზე მე ვხედავ როგორ ეხება აბრაამთან მოსული გამოცხადება სოდომის და გომორის მომავალ კატასტროფას:

და თქვა უფალმა: როგორ დავუმალო აბრაამს, ჩემს მორჩილს, რის გაკეთებასაც ვაპირებ? აბრაამი ხომ დიდ და ძლიერ ხალხად იქცევა, ყველა ხალხი დედამიწის ზურგზე კურთხეული იქნება მისით; რადგან ვიცი, რომ უანდერძებს იგი თავის შვილებსა და თავის სახლს თავის შემდეგ – იარონ უფლის გზაზე, მოიქცნენ სიმართლით და სამართალი საჯონ, რათა აუხდინოს უფალმა აბრაამს ყველაფერი, რაც ნათქვამი აქვს მასზე. თქვა უფალმა: გახშირდა სამდურავი სოდომსა და გომორზე, მეტისმეტად დაუმძიმდათ ცოდვები. ჩავალ და ვნახავ, საქმით დაიმსახურეს თუ არა სამდურავი ჩემამდე რომ მოაწია (დაბ. 18, 17-21).

ღვთაებრივი ენერგია ყოველთვის ბედნიერებაა. იგი ანახლებს და გადაარჩენს ადამიანის სულს. მაგრამ მოუმზადებელი ადამიანისთვის იგი გამოიყურება არა როგორც ბედნიერება და ტკბობა, არამედ როგორც ტანჯვა სულისათვის, წვალება, ავადმყოფობა და სიკვდილი სხეულისათვის. ღვთის სასუფეველი შეიძლება გამოიყურებოდეს როგორც აპოკალიფსი. "საინტერესოა, - ვფიქრობ მე, - რატომ მაინც და მაინც აქ, ისრაელში მიეცათ ადამიანებს ამ ძალის გამოცხადებები?

ალბათ იმიტომ, რომ ღმერთს სიყვარულით შევიცნობთ. რამდენადაც შემოქმედი დროის ზღვარს მიღმაა, ჩვენ უნდა ავმაღლდეთ დროის ორ ნაკადზე, ავმაღლდეთ მარჯვენაზე და მარცხენაზე, მამაკაცურზე და ქალურზე. ორი ურთიერთსაპირისპიროს გაერთიანება შეიძლება მთავარით, იმით, რაც მათ ნატიფ დონეზე აერთიანებს, ანუ სიყვარულით. თუ ჩვენ ღმერთის შეცნობას მხოლოდ მატერიალურით, ან მხოლოდ სულიერით შევეცდებით, ყოველთვის ავცდებით სწორ გზას.

ამ მიწებზე წარსული და მომავალი გაერთიანდნენ და ერთმანეთს უმაღლესი დაძაბულობით ებრძოდნენ, და სავარაუდოა რომ სიყვარულის გრძნობის განცდა მაქსიმალური იყო. გამოდის, რომ ღვთაებრივი

გამოცხადების მაქსიმალური იმპულსე შეიძლებოდა სწორედ აქ მოსულიყო. გაენადგურებინა მოუმზადებლები და გადაერჩინა ისინი, ვინც სწორი არჩევანი გააკეთა.

ჩვენი დასვენება მკვდარ ზღვაზე რამდენიმე დღე გრძელდება. მის გარშემო მთები და უდაბნოა. ატმოსფეროში უსიცოცხლობა და სიკვდილის არსებობა იგრძნობა. მკვდარი ზღვის წყალი ცხიმიანი და მწარეა. განსაკუთრებული სამკურნალო ეფექტი მისგან ვერ შევამჩნიე. ზემოქმედება უფრო ფსიქოლოგიური აქვს, ვიდრე ფიზიკური. ყოველდღიური ამაოებისგან და პრობლემებისგან მოწყვეტა აქ საკმაოდ ადვილია.

მაშინვე აქცევ ყურადღებას იმას, თუ როგორ იქცევიან ქალები. ისინი აქ მთავარნი არიან. ისრაელში ქალი სრულადაა დაცული სახელმწიფოსგან და მამაკაცის ცხელში ჩასმა ქალს არაფრად არ უღირს. დაბადების მოწმობაში ამერიკელებს ჯერ დედის გვარი უწერიათ, შემდეგ კი მამის. აქ ქალი პირველია ყველა მნიშვნელობით.

- საინტერესო ტრანსფორმაციაა, - ვფიქრობ მე. – ძველი აღქმის პირველ გვერდებზე წერია, რომ მამა ბადებს შვილებს, ქალი კი საერთოდ არაა ნახსენები. რატომ? ალბათ იმიტომ რომ მთავარი ბავშვის დაბადებაში, მისთვის სულიერი ასპექტის გადაცემა იყო და არა ფიზიკური სხეულის გაჩენა. გავიდა ხანი, და ახლა ებრაელის ეროვნება დედით განისაზღვრება, ანუ ქალურმა, მატერიალურმა საწყისმა გაიმარჯვა.

ებრაელი, ეს ხომ იმდენად ეროვნება არაა, რამდენადაც რელიგია. ებრაელი შეგიძლია გახდე, თუ იუდაიზმს მიიღებ. და თუ უეცრად მამა უარს იტყვის იუდაიზმზე და სხვა რელიგიაში გადავა? ეროვნება რომ მამით ყოფილიყო განსაზღვრული, ასეთ შემთხვევაში შვილები ადარ იქნებოდნენ ებრაელები, ხოლო დედა ებრაელად დარჩება, მაშინაც კი თუ რელიგიას შეიცვლის. ამიტომ ებრაელი ხალხის შენარჩუნებისთვის ნაციონალობა დედას მიაკერეს და არა მამას. დაიწყეს ნაციონალობის გადარჩენა და რელიგიის დაკარგვა. ქალურმა, მატერიალურმა საწყისმა სულიერი საწყისის შეცვლა დაიწყო.

ერთმა პაციენტმა ისრაელიდან მომიყვა, როგორ ამცირებდა მისი ძმის ცოლი მის ძმას და დედამისს. დანითაც კი ემუქრებოდა ქმარს.

- ჩემ ძმას ეშინია მისი და ვერ ეწინააღმდეგება, - თქვა ქალმა.
- რატომ არ განაცხადა პოლიციაში? – დავინტერესდი მე.
- ის იტყოდა, რომ ჩემი ძმა დაესხა თავს და თვითონ მხოლოდ თავს იცავდა. პოლიციეს აქ მხოლოდ ქალის სჯერა.
- რა დაემართა ამ მიწას, - ვფიქრობ მე, - იქნებ ამ ადგილებმა შეწყვიტეს შუა ცენტრად ყოფნა? თუმცა ალბათ არა. ისრაელი კარგავს ღმერთის სიყვარულს. რელიგია ფორმალური ხდება. ორი ურთიერთწინააღმდეგობა, ადრე ერთიანობაში მყოფი, იყოფა და კონფლიქტშია ერთმანეთთან. ისრაელის სახელმწიფო ნელა და შეუმჩნევლად ჩოჩდება მატერიალურისკენ. და აქვე ახლოს, პალესტინის მიწებზე, უფრო და უფრო აგრესიულად იქცევიან მუსულმანები, რომლებიც სულიერ საწყისს ეთაყვანებიან.

ვცდილობდი გამეგო, რატომაა ისლამის სიმბოლო ნახევარმთვარე, რატომ არ შეიძლება რამაზანის დროს დღისით ჭამა, მაგრამ შეიძლება მზის ჩასვლის შემდეგ. კარგად ვერავინ ვერ შეძლო ჩემთვის ამის ახსნა. თანდათან ასსეტ დასკვნამდე მივედი: სავეს მთვარე ღამით ძლიერ განათებას გვაძლევს, ხოლო მზარდი თვის დროს იგი მინიმალურია. ჩვენი ცნობიერება სინათლესთანაა დაკავშირებული. ღამით ცნობიერება მუხრუჭდება, იძინებს. შესაბამისად მუხრუჭდებიან სურვილები, მცირდება სიამაყე, ადამიანისთვის უფრო ადვილია მიწიერისგან მოწყვეტა და ღმერთზე ფიქრი. ამგვარად, თუ ადამიანი დღის პერიოდში არ ჭამს სურვილების გაძლიერება არ ხდება. როცა მე ვხატავდი, ვცდილობდი ეს ღამით გამეკეთებინა. ამ დროს უფრო მეტია სამყაროსგან მოწყვეტილობა, უფრო ძლიერია შემოქმედებითი იმპულსი.

ჭეშმარიტი ისლამი ყველა იუდეურ და ქრისტიანულ წინასწარმეტყველს აღიარებს. სულიერი და მატერიალური მასში ჰარმონიულად თავსდება. მაგრამ ეს თეორიულად. რეალურად თანამედროვე ისლამი მძლავრად ისწრაფვის სულიერი პრინციპებისადმი თაყვანისცემისკენ. აქედანაა მომატებული აგრესია, კრიტიკა და მოუთმენლობა. ასეთი სწრაფვა შემთხვევითი არაა. ის აწონასწორებს ისრაელს, რომელმაც რამდენიმე წლის წინ ამერიკული გზა აირჩია და ამიტომ შეუჩერებლად ინაცვლებს მატერიალურისადმი თაყვანისცემისკენ.

"საინტერესო სიტუაციაა, - ვფიქრობ მე, - სახელმწიფოს არა აქვს საკუთარი კონსტიტუცია, მაგრამ მაშინ იდეაში ის რელიგიამ უნდა შეცვალოს. ქვეყანას საკუთარი კანონმდებლობა არა აქვს, ადრე ის ინგლისელების ქვეშ იყო და მათი სასამართლო სისტემა გადმოიღო. ქვეყანას აქვს რელიგია, მაგრამ მისი მცხოვრებლების უმეტესობა მხოლოდ ფორმალურად მისდევს მასდა კარგავს იმას, რისთვისაც შეიქმნა ეს რელიგია. ქვეყანა თანდათან წარმართობაში გადადის. სიცოცხლის, სურვილების, ქალური საწყისისადმი თაყვანისცემა კრიტიკულ ზღვარს უახლოვდება". ისევ გამახსენდა სტრიქონები ძველი აღქმიდან:

თუ არ გაიგონებ უფლის, შენი ღმერთის სიტყვას, არ დაიცავ და არ შეასრულებ ყველა მის მცნებას და წესებს, რომელთაც გიცხადებ დღეს, გადმოვა შენზე ყველა ეს წყევლა და გეწევა (მეორ. 28, 15).

დაგამხობს უფალი შენი მტრების წინაშე, ერთი გზით წახვალ მისკენ და შვიდი გზით გაექცევი მას. საფრთხობელად იქცევი ამ ქვეყნის ყველა სამეფოსთვის (მეორ. 28, 25)

ისრაელის ხალხი უკვე იქნა მთელ მსოფლიოში გაფანტული, მას შემდეგ, რაც არ მიიღო ქრისტე და იუდეური ომი დაიწყო. მცნებების ფორმალური დაცვა არ იძლევა ღმერთთან ერთიანობის შენარჩუნების გარანტიას. ახლაც მსგავსი პროცესი შეიმჩნევა. რაც მეტად კარგავს ისრაელის ხალხი ღვთაებრივს და გადადის მატერიალურის თაყვანისცემაზე, მით უფრო აგრესიულად რეაგირებს მასზე არაბული სამყარო.

როგორღაც შევეცადე ნატიფ დონეზე შემეხედა ისლამის ენერგეტიკისთვის მისი გაჩენის პირველ წლებში. აღმოჩნდა, რომ უკვე მაშინ, მეექვსე საუკუნეში, მის ენერგეტიკაში უკვე ფორმირდებოდა კათოლიციზმის მიმართ წინააღმდეგობა, ანუ უკვე მაშინ კათოლიციზმში არსებობდა მატერიალიზმისადმი მიჯაჭვულობისკენ მიმავალი ტენდენციები. ქალური საწყისისადმი თაყვანისცემას კათოლიციზმში უცილობლად უნდა გამოეწვია სულიერების დეგრადაცია. სრულიად ბუნებრივია, რომ მეზობლად უნდა გაჩენილიყო მძლავრი საპირისპირო ტენდენცია მამაკაცური საწყისის პრიორიტეტით და სულიერებისადმი თაყვანისცემით. ასე გაჩნდა ისლამი.

ისრაელში ერთი ცოლ-ქმარი გავიცანი. ისინი მომხიბლავი ადამიანები აღმოჩნდნენ და ჩვენთან ერთად წამოვიდნენ მკვდარ ზღვაზე. მეოთხე თუ მეხუთე დღეს ქალმა მე და ჩემს მეუღლეს ექსკურსიაზე წასვლა შემოგვთავაზა.

- გასაოცარი ექსკურსიაა, - თქვა მან, - იქ, უდაბნოში აღდგენილია მოვლენები, რომლებიც რამდენიმე ათასი წლის წინ მოხდა. ყველა აღფრთოვანებული ბრუნდება.

და აი ვსხდებით ავტობუსში, რომელიც მკვდარი ზღვიდან ზემოთ მიემართება. მე ვუყურებ მოიისფრო-მოვარდისფრო ველს, რომელიც იორდანის მთებიდან ეშვება.

- საინტერესოა, - ვფიქრობ მე, - ფაქტიურად ერთი და იგივე რელიგია, დაყოფილი იუდაიზმად და მუსულმანობად და ორი ტერიტორია, მკვდარი ზღვით გაყოფილი. ერთი მიწა – ორი სხვადასხვა ტერიტორია. თუ მათი ხალხები საერთოი ენას ვერ გამონახავენ, მკვდარი გახდება არა მარტო ზღვა, არამედ მისი შემოგარენიც. მაგრამ ეს საერთო ენა რომ გამოინახოს, ღმერთთან დაბრუნებაა საჭირო.

როცა ადამიანები ღვთაებრივს კარგავენ, მათ ერთმანეთის აღარ ესმით. იგავი ბაბილონის გოდოლის შესახებ სწორედ ამას ამ პროცესს ასახავს. ამასთან ორი ნახევრის ეს კონფლიქტი, რომლებიც სიყვარულს კარგავენ, ქრისტიანობაშიც შეიმჩნევა. და არაა შემთხვევითი, რომ კათოლიციზმი და მართლმადიდებლობა ქრისტეს შობის დღესაც კი სხვადასხვა დროს აღნიშნავენ.

ფანჯრიდან გავიხედე. ღამე იყო. ავტობუსი დანიშნულების ადგილს უახლოვდებოდა.

- საინტერესოა, ვფიქრობდი მე, - როგორაა ისრაელში ყველაფერი შეკუმშული. მე იმ ადგილას ვიმყოფები, სადაც მოდელის საშუალებით იქნა დემონსტრირებული ჩვენი ცივილიზაციის დაღუპვა. აქეთკენ მიდის ახლა მთელი დასავლეთი. ცოდვა არა მარტო ჩაყლაპა ყველაფერი, მას არა მარტო ამართლებენ. ცოდვა, ერთ-ერთი მართლმადიდებლური ლიდერის განცხადებით, მოდური ხდება.

დასავლეთი ფულს და ხორცს სიყვარულზე მაღლა აყენებს, ამიტომ სიცოცხლე იქ თანდათან ქრება და გადაგვარდება. აღმოსავლეთი სულიერებას და პრინციპებს აყენებს სიყვარულზე მაღლა, ამიტომ სხვების და საკუთარი თავის სწრაფი განადგურებისკენ ისწრაფვის. ძნელი სათქმელია რომელი ჯობია. უკანასკნელ წლებში უფრო და უფრო ჩნდებიან ისეთი ადამიანები, რომლებიც მზად არიან რაღაც იდეის გულისათვის მთელი მსოფლიო გაანადგურონ. ფაშიზმი და სოციალიზმიც ამავე სერიიდან იყვნენ. რუსეთმა გადაიტანა სოციალიზმის კატასტროფა და ახლა წვალებით აღწევს თავს დასავლური დემოკრატიის კატასტროფას. ანუ მას აქვს შანსი შუალედური გზის პოვნისა, რომელიც მორალის, ღმერთის სიყვარულიუს და რწმენის გარეშე შეუძლებელია.

ავტობუსი ჩერდება.

- რა ქვია ამ ადგილს? – ვეკითხები თანამგზავრებს.
- მასადი. აქ ადრე უძველესი მიუვალი ციხესიმაგრე იყო. ალყა რამდენიმე წელი გრძელდებოდა. მისი ყველა მცველი იღუპებოდა. ახლა ამის შესახებ მოგვიყვებიან. წავიდეთ.

72 წლის იუდეველების აჯანყების მერე რომაულმა ლეგიონებმა პირისაგან მიწისა აღგავეს იერუსალიმი და ისრაელის მთელ ტერიტორიაზე მხოლოდ ერთი ადგილი დარჩა, სადაც მეამბოხეები ვერ გატეხეს. ეს იყო მასადი. ციხესიმაგრის შტურმით აღება რომაელებმა ვერ შეძლეს, მაშინ გადაწყვიტეს ნაყარით ამოევსოთ უფსკრული მთის მასივსა და კლდეს შორის. მაგრამ ციხის მცველები ქვებს ესროდნენ მათ, ვისაც გრუნტი მოჰქონდა. მაშინ რომაელებმა ტყვე ებრაელები მორეკეს და სიკვდილის შიშით აიძულეს ნაყარის გაკეთება. მცველებმა ვეღარ შეძლეს თანამოძმეების დახოცვა და მდუმარედ უყურებდნენ მათ სამუშაოს.

თითქმის ორი წელი მაღლდებოდა ეს ნაყარი, და როცა რომაელები ციხეში შეიჭრნენ, წინააღმდეგობა არ შეხვედრიათ. ქალები, ბავშვები, მოხუცები, მეომრები – ყველა მოკლული იყო. სულ ათასამდე ადამიანი. და მხოლოდ დამალულმა და ამით გადარჩენილმა მოხუცმა ქალმა მოუყვა რაც მოხდა. ამ ათასიდან არჩეულ იქნა ორმოცდაათი ადამიანი, დას თვითოეულმა მათგანმა 20-მდე მცხოვრები მოკლა. შემდეგ ათი ამოარჩიეს, რომლებმაც დანარჩენი ორმოცი დახოცა. შემდეგ ორი ამოარჩიეს, რომლებმაც რვა დანარჩენი მოკლა, ხოლო ბოლოს ორმა დარჩენილმა ერთმანეთი მოკლა.

მე ვერ მივხვდი, რა ასპექტში ყვებოდნენ ამ ამბავს, დადებითში თუ უარყოფითში, მხოლოდ ერთს ვხედავდი: პრინციპები და იდეალები სიცოცხლეზე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. სულიერება სიყვარულზე მაღლა იქნა დაყენებული. როცა მეომარი ომში იღუპება, ვიღაცის დასაცავად, - ეს სიყვარულის გადარჩენაა. როცა ადამიანები თავს იკლავენ სურვილებისადმი ან იდეალებისადმი თაყვანისცემის გამო, - ეს სიყვარულის უარყოფაა. რომეომ და ჯულიეტამ თავი მოიკლეს, ეთაყვანებოდნენ რა გრძნობებს. შექსპირმა ერთ-ერთმა პირველმა შეამჩნია ეს ტენდენცია, რომელმაც შემდეგ დასავლური სამყაროს განადგურება დაიწყო. ამის წინ კი სოდომი და გომორი იყო. მასადის მცველებმა თავი იმ ცნებებზე დამოკიდებულობის გამო მოიკლეს, რომლებსაც სულიერება, სიამაყე და ღირსება ეწოდება. ამ იდეალების დამცირების ატანა მათ ვერ შეძლეს.

რა იქნება მომავალში? რა სცენარით განვითარდება თანამედროვე ცივილიზაციის დაღუპვა – დასავლურით თუ აღმოსავლურით? თუ კაცობრიობის პატარა მოდელი – რუსეთი – შეძლებს თავის ტერიტორიაზე ხალხების და რელიგიების გაერთიანებას და გზის პოვნას ხსნისაკენ?

ფსიქოანალიზი

ძველი დროიდან უსვამს ადამიანი თავის თავს კითხვას: რატომ ხდება ავად? ცხოვრობდა, მშვენივრად გრძნობდა თავს, წარმატებული იყო და უცებ უბედურებები დაიწყო, მოვიდა ავადმყოფობები და ბოლოს მოკვდა. ავადმყოფობა შემთხვევით არ მოდის – ამას ხალხი კარგა ხანია მიხვდა. ველური ადამიანის პრიმიტიულ ცნობიერებაში მიზეზი და შედეგი ასე უკავშირდება ერთმანეთს: თუ არსებობს ტკივილი, ეს ნიშნავს რომ არსებობს ტკივილის მიზეზიც. ის უნდა გავანადგუროთ, ან უნდა დავუმეგობრდეთ. ტკივილის ხილვადი მიზეზი – ესაა მეზობელი, რომელმაც ჯადო გაგიკეთა, უხილავი – ესაა ავი სული, რომელსაც უნდა მოურიგდე ან მსხვერპლი შესწირო.

ყოველდღე ვხედავთ სამყაროში მიმდინარე მოვლენათა შორის კავშირს. წყალში ქვას თუ ჩააგდებთ, წრეები გაჩნდება, თუ მოჭრით ტოტს, რომელზეც თავად ზიხართ, ჩამოვარდებით, მთლიანად თუ შეჭამთ ზამთრის მარაგს, ზამთარი მოვა და შეიძლება შიმშილით მოკვდეთ. ყოველდღიურად ვხედავთ, როგორ მივყავართ არასწორ ქმედებებს ტრავმებამდე და უსიამოვნებებამდე. ბუნებაში ყველაფერი ურთიერთკავშირშია და ნებისმიერ მოვლენას მიზეზთა ჯაჭვი უძღვის წინ, რომლებიც ხშირად უხილავი და აუხსნელია.

კაცობრიობის განვითარებასთან ერთად ადამიანებმა უფრო ღრმად გააცნობიერეს უბედურებების და ავადმყოფობების მექანიზმი. ისინი, ვინც ძირითად დროს მისტიური ცნობიერების გაღრმავებას უთმობდნენ, სხეულის ფუნქციებს ამუხრუჭებდნენ და თავისი ენერგია სულიერ სფეროში გადაჰქონდათ, მიზეზ-შედეგობრივ მექანიზმებს უფრო დიდ მასშტაბებში ხედავდნენ. ნატიფ დონეზე დრო შეკუმშულია – იქ ერთდროულად შეიძლებოდა წარსულის, აწმყოს და მომავლის დანახვა და ჩანდა, რომ ადამიანი, რომელიც წყენითა და სიძულვილითაა სავეს, 20 წლის შემდეგ ღვიძლის ციროზს და ფილტვების დაავადებებს ღებულობს. იქ ჩანდა, რომ იმ კაცის შვილები, რომელმაც თავისი მეზობელი გაქურდა და მოკლა, რამდენიმე ათეული წლის შემდეგ სასტიკი მკვლელები ხდებოდნენ, ბოლოს კი საკუთარ მამას ქურდავდნენ და კლავდნენ.

რამდენიმე ათასი წლის წინ ინდოეთში გაჩნდა ცნება კარმის – მიზეზ-შედეგობრივი კავშირის შესახებ. ადამიანის ქმედებები, მისი ემოციები და ფიქრები – ეს ყველაფერი მის ფიზიკურ მდგომარეობას და ბედ-იღბალს ქმნის. არცერთი ქმედება, ემოცია ან აზრი არსად არ ქრება, არამედ იწერება სამყაროს ეთერში. ამ ჩანაწერებს ინდოელებმა "აკაშის ქრონიკები" დაარქვეს. ძველ ინდოეთში პირველად ჩამოყალიბდა სულის და სხეულის, როგორც ერთი მთლიანის ცნება. მსოფლმხედველობა, აზრები და ქმედებები ადამიანის სულზე ახდენენ გავლენას. სულის მდგომარეობა კი მის ჯანმრთელობას და ბედს განსაზღვრავს. ადამიანი ავადმყოფი სულით – უპრინციპო, ხარბი, მოდალატე, თავის სხეულზე და სურვილებზე დამოკიდებული, ჯანმრთელი ვერ იქნება. ძველებს ეს მშვენივრად ესმოდათ. აქედან შეიქმნა ქცევის ეთიკური, მორალური ნორმები, რომლებიც სულზე ზრუნვას ემსახურებოდნენ, ათვინიერებდნენ სხეულის მოთხოვნილებებს, რაც მომავალში ჯანმრთელ შთამომავლობას და დღეგრძელ ცხოვრებას განაპირობებდა.

მსოფლიო რელიგიების დამფუძნებლები – წინასწარმეტყველები, წმინდანები, ასევე ხედავდნენ მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს სულსა და სხეულს შორის. მისტიურ გამოცხადებებში ისინი ღებულობდნენ მცნებებს, რომლებიც სულის ჯანმრთელობაზე ზრუნავდნენ. მათთვის გამოცხადებული იყო ღვთაებრივი მცნებების დარღვევის თანმიმდევრობა. ავადმყოფობა ღმერთის მიერ გვევლინება ჩვენი ცოდვებისთვის – ეს აზრი მკაფიოდ და ნათლადაა გადმოცემული ძველ აღქმაში.

"წადი და აღარ სცოდო", - ეუბნებოდა ქრისტე განკურნებულ ავადმყოფს. სხეულის ავადმყოფობა სულის ავადმყოფობაა – ამას მოწმობს კაცობრიობის მთელი მისტიკური და რელიგიური გამოცდილება. მიუხედავად ამისა მეცნიერება, რომელიც მხოლოდ მატერიალური სამყაროსკენ და ადამიანის ფიზიკური სხეულისკენაა მიმართული, დიდხანს ვერ იღებდა ამ მოსაზრებას. ითვლებოდა, რომ მატერიალურის განკურნება მხოლოდ მატერიაურით შეიძლებოდა. ანუ ავადმყოფი სხეულის განკურნება ბალახის ნაყენებით, მალამოებით, ფიზიკური ვარჯიშებით, ოპერაციებით და ა. შ. შეიძლებოდა. მაგრამ ადრე თუ გიან მეცნიერებას უნდა დაეკავშირებინა ადამიანის ემოციები და ქმედებები მის ჯანმრთელობასთან და პიონერად ამ სფეროში ზიგმუნდ ფროიდი გვევლინება. პირველი, რაც მან შეამჩნია, - ისაა, რომ ძლიერი ემოციური განცდები, რომლებიც დიდი ხანია გაქრნენ ადამიანის მეხსიერებიდან, ქვეცნობიერში აგრძელებენ არსებობას.

ქვეცნობიერება ინფორმაციის უნივერსალური საცავი, ყოველი ადამიანის ჟამთააღმწერელი აღმოჩნდა, სადაც აბსოლუტურად ყველაფერია ჩაწერილი. და ქვეცნობიერება, როგორც დადგინდა მჭიდროდაა დაკავშირებული ჯანმრთელობასთან. ის გაცილებით უფრო იდუმალი აღმოჩნდა, ვიდრე მისი მკვლევარები ვარაუდობდნენ. გავიხსენოთ ჰიპნოზის მოვლენა. თუ ადამიანის ცნობიერებას სპეციალური მეთოდებით გავაჩერებთ, მან თავის თავში შეიძლება არაჩვეულებრივი შესაძლებლობები გახსნას – მაგალითად აბსოლუტური მეხსიერება. ადამიანმა შეიძლება მდუღარე წყალში ჩაყოს ხელი და არავითარი კვალი არ დარჩება, შეუძლია საათობით იწვეს შიშველი თოვლზე ყინვაში, მის ქვეშ ყინული გადნება, თავად კი უკურნებელი სენისგანაც კი შეიძლება განიკურნოს. დღემდე არ იციან მეცნიერება რა არის რეალურად ჰიპნოზი, იმიტომ რომ არ იციან, რა არის ქვეცნობიერება. თუმცა უკანასკნელ დროს ამ ფენომენს სხვა

სახელიც მოუძებნეს – ზეცნობიერი, ხაზი გაუსვეს რა ამით სხეულთან დაკავშირებული ცნობიერების მეორად როლს.

დავუბრუნდეთ ფროიდს. მან დაინახა, რომ ძლიერი ემოციები, მიდიან რა ქვეცნობიერში, აგრძელებენ იქ ცხოვრებას და გავლენას ახდენენ ადამიანის ჯანმრთელობაზე, ანუ სული ზემოქმედებს სხეულზე. უჩინარი აზრები და ემოციები ანგრევდნენ სხეულს, ან პირიქით აუმჯობესებდნენ მას. ამის მიხედვით დაინგრა მთავარი მატერიალისტური პრინციპი, მეცნიერების მიერ იარაღად გამოყენებული, რომელიც გულისხმობს, რომ ემოცია და ცნობიერება მეორადია, სხეულისგან და მისი მთავარი ნაწილისგან - ტვინისგან იქმნება და მასზეა დამოკიდებული. არადა აღმოჩნდა, რომ სულს შეუძლია მატერიის მართვა.

ამის ღიად განცხადება იმ დროს შეუძლებელი იყო. ადამიანების ცნობიერება ვერ მიიღებდა ორ ურთიერთსაწინააღმდეგო მტკიცებულებას. მათ მხოლოდ ერთ-ერთი მათგანის მიღება შეეძლოთ: ან სულია დამოკიდებული მატერიაზე, ან მატერიაა დამოკიდებული სულზე; ან მეცნიერება, ან რელიგია. იმას, რომ სული და მატერია ერთი და იგივე სუბსტანციის გამოვლინებაა, რომელსაც დროს ვუწოდებთ, ევროპელის ცნობიერება ვერ დაიტევდა, თუმცა ჯერ კიდევ ძველ ინდურ ტრაქტატებში, რომლებიც რამდენიმე ათასი წლის წინათ დაიწერა, ნათქვამი იყო, რომ ყველაფრის დასაწყისად დრო გვევლინება.

თუ ქრისტიანული ტრადიციით ვიმსჯელებთ და გავიხსენებთ ძველ და ახალ აღქმას, უნდა ვაღიაროთ, რომ სულის განკურნებასთან ერთად სხეულსაც ვკურნავთ. ესე იგი ავადმყოფობას რომ ვუმკურნალოთ, საჭიროა, რომ სული გამოჯანმრთელდეს, უნდა შეიცვალოს ადამიანის ემოციები, ხასიათი და მსოფლმხედველობა. აქედან გამომდინარე მცნებების დაცვა, სწორი კვება, სწორი აზრები, ემოციები და ქმედებები და პირველ რიგში ღვთისადმი მიმართული ლოცვა ხელს უწყობს ადამიანის ხასიათის შეცვლას, მისი სულის განწმენდას და შესაბამისად ავადმყოფობის დაძლევასაც.

მიაქციეთ ყურადღება: ლოცვა, ღმერთისადმი მიმართვა და შემდგომი გამოჯანმრთელება – ეს წმინდად სულიერი აქტია, რომელიც ადასტურებს სულის პრიორიტეტს სხეულზე. მაგრამ თუ სულის განწმენდისთვის საჭიროა მარხვა, თავშეკავება არა მხოლოდ კვებაში, არამედ სექსშიც, თუ სასარგებლოა მაგარი და არა რბილი ლოგინი, თუ ამას განმარტოება და დუმილიც უწყობს ხელს, მაშინ ჩვენ საპირისპირო დამოკიდებულებაც უნდა დავინახოთ. სხეულიც ზემოქმედებს სულზე, მნიშვნელოვანწილად აყალიბებს მას. ამიტომ ნებისმიერ რელიგიაში ქვეცნობიერად იყო აღიარებული სულის და სხეულის ერთიანი ბუნება და ხაზგასმული იყო უხილავი სამყაროს პრიორიტეტულობა მატერიალურთან შედარებით. მატერიალური სამყარო – ეს უხილავი სამყაროს პაწაწინა ნაწილია. ჩვენი ცნობიერება სხეულთან ერთად – ეს პაწაწინა ნაწილია ჩვენი ქვეცნობიერებისა, რომელშიც ინახება წარსულიც აწმყოც და მომავალიც. თუ ქვეცნობიერში მოვინდომებთ შესვლას, მაშინ ადამიანის სულშიც შევალთ და შესაბამისად მასზე ზემოქმედებასაც შევძლებთ. თუ არასწორ ზემოქმედებას მოვახდენთ, მაშინ დავამახინჯებთ ამ სულს.

რელიგიური ადამიანისათვის სული – ესაა არსი, რომელიც უწყვეტადაა დაკავშირებული ღმერთთან და გამოდის, რომ სხვა ადამიანის სულს შეუძლია მხოლოდ ის დაეხმაროს, ვისაც სიყვარული შეუძლია, ვინც უანგაროა, ვინც მცნებებს იცავს, ვინც დაძლია სიხარბე, შური, შიში და წუხილი. მეცნიერისთვის სული – სხეულის ფუნქციაა. ამიტომ რაც უფრო ჯანმრთელი იქნება სხეული, მით უფრო ჯანმრთელი იქნება სულიც. თუ ორგანიზმს "შლაკებისგან" გავწმენდთ და კომფორტულ პირობებში ვამყოფებთ, მაშინ სულიც აყვავებული და ჯანმრთელი იქნება.

ფროიდი, როგორც ჭეშმარიტი მეცნიერი, რომლისთვისაც ცნობიერება, სხეული და მისი მოთხოვნილებები ყველაფერზე მაღლა იდგა, შეეცადა შეეერთებინა ორი ურთიერთსაპირისპირო ტენდენცია. საჭირო იყო პრაქტიკული გამოყენება მოეძებნა ახლად აღმოჩენილი ფენომენისთვის – ემოქმედა ადამიანის სულზე, რათა სხეული გამოჯანმრთელებულიყო. და აი, იყენებდა რა ფროიდის მეთოდს, რათა რეალური ფიზიკური ავადმყოფობისკენ განთავისუფლებულიყო, ადამიანი აზრებით წარსულში ბრუნდებოდა და ხელახლა განიცდიდა ძლიერ ემოციებთან დაკავშირებულ მოვლენებს, და ავადმყოფობაც ქრებოდა. რატომ მივყავართ უარყოფით ემოციებს ავადმყოფობამდე? მექანიზმი ჩანდა, მაგრამ მისი ახსნა ძნელი იყო. მეცნიერულ-მატერიალური აზროვნება, რომელიც ცდილობდა აეხსნა, როგორ შეუძლია სულმა სხეულზე იმოქმედოს, ისევ სხეულის მოთხოვნილებებს დაუბრუნდა.

სხეულის მთავარი ფუნქცია – ინსტინქტების რეალიზაციაა. მათ ბაზაზე ყალიბდებიან უმაღლესი სურვილები. თუ სურვილები და ინსტინქტები დათრგუნულია, ესე იგი სხეულიც დათრგუნულია და ის ავად ხდება. აქედან გამომდინარე თუ გავანთავისუფლებთ ადამიანის სურვილებს და ნებაზე მივუშვებთ მათ, სხეული უნდა გამოჯანმრთელდეს. არსებობენ ცხადი და ფარული სურვილები. რამდენადაც მთავარ სურვილებად ინსტინქტები გვევლინება, ისინი კი ქვეცნობიერში ზიან, მაშინ სიზმრების გაანალიზებისას, რომლებშიც ჩვენი ქვეცნობიერი იხსნება, ჩვენ შეგვიძლია ადამიანის სხეული უსარგებლო დაძაბულობისგან გავათავისუფლოდ და ამგვარად დავამარხცხოთ ავადმყოფობა.

და ამ სქემამ მუშაობა დაიწყო! სურვილების დათრგუნვას ფროიდი კომპლექსებს უწოდებდა, ხოლო რამდენადაც ყველა სურვილი გვარის გაგრძელების მთავარ ინსტინქტამდე დადის, გამოდის, რომ სექსუალური ინსტინქტის დათრგუნვა – ეს ყველა დაავადების მთავარი მიზეზია. რატომაა ასე პოპულარული ფროიდის თეზისი ოიდიპოსის კომპლექსის შესახებ? იმიტომ რომ ფროიდი შეეცადა თავისი სისტემის ორ მთავარ ინსტინქტამდე დაყვანას. პირველი ინსტინქტი – შტამომავლობის გაგრძელება, ანუ სექსუალობაა. მეორე ინსტინქტი – თვითგადარჩენის, თავდაცვის, სიტუაციის მართვის ინსტინქტია. მოვიცილოთ მოწინააღმდეგე და დავეუფლოთ მდედრს – აი ნებისმიერი მამაკაცის მთავარი ინსტინქტები. იმდენად, რამდენადაც მთავარი ინსტინქტები მიმართულია მშობლებისკენ, გამოდის, რომ ადამიანის მთავარი

კომპლექსი – ესაა სურვიული მოკლას მამა და დაეუფლოს დედას. მეცნიერები სრულიად ლოგიკურად მივიდნენ აბსოლუტურ აბსურდამდე. ცდილობდა რა ლოგიკურად დაემტკიცებინა სხეულის პრიორიტეტულობა სულტან შედარებით, მან თავისი სისტემის საფუძვლად აბსოლუტური არამორალურობა და სულის გადაგვარება დააყენა. მიუხედავად ამ მცდელობის ზიანისა და მისი კატასტროფული შედეგებისა, ეს მაინც პირველი მცდელობა იყო მეცნიერების და რელიგიის გაერთიანებისა და ბრწყინვალე მტკიცებულება იყო იმისა, თუ სადამდე მივყავართ მეცნიერების გამარჯვებას რელიგიაზე. ჩნდება ლოგიკური კითხვა: რატომ განვითარდა ასე ძლიერად დასავლეთ სამყაროში ფსიქოანალიზის სკოლები, რატომ მოიპოვა ამერიკის შეერთებულ შტატებში ფსიქოანალიზმა ლიდერის პოზიცია? ვფიქრობ პასუხი მარტივი და ყველასთვის გასაგებია. დასავლეთ სამყაროში ცივილიზაციამ კულტურის, ხოლო სხეულის მოთხოვნილებებმა სულიერი მოთხოვნილებების შეჭმა დაიწყო.

ღვთაებრივისგან ჩნდება დრო. დრო შობს სივრცეს. სივრცე შობს მატერიას. მატერია სულს იდგამს, იწყებს დროისა და სივრცის შეკუმშვას და უკან, ღვთაებრივისკენ ბრუნდება. ღვთაებრივი გამოცხადებები, რომლებიც პერიოდულად მოდიან დედამიწაზე, შობენ რელიგიას. რელიგია თანდათან გადაგვარებას განიცდის და კულტურად გარდაიქმნება. კულტურა ცივილიზაციად იქცევა, მატერიალური ლიდერის პოზიციას იკავებს და თანდათან გუდავს სულიერს, კულტურულს და რელიგიურს. თესლი აღმონაცენს იძლევა, აღმონაცენი ხედ იქცევა, ხე ბერდება და კვდება, მაგრამ მანმადე იძლევა ნაყოფს და ახალ თესლებს. ეს განვითარების წინაპირობაა: ფორმა წყვეტს, შინაარსი კი აგრძელებს არსებობას. ანუ ხე თავისი ევოლუციით სამყაროს ევოლუციის ციკლს გავს.

ნებისმიერი ცივილიზაცია ასევე იბადება, ბერდება და კვდება. ის იწყება ინფორმაციის ახალი პორციით, რომელშიც მისი მომავალია ჩადებული. ინფორმაცია შეიძლება მოვიდეს როგორც ღვთაებრივი გამოცხადება, რომელიც რელიგიური ჭეშმარიტებების სისტემად ყალიბდება. შემდეგ რელიგია კულტურად იქცევა. კულტურა – ცივილიზაციად, ცივილიზაცია ბერდება და კვდება, უფრო და უფრო ეთაყვანება რა მატერიალურს. იმისთვის, რომ საზოგადოება გადარჩეს, საჭიროა ახალ თესლებს გაუფრთხილდეს. თუ საზოგადოება ხელს უწყობს იმათ, ვინც სულის ინტერესებს სხეულის ინტერესებზე მაღლა აყენებს, თუ სულიერება და მორალურობა მომგებიანია, თუ საზოგადოება ხელს უწყობს იმათ, ვინც ღმერთისკენ ისწრაფვის, საკუთარ თავს მატერიალურისგან იზღუდავს, მაშინ ერთი ცივილიზაცია მეორეთი იცვლება და ევოლუცია გრძელდება. ცივილიზაციის დაღუპვისგან თავის აცილების პირველი მექანიზმი ძველ აღქმაშია მოცემული. როცა ღმერთი ეუბნება ებრაელებს, როგორი მძიმე სასჯელი ელით, თუ საკუთარ სულებს არ გაუფრთხილდებიან, ჩვენ ვხედავთ, რომ ამ სახით ხალხის და ცივილიზაციის გადარჩენის მექანიზმი მოგვეცა.

დავუბრუნდეთ ფსიქოანალიზს. სიტყვასიტყვით თუ ვთარგმნით, ეს სულის ანალიზს ნიშნავს. ცნობიერება აანალიზებს ქვეცნობიერებას, ცდილობს ჩაწვდეს მას და მართოს. ყველა ბავშვი ცდილობს თავისი მშობლების მართვას – ეს ზრდის და სწავლის სკოლაა, მაგრამ როცა გარკვეულ საზღვრებს ცდება, საკუთარ თავს მშობლებზე მაღლა აყენებს და მათზე მნიშვნელოვნად თვლის, მას ემუქრება სასჯელი, რომელიც მომავალი უბედურებებისგან გადაარჩენს ბავშვს.

ფსიქოანალიზის თემით მას შემდეგ დავინტერესდი, რაც კითხვა დამისვეს, რატომ შედის ბევრი ფსიქოანალიტიკოსი თავის პაციენტთან სქესობრივ კონტაქტში. ბოლო ხანებში ეს პრობლემა ძალიან სერიოზული და მასშტაბური გახდა. ცდილობენ ებრძოლონ ამას და ვერც კი ხვდებიან, რომ სპეციალისტის არამორალური საქციელი მკურნალობის არსებული სისტემიდან კანონზომიერად გამომდინარეობს. თუ ავადმყოფობის მთავარი პრობლემა – დათრგუნული სქესობრივი ინსტინქტია, მაშინ მივუშვებთ რა ნებაზე, განვკურნავთ ადამიანს. ესე იგი რელიგიით გათვალისწინებული ისეთი ცნებები, როგორიცაა უბიწოება, მორალი, სექსუალური თავშეკავება, ერთგულება ჯანმრთელობის ხელის შემშლელი მთავარი ფაქტორები ხდებიან. და როცა ფსიქოანალიტიკოსი ურჩევს პაციენტს გამოთქვას თავისი სიძულვილი სხვა ადამიანის მიმართ, სახეში შეაფურთხოს მას, აიღოს მანეკენი, რომელიც მტერს გავს და ჯოხით ცემოს იგი, ის ზუსტად და თანმიმდევრულად მიყვება ფროიდის მიერ შექმნილ გამაჯანსაღებელ სისტემას. თუ ამ პრობლემას მსოფლიოს ისტორიის კუთხით შევხედავთ, დავინახავთ, რომ ფსიქოანალიზის სისტემაში აისახა მსოფლიო რელიგიების თანდათანობითი შესუსტება, ერთღმერთიანობის შეუმჩნეველი დაკარგვა და წარმართობაში გადასვლა. საკუთარი სურვილებისადმი და ცხოველური საწყისისადმი თაყვანისცემა – აი რა არის თავისი პრინციპით ფსიქოანალიზი, ადამიანის გადაქცევა ცხოველად.

მახსოვს რას მიყვებოდნენ მორჩილებზე – ანუ ადამიანებზე, რომლებიც ბერად აღსაკვეცად ემზადებიან. მათ უარი უნდა თქვან მატერიალური კეთილდღეობისკენ სწრაფვაზე, სექსუალურ ცხოვრებაზე, მორჩილებით უნდა მოწყდნენ თავიანთ სურვილებს და ჩვეულ ადამიანურ ცხოვრებას. ბევრი ვერ უძლებს ამ ყველაფერს და მოდიან მონასტრიდან, პირველ რიგში ვერ უძლებენ სექსუალურ შეზღუდვებს. გამოდის რომ ამ ადამიანებში ცხოველური ენერგია ღვთაებრივად ვერ გარდაიქმნება. არადა სწორედ ღმერთისადმი სწრაფვა კეტავს ქალებისადმი წყენას, სასოწარკვეთილებას, საკუთარი ბედით უკმაყოფილებას, სხვების განკითხვას, ღვთაებრივი ნების ვერ მიღებას. მაგრამ ადამიანი, რომელსაც არ შეუძლია ღვთაებრივზე გადართვა, ასსეტ შემთხვევაში შეიძლება ავად გახდეს და მოკვდეს, ამიტომაც ის უკან, სურვილების სამყაროში ბრუნდება. აზროვნების უნარის არ არსებობა გამორიცხავს სამყაროს დიალექტიკურ აღქმას – პრინციპში სწორედ ესაა ღვთაებრივი შეხედულება სამყაროზე. ღვთაებრივისგან იბადება დრო, რომელიც ორ ნაკადად იყოფა – წარსული და მომავალი. ეს ორი პოტენციალი ურთიერთქმედებს ერთმანეთთან.

მამაკაცური და ქალური, სულიერი და მატერიალური, წარსული და მომავალი, მარჯვენა და მარცხენა, შავი და თეთრი – ეს ყველა საწყისი, ღვთაებრივის გამოვლინებაა.

ღმერთი რომ დავინახოთ, ერთდროულად უნდა შეგვეძლოს წარსულის და მომავლის ხედვა, ცნობიერებაში მარჯვენის და მარცხენის ერთდროულად შენარჩუნება. როცა ადამიანის სული ამ სამყაროზე ხდება მიჯაჭვული და ღვთაებრივს ივიწყებს, ცნობიერების დამახინჯება ხდება. ადამიანი აზროვნებს კატეგორიებით: მხოლოდ მარჯვენა ან მხოლოდ მარცხენა. მას შეუძლია იყოს მხოლოდ პროკურორი ან მხოლოდ ადვოკატი. ირღვევა სამყაროს მთლიანობა. ადამიანი წყვეტს მიზეზის და შედეგის დანახვას. თუ დათრგუნული სურვილი ავადმყოფობას იწვევს, ყველა მარაგი უნდა გახსნა და ჯანმრთელი იქნები. ან საერთოდ უარი უნდა თქვა სექსზე, ან თაყვანი სცე მას, სინამდვილეში კი იმისათვის, რომ ღვთაებრივი შევიგრძნოთ, უნდა შევაერთოთ ეს ორი ურთიერთწინააღმდეგობა. ცხოველური ენერგია ადამიანურად უნდა გარდავქმნათ, შემდეგ ღვთაებრივად, და რაც უფრო მეტია ღმერთისაკენ სწრაფვა, მით უფრო მეტად იწყებს შეკავებული ენერგია სულის კვებას, ამით კი ადამიანის და მისი შთამომავლობის გადარჩენას და მათ სტრატეგიულ განვითარებას უზრუნველყოფს.

მე ტელევიზორს ვრთავ და ჩვეულ სურათს ვუყურებ. მორიგ ქვეყანაში გამოდის ხალხი პროტესტით და წუხილით. ეკონომიკური მაჩვენებლები დაბალია, ცხოვრების დონე გაუარესდა. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ამას ყოველ წამს გაიძახიან. იმის შესახებ კი, რომ გადაგვარების გზაზეა მორალი და კულტურა, არავინ საუბრობს. იმაზე, რომ ჰომოსექსუალიზმმა ყველა ქვეყანა მოიცვა და იმაზე რომ ეს სულის გახრწნის ნიშანია, არავინ საუბრობს. ხვალ მიხვალთ ფსიქოანალიტიკოსთან და ის დარწმუნებით და თავდაჯერებულად აგიხსნით, რომ სირცხვილის და მორალის გრძნობა – ეს პათოლოგიაა, რომ ეს ჯანმრთელობას ვნებს და თვალის ჩაკვრით მიგანიშნებთ დივანზე, ანუ სულის და სხეულის გამაჯანსაღებელ მთავარ საშუალებაზე. მე ისევ ეკრანს ვუყურებ და ვფიქრობ, მიყიდის რუსეთი სულს ასეთ ფსიქოანალიტიკოსს თუ არა? დრო გვიჩვენებს.

სემინარი ფრანკფურტში

2006 წლის 3 ოქტომბრის დილის 5 საათია. მე უკვე აღარ მძინავს, თუმცა ცნობიუერებას ჯერ კიდევ არ გაუღვიძია ბოლომდე და ქვეცნობიერიც ჯერ კიდევ აქტიურია. ხიდი უსასრულობასა და ჩემს შეზღუდულ აზრებს შორის ჯერ კიდევ არ დანგრეულა. საუკეთესო დროა შემოქმედებისათვის. უკვე იწყებ საკუთარი თავის, როგორც პიროვნების აღქმას, მაგრამ ჯერ კიდევ იქ ხარ – გრძნობების, ხატ-სახეების სამყაროში. ამ ქვეცნობიერში – სამყაროს მთელი ინფორმაციაა. ყველაფერი რაც უკვე მოხდა და ყველაფერი რაც მოხდება. თუ შინაგანი კონცენტრაცია მაღალია, ამ საოცარი საწყობიდან ნებისმიერი ინფორმაციის მიღება შეიძლება. შემოქმედება ჩნდება როგორც ახალი გრძნობა და ამ გრძნობაში, ხატ-სახეშია შეკუმშული ახალი წიგნები, ნახატები, ახალი სამყარო, ბოლოს და ბოლოს.

დღეს სამშაბათია. გასულ უქმეებზე სემინარი ჩავატარე. მომწონს მისი გერმანიაში ჩატარება – ჯგუფი პატარაა, შემთხვევითი ხალხი არ მოდის. ვზივართ ოთახში, ყველაფერი რაღაც შინაურულს გავს. "თქვენ ვერ წარმოიდგენთ რა არის გრძნობა, - ვეუბნები მსმენელებს. – ჩვენი ფიქრები, ჩვენი ცნობიერება სხეულთანაა დაკავშირებული, ამიტომ ისინი დისკრეტულნი არიან და არ ეწებებიან ერთმანეთს. აზრი შეიძლება უამრავი გაჩნდეს და თუ მათი განზოგადება არ მოხდება, შეიძლება ჭკუიდანაც შევიშალოთ. ასი ცალკეული აზრის ნაცვლად ჩნდება ერთი და ეს განზოგადება ხდება გრძნობის, ანუ ქვეცნობიერის ხარჯზე.

გრძნობა მატერიალური ობიექტებიდან არამატერიალურზე გადადის და მასში ინფორმაციის შეკუმშვა ყველანაირად შეიძლება. პრინციპში მთელი სამყარო იკუმშება ერთ გრძნობად – ღმერთისადმი სიყვარულად და მასთან ერთიანობად, და რაც უფრო მაღალია ღმერთისადმი სიყვარული, მით მეტია ჩვენი შესაძლებლობები ინფორმაციის განზოგადებისა და შეკუმშვისა. მაშინ ჭკვიანებიდან ბრძენებად ვიქცევით. აი წარმოიდგინეთ, დაინახეთ ერთმანეთი და რაღაც გრძნობა გაგიჩნდათ, ამ გრძნობაში თქვენს ამჟამინდელ სხეულში გატარებული მოკლე ცხოვრების მთელი გამოცდილებაა. ეს გრძნობა განსაზღვრავს, რა დაგემართებათ უახლოეს მომავალში, და არა მხოლოდ თქვენ, არამედ მთელ ჩვენს ცივილიზაციას. ინფორმაციის სიხშირე გრძნობაში შეიძლება საოცრად გაიზარდოს და ამასთან სიმძიმე არ იქმნება, რადგან იქ არ არსებობს წონა, მეტწილად კი არც ზემო და ქვემო არსებობს."

შაბათს ღამით ერთი რაღაც აღმოვაჩინე – ის ათ მცნებას შეეხებოდა. დღეს ვიღვიძებ და ვცდილობ ისევ ახლებურად გავაცნობიერო ჩემს წინაშე არსებული პრობლემები. დილის 4 საათიდან ენერგიის აღმასვლა იწყება. ეს ტალღა დღის 4 საათამდე იზრდება, შემდეგ კი მისი თანდათანობითი შემცირება ხდება. ყველაზე სუფთა შემოქმედებითი ენერგია დილის 4-დან დილის 7-მდე გაივლის ჩვენში. ეს ლოცვის, შემოქმედების, ახალი წამოწყებების დროა.

უკანასკნელ დროს ყველას ვუმეორებ: "თქვენმა სულმა უნდა აირჩიოს, უნდა განსაზღვროს, რა უფრო მნიშვნელოვანია მისთვის – ერთობა ღმერთთან თუ ერთობა ამ სამყაროსთან".

მოულოდნელად მეხსიერებაში ჩემს ნაცნობთან საუბარი ამომიტივტივდა. "მე ღვთაებრივის შეგრძნება მქონდა, - მიყვება იგი, - იცით ეს როგორ გამოიყურება? მეგობარს ველაპარაკებოდი და გამიჩნდა შეგრძნება, რომ ჩემი "მე" ჩემი სხეულის გარეთაა". – "მართალია, - მხარი დავუჭირე მე, - მეც იგივე გრძნობა მქონდა, ოღონდ სხვანაირად გამოიყურებოდა – თითქოს სხეული უფრო თხელი და ნატიფი ხდებოდა, უფრო მსუბუქი და გაქრობას იწყებდა, ხოლო როცა სხეულის ილუზორულობის ეს შეგრძნება რაღაც ზღვარს აღწევს, ჩვენი "მე" წყვეტს თავის თავის დაკავშირებას მხოლოდ სხეულთან. ის თითქოს

ყველგანაა და წონის შეგრძნება ქრება. ეს არაა ფრენის შეგრძნება, მაშინაც კი როცა დაფრინავ, შენს სხეულთან ხარ მიჯაჭვული". – "გეთანხმები, - მეუბნება თანამოსაუბრე. – უბრალოდ ვეცადე ჩემი მდგომარეობა ისე გადმომეცა როგორც შემეძლო".

შემდეგ საუბარი რელიგიაზე გაგრძელდა. "ბევრ მორწმუნეს, - მეუბნება იგი, - არ შეუძლია რწმენის მისადაგება რეალურ ცხოვრებასთან. ჩემი მეგობარი მუსულმანი დღეში ხუთჯერ ლოცულობს, ყურანის მიხედვით ცხოვრობს, იცავს რამადანს, მაგრამ თუ "გაიშნიკი" გააჩერებს და ფულს წაართმევს, მას ამ მომენტში სძულს და ეზიზღება არა მხოლოდ ეს "გაიშნიკი", არამედ მთელი პოლიცია და მთელი რუსეთიც." "ეს ახლა ყველა რელიგიის პრობლემაა, - შევნიშნე მე, - მორწმუნე ფიქრობს, რომ რელიგია – ერთია, რეალური ცხოვრება კი – მეორე. ზოგიერთი ზუსტად იცავს რიტუალებს, ანუ ინარჩუნებს ფორმას, მაგრამ შინაარსი დაკარგული აქვს. და ეს უკვე ნაპრალი კი არაა რელიგიასა და ცხოვრებას შორის, არამედ უფსკრული, რომელიც თანდათან უფრო იზრდება." სანამ ქვეცნობიერში კუმირების შეცვლა არ მოხდება, სანამ პრიორიტეტების სისტემა საყვარელი ადამიანის სასარგებლოდ აეწყობა, ნებისმიერი პაციენტი, რომელიც ჩემს იმედზეა დაყრდნობილი, წამართმევს ენერგიას. აღმოჩნდა, რომ არასრულყოფილი ადამიანისთვის დახმარების გაწევა სახიფათოა, ამასთან ორივე მხარისათვის. ის, ვინც ეხმარება და ამ დროს საკუთარ თავში ღვთაებრივს ვერ გრძნობს, თავისი დახმარებით გარყვნის მას, ხოლო ის, ვინც იღებს ამ დახმარებას, მომხმარებელი და ვამპირი გახდება და საერთოდ დაივიწყებს ღმერთს. ხოდა გამოდის, რომ არასრულყოფილი ადამიანისთვის გაწეულ დახმარებაზე ის აგებს პასუხს, ვინც მას ეხმარება. ამიტომ ის, ვინც ართმევს, იპარავს, ამცირებს – არ ავადმყოფობს, ხოლო ის ვინც სხვებს ეხმარება, უფრო მალე ისჯება. თითქოს არაა სამართლიანი, სინამდვილეში კი მაღალი რეზონანსია ამაში.

ხარბი, ანგარებიანი, სიყვარულის არ მცოდნე ადმიანის ჯანმრთელობის და ბედის გაუმჯობესება – სახიფათო საქმეა. ეს რყვნის მის სულს და უკანასკნელ ღვთაებრივ ნაპერწკლებს აქრობს მასში. უმეტესწილად წმინდანთან იმისთვის მივდივართ, რომ ჯანმრთელობა და ბედი გავიუმჯობესოთ. და რა თქმა უნდა სულსაც რომ დავეხმაროთ, მაგრამ ამასთან არ გვავიწყდება, რომ ამით სხეულიც უკეთ იქნება, ეს ხომ ანგარებიანი დამოკიდებულებაა ღმერთის მიმართ. და როგორც ღმერთისადმი ვართ განწყობილნი, ისევე ვართ განწყობილნი მთელი სამყაროსადმი. დასკვნა მარტივი და ლოგიკურია. თუ ანგარება და მიჯაჭვულობა ადამიანურ ბედნიერებაზე რომელიმე საზოგადოებაში უკან დასაბრუნებელ წერტილს გაცდება, ამ საზოგადოებაში უკვე აღარ უნდა იყვნენ წმინდანები, მათი დახმარება ზედმეტი იქნება, ანუ უაზრო და საზიანოც. ესე იგი წმინდანების გაქრობა – ეს ნიშანია იმისა, რომ საზოგადოებამ ღვთაებრივი დაკარგა. აი რატომ არ იყვნენ წმინდანები სოდომსა და გომორში.

დასკვნა არ ჩანს ნათელი და შემბრალებელი: ან ყოველი ადამიანი წავა ღმერთისკენ გადალახავს რა ადამიანური ბედნიერების უფსკრულს, ან მართლაც, ადამიანური დახმარება უფრო და უფრო სახიფათო იქნება, აქედან გამომდინარე ადამიანის სულები უფრო სასტიკნი უნდა გახდნენ და კაცობრიობაში ადამიანების ურთიერთგანადგურების ტალღა უნდა წამოვიდეს.

თვითოეულმა თავად უნდა გააღვიძოს თავის თავში ღვთაებრივის წყურვილი. მოწოდებებს რატომღაც არ მოაქვთ შედეგი. აზრები კვლავ ბურუსში მიდიან, მეხსიერება გვეხმარება, რომ ვიყოთ მოვლენაში და ამავდროულად მოვწყდეთ მას. მეხსიერების წყალობით შეგვიძლია აბსტრაგირება, მაშინ მეორეხარისხოვანი იშლება და რჩება მთავარი.

საუბარი სემინარზე ფსიქოანალიზს შეეხო. მაგიდაზე წარილყ დამიდეს, რომელიც ყვებოდა, თუ როგორ მოკვდა ფროიდი. მას ყბების კიბო ჰქონდა – არ შეეძლო ჭამა და ლაპარაკი. გადაცემა ამის შესახებ ცოტა ხნის წინ გავიდა გერმანული ტელევიზიით. მას რამდენიმე ოპერაცია გაუკეთეს, მაგრამ ლაპარაკი მხოლოდ სპეციალურად მისთვის დამზადებული აპარატების მეშვეობით შეეძლო. წერილში იყო კითხვა, შეიძლებოდა ფროიდის მიერ შექმნილი სისტემა მისი სიცოცხლის ბოლოსთან ყოფილიყო დაკავშირებული? ვუპასუხე, რომ ეჭვიც არ მეპარება ამაში.

ახლა შორიდან დავიწყე. რამდენიმე წლის წინ რადიოში საინტერესო ინფორმაცია მოვისმინე. დინოზავრების ნამარხების გვერდით მეცნიერებმა უცნაური წარმონაქმნები იპოვეს – ამორფული მასა, რომელიც ძვლებისგან, ქვებისგან და ა. შ. შედგებოდა. რომელიღაც მეცნიერმა წამოაყენა იდეა იმის შესახებ, რომ ეს იყო მასა, რომელსაც დინოზავრი უკან იღებს პირიდან. მათ უბრალოდ სწორი ნაწლავი და უკანა გასასვლელი არ ჰქონდათ. ჭამდნენ მსხვერპლს, ინელებდნენ კუჭით და უკან აგდებდნენ, ანუ იმდროინდელი ცხოველების საჭმლის მომნელებელი სისტემა დიდად არ განსხვავდებოდა ამებისგან.

და მოკლედ, შთამომავლობის გაგრძელების, ანუ გამრავლების ბიოლოგიური მექანიზმი თავიდან კვებასთან იყო დაკავშირებული და არა სექსთან. ცხოვრების შენარჩუნების და ხელის შეწყობის იმპულსი უფრო ადრე გაჩნდა, ვიდრე მისი გაგრძელების იმპული. უფრო სწორად სიცოცხლის გაგრძელება თავიდან კვებით ხდებოდა, შემდეგ კი ენერგია უკვე გამრავლებაზე იხარჯებოდა. ამიტომ თუ ადამიანი შიმშილობს, პირველი მასში სექსუალური ინსტინქტი ქვრება, ხოლო სურვილების თემა ღრმა დონეზე პირველ რიგში პირთანაა დაკავშირებული. სურვილების სიმბოლოდ პირი გვევლინება.

ერთმა ქალმა-სტომატოლოგმა მომიყვა, რომ კბილების პრობლემები ყოველთვისაა დაკავშირებული შარდ-სასქესო სისტემის პრობლემებთან და თუ ქალს სექსუალური პრობლემები ეწყება, შემდეგ კბილების პრობლემებიც დაეწყება. თუ შარდსასქესო სისტემის პრობლემები უარესდება, კბილების მკურნალობამ მცირე ეფექტი შეიძლება მოგვცეს და უსიამოვნო გართულებებიც.

"სხვათაშორის, - მივმართავ მსმენელებს, - როცა ფრანკფურტში მოვფრინავდი თვითმფრინავით, ხელში მეჭირა წიგნი წმინდან ალექსანდრე სვირსკის შესახებ. ის 85 წლის ასაკში გარდაიცვალა, მაგრამ მისმა

წმინდა ნაწილებმა 500 წელს გაუძლეს, არ გამომშრალან და არ გაშავებულან. კანს მოთეთრო მოყვითალო ფერი დაკრავს. წმინდანის ნაწილები სასწაულით გადარჩნენ საბჭოთა მმართველობის დროს. ისინი სამხედრო-სამედიცინო აკადემიის მუზეუმში მოხვდნენ, სადაც მათი ექსპერტიზა ჩატარდა. ყველასთვის გასაგები გახდა რომ ეს წმინდანი ადამიანის სხეული იყო, რადგან ხრწნის ნიშნები ვერ შეამჩნიეს. ექსპერტიზამ აჩვენა, რომ ძვლები და კბილები 60 წლის ადამიანს ეკუთვნის, მაგრამ სხვა ნიშნები ამტკიცებდნენ რომ ეს ნაწილები სწორედ მამა ალექსანდრე სვირსკს ეკუთვნის.

ამოცანის ამოხსნა გვიან მოვიდა. განდეგილ სამყაროსგან დამოუკიდებელ ადამიანში დაბერების და დაშლის პროცესები ნელდება. და პირიქით. მოვიყვან ისტორიას, რომელიც ერთმა მკურნალმა ქალმა მომიყვა.მასთან ქალი მივიდა და ეუბნება: “ჯადო გაუკეთეთ ერთ კაცს, რომ შემიყვაროს – მინდა ჩემთან იყოს.” მე ასსეტ რაღაცეებს არ ვაკეთებ, - უპასუხა მკურნალმა, - წადით აქედან”. ის საშინლად განაწყენებული შებრუნდა, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და იქვე დაეცა. საშველად მიირბინეს, მაგრამ უკვე მკვდარი იყო. მაშინვე სასწრაფო გამოიძახეს, რომელიც 2 საათში მოვიდა. ამ დროის განმავლობაში ქალის სხეული ისე გაიხრწნა და აყროლდა, თითქოს 1 კვირის მკვდარი ყოფილიყოს. ექიმებმა ვერ დაიჯერეს, რომ სიკვდილი სულ რაღაც 2 საათის წინ დადგა. შემდეგ პოლიციეს საქმის აღძვრაც უნდოდა, მაგრამ ვერავის წაუყენეს დანაშაული.

“შემიძლია გავაგრძელო მკურნალობა?” – მეკითხება ქალი. მე საპასუხოდ მხრები ავიჩეჩე: “რა თქმა უნდა. თქვენ მიჩვეული ხართ დაეხმაროთ ადამიანების სულებს და იმ ქალის სულსაც დაეხმარეთ, ხოლო სულის სხეულისგან განშორება ხომ თქვენი ბრალი არ იყო.”

მე არაერთხელ გამიგია, რომ ეჭვიანი, ხარბი, შურიანი, ანუ ვნებებს აყოლილი ადამიანები, სიკვდილის შემდეგ ძალიან სწრაფად იხრწნებიან. მე ერთი ცნობილი მსახიობის, ძალიან ემოციური ადამიანის შესახებ წავიკითხე, რომელსაც ძალიან სწრაფად დაეწყო კბილების დაშლა. ექიმები ხელოვნურ კბილებს უდგამდნენ მას, მაგრამ ასეთი კბილებიც კი 2-3 თვეში იშლებოდა. რატომ ხდებოდა ეს? იმიტომ რომ მსახიობს არ შეეძლო საკუთარ თავში ღვთაებრივის შეგრძნება და სამყარო, რომელსაც ის ქმნიდა სცენაზე, ადამიანური ინსტინქტებისგან იბადებოდა. მაგრამ რადგანაც ნიჭიერი და ღრმა ადამიანი იყო, ის ადამიანის ინსტინქტების ღრმა საფუძვლამდე – გამრავლების ინსტიქტამდე აღწევდა, კონცენტრაციას აკეთებდა სექსუალურ დამოკიდებულებაზე, რომელიც ყველა სურვილის საფუძველია, ხოლო სურვილებზე დამოკიდებულების მატება კი კბილების დაშლას იწვევდა.

მაგრამ დავუბრუნდეთ ფროიდს. ის არა მხოლოდ დამოკიდებული იყო სურვილებზე, ანუ ეჭვიანობდა, წყინდა, სძულდა. მან სურვილებისადმი თაყვანისცემის მთელი სისტემა შექმნა. მის ინტერპრეტაციაში სექსი აღარ იყო სასირცხვილო და ცოდვიანი საქმე.ერთი უკიდურესობიდან, რომლისკენაც რელიგიას მივყავდით, მეცნიერი მეორე უკიდურესობაში გადაიჭრა. ესქსი სასარგებლო და აუცილებელია – ფროიდის ამ დასკვნებმა ხელი შეუწყო დასავლეთში სექსუალური რევოლუციის დაფუძნებას და გააძლიერა დასავლეთ ცივილიზაციის ნგრევის ტენდენცია. სულის გადარჩენისათვის, ფროიდს სხეულთან დაკავშირებული სურვილები და ასევე სხეულთან დაკავშირებული ცნობიერება უნდა დანგრეოდა. ამიტომ ყბების კიბო და კვებისა და მეტყველების პრაქტიკულად შეუძლებლობა კანონზომიერი იყო.

როცა გერმანიაში ნაცისტები მოვიდნენ ხელისუფლებაში, ფროიდი პრაქტიკულად არ დაზარალებულა. ის არ მოხვედრილა საკონცენტრაციო ბანაკში, რადგანაც ომის დაწყების წინ შეძლო ინგლისში წასვლა. ამ გამგზავრებაზე უზარმაზარი თანხა გადაიხადა მისმა ერთ-ერთმა პაციენტმა. მიაქციეთ ამას ყურადღება. ფროიდის სიცოცხლე არ უნდა დასრულებულიყო უეცრად, ის არ უნდა ყოფილიყო მსხვერპლი, წამებული, ანუ თაყვანისცემის ობიექტი. მის სისტემას თავად უნდა შეეჭამა იგი, და ეს მოხდა კიდეც. მან თავად აირჩია თავისი სიკვდილის დღე, როცა მორფის სასიკვდილო დოზა შეუყვანეს, ანუ ფაქტიურად თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე, რამაც კიდევ ერთხელ დაადასტურა მისი წარმართული ფსიქოლოგია და დაასრულა მისი პიროვნების ნგრევა. რატომ მოახდინა ფროიდმა ასეთი გიგანტური გავლენა თანამედროვე ფსიქოლოგიაზე? იმიტომ რომ მან ჭეშმარიტების რაღაც ნაწილი შეიგრძნო (нашурал), მაგრამ ამ ჭეშმარიტების სწორად გამოყენება ვერ შეძლო.

ფაქტიურად დაადასტურა რა სახარებისეული ჭეშმარიტება იმის შესახებ, რომ სულის მდგომარეობა სხეულის მდგომარეობასთანაა დაკავშირებული, ფროიდმა არა მხოლოდ ტგანაცხადა, არამედ დაამტკიცა კიდეც, რომ სულის პრობლემები ავადმყოფობებს იწვევენ და რომ სულზე მოქმედებით შეგვიძლია დაავადებები განვკურნოთ. ამ ასპექტში ფსიქოანალიზი არ მოკვდება, ის კვლავ განაგრძობს განვითარებას. ფროიდმა დაინახა, რომ ღრმა სურვილების გაჩენა ავადმყოფობას იწვევს. მაგრამ რადგანაც მორწმუნე ადამიანი არ იყო, მას არ ეყო სიყვარულის ენერგია ორი ურთიერთწინააღმდეგობის გაერთიანებისთვის.

თუ სურვილებს დავთრგუნავთ, ეს ცუდია და კომპლექსებს იწვევს, ეს ნიშნავს რომ მეორე უკიდურესობაში უნდა გავიქცეთ და ბოლომდე მივყვეთ სურვილების კარნახს. მაგრამ ღმერთი არ მოგვიწოდებს სურვილების ჩაკვლისკენ. სურვილი არ უნდა მოვკლათ, მაგრამ არც უნდა მივუშვათ იგი და არ უნდა დავემორჩილოთ. რელიგია სურვილების შეკავებას მოგვიწოდებს. შეკავების ცნებაში ორი ურთიერთწინააღმდეგობაა, რომლებიც, ერთდროულად თანაცხოვრობენ ერთმანეთთან. სურვილის დათრგუნვა, ჩაკვლა და ამავდროულად მათი სრული გაშლა და განთავისუფლება. ფროიდმა, როგორც მეცნიერმა, როცა დაინახა რომ მარცხნივ წასვლა ცუდია, გადაწყვიტა რომ საჭიროა გავიქცეთ მარჯვნივ. ის, ვინც ღმერთს ვერ ხედავს, ცხოვრებაში ყოველთვის ხან ერთ უკიდურესობაში ვარდება, ხან მეორეში.

ვფიქრობ, რომ ფროიდი თავის აღმოჩენამდე მნიშვნელოვანწილად ქვეცნობიერად ქრისტიანობიდან მივიდა. ქრისტეს ყველა სწავლება ურთიერთწინააღმდეგობებისგან შედგება. ერთი მხრივ ის ლაპარაკობს

თავშეკავებაზე და ყველაფრისგან მოწყვეტილობაზე: იმისთვის რომ ცათა სასუფეველი მოვიპოვოთ, უარი უნდა ვთქვათ სიმდიდრეზე, მსუყე კვებაზე და კეთილდღეობაზე. მაგრამ ამავდროულად ის ამბობს: "ეძიებდეთ და ჰპოვებდეთ, დააკაკუნეთ და გაგიღებენ თუ გექნებათ რწმენა, რომ მთა დაიძვრება და ზღვაში ჩავარდება, ეს მოხდება." ქრისტე გვიხსნის, რომ შიში კლავს ჩვენს სურვილებს და აჩერებს ჩვენს ენერგიას. სიტუაციებით გვიხსნის ამას. აი, პეტრე მოციქული, როცა შეშინდა და არ დაიჯერა საკუთარი შესაძლებლობების ძალა, კარგავს ამ ძალას და წყალში ჩაძირვას იწყებს. თუ ქრისტეს სიტყვებს გავაანალიზებთ, მივხვდებით, რომ არ შეიძლება განახევრებული დასკვნების გამოტანა. გამოდის, რომ სურვილების მოკვლა არ შეიძლება. უბრალოდ საჭიროა შევიკავოთ ცხოველური სურვილები და გზა გავუხსნათ ღვთაებრივ სურვილებს, მაშინ ცხოველური ენერგია გადაიქცევა ადამიანურად და ბოლოს ღვთაებრივად.

ადამიანის სხეულში ენერგიის ორი ნაკადი ცირკულირებს წრიულად: ქვემოდან აღმავალი ღვთაებრივი ენერგია, რომელიც თავიდან ცხოველურ, შემდეგ კი ადამიანურ ენერგიად იქცევა და უკან ბრუნდება, და მაღალი ენერგია, რომელიც ზემოდან მოდის, სადაც ღვთაებრივი გარდაიქმნება სულიერად, შემდეგ ადამიანურად, შემდეგ კი ცხოველურად და ამის მერე არაცოცხალ ბუნებაში მიდის. ღვთაებრივი ენერგია დროის ორ ნაკადს ქმნის, რომლებიც როგორც ორი პოტენციალი, ენერგიას ქმნიან, და აქედან გამომდინარე ნებისმიერ მოძრაობას სამყაროში. რატომ არ შეიძლება სურვილების მოკვლა? იმიტომ რომ ნებისმიერი სურვილი ჩვენი ინსტინქტებიდან მოდის, ინსტინქტები კი ღვთაებრივი სიყვარულიდან მოდიან.

ნებისმიერი სურვილის მკაცრი ჩახშობა ენერგიის მკვეთრ დაცემას იწვევს, სიყვარულიც მცირდება სულში და იზრდება აგრესია, შემდეგ კი იწყება ავადმყოფობები და უსიამოვნებანი, ამიტომ სურვილების მოკვლა არ შეიძლება, საჭიროა მათი აღზრდა. რაც შეეხება ბავშვების აღზრდას. რატომ იზრდებიან არასრულ ოჯახში პრობლემური ბავშვები? იმიტომ რომ ხდება დროის ორი ნაკადის ურთიერთქმედების დარღვევა. როგორც წესი დედა გვევლინება ენერგიის გაცემის, დაუსჯელობის, სიამოვნებების, სურვილების ასრულების სიმბოლოდ. ეს ქვეცნობიერად, ბიოლოგიურად აღიქმება. ხოლო მამა სურვილების შეკავების, მათი შეზღუდვის სიმბოლოა. მამა ზღუდავს და სჯის, დედა ეფერება და იცავს. ასეთ ოჯახში აღზრდილი ბავშვი ჰარმონიულია და მის სულში მეტი სიყვარულია.

მე არაერთხელ მილაპარაკია ლექციებზე მმართველ, ჭკვიან და მკაცრ ქალებზე. მათ როგორც წესი არ ყავთ ბავშვები, ან ავადმყოფი ბავშვები ყავთ. დედა უნდა ეხმარებოდეს ბავშვს გახსნას, გაანთავისუფლოს სურვილების ენერგია, სიყვარულისკენ წარმართოს ისინი, ხოლო თუ დედა თრგუნავს ბავშვს, არ ეფერება და არ ეალერსება მას, მაშინ ჩვეული ქვეცნობიერი მემკვიდრეობითი მექანიზმი აღარ მუშაობს. ბავშვი დაკომპლექსებულია, დათრგუნულია, ის ქვეცნობიერად დედას მიყვება და უკვე თავად იწყებს თავისი გრძნობების და სურვილების დათრგუნვას. და რაც უფრო ნაკლები სიყვარულია მის სულში, მით მეტად აქტივირდება სიძულვილი მთელი სამყაროსადმი.

სიყვარულის და სწორად აზროვნების არ ცოდნა – აი ესაა დანაშაულებების ნამდვილი მიზეზი. როცა ფსიქოლოგები სადისტების და სერიული მკვლელების პიროვნებების შესწავლას შეუდგნენ, დადგინდა საინტერესო ფაქტი. ციხეში ისინი ყველაზე დამცირებულნი და ყველასგან საძულველნი იყვნენ. რაც მეტ დამცირებას და შეურაცხყოფას ღებულობდა ციხეში, მით უფრო სასტიკი და შეუბრალებელი ხდებოდა ის ციხის გარეთ. თუ ენერგია შეჩერებულია – ჩნდება ავადმყოფობა. თავიდან ის ჩვენს გრძნობებში იმალება, შემდეგ კი სხეულში გადადის. ესე იგი თუ ხელახლა ჩავრთავთ ენერგიას, გავანთავისუფლებთ დათრგუნულ ემოციას, ადამიანი გამოჯანმრთელებას იწყებს. პრობლემის გამოთქმა მაინც უნდა შეეძლოს ადამიანს! ამით ენერგიის და სურვილების დათრგუნვის ტენდენციეს შეამცირებს.

ფროიდის მიერ გაკეთებული აღმოჩენა შესანიშნავი იყო და მაშინვე დაამტკიცა საკუთარი ჭეშმარიტება. არ შეიძლება ენერგიის შეკავება, ადამიანის დათრგუნვა. დარჩა უმარტივესი რაღაც: გავარკვიოთ, ვინ არის სინამდვილეში ადამიანი. თუ ადამიანი ეს მხოლოდ სხეული, ცნობიერება, ინსტინქტებია, მაშინ ისინი ბოლომდე უნდა გავანთავისუფლოთ, სისტემა იმუშავებს და მრავალ ადამიანს გადაარჩენს. სისტემამ იმუშავა, მაგრამ დასაწყისისთვის თავისივე შემქმნელი მოკლა.

ოიდიპოსის კომპლექსი ფროიდის კომპლექსით შეიცვალა და ეს კომპლექსი ფსიქოანალიზის ავტორმა ვერ დაძლია. დასკვნა მარტივი და ლოგიკურია – ადამიანი ეს მხოლოდ სხეული, ცნობიერება და ინსტინქტები არაა. ადამიანი ეს უპირველეს ყოვლისა ღვთაებრივი არსებაა და პირველ რიგში მისი დათრგუნვა არ შეიძლება. დაუშვებელია მისი შეკავება და შეზღუდვა. უფრო მეტიც, იმისათვის, რომ ნორმალურად განვითარდეს, საჭიროა პერიოდულად შევიკავოთ ინსტინქტები. უდიდესი ჭეშმარიტებების ზედაპირული ახსნა გაცილებით უფრო სახიფათოა, ვიდრე ნებისმიერი ტყუილი. ადამიანი გრძნობს, რომ ჭეშმარიტება აქვე ახლოსაა და ივიწყებს რა სიფრთხილეს, მეორე უკიდურესობაში გადადის. ვფიქრობ, რომ ქრისტიანობის მიმდევრების უმეტესობა სწორედ ამით სცოდავს. იმისგან, რასაც იესო ამბობდა, იღებენ მხოლოდ იმას, რისი გაგებაც შეიძლება. ადამიანი იმარტივებს გზას და ირჩევს საით წავიდეს – მარცხნივ თუ მარჯვნივ, შემდეგ კი იწყება პრობლემები. და პრობლემები სერიოზულია.

არა აქვს მნიშვნელობა მეცნიერი ხარ, კომპოზიტორი თუ მხატვარი. სამყაროს არასწორი სურათი ადამიანისთვის – ეს ენერგიის არასწორი მიმართულებაა, რომელიც განწირულია ჩაქრობისთვის, აქედან გამომდინარე ადამიანიც და მთელი საზოგადოებაც ამ შემთხვევაში იავადმყოფებს და მოკვდება.

მსმენლებიდან ერთ-ერთი საინტერესო კითხვას მისვამს: "შეგიძლიათ გააანალიზოთ ბულგაკოვის "ოსტატი და მარგარიტა"?" "მოდი ვცადოთ, - ვეუბნები მე, - ექსპრონტად. მეც მაინტერესებს რა გამოვა. გამოდის შემდეგი: მიაქციეთ ყურადღება, რომ ახლა ყველა რეკლამა პოპულარულ ეზოთერულ ჟურნალებში

და წიგნებში მხოლოდ სურვილების ასრულებისკენაა მიმართული? ეს ხომ წმინდა წყლის წარმართობაა. თქვენ გასწავლიან სურვილებზე კონცენტრირებას, სურვილების სასარგებლოდ მომავლის მართვას გასწავლიან, გიხსნიან ტექნიკას, რომელიც აჩქარებს მათ ასრულებას.

ერთ-ერთ ლექციაზე მოვყევი ქალის შესახებ, რომელიც ორი წელი ზედიზედ ლოცულობდა, რომ ბინა ჰქონოდა, სასწაულით მიიღო იგი, ერთი თვის შემდეგ კი ერთადერთი შვილი დაკარგა.

თანამედროვე ეზოთერული წიგნები ძალიან ადვილად იკითხება, რადგან მათ წარმართობაში გადავყავართ. წარმართს, იმისთვის რომ ერთიანი ღმერთი ირწმუნოს, შეიგრძნოს, რომ ყველაფერი ამ სამყაროში შემოქმედს ემორჩილება, ძალიან დიდი ძალისხმევა სჭირდება, უნდა გაიაროს მძიმე გზა სურვილების შეკავებისა და სულიერი ენერგიის მომატებისა. წაიკითხეთ ძველი აღქმა! რა საოცრად მძიმე გზა უნდა გაევლოთ ებრაელებს ერთიანი ღმერთის გაცნობიერებისთვის, აი სულის გახრწნისთვის კი არავითარი ძალისხმევა არაა საჭირო. გახრწნა პირიქით, გვაძლევს "მუქთა" ენერგიას. ამიტომ ჩვენი ცხოველური საწყისი ისწრაფვის იოლი ენერგიისკენ, ანუ ცოდვისკენ, და კიდევ ერთხელ ვუსვამ ხაზს, დეგრადაცია – სასიამოვნოა, ხოლო განვითარება – მტკივნეულია. მაგრამ განვითარება სიყვარულის ენერგიის მომატაბეს გვაძლევს, დეგრადაცია კი გვართმევს მას.

ადამიანები მიეჩვივნენ ფულის გადახდას იმ სიამოვნებებში, რაც სხეულს ჭირდება, ამიტომ ყველაფერს, რასაც ბიზნესი ქვია, ყოველთვის ექნება ტენდენცია სხეულის განვითარებისკენ და სულის გახრწნისკენ. ეს ტენდენცია დეგრადაციისკენ ყოველთვის იარსებებს, მაგრამ მოკვლას ის მაშინ იწყებს, როცა კონტროლიდან გამოდის. და აი დავუბრუნდეთ ბულგაკოვს. ის აღწერს სოციალურ წყობას, ეს ათეისტების წყობაა, ადამიანებისა, რომლებსაც ღმერთის არ წამთ. მაგრამ ადამიანს არ შეუძლია, რომ არაფრის არ წამდეს. ცხოველს შეუძლია არ წამდეს, ადამიანს კი განვითარებული სული აქვს. სული გაცილებით უფრო მეტად მოიცავს დროს და იჭრება მომავალში და რწმენის, რაიმესადმი სწრაფვის გარეშე ადამიანი უბრალოდ ვერ იქნება ადამიანი. ამიტომ ის, ვისაც ღმერთის არ წამს, იწამებს საყვარელ ადამიანს, თავის სურვილს, თავის კეთილდღეობას, ანუ ათეისტი განწირულია იმისათვის, რომ იყოს წარმართი.

როცა პირველყოფილი ადამიანი მიდის ღმერთის წარმართულ გაგებამდე, ის დგამს ნაბიჯს, რომელიც ყოფს მას ცხოველისგან. მიაქციეთ ყურადღება იმას, რომ ყველგან და ყოველთვის ადამიანთა საზოგადოებაში განსაზღვრულ ეტაპზე ჩნდება აუცილებლობა ადგილობრივი სულების, "პატარა ღმერთების" და ა. შ. რწმენისა. იცით რატომ? იმიტომ, რომ ადგილობრივი სული მართავს ყველა მოვლენას ამ ტერიტორიაზე. წამს რა ადგილობრივი ღმერთისა, ადამიანი სწავლობს ირგვლივ არსებული მიზეზ-შედეგობრივი კავშირების შეცნობას. ყველაფერი რაც ხდება, ნებისმიერი მოვლენა ადგილობრივ ღმერთის ნებას ემორჩილება და გამოდის რომ ყველა მოვლენა ურთიერთკავშირშია და ერთი წერტილიდან გამოდის. რაც მეტია საზოგადოების განვითარების დონე, მით უფრო მასშტაბური ხდება წარმართული ღმერთების გავლენის სფერო. რაც მეტი ენერგიაა ადამიანის სულში, მით უფრო ძლიერ გრძნობს იგი მის გარშემო მომხდარი მოვლენების ერთიანობას. და გამოდის, რომ ადრე თუ გვიან თავის განვითარებაში ადამიანი აუცილებლად მივა ერთი უზენაესი ღმერთის იდეამდე, ანუ სამყაროში მიმდინარე მოვლენების აბსოლუტურ ერთიანობამდე. ამიტომ როცა ცხოველი ადამიანად გადაქცევას ცდილობს, ეს ნორმალური პროცესია. როცა წარმართი ერთი ღმერთის იდეამდე მიდის, ესეც ნორმალურია: ადამიანი-ცხოველი გარდაიქმნება უბრალოდ ადამიანად, მაგრამ როცა პირიქით, ადამიანს უნდა ცხოველად გადაიქცეს, მაშინ ნგრევის და ენერგიის დაკარგვის პროცესი როგორც წესი შეუჩერებელია. უკან გზა არ არსებობს.

ამ პროცესს ყოველთვის მივყავდით დაცემამდე და სიკვდილამდე, რაც ძველ აღქმაშია აღწერილი. და თუ ადამიანი, რომელმაც ერთიანი ღმერთი შეიგრძნო, თავის ცხოველურ სურვილებს ნებაზე უშვებს და წარმართობას უბრუნდება, ის განწირულია. წაიკითხეთ ძველი აღქმა, იქ ამის შესახებ კარგად წერია.

ისევ დავუბრუნდეთ ბულგაკოვს. ის წარმართულ საზოგადოებაში ცხოვრობდა და გრძნობდა, ნელ-ნელა როგორ იკარგებოდა მორალური ღირებულებები. ერთღმერთიანობამ ათეიზმის სოუზის ქვეშ ოკულტიზმად და მაგიად გადაგვარება დაიწყო. რა არის მაგია და ოკულტიზმი? ეს საკუთარი ანგარების მიზნით ღვთაებრივის გამოყენებაა. როცა პირველყოფილი ადამიანი მაგიური შელოცვებით ადგილობრივ სულებს უკავშირდება, ესაა მცდელობა მიზეზ-შედეგობრივ კავშირზე გავლენის მოხდენისა რაღაც კონკრეტულ ტერიტორიაზე. მცირე პრიმიტიული სურვილები – მცირე, პრიმიტიული ადგილობრივი სულები. სინამდვილეში მათთან მიმართვის დროს, ადამიანი თავის ქვეცნობიერს მიმართავს და იმ იდეით, რომ ამ ადგილზე მომხდარ მოვლენებთან ერთიანობაშია, გარკვეული დონით მართავს ამ მოვლენებს. რამ როცა ადამიანი სამყაროს შემოქმედს მიმართავს იმავე მცირე ანგარებიანი სურვილებით, სურათი კარდინალურად იცვლება. უჯრედი ცდილობს, რომ დაიმორჩილოს არა რამდენიმე გარშემომყოფი უჯრედი, არამედ მთლიანი ორგანიზმი, დამ ას უკვე აღარ აქვს არსებობის უფლება.

ათეისტური, პრიმიტიულად წარმართული საზოგადოების ნგრევის ტენდენციას, პირველ რიგში მაღალსულიერი ადამიანები გრძნობენ. ხელოვან ადამიანს ემართება ის, რაც შემდგომ მთელ საზოგადოებას დაემართება. მხატვარი გრძნობს და ხატავს იმ ტენდენციას, რომელიც ყველას ეხება. ღმერთზე უარის თქმა არა მხოლოდ წარმართობას, ცხოველურ საწყისად გადაქცევას იწვევს – რამდენადაც ენერგეტიკა მაღალია, ფორმირდება დემონიზმის ტენდენცია (тенденциа дъиаволизма). და ბულგაკოვის ნაწარმოები აღწერს იმ ადამიანის სულის მდგომარეობას, რომელმაც ღმერთი დაკარგა და საკუთარი გადაგვარება შეიგრძნო. მაგრამ ბუნებრივია ეზრდება სიამაყე ავტორსაც, რომელიც თავის ნაწარმოებში მუდამ ცდილობს საკუთარი თავი აღწეროს და ამ სახით გადაწყვიტოს თავისი პრობლემა. ამიტომაც სავსებით ლოგიკურია, რომ ბულგაკოვს უავადდება თირკმელები და ის კვდება.

და ბულგაკოვამდე უფრო ადრე ღვთაებრივის დაკარგვის, ცნობიერების და სურვილების თაყვანისცემის ტენდენცია გოგოლმა დააფიქსირა. ამიტომ ყავდა მას ამდენი ეშმაკი, ამიტომ დაეწყო ფსიქიური პრობლემები, და მოკვდა ის უცნაურად. შემთხვევით არ დაურქმევია თავისი მთავარი ნაწარმოებისთვის "მკვდარი სულები". ის გრძნობდა როგორ კვდებოდა მისი თანამედროვე საზოგადოება, აღწერა ეს პროცესი და სცადა შეექმნა ხატ-სახე დადებითი გმირისა, რომელიც საზოგადოებას ახალ იდეას, საკუთარი განვითარების იდეას მისცემდა. ეს გოოგოლს არ გამოუვიდა და დაწვა საკუთარი პოემის მეორე ნაწილი. დადებით გმირს, რომლის აღწერასაც იგი ცდილობდა, კვლავინდებურად არ ქონდა სულში სიყვარული, ტრანსფორმაცია ზედაპირული იყო. ასეთი გმირი ვერ იხსნიდა მკვდარი სულების საზოგადოებას. უკანასკნელ წლებში გოგოლმა ღმერთს მიმართა, ისწრაფვოდა მისკენ, მაგრამ რადგანაც თავისი დროის ადამიანი იყო, იგი გარშემომყოფი საზოგადოების ჭუჭყს ატარებდა, თავის თავზე იღებდა და ამ საზოგადოების თვითგანადგურების ტენდენციეს გადალახვა ვერ შეძლო.

"პუშკინზე რაღას იტყვით?" – უცებ დარბაზიდან მკითხა ვიღაცამ. "კარგი, გავიხსენოთ რომელია მისი ერთ-ერთი ცნობილი ნაწარმოები, "сказка о попе и работнике его балде" – ეს ღვთისმსახურების გამასხარავებაა. პუშკინი ხედავდა, რომ ეკლესია, რომელიც სახელმწიფომ დაიქვემდებარა, იწყებს მსხვილ ფეოდალურ მანქანად გარდაქმნას. უპატივცემულობა ეკლესიისადმი მან ქრისტიანობისადმი და ღვთის რწმენისადმი უპატივცემულობაში გადაიტანა. ამ სახიფათო ზღვარის გადალახვა ადვილი იყო, რადგან ეკლესიამ მყარად დაუკავშირა თავისი თავი ქრისტიანობას და მხოლოდ თავისი გავლით აძლევდა ხალხს ღმერთის შეცნობის საშუალებას. პუშკინი კარგავს რწმენის და ღმერთთან ერთიანობის შეგრძნებას, იწყებს თავისი სურვილების, ინსტინქტებისადმი თაყვანისცემას. იწყება განუწყვეტელი სექსუალური თავგადასავლები. მას ქონდა ორი ტენდენცია: მოეხდინა თავდაცვა-მართვის ინსტინქტის, ან გვარის გაგრძელების ინსტინქტის რეალიზება.

თუ დავუფიქრდებით, პოემა "ევგენი ონეგინი" არის ადიარება იმისა, რომ მან ვერ გაიგო როგორაა მოწყობილი სამყარო, როგორ უნდა ვიურთიერთოთ მასთან, როგორ ვიპოვოთ ცხოვრების აზრი, როგორ მოვიპოვოთ და გავიგოთ საკუთარი ბედი. რადგანაც პირველი ინსტინქტის რეალიზება ვერ მოხდა, დარჩა მეორე. სექსი ადამიანის სხეულთანაა დაკავშირებული, მის "ეგო" – სთან. სურვილებისადმი და სექსისადმი თაყვანისცემა აძლიერებს ადამიანის ეგოიზმს. რაც მეტია საკუთარი თავის თვითშეფასება, მით უფრო იზრდება სიამაყე და კლებულობს მორალურობა. და აი პუშკინი უკვე არა მხოლოდ აცდუნებს ქალებს, არამედ შეურაცხმყოფელ ეპიგრამებსაც სწერს მათ ქმრებს. ჩვენი ურთიერთობა ადამიანებთან უცილობლად დაგვიბრუნდება მომავალში – რატომ? იმიტომ, რომ ჩვენ გვემართება ის, რაც ჩვენი ველის სტრუქტურას, ჩვენს ქვეცნობიერს შეესაბამება. ის, თუ როგორი დამოკიდებულება მაქვს გარესამყაროსთან, თანდათანობით ქვეცნობიერში ილექება და რაღაც დროის შემდეგ მეც ასევე მომექცევიან. ხანდახან ეს უკუკავშირი რამდენიმე ცხოვრების განმავლობაში ხდება, ხანდახან - რამდენიმე წელიწადში. პუშკინი უნდა დატანჯულიყო იმის გამო, რასაც ეთაყვანებოდა. ის, რის გამოც ღმერთს, სიყვარულს ვწყდებით, უნდა განადგურდეს. და როცა თავად აღმოჩნდა ცოლის დალატის ფაქტის წინაშე, აღმოჩნდა, რომ საერთოდ არ შეუძლია იმის ნგრევის მიღება, რასაც ეთაყვანებოდა. და მისი ველური სიძულვილი ტკივილის წყაროსადმი, განკითხვა და წყენა, თვითგანადგურების უძლიერესი პროგრამის ფორმირებას ახდენს. ის განწირულია და შემთხვევით არ ხვდება დანტესის ტყვია მუცელში.

თავისი აუტანელი ტანჯვით მან ნაწილობრივ გამოისყიდა ღვთაებრივის დაკარგვა და ადამიანურისადმი თაყვანისცემა. მრავალი ათწლეულია სკოლებში მასწავლებლები პუშკინის ტალანტს აქებენ, მაგრამ ვერავინ ხვდება, რომ ეს ტალანტი გზას აცდა და თანაც ტრაგიკულად. ეს ტრაგიკული სიკვდილი კანონზომიერი და აუცილებელი იყო მისთვის. ჩნდება კითხვა: და რა შუაშია აქ მეფის მთავრობა, რომელიც ყველა ცოდვაში იყო ბრალდებული? სხვათა შორის ძროხა იმ დროს 4 რუბლი ღირდა, პუშკინმა კი თავის ოჯახს 160 000 რუბლი დაუტოვა ვალი. ეს ვალები შემდეგ მეფემ გაისტუმრა.

მე ვფიქრობ, რომ ლერმონტოვს სძულდა მეფის რუსეთის უმაღლესი ეშელონები იმიტომ, რომ გრძნობდა, ამ ადამიანებმაც დაკარგეს გზა, არ შეუძლიათ დაეხმარონ ხალხს, რომელსაც მართავენ. მთავრობას, რომელმაც ღმერთი დაკარგა, ქვეყანა კატასტროფისკენ მიყავს – ეს იგრძნო ლერმონტოვმა და ნებისმიერი საბაბით ცდილობდა დაედანაშაულებინა ეს მთავრობა, და რაც უფრო მაგრად უჭერდე ყელზე ყულფი, მით უფრო მეტი სურვილი ქონდა ეპოვა დამნაშავეები, მით უფრო მეტად გროვდებოდა მის სულში ზიზღი და აღშფოთება გარესამყაროსადმი.

ლერმონტოვი, კარგავს რა ღმერთის რწმენას, წვალობს და იტანჯება, როგორც ნებისმიერი ნიჭიერი ადამიანი, მაგრამ პუშკინისგან განსხვავებით, იგი მართვის ინსტინქტის რეალიზებას შეეცადა. ნებისადმი, ბედისადმი, ცნობიერებისადმი თაყვანისცემა სიამაყის უზარმაზარ შემოტევას იწვევს და ადამიანს, იმისათვის რომ შედგეს, სიყვარული აღარ ჭირდება. მას სხვებზე უპირატესობის და სხვების დათრგუნვის შეგრძნება სჭირდება და ლერმონტოვის გმირი პეჩორინი განუწყვეტლივ ამას აკეთებს. მის მიერ ადამიანების დამცირება სასტიკ გამასხარავებაში და აბუჩად აგდებაში გადადის. ის ყველას ამცირებს გარშემო, ფეხქვეშ თელავს ყველაფერს ადამიანურს, მაგრამ იმედი აქვს რომ იპოვის სიყვარულის ნაპერწკალს გარშემომყოფებში და გაჰყვება მას. თუმცა როცა თავადის ასული მერი სიყვარულში უტყდება მას, გრძნობს, რომ მხოლოდ და მხოლოდ ვნების გაღვიძება შეძლო.

მზარდი დემონიზმი აუცილებლად მიგვიყვანს თვითგანადგურებამდე, და აი პეჩორინი უკვე სიკვდილს ეძებს. სიკვდილს ეძებდა თავად ლერმონტოვიც. როცა მან მარტინოვს შეურაცხყოფა მიაყენა, ფარულად სწორედ ამის სურვილი ქონდა. მიუხედავად ყველას წინაშე დამცირებისა, მარტინოვმა პირველად თავი

შეიკავა. “ხომ გთხოვეთ, სხვების თანდასწრებით არ მოგეყენებინათ შეურაცხყოფა,” – ეს უთხრა მხოლოდ. მაგრამ ლერმონტოვი კვლავ ეწევა მას და დამცინავად ეუბნება: “დუელში ხო მარ გამომიწვევ ამის გამო?” პოეტს არ უნდა სიცოცხლე. ის სიკვდილს ეძებს, რადგან გრძნობს, რომ სიყვარული წავიდა მისი სულიდან. ღრმად მოხუცებულ მარტინოვს, როცა ის ავსტრალიაში ცხოვრობდა, კითხეს: “არ ნანობთ, რომ უდიდესი პოეტი მოკალით?” “ყველაფერი რომ განმეორდეს, მაგ არამზადას მეორედაც მოვკლავდი”, - უპასუხა მან.

ხელოვანი ადამიანი ყველაზე წინ უნდა მიდიოდეს – ის სულს აღწერს. ტანჯვით და წვალებით ის აჩვენებს მთელ საზოგადოებას, რა დაემართება ყველას ახლო მომავალში.

- და მუსიკაზე რას იტყვით? – მეკითხებიან დარბაზიდან.

მე მხრებს ვიჩეჩავ. კანონი ყველასთვის ერთია.

- რა შეგიძლიათ გვითხრათ ჩაიკოვსკის შესახებ? – არ ისვენებს მკითხველი.

- თავად მუსიკაზე მიჭირს მსჯელობა, - ვამბობ მე. – მოდი მისი მუსიკა მოვლენებთან მიმართებაში. განვიხილოთ. “გედების ტბა” ალბათ ყველაზე ცნობილი ნაწარმოებია ბალეტის სფეროში. ჩაიკოვსკის მუსიკა, ბუნებრივია სცენარე მომხდარ მოვლენებს უნდა შეესაბამებოდეს. უამრავმა ადამიანმა ნახა “გედების ტბა”, მაგრამ ვფიქრობ, რომ მილიონთაგან ერთმაც კი ვერ გაიგო, რაშია ამ ბალეტის არსი და რატომ უნდა ითამაშოს ოდეტას და ოდილიას როლი ერთი და იმავე ბალერინამ.

თუ ვერ გავიგებთ სპექტაკლის აზრს, ვერც იმას გავიგებთ, რისკენ მოგვიწოდებს იგი და ხელოვნების ნიმუშმა შეიძლება არასწორი მიმართულებით წაგვიყვანოს. საშუალოსტატისტიკური მაყურებელი თანაუგრძნობს ლამაზ და საწყალ ოდეტას, რომელსაც ბოროტმა ოდილიამ საქმრო წაართვა. გამოდის, რომ ბოროტებამ დაამარცხა სიკეთე და მაყურებელი შინაგანად განიცდის, თანაუგრძნობს რა საწყალ ოდეტას. რაც მეტად თანაუგრძნობს მაყურებელი ოდეტას, მით უფრო მეტად გაიზრდება მასში ჰომოსექსუალიზმის ტენდენცია. და თუ ბალერინა იცეკვებს ოდეტასადმი შინაგანი თანაგრძნობით და ოდილიასადმი ზიზღით, მაშინ მასში გაძლიერდება ტენდენცია გარყვნილებისადმი.

- ძნელი დასაჯერებელია? – გავიღიმე მე, - ახლავე აგიხსნით. ცოტა ხნის წინ პაციენტმა თავისი სიზმრები მომიყვა – ფროიდის მიხედვით. სიზმარში ის კარუსელთან მიდის, ტრიალებს მასში და უცებ კარუსელი წყდება და ვარდება. ის განწირული ყვირის, ცდილობს გადმოხტეს და გააჩეროს კარუსელი, მაგრამ პოლიცია იჭერს და ციხეში ჩასმით ემუქრება. ამ სიზმარს მაშინვე მოყვება მომდევნო: ამ ქალს ვიღაც არაბები იპყრობენ, ის კი ტირის და შეწყალებას ითხოვს, ბოლოს იწყალებენ და ცოცხალს ტოვებენ. სიზმრები რეალური და ძალიან მძიმე იყო. ქალი მთხოვს ავუხსნა, რასთან შეიძლება ეს იყოს დაკავშირებული.

ეს თქვენს ქალიშვილთანაა დაკავშირებული – ვუთხარი მე. – თქვენ ვერ ასწავლეთ მას მტკივნეული სიტუაციების გადატანა. მას უახლოვდებიან მოვლენები, რომლებისაც ეშინია და არ შეუძლია მიიღოს. კარუსელი ეს ბორბალია, ბედის სიმბოლო, ანუ თქვენს ქალიშვილს უახლოვდებიან ბედის რაღაც უსიამოვნებები, რომელთა მიღებაც მას არ ძალუძს. ამიტომ ყველა მისი გრძნობა თქვენ გადმოგეცემათ. დამ ის შეცდომებზე თქვენ აგებთ პასუხს, ხოლო არაბები, რომლებსაც თქვენი მოკვლა შეუძლიათ, - ესაა სიმბოლო მამაკაცისა, რომელმაც შეიძლება თქვენი ქალიშვილი დაამციროს, ეს დამცირება კი, რომელიც აუცილებელია მისი სულის განწმენდისათვის, თქვენმა ქალიშვილმა შეიძლება ვერ გადაიტანოს.

- საკვირველია, - ამბობს ქალი, - ჩემი ქალიშვილი მალე გათხოვებას აპირებს.

მე ჩავფიქრდი. ვცდილობ გავიგო, როგორაა ეს სიზმრები მისი ასულის გათხოვებასთან დაკავშირებული, და ჩემამდე მოდის, რომ ყველა ქალის ცნობიერებაში გათხოვება – ეს დიდი სიამოვნებებია, სურვილების ასრულებებია, ბედნიერების სიმბოლოა. ხოლო ქვეცნობიერში – ეს ბედის დამცირებაა, ქმრისადმი მორჩილებაა. ქალმა მსხვერპლად უნდა გაიღოს თავი შვილებისა და ქმრისათვის (ისევე როგორც ქმარმა სხვათაშორის). ურთიერთობა მსხვერპლის გარეშე არ არსებობს. ურთიერთობა არსებობს, თუ ყოველი რაღაცას სწირავს სხვისი გულისათვის. ადამიანთა შორის კავშირების არსებობისთვის ბევრი ენერგიაა საჭირო. თუ ადამიანი ვერ მიეჩვია მსხვერპლს და სხვებზე ზრუნვას, ეს კავშირები წყდება.

- მოკლედ, - ვამბობ მე, - თქვენს ქალიშვილს ეშინია მომავლის, რომელსაც მისი ქვეცნობიერი ხედავს. მას არ უნდა საკუთარი თავის შეზღუდვა, არ უნდა მსხვერპლის გაღება, საკუთარი თავის დავიწყება შვილების და ქმრის გულისთვის. უძილო ღამეები, ბავშვების ავადმყოფობები, კონფლიქტები, პრობლემები – მოუწევს ამ ყველაფრის გადატანა. ეს ადამიანური ბედნიერების უმნიშვნელოვანესი ელემენტია. ტკივილი გვაიძულებს უფრო აქტიურად წავიდეთ სიყვარულისკენ, ტკივილის გარეშე განვითარება შეუძლებელია, ამიტომ იმ გოგოს სულში, რომელიც თხოვდება ორი ტენდენცია ეჯახება ერთმანეთს: სხეულის ბედნიერება და სულის ბედნიერება. და თუ სხეულის ინტერესები გაიმარჯვებენ, მას არ მოუნდება გათხოვება, არ ენდომება შვილები და ლერმონტოვივით საკუთარ ოჯახს თვითმკვლელობისკენ წაიყვანს. თუ სიყვარული გაიმარჯვებს, მაშინ ყველა გამოცდა, რომელიც ნატიფ დონეზე უახლოვდება, უფრო ადვილად აღიქმება და გაჩნდებიან ჯანმრთელი შვილები. ხოლო თუ კეთილდღეობა, ეგოიზმი და კომფორტი გაიმარჯვებს, სავარაუდოდ შვილები ავადმყოფები იქნებიან, ან საერთოდ არ დაიბადებიან. და ამაზე პასუხისმგებელი იქნება არა მხოლოდ დედა, არამედ ბებიაც.

მე დარბაზს გადავხედე. მოკლედ, ოდეტა ხვდება ზიგფრიდს და მისი სული ოჯახის შექმნისთვის ემზადება. ის თავის სურვილებზე, სტაბილურობისკენ მისწრაფებაზე და კეთილდღეობაზე მაღლა უნდა დადგეს. უნდა მიიღოს ამ ყველაფრის დროებითი კრიზისი და სიყვარული უნდა შეინარჩუნოს. ოდილია, რომელიც გამოჩნდა როგორც ოდეტას კონკურენტი, სინამდვილეში მისი სარკული ანარეკლია, მისი ბნელი

ქვეცნობიერი, მისი ინსტინქტები, სადაც სექსისადმი და კეთილდღეობისადმი თაყვანისცემა ცოცხლობს. და ოდილიამ ონდა წაართვას ოდეტას ზიგფრიდი, თუნდაც ცოტა ხნით, რათა დამცირებულმა ინსტინქტებმა ღმერთის სიყვარულისკენ უბიძგოს მას. ოდეტა გარეგნულად, ცნობიერებით პატიობს ღალატს, მაგრამ მის სულს პატიება და სიყვარულის შენარჩუნება არ შეუძლია. სინამდვილეში მშვენიერი ოდეტა სექსს ეთაყვანებოდა, თუმცა ძალიან ლამაზად, ამაღლებულად და გემოვნებით აკეთებდა ამას.

ადამიანი, რომელიც ეთაყვანება თავის სექსუალურ სურვილებს და არ შეუძლია მათი დაკარგვის მიღება, განწირულია მათი დაკარგვისთვის. ეს იმპოტენციაა ან ჰომოსექსუალიზმი. სურვილების დაკარგვა ხანდახან ისე ვლინდება, როგორც ცხოვრების დაკარგვა, ასე რომ დროთა განმავლობაში მშვენიერი ოდეტა ჯერ მეძავი გახდებოდა, მერე ლესბოსელი, საუკეთესო შემთხვევაში კი მონაზონი – იმ მიზნით, რომ დაემორჩილებინა თავისი სურვილები და ღმერთისადმი სიყვარულად ექცია ისინი.

ხელოვნების ნიმუშში ადვილია ბედნიერი დასასრულის შექმნა, იმ ჯადოქრის განადგურება, რომელმაც მთავარი გმირი მოაჯადოვა და იმის ჩვენება, თუ როგორ იმარჯვებს სიკეთე ბოროტებაზე. მაგრამ იმდენად, რამდენადაც ბოროტება სიკეთისადმი ზედმეტი თაყვანისცემის შედეგია, მისი განადგურება შეუძლებელია. ბოროტება – ეს ჩვენი ვნებებია, და ნებისმიერი ძლიერი მიჯაჭვულობა, სიყვარულის შემცირებასთან ერთად, ბოროტებად იქცევა. ვნებების და სურვილების განადგურება შესაძლებელია, მაგრამ ჩვენც მათთან ერთად მოვკვდებით, ამიტომ ბოროტებაზე გამარჯვების პროცესი – ეს საკუთარ ვნებებზე გამარჯვების პროცესია, ეს საკუთარი თავის მტანჯველი ტრანსფორმაციაა და ღმერთისადმი სიყვარულის გარეშე ეს პროცესი შეუძლებელია. ამიტომაც რეალური ცხოვრება ყოველთვის ჰეფი-ენდით არ მთავრდება.

ახლა კი გავიხსენოთ ჩაიკოვსკის ბედი. ესაა ადამიანი ნიჭიერი, დაფასებული, მაგრამ ღმერთთან ერთობადაკარგული. ის განწირულია ეთაყვანოს ან სიამაყეს, ან სექსუალობას. მაგრამ ეს სექსუალობა მან ძალიან ლამაზად და ნატიფად შეფუთა. ეს ქალური სილამაზისადმი და მაღალი გრძნობებისადმი თაყვანისცემაა. სიგიჟემდე უყვარდება მსახიობი ქალი და უნდა, რომ ცოლად მოიყვანოს. ქალი ცოტა ხნით ვარშავაში მიდის გასტროლებზე და მოულოდნელად ჩაიკოვსკი გაზეთიდან გებულობს მისი გათხოვების ამბავს. ღალატი, იდეალების, იმედების და მაღალი გრძნობების კრახი მისთვის გადაულახავი აღმოჩნდა. შემდეგ მოდის ან სიკვდილი, ან ჰომოსექსუალიზმი. ან ღმერთისადმი სწრაფვა. რა აირჩია კომპოზიტორმა მისი ბიოგრაფიიდანაც კარგად ჩანს.

მთელი რუსული ხელოვნება – ღმერთის რწმენა დაკარგული ადამიანის სულის ტანჯვის აღწერაა. განსხვავებით დასავლური ხელოვნებისგან, რომლის წარმომადგენლებსაც ეს პრობლემები მაინცდამაინც არ აღელვებთ და შეუმჩნევლად განიცდიან გადაგვარებას, მშვიდად და ხალისით ეთაყვანებიან რა სურვილებს და კეთილდღეობას. ყველაზე საშიში დანაკარგები ისინია, რომლებსაც ვერ ვამჩნევთ. რუსი პოეტები, მწერლები და მხატვრები კი ამჩნევდნენ.

ჩემი მეგობარი მხატვრები მიყვებოდნენ ზოგიერთ ფაქტს ვრუბელის ბიოგრაფიიდან. ერთხელ ის თავის მეგობართან ერთად მდინარეზე წავიდა საბანაოდ და მან დაინახა, რომ ვრუბელს მთელი მკერდი შრამებით ქონდა მოფენილი. აღმოჩნდა, მხატვარს უზომოდ შეუყვარდა ვიღაც ქალი, მაგრამ რომანი არ შედგა. მან ისეთი საშინელი სულიერი ტკივილი განიცადა, რომ მკერდის დანით დასერვა დაიწყო, ფიზიკურმა ტკივილმა სულიერი ტკივილი გაანელა. იმისათვის, რომ გადარჩენილიყო, მასში გადართვა მოხდა, და უზარმაზარი ენერგია, რომელიც გამოხეთქვას ცდილობდა, ვრუბელმა გვარის გაგრძელების ინსტინქტიდან მართვის, კონტროლის, თავდაცვის ინსტინქტზე გადართო.

იმისათვის რომ გადავრჩეთ, ჩვენ უნდა ვმართოთ სიტუაცია, ვაკონტროლოთ იგი, დავუმორჩილოთ გარესამყარო ჩვენს ნებას. და როგორც დიდი ენერგიის და ნიჭის მქონე ადამიანმა, ვრუბელმა მაშინვე იგრძნო, რომ ეს დემონიზმია. ცდილობს გაჩერდეს ამ გზაზე. ხატავს სურათს "დამარცხებული დემონი", "ტანჯული დემონი". მისი ფერწერა თავის თავში მოიცავს ნგრევის ნიშნებს – ისევე როგორც იმპრესიონისტებს, ფორმას ცალკეული მონახაზებით ძერწავს. ბავშვები აძლიერებენ მშობლების ტენდენციას, და სავსებით ლოგიკურია, რომ ვრუბელის შვილი კურდღლის ტუჩით იბადება – ეს ცნობიერების ბლოკირების ნიშანია. მაღალგანვითარებული შესაძლებლობების ადამიანებში ეს ხინჯი ხშირად შეინიშნება და შემდგომი სიკვდილი ფილტვების ანთებისგან – იგივე სქემაა სიამაყის დამუხრუჭებისა და ნგრევისა. ის, რომ ვრუბელი ბოლოს ჭკუიდან შეიშალა და დაბრმავდა, - ერთი და იმავე პრცესის გამოვლინებაა. რამეთუ ცნობიერება, რომელმაც ღმერთი დაივიწყა, მაშინვე დემონურ ელფერს იძენს.

მუშაობა საკუთარ თავზე

მატარებლის სევასტოპოლში გამგზავრებამდე კიდევ ორი საათია. მე ადრე გამოვედი, რომ მომესწრო. პრინციპში ვაგზლამდე მისვლა ორმოც წუთში შეიძლება. თუმცა ამ ბოლო დროს მირჩევნია დავიცადო ხოლმე, ვიდრე ბოლო წუთს მივუსწრო. ვითომ სასკის ბრალია? სხვათაშორის, საიდან მოდის ეს ფრთიანი გამოთქმა: ყველაზე ცუდი – ლოდინი და აჩქარებაა. როცა რამეს ელოდები – ეს დამოკიდებულებაა, დამოკიდებულება კი შიშს ბადებს. და რაც უფრო მეტად ელი რაიმეს მომავლისგან, მით უფრო მეტად განიცდი მის გამო და მით უფრო ხდები მასზე დამოკიდებული. ხოლო როცა ჩქარობ, გეშინია – არ დაგაგვიანდეს და კვლავ ჩნდება შიში მომავლის მიმართ. ისევ იგივე თემაა მომავლის თაყვანისცემისა. მე ვისწავლე ლოდინი, იმედის გარეშე და აჩქარება, განცდის გარეშე. ვაკეთო ყველაფერი სწრაფად და ამავე დროს არ ვიჩქარო.

მახსოვს, რამდენიმე წლის წინ როგორ მივფრინავდი ვოლგოგრადიდან. გაფრენამდე საათნახევარი რჩებოდა, აეროპორტამდე – დაახლოებით საათი. უკვე ნერვიულობა დავიწყე, მაგრამ ჩემი ნაცნობის შვილმა, რომელსაც უნდა წავეყვანე, დამამშვიდა: "არ ინერვიულოთ, ჩქარა ვივლით და ორმოც წუთში იქ ვიქნებით." აი ვჯდებით მანქანაში და მივდივართ აეროპორტში. ორმოცი წუთის შემდეგ საათზე ვიყურები. მძღოლმა შეამჩნია ჩემი ჟესტი და გაზს მოუმატა. გაფრენამდე ნახევარი საათი რჩება. რაღაც ძველი მიტოვებული სოფელი გავიარეთ. მე შევთავაზე, რომ გავჩერებულიყავით და გაგვეგო აეროპორტის გზა. ბიჭი მანქანიდან გადავიდა, მალევე დაბრუნდა და შემატყობინა, რომ სხვა გზით გაგვივლია ზედმეტი ორმოცი კილომეტრიც.

ადრე მაშინვე ვინანებდი იმის გამო, რომ საკუთარ თავს მივეცი უფლება სხვისი აზრზე ვყოფილიყავი დამოკიდებული. რადგანაც დაგვიანებით გამოვედით, ვჩქარობდით კიდეც, ხოლო როცა ადამიანი ჩქარობს, ის კარგავს სიტუაციაზე ცონტროლს. მე გავღიზიანდებოდი და გავბრაზდებოდი იმაზე, ვისაც დავუჯერე, შემდეგ კი საკუთარ თავზეც. ახლა ერთ რამეს ვხედავ: თუ ვინერვიულებ, მძღოლი უფრო მეტად იჩქარებს.

მე კარგად ვეწყობი სავარძელში და მძღოლს მხარზე ხელს ვურტყამ გასამხნევებლად. პირველი წესი: არაფერი არ ინანო. მეორე წესი: არსად არ იჩქარო, მაგრამ ჩქარა იარე. მესამე წესი: ყველაფერი, რაც მოსახდენია, ჩვენით არაა განსაზღვრული. ჩვენ იმას ვაკეთებთ რაც შეგვიძლია და ზედმეტი არ უნდა ავიღოთ საკუთარ თავზე. "ჩართე მუსიკა", - ვეუბენი მძღოლს. აეროპორტში გაფრენამდე აი წუთით ადრე მივედით. მე მოვასწარი რეგისტრაციის გავლა, ამასთან შევამჩნიე, რომ ისეთივე ზომიერი განწყობა მაქვს – არავითარუ იაზრო სიხარული იმის გამო, რომ მოვასწარი, თუმცა რომ დამეგვიანა ბევრი პრობლემა შემექმნებოდა. ძალიან კარგი გრძნობაა – დიდი ენერგიის არსებობაა. დანგრევის ნაცვლად ყველა ძალა შექმნაზე დაიხარჯა. მივხვდი, როგორ აღწევენ ადამიანები წარმატებებს. საჭიროა სწორად მოვიქცეთ კრიტიკულ სიტუაციებში.

სტრესის, ენერგიის ხარჯვის დროს იხსნება ქვეცნობიერი. ასეთ სტრესად გვევლინება სახიფათო სიტუაცია, ფიზიკური და ტემპერატურული გადატვირთვები, შეყვარებულობა, სქესობრივი მომწიფება, პირველი სიყვარული, ქორწინება, ბავშვების დაბადება – ეს ყველაფერი დიდი ენერგიის ხარჯვის თანხლებით ხდება. იმის მიხედვით, თუ როგორ ვიქცევით ასეთ სიტუაციებში, ყალიბდება ჩვენი ბედი. მთელი ჩვენი ცნობიერი გამოცდილება ემოციაში იკუმშება. და თუ გარესამყაროსთან კონტაქტის ემოცია ჰარმონიულია, ჩვენ ვვითარდებით. მთელი ჩვენი მსოფლხედველობაც ასევე ემოციად იკუმშება. სწორე დეს ემოციური ხატ-სახეა მატრიცა ჩვენი რეაქციისთვის გარესამყაროსადმი. ეს ხატ-სახე ანაწილებს ენერგიას, რომელიც ჩვენში გადის.

ჩვენი ინსტინქტებიც ხატ-სახეებია (образи). სამყაროს ამ ხატ-სახოვანი აღქმის გარეშე უკუკავშირი არაეფექტურია. იმისათვის, რომ შექმნილ სიტუაციაზე მოვახდინოთ რეაგირება, საჭიროა, რომ ინფორმაციის უზარმაზარი რაოდენობა, რომელიც ჩვენამდე მოდის, ხატ-სახედ შევკუმშოთ. ნებისმიერი ინფორმაცია ეს მოვლენაა დროის რაღაც მონაკვეთში. საჭიროა დროის ყველა კონა წამის მეათედამდე შევკუმშოთ და მაშინ ხატ-სახე ცოცხლდება, მუშაობას იწყებს. და მიუხედავად იმისა, რომ ხატ-სახოვანი ემოცია მხოლოდ წამის მეათედი მუშაობს, მის ფორმირებაზე მრავალი წელი მიდის. რაც არ უნდა დიდი იყოს ინფორმაციის მოცულობა და დროის მონაკვეთი, ყველაფერი ე სწამის მეათედში უნდა შეიკუმშოს. ყველაფერი ის რაც არ იკუმშება, უნდა გადავაგდოთ. ერთ ადამიანს ხატ-სახის სიმკვრივე შეიძლება მაღალი ქონდეს, მეორეს კი სუსტი. მაგრამ ემოციურად შეიძლება ეს ადამიანები გავდნენ ერთმანეთს.

უკანასკნელ ასწლეულებში ადამიანებს გულუბრყვილოდ სჯეროდათ, რომ განვითარება – ეს ცოდნის და გამოცდილების დაგროვებაა, რომ ეს პირველ რიგში ინტელექტია. სინამდვილეში განვითარებ ჩვენი ემოციების სიმდიდრეში იმალება. აზრობრივი ინფორმაცია არ იკუმშება. ისეთი მოვლენები, როგორიცაა პოეზია, მხატვრობა, თეატრი, გვეხმარებიან აზრის გრძნობად გადატანაში და შესაძლებელს ხდიან სულის შემდგომ განვითარებას. თუ საზოგადოებაში კულტურული და რელიგიური ტენდენციები სუსტდება, ჰიპერტროფირებული ცნობიერება ვერ გადადის თავის მეორე წინააღმდეგობაში – გრძნობაში და ნაცვლად ამისა მის განადგურებას იწყებს. ბუნებაში არ არსებობს ნახევრული პროცესები. ნებისმიერი პროცესი, მიდის რა გარკვეულ მდგომარეობამდე, თავიოს საპირისპირო მხარეში გადადის. აზრი ემოციად უნდა იქცეს, ემოცია კი შემდეგ აზრად იქცევა, თუმცა ღრმა დონეზე აზრი და ემოცია ერთი და იგივეა. სიცოცხლეც ასევე მის საპირისპირო მხარეში უნდა გადავიდეს – სხვა სამყაროებში უსხეულო არსებობაში. სიკვდილი სინამდვილეში არაა სიცოცხლის საწინააღმდეგო მხარე – ეს საზღვარია სულის არსებობის ორ ფორმას შორის.

ურთიერთწინააღმდეგობების ერთობის და ბრძოლის კანონი დროის სტრუქტურას ასახავს. დროის გამარტივებული მოდელი წრეა და ყველა პროცესი წრეზე ტრიალებს: გამოდიუს წერტილიდან, მიდის რკალის გავლით მეორე წერტილამდე და უკან ბრუნდება საწინააღმდეგო მიმართულებით, ბოლოს საწყის წერტილს უბრუნდება. წრის პირველი ნახევარი – ეს ერთი წინააღმდეგობაა დამ ას მეორე ეწინააღმდეგება. ამიტომ სამყაროს ნებისმიერ პროცესში არსებობს ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ტენდენცია: ერთი ცხადია, მეორე უხილავი. ნებისმიერ დაგროვებაში იგულისხმება მომავალი დანაკარგი, ნებისმიერ სიხარულში მომავალი მწუხარება. რაც მეტად ვეთაყვანებით სიკეთეს, მით უფრო მალე იქცევა ის ბოროტებად.

თუ ფანტანი ზემოთ ისვრის წყლის ნაკადს, ის აუცილებლად უკან უნდა ჩამოვარდეს. და ის, ვინც ურთიერთწინააღმდეგობების დაყოფას ცდილობს, ვერ იტანს წყალს, რომელიც ქვემოთ ვარდება და ეთაყვანება წყალს, რომელიც ზემოთ მიისწრაფვის. და იმისათვის რომ დავტკბეთ ფანტანით, რომელიც მწვანე მინდორს და მზით განათებულ პარკს ალამაზებს, უბრალოდ საჭიროა, რომ დროულად მივაწოდოთ მას წყლის ახალი პორციები.

წარმოიდგინეთ გეიზერი – თავიდან ხდება წყლის ამოტყორცნა, შემდეგ კი ის უკან ეცემა. ასევეა ჩვენი ცხოვრებაც. ჩვენ ვიღებთ პორციას ღვთაებრივი ენერგიიდან, ის გარდაიქმნება ჩვენ სულიერ და მატერიალურ სიკეთედ, რომლითაც ვტკბებით, შემდეგ კი ეს ენერგია დაბლა ეშვება. და მოკლედ, ჩვენ შევეჩვიეთ მწუხარებას იმის გამო, რაც ეცემა, ან დანაკერგების გამო. მივეჩვიეთ, რომ ვეძებოთ და გვძულდეს ისინი, ვინც დამნაშავეა ამაში. არადა საჭიროა, რომ წყლის პორციები უწყვეტად მიეწოდებოდეს და გეიზერი ფანტანად იქცევა. ანუ წუხილის და წყენის ნაცვლად სიყვარული უნდა ვისწავლოთ. სიყვარულს არა აქვს ურთიერთწინააღმდეგობა, და ის, ვინც ამბობს, რომ მისი წინააღმდეგობა სიძულვილია, უბრალოდ ვერ აზროვნებს. სიძულვილი, ეს მიჯაჭვულობის და თაყვანისცემის წინააღმდეგობაა. ის, ვისაც სძულს, ცდილობს დაანგრიოს, ხოლო ის ვინც თაყვანს სცემს, ცდილობს ხელუხლებლად შეინარჩუნოს. თაყვანისცემა და სიძულვილი მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული. თუ ადამიანს არა აქვს მიჯაჭვულობა და თაყვანისცემა, სიძულვილის გრძნობა მისთვის უცნობი იქნება.

სიყვარულს არა აქვს ურთიერთწინააღმდეგობები, იმიტომ რომ ის აბსოლუტურად ჰარმონიულია.სიყვარული თავად ქმნის წინააღმდეგობებს. ის გვაძლევს უზარმაზარ სიხარულს და უზარმაზარ ტკივილს ერთდროულად. სიყვარული არა მხოლოდ გვაძლევს, არამედ გვართმევს კიდეც. ერთნი სიყვარულთან შეხებისას ჯანმრთელები და ბედნიერები ხდებიან, მეორეებს უბედურება და სიკვდილი ეწვევა. და როცა ადამიანები ცდილობენ სიყვარული მხოლოდ ერთ-ერთი ნახევრის სახით წარმოიდგინონ, მხოლოდ ბედნიერების, სტაბილურობის, სურვილების ასრულების სახით, მაშინ სიყვარული მაშინვე გადაიქცევა მიჯაჭვულობად, ამის მერე კი ზურგიდან უკვე სიძულვილი იყურება.

თუ ჩვენი კონტაქტური ემოცია, ჩვენი ხატ-სახე, რომელიც სამყაროსთან ურთიერთქმედებს, ცალი მხარით აღიქვამს სიყვარულს, მაშინ ტანჯვა, ავადმყოფობა და უბედურებები გარანტირებული გვაქვს. არასწორი მსოფლმხედველობა და ემოციები არასწორ აზრებს და საქციელებს ბადებენ. და ადამიანი მრავალი ათწლეულის, ან მრავალი ცხოვრების განმავლობაში გადადის თაყვანისცემიდან სიძულვილისკენ. და ერთ მშვენიერ დღეს მძიმე ავადმყოფობის შემდეგ ის სიკვდილს იწყებს, სუსტი და დაუცველი ხდება. მას უკვე აღარ აქვს ძალა სიძულვილისთვის ან თაყვანისცემისთვის – ენერგია არ ყოფნის არც ერთზე და არც მეორეზე. ამ დროს დაუძლურებული სული უცებ სიყვარულს გრძნობს, ხელახლა აღდგება და ესმის რომ შეიძლება ეთაყვანო მხოლოდ სიყვარულს. იღებს ენერგიის ახალ პორციას და აი, ის უკვე მზადაა შემდგომი ცხოვრებისთვის.

და ისევ ისვრის გეიზერი ზემოთ, შემდეგ კი ისევ უკან ვარდება. რაც მეტად განიცდის ადამიანი სიყვარულის გრძნობას, მით მეტი მიწიერი ბედნიერება შეუძლია მიიღოს და მით მეტი ტკივილით უნდა გაწონასწორდეს იგი. ზოგიერთს ეშინია წყლის ვარდნის და ამცირებს ფანტანის სიმაღლეს. ზოგი უფრო მარტივად წყვეტს საკითხს: გუბესთან ზის, იქ კი წყლის ვარდნა არ ხდება, იმიტომ რომ ფანტანი როგორც ასეთი არ არსებობს. იმისათვის, რომ მარჯვენაზე და მარცხენაზე მაღლა დავდგეთ, საჭიროა კონცენტრაცია მოვახდინოთ სიყვარულზე და რაც მეტია სიყვარულის ინტენსივობა, მით უფრო ადვილია ნებისმიერი ურთიერთწინააღმდეგობის მორიგება.

თვალწინ ყაზანის ღვთისმშობლის ხატი წარმომიდგა – უდიდესი მწუხარება და უდიდესი სიხარული ერთდროულად. სიხარული შვილის დაბადებისგან და მწუხარება იმის გამო, რომ მის მომავალ ტანჯვას გრძნობს. სიხარული იმის გამო, რომ ადამიანის სულებს იხსნის და მწუხარება იმის გამო, რომ მას ჯვარს აცვამენ. კათოლიკურ მარიამ ღვთისმშობელს კი – თვალებში მხოლოდ სიხარული აქვს, მხოლოდ სიხარული, იმის გამო რომ შთამომავლობის გაგრძელების ინსტინქტი რეალიზებულია.

ფსიქოლოგები თვლიან, რომ ადამიანი ვერ განიცდის ერთდროულად ორ ურთიერთსაწინააღმდეგო ემოციას და ისინი თავისებურად მართალნი არიან. ეს სამართლიანია სხეულისთვის. და თუ ფსიქიკა – ეს სხეულის ფუნქციაა, მაშინ ეს მართალია. მაგრამ ადამიანს აქვს სული, რომელზეც სხეულია დამოკიდებული, უფრო მეტიც, ამ სულს არ შეუძლია ღმერთისადმი სიყვარულის გარეშე არსებობა, მაშინ მოგვიწევს აღიარება, რომ სული ვერ იარსებებს ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ემოციის გარეშე.

სული ერთმანეთში აწონასწორებს წინააღმდეგობებს. მასში არსებობს ეტაპი, რომელსაც ცხოვრება ქვია და ამავდროულად მასშია პერიოდი, , რომელიც სიკვდილის შემდეგ იწყება. იმისათვის რომ ღვთაებრივი შევიგრძნოთ, ერთდროულად უნდა განვიცადოთ ორი ურთიერთსაპირისპირო ემოცია, რადგანაც ღმერთის ჭეშმერიტი შეცნობა სიყვარულის საშუალებით ხდება.

რამდენიმე დღის წინ ერთმა ადამიანმა მითხრა: “მე ვიტანჯები, როცა ავადმყოფ ბავშვებს ვხედავ და უფრო მეტად ვიტანჯები, როცა ვხვდები რომ ვერაფრით დავეხმარები მათ”. “იცით საით მივყავართ ასეთ აღქმას? – ვკითხე მე, - თავიდან თქვენს თავზე აიღებთ მათ ავადმყოფობებს, აუცილებელი არაა ავადმყოფობის, როგორც ფორმის აღება, მისი ენერგეტიკა ყველაში სხვადასხვაგვარად რეალიზდება. და მოკლედ, თავიდან ავად გახდებით, მერე კი სიკვდილის პროცესი დაიწყება. იმისათვის რომ გადარჩეთ, მეორე უკიდურესობაში გადახვალთ – გულგრილობა და ცივი დამოკიდებულება გექნებათ ადამიანებისადმი. და იპოვით ფორმულას: სცოდეს? აგონ პასუხი ამაზე და იტანჯონ. ძირითადად კი ადამიანები სხვა გზით მიდიან. ის, ვინც ზედმეტად იტანჯება სხვისი უბედურებებით, რომ გადარჩეს ამ ტანჯვაში სიამოვნებას ნახულობს და ხარობს ამით. ექიმები, რომლებიც ზედმეტად თანაუგრძნობენ ავადმყოფებს, ან ავადდებიან და იმოკლებენ სიცოცხლეს, ან სვამენ, ან ფარული სადისტები ხდებიან. ძირითადად ცდილობენ გულგრილნი გახდნენ და ფულზე გადაერთონ.”

“მე რაღა ვქნა, - მეკითხება თანამოსაუბრე, - როგორი დამოკიდებულება უნდა მქონდეს ავადმყოფ ბავშვებთან?” – “სიყვარულით, ისევე როგორც ქრისტეს დედა ეპყრობოდა თავის ახალშობილს. თუ

მხოლოდ თანაგრძნობა გექნებათ ამ ბავშვებისადმი, თქვენ მოკლავთ სიყვარულს თქვენს სულში, რადგან თვითგანადგურების პროგრამას ჩართავთ. თუ გულგრილი იქნებით, მათ სულებში მოკლავთ სიყვარულს. გულგრილნი რომ გავხდეთ, უნდა გავწყვიტოთ სხვა ადამიანებთან ერთიანობის შეგრძნება, უარი ვთქვათ მათ სიყვარულზე. ამისათვის საჭიროა ცუდი ვიფიქროთ მათზე, შევიგრძნოთ რომ ისინი ცუდები არიან, მაშინ გულგრილობა გამართლებული გახდება. ბევრი ფიქრობს, რომ გულგრილობა ეს სიმშვიდეა. სინამდვილეში ეს ასე არ არის. გულგრილობა ეს გარეგნულად შეუმჩნეველი, მაგრამ საკმაოდ ინტენსიური აგრესიაა სხვების სულების მიმართ. როცა ცუდს ფიქრობთ ადამიანზე, თქვენ მის სულში სიყვარულს კლავთ, ამიტომ გულგრილი ადამიანები, ეკლესიის ენით რომ ვთქვათ დიდი ცოდვილები არიან და უბედურების თავისი წილი უნდა მიიღონ.

მოკლედ, როცა ავადმყოფ ბავშვს ხედავთ, თქვენ უნდა უთანაგრძნოთ და გიყვარდეთ ერთდროულად. ავადმყოფობა – ეს მექანიზმია უარყოფითი უკუკავშირისა ჩვენსა და ღმერთს შორის. ის მოდის, როცა სულში არასაკმარისი სიყვარულია. ჯერ კიდევ გუშინ ის საკმარისი იყო, დღეს კი სიტუაცია შეიცვალა და სიყვარული აღარ გვყოფნის. და ჩვენ ორი გზა გვაქვა: ან ავად გავხდეთ, ან ღმერთისკენ და სიყვარულისკენ ვისწრაფვოთ. ხოლო ის, ვისი სულიც სავსეა სიყვარულით, ვერც კი შეამჩნევს ახალ პირობებს, რამეთუ წინასწარაა მომზადებული ამ პირობებისთვის.

“თუ თქვენ მხოლოდ ტანჯვის ემოცია გიჩნდებათ ამ ბავშვების დანახვისას, - ვაგრძელებ მე, - შეეცდებით ეს ემოცია ბავშვის სხეულისადმი დახმარებით დაძლიოთ, ამან კი შეიძლება მისი სული დააზიანოს. სხეულს და სულს ერთდროულად უნდა დავეხმაროთ, და თუ თქვენს სულში არის სიყვარული, მაშინ სხეულისადმი დახმარება სულისადმი დახმარებითაც შეივსება. სიყვარული გვაიძულებს სხეულსაც დავეხმაროთ და სულსაც. და თუ სხეულს შეგვიძლია რომ მატერიალურად დავეხმაროთ, ფულით, ზრუნვით, სულის დახმარება იმ შემთხვევაში შეგვიძლია, თუ შევიგრძნობთ სიყვარულს ტანჯვის და გულგრილობის ნაცვლად. თუ თქვენ დაინახეთ ავადმყოფი ბავშვი და შინაგანად გაჩერდით, შეიგრძენით მასთან კავშირი, მაშინ თქვენი შინაგანი კონცენტრაცია სიყვარულზე და ლოცვა საუკეთესო დახმარება იქნება, რადგანაც ისინი ავადობის მიზეზს კურნავენ.”

ფიქრებს მოვწყდი და გზას ვუყურებ. მანქანა საკმაოდ სწრაფად მიდის. ვაგზლამდე ჩემს ნაცნობს მივყავარ. მან ჩემი ყველა წიგნი წაიკითხა, ესწრება ხოლმე სემინარებს, და როცა მივყავარ ხოლმე სადმე, ხშირად ვკამათობთ. ამჯერად ჩუმადაა, მეც ჩემ ფიქრებში ვარ ჩართული. ნებისმიერი მგზავრობა – ეს სახლისგან და ცხოვრების ჩვეული რიტმისგან მოწყვეტაა. უფრო ადვილია აზრების მოკრება, ახალი ხატ-სახეების შექმნა, ახალ გაგებამდე მისვლა.

დღეს 2006 წლის 29 ოქტომბერია. გუშინ სპექტაკლზე ვიყავით თატრში ტაგანკაზე. პიესის სიუჟეტი შუა საუკუნეებთან იყო დაკავშირებული. ხანშიშესულ და მდიდარ ვაჭარს არ ყავს შვილები, მაგრამ ყავს ლამაზი და ახალგაზრდა ცოლი, რომელზეც სიმპათიური ახალგაზრდაა შეყვარებული. პიესის ყოველი პერსონაჟი არჩევანის წინაშე დგება: რა უფრო მთავარია მისთვის – სიყვარული თუ მორალურობა, და შედეგად სიყვარულმა უნდა გაიმარჯვოს. თუმცა სპექტაკლში ეს გამარჯვება არც თუ ისე დამაჯერებლად გამოიყურება. ალბათ რეჟისორმა და მსახიობებმა ბოლომდე ვერ გაიგეს პიესის არსი. როგორც ჩანს უფრო ხშირად სექსუალური ლტოლვა იმარჯვებდა, ამიტომ მომხდარი მოვლენები ერთ წერტილში არ იკვრებოდა. თუმცა სპექტაკლი მაინც არ იყო ცუდი.

ანტრაქტის დროს თეატრის დარბაზში ვსეირნობდი. ვლადიმერ ვისოცკის ფოტოს წინ გავჩერდი. ამ არაორდინალური ადამიანის პიროვნებაში მკაფიო ინდივიდუალიზმი მორალურობას ეთანხმებოდა. ეს განსაკუთრებით შესამჩნევი იყო სიმღერებში ომის შესახებ. მისი გმირები პიროვნებებად აღიქვამდნენ თავს, საერთოდ არ უნდოდათ სხვა ადამიანებს გვანებოდნენ, ხშირად არავის არ უნდოდათ რომ დამორჩილებულიყვნენ. და ამავდროულად მზად იყვნენ სიცოცხლე გაეწირათ სხვების გულისათვის, მწვავედ შეიგრძნობდნენ გარშემომყოფი ადამიანების ტკივილს. ისეთი ცნებები, როგორიცაა მიტევება, ზრუნვა, მსხვერპლის გაღების უნარი, მათთვის ბუნებრივი იყო. და მათ, ვისაც ვისოცკის სიმღერები მოუსმენია, შეუმჩნევლად ნათელი მომავლისადმი თაყვანისცემიდან ინტუიტიურად სიყვარულისკენ გადადიოდნენ და მთავარ მიზნად აღიქვამდნენ მას. ამ პიროვნების ხელოვნებაში რელიგიამ და მეცნიერებამ შეძლეს გაერთიანება. კოლექტიური და ინდივიდუალური არ კლავდნენ მასში ერთმანეთს, არამედ ავსებდნენ და ეხმარებოდნენ ერთმანეთს განვითარებაში. ხელოვნების დანიშნულებაა – სიყვარული გვასწავლოს. ვისოცკის ეს გამოსდიოდა.

კვლავ გზისკენ ვიყურები. დღეს ცუდი დღე არაა. ყინავს, ცოტა თოვს კიდეც. სევასტოპოლში, სადაც მე მივდივარ, უფრო სითბო იქნება. “აუცილებლად ვიბანავებ”, - ვეუბნები ჩემ თავს. ცამით ჩავფიქრდი და მეხსიერებამ სხვა დროში გადამიყვანა. ისრაელში ვიმყოფები, თელ-ავივის მახლობლად, ცხელ წყაროებთან. ცხელ წყაროებში ბანაობა ფსიქოლოგიურ დაღლილობას გვიხსნის. ნერვული გადატვირთვა შეუმჩნეველია, მათგან აღდგენა კი უფრო დიდხანს გრძელდება. შედეგების მიხედვით ნებისმიერი მიღება ჩემთვის – თითქოს უბედურებების მთელი პაკეტია, რომელიც თავს დამატყდა. აუცილებლად უნდა აღვიდგინო თავი. და აი, ვწევარ ცხელ წყალში და ნეტარებაში ვარ. სრული სიმშვიდე და მოდუნებაა.

“სიყვარულზე უნდა მოვახდინო კონცენტრირება, - ვფიქრობ მე. – ყველაზე მეტად იესო ქრისტეს შეეძლო სიყვარული. მისი მცნებები სიყვარულისკენ მოგვიწოდებენ. რა არის მისი სიტყვების არსი? თუ ერთ ლოყაში გაგარტყამენ, მეორე მიუშვირე. ღმერთისადმი და მოყვასისადმი სიყვარულზე ძველ აღქმაშიც იყო ლაპარაკი. მე მივხვდი, რომ აგრესია, როგორც თავდაცვის ფორმა დაუშვებელია. და როცა ტკივილს გაყენებენ, შინაგანი აგრესია არ უნდა გქონდეს.” მე წყალში ვწევარ და ვიმეორებ: “მე არ ვიცავ თავს, მე

ყველაფერს ვიღებ, რაც ხდება. მე არ ვიცავ თავს არცერთი ტკივილის ან წყენის შემთხვევაში". სწორედ ამისკენ მოგვიწოდებთა ქრისტე და ესე იგი მე ყველაფერს სწორად ვაკეთებ. ვიცი, რომ 10-15 წუთი ამ სიტყვების გამეორების შემდეგ პროცესი ავტომატურად წავა და მხოლოდ იშვიათად დამჭირდება მისი ხელის შეწყობა.

და უცებ ჩემამდე დადის, რომ ფრაზა "მე არ ვიცავ თავს" აღარ მოქმედებს. ამის ნაცვლად ამოტივტივდა ადამიანის სიკვდილთან დაკავშირებული სიტუაციები. საიდან მომდის ასეთი ფიქრები? ვხვდები რომ ეს შემთხვევითი არაა, რაღაც უცნაური კავშირი არსებობს. ვუყურებ საკუთარ ველს და ვხედავ თვითგანადგურების ოთხმაგ-ხუთმაგ პროგრამას. რა გამოდის? თუ თავს არ დაიცავ, საკუთარ თავს კლავ, ხოლო თუ თავს დაიცავ სხვას კლავ?

ცნობიერებაში ამოტივტივდა სცენები სახარებიდან. აი იუდამ გასცა ქრისტე დამ ის წასაყვანად ჯარისკაცები მოვიდნენ. აი პეტრე მოციქული იცავს ქრისტეს და ხანჯლით აჭრის ყურს ერთ-ერთ ჯარისკაცს. სდექ! რა ხანჯლით? საიდან აღმოაჩნდა ქრისტეს მოციქულს ხანჯალი? დასკვნა მოულოდნელია. მოციქულები კარგად იყვნენ შეიარაღებულნი არა მხოლოდ დანებით, არამედ ხანჯლებითაც. გამოდის რომ ქრისტე ფიზიკურ თავდაცვაზე არ ლაპარაკობდა. ის ლაპარაკობდა თავდაცვის დროს სიძულვილის დაუშვებლობაზე.

მაგრამ მე, ვიწექი რა ცხელ წყალში და ვიმეორებდი რა სიტყვებს: "მე არ ვიცავ თავს", არ მქონდა მხედველობაში მხოლოდ სიძულვილის და წყენის არ არსებობა. ანუ მე თავს არ ვიცავდი არც გარეგნულად, არც შინაგანად. და წავიდა თვითგანადრურების პროგრამა. და რა გამოდის? თავდაცვა მაინც საჭიროა. და უცებ ყველაფერს მივხვდი. თავდაცვა აუცილებელია, თანაც ინტენსიურად. თავდაცვა საჭიროა სიყვარულით. ანუ უმაღლესი თავდაცვა ღმერთთან მიმართვის შედეგად მოდის. ტკივილის, ხიფათის მომენტში ჩვენ ენერგია გამოგვეყოფა, და პირველ რიგში სიყვარულისკენ და ღმერთთან ერთობისკენ უნდა მივმართოთ იგი. და მხოლოდ ნაწილი უნდა დაიხარჯოს გარეგნულ თავდაცვაზე. ხოლო თუ სახიფათო სიტუაციაში ჩვენ არ გვაქვს ღმერთისადმი და სიყვარულისადმი სწრაფვა, მაშინ მხოლოდ ორი პოზიცია გვრჩება: ან საკუთარ თავს ვკლავთ, ან სხვას ვკლავთ. და ჩანს, რომ ქრისტე მოგვიწოდებდა გარეგნული, პრიმიტიული თავდაცვა შეგვეცვალა უმაღლესი თავდაცვით.

სიყვარულის შენარჩუნების და ღმერთისადმი სწრაფვის რეფლექსი უფლებას გვაძლევს არა მხოლოდ თავად შევიცვალოთ, არამედ შევცვალოთ სხვებიც და მთელი გარშემო სიტუაციაც წამების განმავლობაში.

შეიძლება თავი დავიცვათ იმით, რომ დანა დავარტყათ სხვას, ან იმით, რომ მხოლოდ დავანახოთ დანა, შეიძლება ისე გავაკეთოთ, რომ დანა არ დავანახოთ და საკუთარი ძალა სიტყვებით ავღნიშნოთ. შეიძლება თავი დავიცვათ შინაგანი გულკეთილობით და იმის შეგრძნებით, თუ რა ხდება მეორეს სულში. შეიძლება თავი დავიცვათ იმით რომ არ დავუშვათ მსგავსი სიტუაცია ჩვენი შინაგანი მდგომარეობით. ღმერთისადმი სიყვარულით ადამიანს შეუძლია შეიცვალოს და მომავალი სიტუაციაც შეცვალოს. თუ ნებისმიერი უსიამოვნების, ტკივილის, წყენის მომენტში გვახსენდება ღმერთი და ვინარჩუნებთ სულში სიყვარულს, ჩვენ ვიმარჯვებთ. შეიძლება გარეგნულად იმ მომენტში წავაგოთ, მაგრამ შინაგანად, პერსპექტივაში ჩვენ უკვე გამარჯვებულები ვართ. ხოლო ადამიანი, რომელიც არაა მიჩვეული ღმერთზე ფიქრს, განწირულია იმისათვის, რომ ტკივილის მომენტში ან სხვა სძულდეს, ან საკუთარი თავი.

ცნობიერება კვლავ აწმყოში მაბრუნებს. თავს არაკომფორტულად ვგრძნობ – მკვეთრადაა გაძლიერებული მიჯაჭვულობა ადამიანური ბედნიერების მიმართ. ნატიფ დონეზე ვხედავ, რომ მომავალი მკითხველები დამიკიდებულნი ხდებიან ჩემზე და მოქმედებენ ჩემზე. "წიგნთან დაკავშირებით არ ღირს რომ ვიჩქარო, - ვფიქრობ მე, - ჯერ უნდა გამოვკეთდე, გადავლახო არა მხოლოდ მიღებების და ლექციების შედეგი, არამედ წიგნის მომდევნო თავებიც. საინტერესო რაღაც გამოდის: მიღების შემდეგ აუცილებლად მჭირდება აღდგენა. კიდევ კარგი რომ წმენდა ავტომატურად ირთვება და ჭუჭყს შიგნით შეღწევის საშუალებას არ აძლევს. ლექციის შემდეგაც იგივეა, ეს გასაგებია. მაგრამ ვერაფრით წარმომედგინა, რომ ყველაზე სახიფათო წიგნზე მუშაობა აღმოჩნდებოდა. და ალბათ ერთადერთი ხსნაა წიგნში ინფორმაციის იმ სახით მიწოდება, რომ მე მკითხველისთვის გავქრე და მან ყველაფერში ღვთაებრივი ნება დაინახოს. ე სკი ჯერჯერობით კარგად არ გამომდის.

თავიდან ამ სამყაროსთან ერთიანობა იფეთქებს. მკითხველები, შეიგრძნობენ რა გამოჯანმრთელების შესაძლებლობას, ღრმა და ნატიფ დონეზე მეჯაჭვენიან, მეკიდებიან. ჩემი სული ღვთაებრივიდან ადამიანურზე ჩოჩდება. ამ დონეზე წმენდას მე ვერ გავუძლებ, ამიტომ ავტომატურად ხდება გადართვა შემდეგ ჯაჭვზე, რომელიც ორ ნახევრად იშლება: ეჭვიანობა და სიამაყე. ადამიანური სიყვარული ორ ნაკადად იყოფა. ეჭვიანობა გამოიყურება როგორც სურვილები, იდეალები, მომავალი. სიამაყე გამოიყურება როგორც ნება, მართვა, ბედი. ადამიანური სიყვარულის კრახის მიღება ღირსეულად ჯერ არ შემიძლია, ასევე არც მომავლის კრახის. ალბათ ამიტომაც მტკივა მხარი.

- ალბათ გუშინ ეს პროცესი უკვე დაიწყო, - ვფიქრობ მე.

ნაცნობი კვლავ ჩუმად მართავს ავტომობილს.

- ალბათ ისიც ცუდადაა, - ვფიქრობ მე. – ნუ, ჩემი ამბავი გასაგებია, მას რაღა სჭირს?

მის ველს ვუყურებ და სერიოზულ პრობლემებს ვხედავ. თვითგანადგურების პროგრამა კრიტიკულზე რვაჯერ მეტია, მომავლის და იდეალების ნგრევა ვერ გადაუტანია.

- როგორაა საქმე? – ვეკითხები სასხვათაშორისოდ.
- ნორმალურად, - მიპასუხა მან.
- უსიამოვნებები ხო მარ შეგემთხვა?

- არა, ყველაფერი ასე თუ ისე ნორმალურადაა.
- მოულოდნელი იდეა დამებადა, - ვეუბნები მე, - გახსოვთ, ერთ საინტერესო კანონზომიერებაზე ვლაპარაკობდი. ნებისმიერი ინფორმაცია ათვისებადი ხდება, თუ ის წერტილში, ხატ-სახეში იკუმშება. თქვენ როგორი ხატ-სახე გიჩნდებათ როცა ჩემს წიგნებს კითხულობთ?

ის დაფიქრდა.

- ალბათ მიტევება.
- ანუ მიუტევე და ჯანმრთელი იქნები, და ყველაფერი კარგად იქნება, ასე ხომ?
- კი მაგრამ, თქვენ ხომ თავად ამბობდით, რომ მთავარია – ვაპატიოთ და მივიღოთ სიტუაცია.
- და რისთვისაა საჭირო მიტევება?
- ალბათ იმისთვის რომ აგრესია არ იყოს.
- კიდევ რისთვის?
- ნუ, სიყვარული რომ შევინარჩუნოთ.

გამოდის მთავარი მიზანი მაინც სიყვარულია და არა მიტევება. და ვპატიობთ იმისთვის, რომ სიყვარული შევინარჩუნოთ საკუთარ და სხვის სულებში. დასჯაც იმისთვის ხდება, რომ სიყვარული შევინარჩუნოთ. შინაგანად მიტევება ყოველთვის აუცილებელია, მაგრამ გარეგნულად ხშირად უნდა დავსაჯოთ, რომ სიყვარული შევინარჩუნოთ. ხოლო დასჯის დონე იმაზეა დამოკიდებული, როგორაა მზად ადამიანი შეცვლისთვის. დააკვირდით რას გვიშვრება ღმერთი. ის ვინც მისკენ მიდის, სიყვარულს გრძნობს და იცვლება, თავისუფლდება ავადმყოფობებისგან და უბედურებებისგან. ის, ვისაც შეცვლა არ უნდა, ნადგურდება. ასეა მოწყობილი ევოლუციის მექანიზმი: თუ შეცვლა არ გინდა – ავად იქნები, თუ კიდევ არ იცვლები – მოკვდები. ამიტომ სასჯელი თავის მხრივ აუცილებელია. მაგრამ მისი მიზანი შურისძიება კი არაა, არამედ დახმარებაა ადამიანისადმი, რათა შეიცვალოს, ამიტომ სასჯელის გვერდით ყოველთვის უნდა იყოს სიყვარული. და მოკლედ, თუ თქვენს ხატ-სახეში მიტევება შეიცვლება სიყვარულით, მაშინ იმის ნაცვლად, რომ დათრგუნოთ თქვენში ენერგია - სიტუაციის უნებისყოფოდ მიღებით, თქვენ გეყვარებათ და შეცვლით გარესამყაროს, და ამავე დროს თქვენს თავსაც.

გულწრფელად გეტყვით, - ვაგრძელებ მე, - თქვენი სიტუაცია მძიმეა. თავიდან გაჩუმება მინდოდა, რომ თქვენს პრობლემებში არ ჩავრეულიყავი, მაგრამ არ მინდა, რომ თქვენი სიკვდილის მიზეზი გახდეს ჩემი მოკრძალებულობა. ხო მართლა, სიკვდილისთვის სახიფათო სიტუაციები გქონდათ უკვე?

მან მხრები აიჩეჩა.

- ნუ, იყო ამასწინათ უსიამოვნო სიტუაცია. მოსახვევში მუხრუჭის მაგივრად შემთხვევით გაზს მივაჭირე და შემხვედრ ზოლზე გადავედი. ჩემსკენ მანქანა მოდიოდა 50 მეტრში, უფრო ახლოს რომ ყოფილიყო შევასკდებოდი.
- და არ გიფიქრიათ რატომ მოხდა ეს?
- არა.
- მოკლედ, აღიარეთ, ცოტა ხნის წინ დიდი უსიამოვნება მოგივიდათ, თქვენ კი იდეალების ნგრევა ვერ გადაიტანეთ.
- მე ამას დიდ უსიამოვნებას ვერ ვუწოდებდი, უბრალოდ ერთი ადამიანი უწესოდ მოიქცა.
- და რა მოხდა?
- კაცს სერიოზული პრობლემები ქონდა და დავეხმარე. შევთანხმდით, რომ საპასუხოდ ისიც დამეხმარებოდა, ის კი ისეთსახეს იღებს, თითქოს არაფერი მომხდარა. და აი უკვე რამდენიმე დღეა ველი, როდის გაეღვიძება სინდისი. მე რა თქმა უნდა ვმუშაობ ჩემს თავზე და ვპატიობ მას.

ახლა ყველაფერი გასაგებია, - ვამბობ მე. – ლოდინი - ეს დამოკიდებულებაა. რაც მეტხანს ელოდებით უფრო შეიძულებთ ან მას, ან საკუთარ თავს. ლოდინი – ენერგიის დაკარგვაა. დაურეკეთ ამ ადამიანს და უთხარით თქვენი შეხედულება. არასოდეს არ შეიკავოთ თქვენს თავში წყენა, ეს თვითმკვლელობაა. უმადური ადამიანი უნდა დასაჯოთ. რამენაირად მაინც თუ ასწავლით ჭკუას, ეს მის აღზრდას შეუწყობს ხელს. რაშია სასჯელის აზრი? ადამიანს ავიწყდება ღმერთი და სიყვარული და თავის კეთილდღეობას ეთაყვანება. ამ ტენდენციას უმადურობისკენ, ტყუილისკენ, ქურდობისკენ მიჰყავს იგი. და მისი დახმარება შეიძლება, მისი სურვილების და კეთილდღეობის შეზღუდვით. ისევე როგორც ავადმყოფობა, ეს შეზღუდვაც ღმერთისკენ და სიყვარულისკენ უბიძგებს მას.

- მაგრამ მე არ შემიძლია მისი დასჯა, - მპასუხობს ჩემი ნაცნობი.
- სულ ერთია, მაინც უთხარით თქვენი აზრი და დასკვნები მომავალში გააკეთეთ. დასკვნა კი მარტივია: უმადურ ადამიანებს არ უნდა დაეხმარო. უფრო ზუსტად კი, დახმარება სხეულისადმი მინიმალური უნდა იყოს, ხოლო სულისადმი – მაქსიმალური. ასე რომ, უმადურისთვის, ანუ შურიანი და ხარბი ადამიანისათვის დახმარების გაწევა შესაძლებელია, თუ მის შესაძლებლობებს შევზღუდავთ. გარეგნულად ეს დასჯას გავს.

გაიხსენეთ, რას ამბობდა ქრისტე იმის შესახებ, რომ იმას უნდა ვუშველოთ, ვინც ითხოვს შველას. მაშინ რატომდა ამბობს იგი: “не мечите бисер перед свиньями”? მთავარი დახმარება – ეს ხომ ინფორმაციაა. ესე იგი, ყველას სხვადასხვანაირად უნდა დავეხმაროთ. და მთავარი დახმარებაა – ვუბიძგფოთ ადამიანს ღვთაებრივისკენ. ამაშია აღზრდის არსი. როცა უბრალოდ ელოდებით, რომ ადამიანში სინდისი გაიღვიძებს, ამით უარს ამბობთ მის აღზრდაზე, ენერგიის დახარჯვაზე, ანუ სიყვარულზე. აღზრდა კი – ეს პირველ რიგში სიყვარულია, შემდეგ კი შექება ან დასჯა, მხარდაჭერა ან შეზღუდვა.

სამყაროს თქვენეულ აღქმაში უნდა არსებობდეს აღზრდის იდეა, ანუ საკუთარი და სხვების ტრანსფორმაციის იდეა. ჩვენს ქვეცნობიერში მხოლოდ ორი პოზიციაა: ადამიანი ან იცვლება, ან ჩვენ

ვანადგურებთ მას. თუ ჩვენ გადავწყვეტთ, რომ ადამიანის შეცვლა და აღზრდა შეუძლებელია, ჩვენი რისხვის, განკითხვის და წყენის ემოციები ქვეცნობიერად ამ ადამიანის განადგურებაზე მუშაობენ.

ნებისმიერი ურთიერთობა სხვა ადამიანთან – ეს აღზრდაა. ახალი ინფორმაცია რომ მივიღოთ, საჭიროა შევიცვალოთ. ჩვენ ადამიანს ენერგიას და ზრუნვას გადავცემთ და მასაც იგივე უნდა მოვთხოვოთ. ანუ არაა საკმარისი, რომ ვიყოთ ალტრუისტები და მსხვერპლი გავიღოთ, ეს თვისებები სხვებშიც უნდა აღვზარდოთ. გახდი ბედნიერი – სხვასაც ასწავლე ბედნიერება.

მანქანა ვაგზალს უახლოვდება, ბარგი ამოვალაგეთ. ჩემი ნაცნობი ცოტა ხნით გავიდა, ვიღაცას უნდა შეხვედროდა თავის საქმეებზე.

როცა დაბრუნდა, მასში ცვლილება ვიგრძენი. მოვახდინე ქვეცნობიერი აგრესიის დიაგნოსტირება და საოცარი სურათი დავინახე. სუფთაა. თვითგანადგურების პროგრამა გაქრა.

- სხვათაშორის, - მეუბნება იგი, - მე დავურეკე იმ ადამიანს და ვუთხარი ჩემი პოზიცია. მან მითხრა რომ ჩემთან შეხვედრა და გულწრფელად დალაპარაკება უნდა.
- აღზრდის პროცესი დაიწყო, - გავიღიმე მე.
- ოდესღაც ხომ უნდა დავიწყოთ, - თავი დამიქნია საპასუხოდ.

ვაგონში ჩავტვირთეთ ნივთები და რამდენიმე ხნის შემდეგ მოძრავ პეიზაჟებს ვაკვირდები ფანჯრიდან. “თუ ნებისმიერ სიტუაციას ღმერთისკენ მივყავართ, - ვფიქრობ მე, - მაშინ რეაქცია ნებისმიერ მოვლენაზე სიყვარულის ამოფრქვევა უნდა იყოს. მაგრამ რა ვუყოთ სინდისს, რომელიც გვტანჯავს ჩადენილი საქციელების გამო? სინდისიანმა ადამიანმა ხომ უნდა ინანოს თავისი საქციელი.”

მაგრამ ახლა ვხვდები, რომ ეს სტერეოტიპული, ნახევრული შეხედულებაა მოვლენებზე. სინდისმა ტანჯვა უნდა გამოიწვიოს, მაგრამ ამ დროს გამოყოფილი ენერგია სინანულზე არ უნდა წავიდეს, იმიტომ რომ სინანული საკუთარი თავის ფარული განადგურებაა და იმის აღიარებაა რომ ტრანსფორმაცია არ შეგვიძლია. ენერგია სიყვარულის აფეთქებად უნდა გადაიქცეს და საკუთარი თავის ისეთ ცვლილებად, რომელიც არ დაუშვებს ამ შეცდომის განმეორებას. იმისათვის, რომ საკუთარ თავზე ვიმუშაოთ, უნდა შევიცვალოთ, იმისათვის რომ შევიცვალოთ, ენერგიაა საჭირო. ხოლო ენერგია რომ გვქონდეს, სიყვარულისთვის უნდა განვეწყოთ. სიყვარულისთვის რომ განვეწყოთ, უნდა დავინახოთ იგი ყველა სიტუაციაში როგორც მიზეზი, როგორც მიზანი და როგორც შედეგი.

პეიზაჟი თანდათან ბნელდება, მაგრამ მე უკვე სულ სხვანაირად ვხედავ სამყაროს და სხვანაირად აღვიქვამ მას. “ჩვენ სულით ვხედავთ სამყაროს, - ვფიქრობ მე. – ჭეშმარიტი ხედვა ფორმაზე აღარაა დამოკიდებული, და თუ სიყვარულის გრძნობა უწყვეტია, მაშინ ძველი სამყარო სადღაც ქრება, და მის ადგილას სრულიად ახალი ჩნდება.” მე ვწვები და ნელ-ნელა ყველაფერს ვწყდები. საინტერესოა, ხვალ როგორი თვალით შევხედავ სამყაროს?

ერთიანობა

სამყარო ერთიანია. ის დროის მიღმა არსებული წერტილისგან შეიქმნა და კვლავაც აგრძელებს წერტილად არსებობას. ის, რაც ორ ნაკადად გაყოფილ დროდ გადაიქცა, ვითარდება, იზრდება და საწყისი მდგომარეობისკენ ისწრაფვის. სამყაროს ნებისმიერი პროცესი მისი განვითარების ციკლს იმეორებს, ანუ სამყაროში მხოლოდ ორი პროცესი მოქმედებს: დრო იყოფა ორ ნაკადად, იქმნება ორი პოტენციალი, იწყება მოძრაობა, იბადება სივრცე და მატერიალ და იწყება დროის შეკუმშვის პროცესი.

როცა ვარსკვლავი ანათებს, გამოყოფს რა ენერგიის უზარმაზარ რაოდენობას, ის ცდილობს შეკუმშოს დრო. რაც მეტია ენერგიის გამოყოფა, მით მეტად ჩერდება, ანუ იკუმშება დრო. სამყეროში ნებისმიერი ობიექტის ქცევის მოდელი – ცოცხალის ან არაცოცხალის – ეს მისწრაფებაა შეკუმშოს, გააჩეროს დრო. ყველაზე ნათლად ეს ტენდენცია ცოცხალ ორგანიზმებში ვლინდება. თავად სიცოცხლე – დროის ორი ნაკადის შეერთების სიმბოლოა. თუ ცოცხალ ორგანიზმს არ ექნება მეხსიერება, დაგროვებული გამოცდილება, მისი ადაპტაცია გარემოსადმი შეუძლებელი იქნება. თუ ცოცხალი ორგანიზმი ვერ შეძლებს მომავლის შეგრძნებას და მოდელირებას, მისი შანსები გადარჩენისა ასევე დიდი არ იქნება. წარსულის გამოცდილება მომავლის პროგნოზირებისთვის გვჭირდება, მაგრამ პროგნოზირების ცნების გარდა კიდევ არსებობს წინათგრძნობა და ინტუიცია. , რომლებიც გვეხმარებიან, როცა გამოცდილება უძლურია.

ჩვენ ვუყურებთ ხეებს, მცენარეებს და ვამბობთ: “ამ წელს ზამთარი ცივი იქნება.” – და არ ვფიქობთ იმაზე, რომ მცენარეები და ცხოველები თავისი ინტუიციით ხშირად გვისწრებენ.როცა ტაილანდში გიგანტურმა ტალღამ ხალხი წალეკა, ცხოველები იქ არ აღმოჩნდნენ. არც ერთი ცხოველი არ მომკვდარა. ადამიანები სპილოებით სეირნობდნენ და უცებ სპილოები შებრუნდნენ და ტყისკენ გაიქცნენ ზურგზე მსხდომი ადამიანებიანად. შეშინებული ხალხი მაშინ ვერაფერს მიხვდა, მხოლოდ გვიან მიხვდნენ. თავისი გამოცდილებიდან გამომდინარე ცხოველებს შეიძლება ეგრძნოთ, რომ სადღაც მიწისძვრა მოხდა, მაგრამ გიგანტური ტალღა, რომელიც მალე ნაპირს დაფარავდა, მათ უნდა წარმოედგინათ, წინასწარ დაენახათ – ეს უკვე ინტუიცია კი არა წინათგრძნობაა. ანუ ცოცხალი არსებები დროის ორ ნაკადს კუმშავენ და მათი განვითარების შესაბამისად ეს შეკუმშვა ძლიერდება.

ახლა მთელს მსოფლიოში აკრიტიკებენ დარვინის თეორიას, რადგანაც უფრო და უფრო გასაგები ხდება შემდეგი ფაქტი: ცხოველების და მცენარეების ახალი სახეობები ისე ჩნდებიან, რომ იგნორირებას უკეთებენ ევოლუციის წინა საფეხურებს. დიახ, ადაპტაცია და თანდათანობითი ცვლილება ხდება ცხოველებსა და ფრინველებში, მაგრამ ახალი სახეობების გაჩენის ევოლუციით ახსნა შეუძლებელია.

მაიმუნები ვერაფრით გახდებიან ადამიანები, და ბევრი უკვე ამბობს: “ჩვენ უარვყოფთ დარვინის თეორიას, ყველაფერი ზემოდან ჩნდება.”

თუმცა ადამიანის ემბრიონს განვითარების პირველ საფეხურებზე გააჩნია ლაყუჩები, კუდი და პირველ თვეებში ევოლუციის ყველა სტადიას გადის. ის თავის თავში ატარებს მეხსიერებას ყველა სასიცოცხლო ციკლის შესახებ ერთ უჯრედიანის ჩათვლით, რომელიც პირველი გაჩნდა მიწაზე. წარმოდგენა ამ პრობლემაზე გადაუწყვეტელი ჩანს მხოლოდ იმიტომ, რომ ადამიანები არასწორად აზროვნებენ: მხოლოდ მატერიალურის კატეგორიებით, ევოლუციის თეორიის აღიარებით, ან მხოლოდ იდეალისტური კატეგორიებით, ყველა ცოცხალი ორგანიზმის მაღალი ნებით შექმნის აღიარებით.

მატერიალისტის ცნობიერებას დროის მხოლოდ ერთი ნაკადის შეკავება შეუძლია, მისთვის წარსულის გამოცდილება - ეს ყველაფერია, და ის ხედავს, მატერიალური როგორ განუწყვეტლივ ვითარდება, სახეიცვლება და როგორც ყველაზე ამაღლებულ მიზანს ის ხედავს ნათელ მომავალს. იდეალისტისთვის მთელი სამყარო – ეს პირველადი ღვთაებრივი იმპულსის დეგრადაციაა. სული (дух) დეგრადაციას განიცდის, სხეულად იქცევა. ყველაფერი ზემოდანაა განსაზღვრული და მომავალი უფრო და უფრო სავალალოა. იმდენად, რამდენადაც ყველაფერი თანდათან დეგრადაციას განიცდის, ბოლო ერთია – ეს ნგრევაა. იქნება მაღალი სამსჯავრო და შემდეგ დაბრუნება პირველსაწყისში.

მატერიალისტისთვის ცნება წინასწარგანსაზღვრულობისა, წინასწარ ხედვისა – ეს უაზრობაა.იდეალისტისთვის კი მეცნიერების ყველა პოსტულატე, განსაკუთრებით თუ ისინი ადამიანს შეეხება, სულელურად გამოიყურება. თუ სული არ არსებობს, ცნობიერება კი სხეულის ფუნქციაა, მაშინ როგორ აგხსნით, რომ ერთნაირ სხეულებში ადამიანებს სრულიად განსხვავებული ცნობიერება აქვთ, და ერთ დედას სრულიად განსხვავებული შვილები ყავს. ნებისმიერ მეცნიერს შეიძლება დავუსვათ მარტივი კითხვა: თქვენი თეორიით დედამიწა – ეს ციური სხეულია, რომელიც თანდათან ცივდება. დააფარეთ ჩაიდანს სახურავი და გამორთეთ გაზი. როგორც კი ენერგიის მიწოდება შეწყდება, სახურავი შეწყვეტს ზანზარს. ჩაიდანში, რომელიც ცივდება, შეუძლებელია სპონტანური პროცესები, ამიტომ დედამიწაზე არ უნდა იყოს მიწისძვრები. დედამიწა კი არ უნდა ფართოვდებოდეს, უნდა იკუმშებოდეს. ასეთი ბევრი არგუმენტის მოყვანა შეიძლება.

აღმოსავლეთის და დასავლეთის დაპირისპირება დღესაც მოუგვარებელია მხოლოდ იმიტომ, რომ ადამიანებს არ ყოფნით სიყვარული სულში და ღვთაებრივი მათ მიერ ნახევრულად აღიქმება. და მხოლოდ მაშინ, როცა სულში სიყვარულის შენარჩუნებას განუწყვეტლივ ცდილობ, ხვდები, რომ ერთნიც მართლები არიან და მეორენიც. ჭეშმარიტი სიმართლე ორივე ურთიერთწინააღმდეგობას მოიცავს.

მომავლიდან ჩვენთან აწმყოში თესლები მოდიან. ამ თესლებში ინფორმაციის სიხშირე ძალიან მაღალია. ნებისმიერი ცივილიზაცია ცოცხლობს, ვითარდება, სრულყოფას განიცდის, მაგრამ ამ თესლების გარეშე, ინფორმაცია სწრაფად ქვრება და ცივილიზაცია იღუპება. სწორედ ასე ხდებოდა ყოველთვის – ნადგურდებოდნენ ტომები, ქალაქები, ცივილიზაციები. მოძრაობა არ იქნება, თუ მხოლოდ ერთი პოტენციალი არსებობს. მაგრამ როგორი მაღალიც არ უნდა იყოს ცივილიზაციის დონე, მისი არსებობის საფუძველი – დროის ორი ნაკადის ურთიერთქმედებაა. და რაც არ უნდა მადლიანი იყოს მომდევნო ცივილიზაციის ნიადაგი, ახალი თესლკების გარეშე, რომლებიც მომავლიდან ვარდებიან, ეს ცივილიზაცია ხვალინდელ დღეში ვერ გადააბიჯებს. მომავლის თესლებს ადამიანები მისტიკური გამოცდილებით იღებდნენ – ასე იქმნებოდა ახალი რელიგიები. მცირე ხნით კონტაქტი შემოქმედთან უფლებას გვაძლევდა შეგვეგრძნო წარსულის და მომავლის ერთიანობა, ქმნიდა ახალ იმპულსს განვითარებისათვის.

მეცნიერის თვალთახედვით. ფრაზა, რომელიც აბრაამმა ღმერთისგან გაიგო – “შენგან წარმოიქმნება მრავალი ერი”, - უაზრობაა. ნებისმიერი მეცნიერი აღშფოთდება – ეს ხომ პრინციპულად შეუძლებელია. ვსწავლობთ რა დედამიწის ისტორიას, სულ სხვა პროცესს – ცოცხალი არსებების განადგურებას ვხედავთ. ადრე დედამიწაზე ტომების და ხალხების უამრავი რაოდენობა იყო, თანდათან მათი რაოდენობა მცირდებოდა და ახლა დედამიწაზე ყოველდღიურად ათეულობით სახეობის ცხოველი და მცენარე ქრება. ეს ტენდენცია არ იცვლება. მეცნიერი, რომელიც ობიექტურად მსჯელობს, მშვენივრად ხვდება, რომ მალე დედამიწაზე პრაქტიკულად აღარ დარჩებიან ცოცხალი ორგანიზმები გარდა ადამიანისა, ადამიანების რაოდენობა კი 20 მილიარდს გადააჭარბებს, და საეჭვოა, რომ ისინი გადარჩებიან ოდესღაც მდიდარი ბუნების ნარჩენებში. მაგრამ რჩება კითხვა: წარმოიშვნენ ახალი ერები აბრაამის შემდეგ? წარმოიშვნენ.

იუდაიზმს უბრალოდ ახალი ადამიანი არ შეუქმნია მხოლოდ. ის მთელ მსოფლიოში გავრცელდა, ქრისტიანობის და ისლამის გაჩენამდე მიგვიყვანა, რამაც შესაძლებლობა მისცა ახალ კულტურებს და ახალ ერებს, გაჩენილიყვნენ, იმიტომ, რომ ერი – ეს პირველ რიგში რელიგია და კულტურაა, შემდეგ უკვე ენა, კანის ფერი და ტრადიციები.

ერი შინაგან ერთიანობას ქმნის. თუ ეს ერთიანობა არ არსებობს, ერი იშლება ცალკეულ ტომებად, კლანებად. ნებისმიერი ცოცხალი ორგანიზმი ერთიანობის პრინციპით ვითარდება. ერთიანობის ყველაზე მაღალი დონე და ინფორმაციის ყველაზე მაღალი სიხშირე – მარცვალშია, თესლშია. იმის მიხედვით, თუ როგორ ვითარდება და იზრდება ხე, ერთიანობის პრინციპი შემცირებას იწყებს და როცა ის კრიტიკულ ზღვარს ქვემოთ ჩამოდის, ხე ავადდება და კვდება. იგივე ემართებათ ადამიანებსაც, იგივე პრინციპით ვითარდება და დეგრადირდება საზოგადოება და სახელმწიფო.

ერთ-ერთი უმთავრესი პირობა ცალკეული ადამიანისთვის – შინაგანი ენერგიის მაღალი დონეა. რაც უფრო მეტ კონცენტრაციას აკეთებს ადამიანი ღვთაებრივზე და არ თრგუნავს სიყვარულის გრძნობას, მით უფრო მეტი ენერგიაა მასში, მით მეტია ერთიანობის დონე, მით უფრო მასშტაბურად იკუმშება მასში დრო,

მით უფრო კარგად ხედავს და გრძნობს მომავალს. ღმერთთან ერთობის დაკარგვისას, მიზნად სხეულებრივი სიამოვნებების ქცევისას, ადამიანი თანდათან ამცირებს შინაგანი ენერგიის დონეს, ავად ხდება და კვდება.

მორწმუნე და მორალური ადამიანი უფრო ხანგრძლივად ცოცხლობს, ვიდრე ხარბი, შურიანი და სურვილების მონა. ხშირად ადამიანი ათეისტად აცხადებს თავს იმისათვის, რომ უფრო კარგად დატკბეს და არ შეიკავოს თავისი სურვილები. იმდენად, რამდენადაც სურვილების გადაგვარება მომდევნო თაობებში ხდება, ათეისტი თითქოს აღწევს თავის მიზანს. მაგრამ თუ მას მომავალთან, თავის შთამომავლობასთან ერთიანობის შეგრძნება აქვს, ადამიანი იგრძნობს, რომ მისი საქციელი მისივე მომავალი ბავშვების გადაგვარებას იწვევს.

მორალური ადამიანი – ეს ისაა, ვინც გრძნობს თავის ერთიანობას სხვა ადამიანებთან და მომავალთან. ამიტომ მორალურ ადამიანს განვითარებული აქვს სტრატეგიული აზროვნება, უკეთესი ინტუიცია და მომავლის ჭვრეტის უნარი აქვს. ასეთი ადამიანი გადარჩება და მისი შთამომავლობაც ჯანმრთელი იქნება.

ერთ-ერთ წიგნში საოცარი ისტორია წავიკითხე იმის შესახებ, თუ როგორ გახდა ადამიანი ათეისტი. ეს XX საუკუნის დასაწყისში მოხდა. ახალგაზრდა კაცი მღვდელთან მივიდა და უთხრა, რომ ის ათეისტია და არ ცნობს ღმერთს. მან არ დაიწყო კაცის დადანაშაულება და განკითხვა, უბრალოდ შესთავაზა გაეხსენებინა, როდის გაუჩნდა პირველი აზრი იმის შესახებ რომ ღმერთი არ არსებობს. ახალგაზრდამ, როცა სახლში დაბრუნდა, გაიხსენა რომ როცა 6 წლის იყო, დედა ყოველდღე აძლევდა მას 2 მონეტას – ერთს პირადი ხარჯებისთვის, მეორეს კი მათხოვრებისთვის, რომლებიც ეკლესიასთან ითხოვდნენ მოწყალებას. და აი ერთხელ ბავშვს ძალიან მოუნდა სათამაშო ცხენის ყიდვა, ფული არ ქონდა, მაგრამ სურვილი ძალიან ძლიერი იყო, და მაშინ იფიქრა: თუ ბრმა მათხოვარს ხურდას არ მივცემ, ორჯერ უფრო სწრაფად მოვაგროვებ საჭირო თანხას. და აი რამდენიმე დღე ისე ჩაუვლიდა ხოლმე ბრმას, რომ მონეტას არ აძლევდა, და უცებ ერთხელაც ახალი აზრი დაებადა: ხომ შეიძლება მოვპარო მონეტა მათხოვარს, ის მაინც ვერაფერს დაინახავს.

მოკლედ ბავშვი მოპარვას იწყებს, მაგრამ როცა ტაძარში შედის, მოულოდნელად ამჩნევს, რომ სული დაუმძიმდა, ცუდადაა, რცხვენია, და ნებისმიერი საბაბით ცდილობს, რომ აღარ შევიდეს ტაძარში. და როცა მისი ათეისტი ძმა ეუბნება, რომ ღმერთი არ არსებობს, ის უცებ ამჩნევს, რომ უფრო კარგად იგრძნო თავი და სინდისის ქენჯნაც გაქრა. იგრძნო, რომ შეუძლია გააკეთოს ყველაფერი, რაც მოესურვება, საკუთარი შეზღუდვა აღარაა საჭირო, და ამ გზას გაჰყვა.

გადაგვარება სასიამოვნოა პროცესია, აღმშენებლობა, სრულყოფა კი მტანჯველია. საჭიროა უბრალოდ დავივიწყოთ სული და ყველაფერი სხეულის ინტერესებს დავუმორჩილოთ, ასე რომ ინტუიტიურად ათეისტები ის ადამიანები ხდებიან, რომლებშიც სულის დეგრადაციის პროცესმა დიდი სიჩქარე აკრიფა. თუ მოვსპობთ სამყაროსთან ერთიანობის შინაგან პრინციპს, შინაგანი პასუხისმგებლობის გრძნობას გარესამყაროზე, მაშინ ცხოვრება მარტივი დ აიოლი ხდება.

უზარმაზარი სულიერი პოტენციალი, რომელიც საბჭოთა ადამიანებმა დააგროვეს, კოლექტიური ცნობიერებით იქნა განპირობებული. იმდენად, რამდენადაც სოციალიზმი პიროვნების და ინდივიდუალობის სრულ განადგურებას ცდილობდა, ის განწირული იყო, რამეთუ განვითარება შესაძლებელია ორი ურთიერთწინააღმდეგობის თანაარსებობისას. მაგრამ საკუთრივ ერთიდან მეორე უკიდურესობისკენ გადასვლის პროცესი ნაყოფიერია, რამეთუ რაღაც პერიოდის განმავლობაში ჯერ კიდევ შენარჩუნებულია ოქროს შუალედი.

ინდივიდუალიზმის ტენდენცია, რომელიც დასავლეთ ცივილიზაციაში ძლიერდებოდა, სოციალიზმში მეორე უკიდურესობაში გადადიოდა და ამიტომაც რაღაც პერიოდი ძალიან ნაყოფიერი იყო. მას შემდეგ, რაც სოციალიზმი დაინგრა, დაიწყო მისწრაფება დაბრუნებისკენ უკან, დასავლური ღირებულებებისაკენ და შესაბამისად მორალის განადგურებისკენ. ადამიანები ვეღარ გრძნობდნენ ერთმანეთს.

მე ხშირად ვეუბნები პაციენტებს: "თქვენი შეგრძნებები ახლა – ეს თქვენი ბავშვის სხეული და ბედია მომავალში." და გამოდის, რომ თუ ყველაფერს ვაკეთებთ ჩვენი ბავშვებისთვის ღრმა და ნატიფ დონეზე, მაგრამ ამასთან მორალურ კანონებს ვარღვევთ, ჩვენ სინამდვილეში ვკლავთ ჩვენს ბავშვებს, ვანადგურებთ ჩვენს შთამომავლობას.

თანასწორობა – ეს ერთიანობის მატერიალური გაგებაა. თუ სულში სიყვარული და ღმერთთან ერთიანობაა, მაშინ ადამიანებს შორისაც იქნება სულიერი ერთიანობა, რომელიც რელიგიის, მორალის, კულტურის სახით ვლინდება, და მატერიალური ერთიანობა, რომელიც არ აძლევს ღარიბს უფლებას, რომ შიმშილით მოკვდეს, ხოლო მდიდარს იმის უფლებას, რომ ზედმეტი კაპიტალი დააგროვოს და ფიზიკურად კი არა, სულიერად დაიღუპოს. და მაშინ ფიზიკური განსხვავებები ადამიანებს შორის შენარჩუნდება, მაგრამ არ მიაღწევს უკიდურეს ზღვარს, რომლის შემდეგაც დეგრადაცია და დაცემა იწყება. გარეგნული მატერიალური განსხვავება ადამიანებს შორის შეიძლება შინაგანი ერთიანობისკენ გვიბიძგებდეს. გარეგნული კონფლიქტი ურთიერთწინააღმდეგობებს შორის, ძლიერდება რა, აიძულებს მათ უფრო მეტად ისწრაფვონ ერთიანობისაკენ. და თუ გამაერთიანებელი რგოლი არ გაძლიერდება, მაშინ ეს წინააღმდეგობები გაანადგურებენ ერთმანეთს, ან მათი კავშირი შეწყდება და განვითარება გაჩერდება.

ორი უმაღლესი ურთიერთწინააღმდეგობა სამყაროში წარსული და მომავალია – დროის ორი ნაკადი. ისინი წონასწორდებიან სიყვარულის უწყვეტი ნაკადით, რომელიც ღმერთიდან გამოდის და ეს მთელ სამყაროს ერთიანობას უზრუნველყოფს. ნებისმიერ პროცესში მთელი სამყარო ირეკლება! თუ ცოცხალ არსებათა ჯგუფს ერთიანობის მაღალი დონე აქვს, მაგრამ გარეგნული განსხვავებები არა აქვს, ისინი იცოცხლებენ, მაგრამ მათი განვითარება შეწყდება, ისევე როგორც ჭიანჭველების შემთხვევაში. ხოლო თუ

გარეგნული განსხვავებები გარკვეულ ზღვარს გასცდება, ერთიანობა ქრება, ჯგუფი იშლება და შეიძლება დაიღუპოს.

პატრიოტიზმის აღზრდა – მძლავრი ფაქტორია ქვეყნის ერთიანობისა და გადარჩენის შანსის გაძლიერებისათვის. პატრიოტიზმის აზრი შემდეგშია: ადამიანმა უნდა შეიგრძნოს თავი თავის ქვეყანასთან და თავის ხალხთან ერთიანობაში. და როცა მას თავისი ხალხის გაქურდვას შესთავაზებენ, ის უარს იტყვის ამაზე. პატრიოტიზმის ჩვეულებრივმა გრძნობამ, შეიძლება უფრო მეტი შეძლოს, ვიდრე ნებისმიერმა წესმა და ლოზუნგმა. ვერანაირი საკანონმდებლო აქტი და ინსტრუქცია ვერ შეძლებს ადამიანის შეკავებას დანაშაულებებისგან, თუ ის ამორალური და უპრინციპოა. და ვერავითარი სასჯელი ვერ შეაჩერებს ადამიანს, თუ მის სულში სიყვარული არაა და მთავარი მისთვის პურის ნაჭერია.

გარეგნულ ერთიანობას – წესებისადმი, საერთო პრინციპებისადმი სრულ დამორჩილებას, შინაგან დაცარიელებამდე, ენერგიის დაკარგვამდე, განვითარების გაჩერებამდე მივყავართ. ადამიანის ცხოვრების მკაცრ რეგლამენტირებას მივყავართ იქამდე, რომ პიროვნება ჩაქრობას იწყებს. ამან შეიძლება ჰომოსექსუალიზმი ან უნაყოფობაც კი გამოიწვიოს. სრული სექსუალური აღვირახსნილობაც ისევე გვართმევს ენერგიას, როგორც სრული თვითშეზღუდვა, საკუთარი თავის სრული დათრგუნვა და დამორჩილება.

თავშეკავებამ, სექსუალური ენერგიის ტრანსფორმაციამ, მის სულიერ სფეროში გადატანამ დიდი როლი ითამაშა საბჭოთა ხელისუფლების კულტურის და ხელოვნების განვითარებაში. პირადი საკუთრების და სექსუალური სურვილების შეკავების დროს დაგროვილმა ამ ენერგიამ საშუალება მისცა პოსტსაბჭოთა საზოგადოებას უფრო სწრაფად გაევლო შინაგანი დაშლის ეტაპები, მისულიყო უკიდურეს ზღვრამდე და დაეწყო ახალი მორალური აღმშენებლობა.

ორი ძირითადი ინსტინქტის დათრგუნვა ღმერთისადმი და სულის განვითარებისადმი ძლიერ ქვეცნობიერ სწრაფვას გვაძლევდა. ტანჯულ სულში ჯანმრთელი სხეულია. ეს ბიბლიური ჭეშმარიტება კარგად დადასტურდა საბჭოთა კავშირის მაგალითით…

დედამიწაზე მცხოვრები ყველა ადამიანი ერთ ორგანიზმად იწყებს გაერთიანებას. მიზეზი უბრალოა: უკვე მივედით იმ საფეხურზე, რომლის შემდეგაც კაცობრიობის კარდინალური ტრანსფორმაცია უნდა დაიწყოს. ახალი ადამიანის ენერგეტიკა და მორალურობა გაცილებით მაღალი უნდა იყოს. თანამედროვე ცივილიზაცია ან დაიღუპება, თუ შინაგან ერთიანობას დაკარგავს, ან პირიქით, გაცილებით მაღალ საფეხურზე ავა. და თუ ერთი სახელმწიფო შეძლებს საკუთარი ნების სხვების თავზე მოხვევას და მათ დამორჩილებას, ასეთი გარეგნული ერთიანობა მკვეთრად შეამცირებს შინაგან ენერგეტიკას, რამაც შეიძლება მთლიანი ცივილიზაციის განადგურება გამოიწვიოს. დასკვნა მარტივია: ნებისმიერ ქვეყანას, რომელსაც სხვა ქვეყნების და მთელი მსოფლიოს დამორჩილება მოუნდება, გაუჩნდება უსერიოზულესი პრობლემები. და არა აქვს მნიშვნელობა რა ქვეყანა იქნება ეს – აშშ, რუსეთი თუ ჩინეთი.

უმაღლესი ეთიკური ნორმების დარღვევა უფრო და უფრო სახიფათო იქნება როგორც ცალკეული ადამიანისთვის, ისევე მთელი ქვეყნისთვის. და თუ ერთიანობის გაძლიერებისაკენ ტენდენცია თანამედროვე ცივილიზაციას არასაკმარისი ექნება, საჭირო გახდება ახალი მტრის გაჩენა კატაკლიზმების, წყალდიდობების, ეპიდემიების და ა. შ. სახით. ნებისმიერი ადამიანი, რომელიც გრძნობს თავის ერთიანობას სხვებთან და სულზე უფრო ზრუნავს ვიდრე სხეულზე, ხვდება, რომ ყველაზე დიდი სიმდიდრე სიყვარულის უნარია, იგი დაეხმარება ყველას ახალ მდგომარეობისკენ ამ ურთულეს და საპასუხისმგებლო გადასვლაში.

კლასიფიკაცია

დღეს დილით აეროპორტში მიწევს წასვლა. ტაქსის დაქირავება მინდოდა, მაგრამ გამახსენდა, რომ ერთ ჩემს პაციენტს უნდოდა ჩემთან საუბარი. რაღაც პრობლემები შეექმნა. სატელეფონო საუბრის მერე გაირკვა, რომ თავისუფალი დრო აქვს და სიამოვნებით წამიყვანს აეროპორტში.

და აი ისევ დიდი ქალაქის ავტომობილების საცობები, მოქუფრული ცა და დაძაბული რიტმი. ჩაფიქრებული ვარ და მანქანების ნაკადს ვუყურებ.

სანამდე მივედი ჩემი თხუთმეტწლიანი კვლევების შედეგად? იმ გაგებამდე, რომ სიყვარული – ეს აბსოლუტური ღირებულებაა. მთელს სამყაროში არ არსებობს მიზეზი მისი უარყოფისათვის. პირიქით, უარი უნდა ვთქვათ ყველაფერზე, რაც სიყვარულში გვიშლის ხელს. რაც მეტია ადამიანური ბედნიერების მასშტაბი, მით მეტი უნდა იყოს სწრაფვა ღმერთისკენ და სიყვარულისკენ.

ადამიანური ღირებულებები ბოლოს და ბოლოს დროის ცნებამდე მიდიან. დრო ორი ურთიერთწინააღმდეგობისგან შედგება, რომლებიც ერთიანნი არიან პირველად იმპულსში. დროსთან ორი მთავარი ინსტინქტით ვურთიერთქმედებთ: გვარის გაგრძელების და თავდაცვის. გვარის გაგრძელების ინსტინქტთან დაკავშირებულია ეჭვიანობა, ხოლო თავდაცვასთან – სიამაყე. თავის მხრივ ეჭვიანობა და სიამაყე დაკავშირებულნი არიან მომავალთან და ბედთან. შემდეგ, რაღაც მომენტში, ეს ორი ნაკადი ერთიანდება სტრუქტურაში, რომელსაც დავარქვი "სიცოცხლე".

ვფიქრობდი რომ ეს ბოლო რგოლი იყო, მაგრამ კვლევების გაგრძელებასთან და სხვებისადმი დახმარების გაწევასთან ერთად დავინახე და გამიკვირდა, როგორ მუშაობს დუალიზმის კანონი. უფრო ღრმა დონეზე სიცოცხლე კვლავ ორ ნაკადად იყოფა. მათი შესწავლის და კლასიფიცირების შედეგად მოულოდნელ დასკვნამდე მივედი. ეს ისევ იგივე სტრუქტურები იყო მომავლისა და ბედისა, მაგრამ გაცილებით უფრო დიდი მასშტაბის. ბედი დაკავშირებული იყო უკვე არა ერთ, არამედ ბევრ ცხოვრებასთან.

და მომავალიც განუსაზღვრელად მეტი იყო. შესაბამისად სიყვარულის შენარჩუნება ასეთი სტრუქტურების ნგრევისას თავდაპირველად უბრალოდ შეუძლებელი იყო.

წარმოიდგინეთ, არსებობს უსიამოვნება ბედთან დაკავშირებით. თქვენ მოგპარეს საფულე, მაგრამ საფულე ძველი იყო, ფული კი ცოტა. ორ დღეში ახალს იყიდით და დაივიწყებთ ამ უსიამოვნებას. მოვახდინოთ კლასიფიკაცია: უსიამოვნების მასშტაბი - ორი დღე. ერთი კვირის შემდეგ კი აგარაკი დაგეწვათ, მაგრამ აგარაკი არც თუ ისე ძვირფასი იყო იყო, ავეჯი ძველი. მოვახდინოთ კლასიფიკაცია: უსიამოვნებების მასშტაბი დაახლოებით ორი წელი. დაახლოებით ამდენი დაჭირდება დანაკარგის აღდგენას.

რას ნიშნავს დანაკარგის აღდგენა? ეს დახარჯული ენერგია და დროა.პრინციპში ფული – დახარჯული ენერგიის ეკვივალენტია. ენერგია კი რაღაც გარკვეული დროის მონაკვეთში იხარჯება. ანუ ჩვენ ვყიდით და ვყიდულობთ დროს. თუ ენერგიის ინტენსივობა მაღალია, საჭირო დროის ხანგრძლივობა მცირდება, ანუ დრო იკუმშება. რაც უფრო მეტად იკუმშება დრო, მით უფრო მეტი ენერგია გამოიყოფა და მით უფრო სწრაფად ხდება დანაკარგის, ბედის უსიამოვნებების აღდგენა. ერთი ადამიანისთვის დამწვარი აგარაკი – სამი თვის დავიდარაბაა, ხოლო მეორესთვის - მთელი ცხოვრების კატასტროფა.

გავიხსენოთ გოგოლის "შინელი". მთავარი გმირი – მცირე ჩინოვნიკი პაწაწინა სურვილებით და მცირე ენერგიით. მისთვის ახალი შინელი ცხოვრებისეული ბედნიერება იყო და მისი დაკარგვის მასშტაბიც შესაბამისი ზომის იყო. ამიტომ ასეთი დანაკარგის გადატანა ვერ შეძლო და მოკვდა.

და მოკლედ, არსებობენ ბედის უსიამოვნებები მასშტაბით 2 დღე, 2 წელი, 20 წელი, 20 ცხოვრება. ეს მასშტაბი სინამდვილეში განისაზღვრება არა მატერიალური დანაკარგების ზომებით, არამედ ადამიანის შინაგანი მდგომარეობით.

რა უფრო ნაკლებია ენერგია, მით უფრო მძიმეა დანაკარგი. და იმისათვის, რომ მცირე ენერგეტიკის არსობობის პირობებში შევძლოთ გადატანა, არ უნდა გვქონდეს დიდი მასშტაბის ბედნიერება. მცირე ენერგეტიკის ნიშნებია – სასოწარკვეთილება, შური, სინანული, ბედით უკმაყოფილება. თუ ამ თვისებების მატარებელი ადამიანი ბედნიერების ოდნავ მეტ პორციას მიიღებს, მისთვის ეს შეიძლება ტრაგედიად შემოტრიალდეს.

მაღალი ენერგეტიკა შეკუმშული დროის ადეკვატურია. დრო კი სიყვარულით იკუმშება. სიყვარულის გრძნობის მუდმივობა და შეუვალობა საშუალებას აძლევს ადამიანს ისეთ კატასტროფებს გაუძლოს, სადაც სუსტი ქარის პირველივე დაქროლვაზე იქცევა. რაც უფრო ნაკლები ენერგია აქვს ადამიანს, მით უფრო მეტადატა დამოკიდებული სხვა ადამიანებზე და გარემოზე. თუ ჩვენ სარგებლობას ვღებულობთ სხვებისგან და დამოკიდებულნი ვხდებით მათზე, თუ ვორგუნავთ საკუთარ თავს და გზას ვუთმობთ ყველას ყველაფერში, ამას ენერგიის დაცემამდე, სულში სიყვარულის შემცირებამდე, შემდეგ კი უსიამოვნებებამდე და ავადმყოფობებამდე მივყავართ.

მოკლედ ცხოვრება ორ სიღრმისეულ ნაკადად იყოფა – ბედი და მომავალი. მე ვმუშაობდი ამ სტრუქტურებთან და ინტერესით ველოდი, რით დამთავრდებოდა ყველაფერი, და ბოლოს და ბოლოს შევიგრძენი სტრუქტურა, სადაც წარსული და მომავალი ისევ ერთ მთლიანში გაერთიანდნენ. მის სამუშაო სახელწოდებად შევარჩიე: ერთიანობა.

რა არის ადამიანის ორგანიზმი? ეს მინერალური, მცენარეული და ცხოველური საწყისების ერთობლიობაა. უჯრედების მთელი ეს მასა აღარ არის სუფთად ცხოველური და იქცევა ადამიანურ ორგანიზმად ორგანიზმის შინაგანი კავშირების ინტენსიური განვითარების შედეგად. ანუ საკუთრივ ადამიანური მატერიალურის ზღვარს იქით დგას. მაღალი ფუნქციების დუბლირება ტვინით და სხეულის თავისებურებებით ხდება.

იმაში დარწმუნება, რომ სულიერება პირველადია ადამიანში, რთული არაა. ვთქვათ ორს ერთი და იგივე ფიზიკური აგებულება აქვს. სხეულის ანატომია, ტვინის შემადგენლობა, რეფლექსები – ეს ყველაფერი სრულიად მსგავსი აქვთ. მაგრამ რატომღაც ერთს დებილს და ნაძირალას ეძახიან, მეორეს კი გენიოსს და კეთილშობილ ადამიანს. მათ კი უბრალოდ სხვადასხვანაირი ენერგეტიკა აქვთ. პირველის სულში ნაკლებია სიყვარული და მისი ენერგია ორგანიზმის ერთიანობისთვის და პრიმიტიული სურვილებისთვისაა საკმარისი. ისეთი ცნებები, როგორიცაა ღირსება, მორალი, მისთვის მიუწვდომელია: მას ამ თვისებების მხოლოდ იმიტაცია შეუძლია. ასეთ ფუნქციებზე ენერგია არ ეყოფა უბრალოდ.

თუ ადამიანს მცირე ენერგია აქვს, ის განწირულია, რომ ეგოიზმის რეჟიმში იარსებოს. ხოლო თუ ენერგია ზედმეტია, ხდება ახალი ფუნქციების ფორმირება – ენერგიაგარეთ იფრქვევა: ადამიანი იცინის, ცეკვავს, ხატავს, მუსიკას თხზავს. ანუ ხელოვნება ენერგიის მოჭარბებულ რაოდენობასთანაა დაკავშირებული. ადამიანი წყვეტს მხოლოდ თავისი თავით და თავისი სურვილებით არსებობას. ის ინტერესდება გარესამყაროთი, იწყებს სხვებზე ფიქრს და ცდილობს გაიგოს, რით ცოცხლობენ, რით სუნთქავენ ისინი. მასში იზრდება გარესამყაროს მოდელირების და შეცნობის, და ერთიანობის შეგრძნების უნარი, რომელიც ადრე მხოლოდ საკუთარი ორგანიზმის ფუნქციებზე იხარჯებოდა. ადამიანი ეჩვევა იფიქროს არა მხოლოდ საკუთარ თავზე, არამედ ახლობლებზე და ნათესავებზეც.

რაც მეტი სიყვარული და ენერგიაა სულში, მით უფრო მასშტაბური ხდება ერთიანობის შეგრძნება. ადამიანი საკუთარ თავს შეიგრძნობს არა მხოლოდ ოჯახის, არამედ ერის, სახელმწიფოს ნაწილადაც. და მზადაა დაიცვას იგი ისევე, როგორც დაიცავდა საკუთარ სიცოცხლეს. სიყვარულის უნარი, სიყვარულის ინტენსივობა ერთიანობის იმ დონეს განსაზღვრავს, რომელზეც ადამიანი იმყოფება.

მაგრამ ეგოიზმიც საჭირო, ის ადამიანის არსებობის აუცილებელი პირობაა. ეს ერთ-ერთი ქვენა, მაგრამ საბაზისო ფუნქციაა, რომლის გარეშეც ცხოვრება შეუძლებელია. ეგოიზმის მოშორებას და სრულ

ალტრუისტად ქცევას მრავალი ათასწლეულის მანძილზე ბევრი ეცადა. რეზულტატი ერთი და იგივე იყო – ყველა ფუნქციის სწრაფი, ან ნელი ჩაქრობა.

ჩვენი ნაწლავი ზუსტად ისეთია, როგორიც ცხოველების, მაგრამ ამასთან ადამიანად აღვიქვამთ თავს. იმისათვის რომ ბოლომდე ვუარყოთ ცხოველური საწყისი, შეგვიძლია გავიჭრათ მუცელი და გადავყაროთ ნაწლავები. მაგრამ ეს იქამდე მიგვიყვანს, რომ ჩვენი ადამიანურიც მაშინვე სულს დალევს. დიახ, შეიძლება დავაპირისპიროთ ადამიანური და ცხოველური, მაგრამ ამასთან მათი განუყრელი ერთიანობაც არ უნდა დაგვავიწყდეს.

ორი ურთიერთწინააღმდეგობა ერთმანეთთან ურთიერთქმედების შედეგად ვითარდება. მათი განვითარება ერთიანობის მომატებას გულისხმობს. ერთიანობის სიმბოლო კი სიყვარულია. მარტივი ენით რომ ვთქვათ, ორი ურთიერთწინააღმდეგობის ბრძოლას იქამდე უნდა მივყავდეთ, რომ მათ უფრო მეტად უყვარდეთ ერთმანეთი. შემდეგ ეს განუწყვეტელი ერთიანობის შეგრძნებად უნდა გადაიქცეს. ისინი ერთიან სტრუქტურად იქცევიან, ერთ მთლიანობად, რაღაც დროის მერე კი უფრო მაღალ დონეზე დაიყოფიან.

საინტერესო სიტუაცია ხდება ამჟამად ჩვენს პლანეტაზე.სხვადასხვა ქვეყნები ახდენენ ურთიერთწინააღმდეგობების სიმბოლირებას.ადრე თუ გვიან დედამიწაზე ორი დაპირისპირებული ბანაკი წარმოიქმნება დაყ ველა არსებული ქვეყანა ან ერთს შეუერთდება ან მეორეს. იმისათვის, რომ ჩვენი სამყარო გადარჩეს, სიყვარულის და ერთიანობის ინერციამ აგრესიის და კონკურენციის ინერციას უნდა გადააჭარბოს.

თუმცა ჩვენ საპირისპირო სურათს ვხედავთ – ჯერჯერობით კაცობრიობის შესაძლებელი დაღუპვის სცენარი ვითარდება. თუ ურთიერთწინააღმდეგობები ჰარმონიულად არ ერთიანდებიან, მათ უნდა გაანადგურონ ერთმანეთი. საბჭოთა კავშირი და აშშ ორი პოლუსის როლს თამაშობდნენ. სიყვარული მათ შორის არ იყო. თვითოეული ცდილობდა ნებისმიერი ხერხით გაენადგურებინა მეორე. როგორც ჩანს საბჭოთა კავშირის დაშლამ კაცობრიობა დაღუპვისგან იხსნა. თავის დროზე საბჭოთა კავშირი გერმანიას მოელაპარაკა მეგობრობაზე და ურთიერთთავდაუსხმელობაზე. მიღწეულ იქნა სრული შეთანხმება ევროპის და საერთოდ მსოფლიოს გაყოფის შესახებ. სრული იდილია. ურთიერთობა აშშ-ს და საბჭოთა კავშირს შორის მაშინ უფრო დაძაბული იყო. თუმცა მიუხედავად სრული "მეგობრული" ურთიერთგაგებისა, საბჭოთა კავშირიც და გერმანიაც ომისთვის ემზადებოდნენ. ჰიტლერმა პირველმა დაარტყა მხოლოდ იმიტომ, რომ მიხვდა ომის გარდაუვალობას და დასწრებაზე ითამაშა.

ფაქტები, რომლებიც დღესაა ცნობილი, ერთს მოწმობენ: ომის პირველ თვეებშივე განადგურებისგან საბჭოთა კავშირი შემთხვევით გადარჩა, უფრო სწორედ კი ამის მიზეზი ღმერთის რწმენა იყო, რომელმაც გზააბნეულ სულებში გაიღვიძა. როცა ომი დაიწყო, სხვების გადასარჩენად სიცოცხლის გაწირვისათვის მზადყოფნამ, კვლავ გააღვიძა ადამიანების სულებში სოციალიზმის მიერ დამახინჯებული იდეალები. ათეიზმიდან და წარმართობიდან ხალხი ღმერთისკენ და სიყვარულისკენ წავიდა. და ამის შემდეგ ომში სასწაულები ხდებოდა.

სინდისის, მორალის და ეთიკის ცნება წარმოუდგენელია სიყვარულის ცნების გარეშე. შიშით შეიძლება დისციპლინეს ყველაზე პრიმიტიული ფორმებისაკენ ვაიძულოთ. სიყვარულის გარეშე თვითდისციპლინა შეუძლებელია. სიყვარული, როგორც აბსოლუტური ერთიანობის ფორმა, ღმერთისგან მომდინარეობს. ყველა რელიგიური მცნება თავისი არსით მიმართულია სიყვარულის მხარდაჭერისკენ, შენარჩუნებისკენ და გამრავლებისკენ. ეს ნიშნავს, რომ სწორედ რელიგია აძლევს ხალხს უფლებას, რომ ერთიანობის მაღალი დონე შეიგრძნონ. ამიტომაც რელიგიას ყოველთვის იყენებდნენ პოლიტიკური და ეკონომიკური მიზნებისთვის. ომებიც ხშირად ხდებოდა რელიგიური ნიშნის ქვეშ. თავად რელიგია აქ არაფერ შუაში იყო. უბრალოდ ერთიანობა, რომელსაც იგი იძლეოდა, პოლიტიკური მიზნებისთვის გამოიყენებოდა. მაგრამ როდესაც რელიგია პოლიტიკაზე ხდება დამოკიდებული, შესაძლებელია მხოლოდ ერთი მეომარი მხარის გაერთიანება, და იმის ნაცვლად, რომ გაერთიანდეს ურთიერთწინააღმდეგობანი, რელიგია ხელს უწყობს არა განვითარებას, არამედ თვითგანადგურებას.

მსოფლიო რელიგიების თანამედროვე კრიზისი იმაში მდგომარეობს, რომ ისინი ვერ იძლევიან ერთიანობის იმ დონეს, რომელიც ყველა ერს და სახელმწიფოს შეარიგებს დედამიწაზე. სიყვარულის ინტენსივობა არაა საკმარისი. ვერც იუდაიზმი, ვერც კათოლიციზმი, ვერც მართლმადიდებლობა, ვერც ისლამი და არც ბუდიზმი ამს გაკეთებას ვერ ახერხებს. არადა ეს შესაძლებლობა ორი ათასი წლის წინ მოგვეცა ქრისტეს მიერ. მაგრამ მისი სიტყვების გაგება და შენარჩუნება ადამიანებმა ვერ შეძლეს.

ყველა ადამიანის სულმა უნდა გააკეთოს ცხოვრებაში არჩევანი, რა უფრო მნიშვნელოვანია მისთვის: ერთიანობა ღმერთთან, თუ ამ სამყაროსთან. და როცა ინგრევა ყველაფერი, რასაც ამ სამყაროში აფასებ, რაზეც მიჯაჭვული ხარ, დგება ჭეშმარიტების მომენტი. თუ ამ მომენტში ხდება სიყვარულის გამოფრქვევა და ღმერთისკენ სწრაფვა, ესე იგი სულმა სწორი არჩევანი გააკეთა, და შემდგომში, ადამიანურ ბედნიერებაში ჩაძირვის დროს, ის დამოკიდებული არ იქნება მასზე.

ხოლო თუ შეიქმნა სასოწარკვეთილება, სიძულვილი ან წყენა, ეს ნიშანია იმისა, რომ ერთიანობა სამყაროსთან ადამიანისთვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ერთიანობა ღმერთთან. სიყვარულზე უარის თქმა – ეს იგივე უმაღლესი ენერგიისგან მოწყვეტაა. და მაშინ ადამიანის ენერგეტიკული კონტური ჩაქრობას იწყებს. რაც მეტია დამოკიდებულება გარესამყაროს ღირებულებებზე, მით მეტია შინაგანი აგრესია, უსიამოვნებანი და ავადმყოფობანი.

პრინციპში ამ სამყაროსთან ერთიანობის სიმბოლოდ ადამიანური სიყვარული გვევლინება. ჩვენ ამ სამყაროს შეცნობას ჩვენი მშობლებისადმი სიყვარულით ვიწყებთ. სწორედ ისინი გვეხმარებიან გაჩენაში,

სიყვარულის პირველ გამოვლინებასა და პირველი ნაბიჯების გადადგმაში. მეორე ეტაპი – ესაა ახალგაზრდული შეყვარებულობის პერიოდი. როგორ შევიგრძნოთ, რომ სიყვარული ღმერთისადმი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სიყვარული ადამიანისადმი? ჩვენ ხომ ერთდროულად გვიყვარს ღვთაებრივი და ადამიანური სიყვარულით. პასუხი მარტივია: შევინარჩუნოთ ღვთაებრივი, როცა ვკარგავთ ადამიანურს. თუ ჩვენ ვაგრძელებთ იმ ადამიანის სიყვარულს, რომელმაც გვაწყენინა, ჩვენი ბედნიერება დაამცირა, თუ უარს არ ვამბობთ მასზე და მის აღზრდას ვცდილობთ, ეს ნიშნავს, რომ ღვთაებრივი სიყვარული ჩვენთვის ადამიანურ სიყვარულზე მნიშვნელოვანია და ღმერთთან ერთიანობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ამ სამყაროსთან. თუ საყვარელი ადამიანი წავა, გვიღალატებს, მოკვდება, ჩვენ კი მაინც გვეყვარება იგი, ეს უკვე ღვთაებრივი სიყვარულია.

მე ჩავფიქრდი. ცოტა ხნის წინ მითხრეს, რომ ბევრმა ქალმა, წაიკითხა რა ჩემი წიგნები, დაიწყო ქმრებისადმი ბოლომდე დამორჩილება და ყველაფერში დათმობაზე წასვლა, შემდეგ კი დეპრესიაში ვარდებოდნენ. სამწუხაროდ ადამიანი ხედავს მხოლოდ იმას, რის დასანახადაც მზად არის. ქალმა წაიკითხა წიგნი და გაითავისა ერთი რამ: საჭიროა მივიღოთ ყველანაირი დამცირება. მაგრამ რას წარმოადგენს მისთვის დამცირების ან ტკივილის მიღება? ეს ნიშნავს, რომ აპატიოს ქმარს და სიძულვილს არ გრძნობდეს მის მიმართ, არ წყინდეს და შური არ იძიოს. ქალი ყველა ძალას ხარჯავს ამისთვის, მაგრამ უცებ ეწყება დეპრესია. და რაც უფრო მეტად ცდილობენ "სწორად" მოქცევას, მით უარესია მათთვის.

სინამდვილეში მე ყოველთვის ვამბობდი, რომ ტკივილის მომაყენებელი სიტუაციის მიღება სიყვარულის გრძნობის შენარჩუნებაში გამოიხატება. თუ უსიამოვნების მომენტში არ გიჩნდებათ ღმერთისადმი სიყვარულის გრძნობა, მაშინ რჩება მოვლენების განვითარების მხოლოდ ორი ვარიანტი: ან აგრესია სხვა ადამიანის მიმართ, როგორც თავდაცვის ფორმა, ან დეპრესია და სიძულვილი საკუთარი თავის მიმართ, როცა არ არსებობს თავდაცვის სურვილი ან შესაძლებლობა.

წარსულში მხოლოდ უფლის ნება არსებობს, ამიტომ წარსულისადმი მხოლოდ სიყვარული და მისი სრული მიღების გრძნობა უნდა გვაკავშირებდეს. აწმყოში და მომავალში ჩვენი ნებაც არსებობს. ამიტომ თუ ჩვენ აწმყოში გვაწყენინებენ, ჩვენი ენერგია უკვე სხვანაირად ნაწილდება: პირველ რიგში ღმერთისკენ და სიყვარულისკენ – სწორედ ესაა საკუთარი თავის უმაღლესი, ღრმა აღქმა, საკუთარი თავის და გარესამყაროს შეცვლა, შემდეგ კი მოდის მეორე, გარეგნული დონე დაცვისა. ანუ პირველი იმპულსია – თავი დავიცვათ სიყვარულით, ხოლო მეორე – სწრაფვა ერთიანობისკენ, იმის გაგებისკენ, ვინც გაწყენინა. ეს კომპრომისის ძებნაა და პარტნიორის აღქმა სიტუაციის მიხედვით. კომპრომისი გულისხმობს საკუთარი თავის და საკუთარი მოთხოვნების აღზრდას, შეცვლას. შესაბამისად სხვისი აღზრდა – მისი შეცვლის სურვილია.

ქმარი, რომელიც ცოლს აწყენინებს და ამცირებს – თავისებურად დამნაშავეა. და თუ დამნაშავეს ყველაფერს დავუთმობთ და ყველაფერში დავემორჩილებით, ეს უფრო მეტად გარყვნის მას. ამ შემთხვევაში ვერც ის შეიცვლება და ვერც მისი ცოლი. თუ მას შევიძულებთ, წინააღმდეგობას გავუწევთ ან პოლიციას გამოვიძახებთ, შეცვლის შესაძლებლობა უფრო ნაკლები იქნება. სასჯელით დანაშაულობებს ვერ ვუმკურნალებთ. უნდა შევიცვალოთ თავად და დავეხმაროთ ამაში დამნაშავესაც. ცვლილებისათვის საჭიროა, რომ სიყვარულის გრძნობა უწყვეტი იყოს, და მაშინ მკაცრი ზომებიც კი ისე აღიქმება, როგორც აუცილებელი აღზრდა და დახმარება.

ნებისმიერი მკაცრი ზომის გამოყენების წინ მოახდინეთ მეგობრული განწყობის დემონსტრირება ადამიანის მიმართ და დაანახეთ, რომ მასზე მაღლა არ აყენებთ თავს. გინდათ რამე მიიღოთ ადამიანისგან? ჯერ თქვენ გაუკეთეთ საჩუქარი. გინდათ ბედნიერი იყოთ ვინმესთან? ჯერ მას მიანიჭეთ ბედნიერება.

ქალი შინაგანად არავიზე არ უნდა იყოს დამოკიდებული. შეუძლებელია იმის აღზრდა, ვიზეც დამოკიდებული ხარ! ამიტომ ქმარს როგორც ბავშვს ისე უნდა უყუროს. მაშინ ის გაგებით შეხვდება ნებისმიერ წყენას მისი მხრიდან. ენერგია წავა არა დეპრესიისკენ, არამედ საკუთარი თავის და ქმრის აღზრდისკენ.

იმისათვისრომ ღმერთს მივმართოთ, უარი უნდა ვთქვათ ყველაფერზე, მათ შორის ცნობიერებაზეც. თუ ლოცვას იწყებთ და ამ დროს ფულზე ფიქრობთ, სინამდვილეში ღმერთთან მიმართვა თქვენთვის საშუალებაა, მიზანი კი ფულია. სრულიად ჩვეულებრივი მაგიაა. თუ ღმერთთან მიმართვის დროს ვინმეზე ნაწყენი ხართ, ეს ნიშნავს, რომ ქვეცნობიერად იმაზე ლოცულობთ, რაც წყენის მიზეზი იყო. თუ ფულის გამო დარჩით ნაწყენი, ესე იგი ფულზე ლოცულობთ, თუარ შეგიძლიათ აპატიოთ ღალატი, ესე იგი იდეალებს ეთაყვანებით. თუ მეგობრის პატიება არ შეგიძლიათ, რომელმაც ზურგი შეგაქციათ, ესე იგი ურთიერთობებს ეთაყვანებით. ამიტომ ღმერთისადმი მიმართვა და ლოცვა სრულ შინაგან მოწყვეტილობას მოითხოვს. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს მაგიად იქცევა. აი რატომ ამბობდა ქრისტე, რომ მისვლაც კი არ შეიძლება საკურთხეველთან, თუ შენს მოძმეზე ხარ გაბრაზებული.

ჩვენი სხეულებრივი ცნობიერებისგან მოწყვეტა ძალიან რთულია. საშუალოდ ეს 30-40 წუთის განმავლობაშია შესაძლებელი, შემდეგ კი ვამჩნევთ, რომ ლოცვის დროს ჩართულ ცნობიერებას ჩვენი მისწრაფებები იდეალების, მაღალი გრძნობების და სექსუალური სურვილებისკენ მიჰყავს.ამიტომ თუ ადამიანი უწყვეტ კომფორტში ცხოვრობს, კარგად და გემრიელად იკვებება, ამასთან ერთად სხვებსაც განიკითხავს, მაშინ მისი მიმართვა ღმერთისადმი სრული ილუზია იქნება. და ლოცვა გააძლიერებს არა სიყვარულს, არამედ სიამაყეს ან სექსუალობას. მაშინ, იმისთვის რომ დაშლის პროცესი შეამციროს, ადამიანი შეწყვეტს ტაძარში სიარულს, წმინდა წიგნების კითხვას და ამას ყალბი რელიგიურობით შეცვლის.პრინციპში თანამედროვე მსოფლიოში სწორე დეს ხდება.

ესე იგი რა გამოდის, ღმერთთან კავშირს ვკარგავთ? სიღრმისეულ კავშირს ჩვენ არ ვკარგავთ არასოდეს, ის მხოლოდ იზრდება. აი გარეგნული კავშირი კი, რომელიც ცხოვრებასთან, ჯანმრთელობასთან, კეთილდღეობასთანაა დაკავშირებული, შეიძლება დავკარგოთ. საინტერესო დასკვნებამდე მივედი, როცა მეძავი ქალების დიაგნოსტირებას ვახდენდი. ყოველ ადამიანს უნდა უყვარდეს ოთხ დონეზე: ღვთაებრივი სიყვარულით, მშობლისეურით, მეგობრულით და სექსუალობასთან, გვარის გაგრძელებასთან დაკავშირებულით. მეძავებში სექსუალურობაზე კონცენტრაციის მკვეთრ მომატებას და დანარჩენი დონეების დათრგუნვას ველოდი. ყველაფერი ასე არ აღმოჩნდა. სექსუალური დონე მართლაც მკვეთრად მომატებული აღმოჩნდა, და როგორც შედეგი, - მომავალი ქალური დაავადებები, პრობლემური ბავშვები და ა.შ. პრაქტიკულად დანგრეული იყო მეგობრული და დედობრივი სიყვარულის დონე. ეს იძლევა ოჯახის, ბედის, ფსიქიკის და ჯანმრთელობის დანგრევას. მაგრამ ღვთაებრივი სიყვარულის დონე ხელშეუხებელი აღმოჩნდა.

მაშინ მე მივხვდი, რომ ყველას მიტევებული გვაქვს ჩვენი წარსულისთვის და გადარჩენილნი ვართ მომავალში. დამნაშავეებშიც მსგავსი სურათი შეინიშნება. სექსუალური ან მატერიალური სურვილების მკვეთრი მომატება და ერთიანობის ზემოთა დონეების მომდევნო ნგრევა. მაგრამ ღმერთისადმი მიმართვის და მასთან ერთიანობის მიღწევის შესაძლებლობის დონეზე ეს არ აისახება. ეს ნიშნავს, რომ ნებისმიერ დამნაშავეს შეუძლია შეცვალოს საკუთარი თავი და საკუთარი ცხოვრება ღმერთისადმი სიყვარულით და თავის ინსტიქტებზე მიჯაჭვულობის შემცირებით.

ჩემთვის გასაგები გახდა, თუ როგორ ხდება დამნაშავის ფორმირება. ღმერთთან აბსოლუტური ერთიანობა უღრმეს დონეზე ყოველთვის შენარჩუნებულია. მაგრამ ჩვენს ქვეცნობიერთან დაკავშირებულ ღრმა დონეზე , ჩვენ შეგვიძლია შევამციროთ ეს ერთიანობა. ამ დროს ხდება მშობლისეური და მეგობრული სიყვარულის ნგრევა. თუ მშობლებს არ უყვარდათ ბავშვი და თრგუნავდნენ მას, თუ მშობლები არ იყვნენ მორწმუნეები, თუ ბავშვს მეგობრები არ ყავდა, დამ ას არ ასწავლეს სხვებზე ზრუნვა, მსხვერპლის გაღება, სიყვარული, მაშინ ეს უკვე მომავალი დამნაშავეა, ალბათობის დიდი პროცენტით. როცა დანგრეულია ან დაკეტილია სიყვარულის ყველა დონე, რჩება უკანასკნელი, ცხოველური, ეგოისტური. და მაშინ მატერიალური სიმდიდრე, მართვა და ძალაუფლება სექსუალური აღვირახსნილობასთან ერთად ცხოვრების მთავარი აზრი ხდება. რამდენ ფულს, ძალაუფლებას და მდგომარეობასაც არ უნდა ფლობდეს დამნაშავე, ცხოვრების აზრი და ბედნიერება მისთვის მაინც ერთია – სექსი და კეთილდღეობა.

დეგრადაციის ჩვეულებრივი პროცესი ასე გამოიყურება. თავიდან ადამიანი ღმერთთან ერთიანობის შეგრძნებას კარგავს თავის თავში. ეს ნებას აძლევს, რომ დათრგუნოს სიყვარული თავის სულში. ამის შემდეგ იწყებს თაყვანისცემას თავისი საყვარელი ობიექტისადმი... თავიდან ეს ახლობლებით და საყვარელი ადამიანებით იწყება, შემდეგ კი თანდათანობით ყველაფერ დანარჩენზე გადადის. რაც მეტად ეთაყვანები გარესამყაროს, მით უფრ მეტად იზრდება მომხმარებლობა და დამოკიდებულება. შემდეგ ადამიანი კი აღარ ითხოვს, არამედ მოითხოვს. და რაც უფრო ნაკლები სიყვარული და ენერგიაა სულში, მით უფრო აგრესიულად მოითხოვს ადამიანი, შემდეგ კი წართმევაზე გადადის. შედეგად რაც ხდება ალბათ ყველასთვის გასაგებია.

მოკლედ, თავიდან ამ სამყაროსთან ერთიანობა ხდება მთავარი. შემდეგ ვიწყებთ სილამაზის, სამართლიანობის, იდეალების, მაღალი ოცნებების თაყვანისცემას.შემდეგ სექსუალობაზე ჩამოვჩოჩდებით. მომავლისადმი თაყვანისცემამ იდეალების და მაღალი გრძნობების სახით, შეიძლება მიგვიყვანოს მომავლის დაკარგვამდე, ანუ სიკვდილამდეც კი, და მაშინ ირთვება თავდაცვის ინსტინქტი, და ეჭვიანობა სიამაყეში გადადის. სილამაზის და გრძნობების ნაცვლად ადამიანი ფულისადმი და ძალაუფლებისადმი თაყვანისცემას იწყებს. მაგრამ როცა იგი კრიტიკულ დონეს ცდება, აქაც ნგრევა იწყება – უბედურებები, ავადმყოფობები, ციხე და ა.შ. თუე ს პროცესი არ ჩერდება, მაშინ სურვილების და კეთილდღეობის თემა მინიმალურ ზომებამდე მცირდება და რომ გადარჩეს, ადამიანი მოვლენებიდან გამომდინარე უნდა დაბრუნდეს პირველად მდგომარეობაში სურვილების და კომფორტის მინიმუმით. სხვათა შორის სწორედ ამიტომაა, რომ “ბომჟები”, რომლებსაც ექსპერიმენტის სახით ფულს და ბინას აძლევდნენ, რაღაც დროის შემდეგ კვლავ ქუჩაში აღმოჩნდებოდნენ ხოლმე. მათ უბრალოდ ენერგია არა აქვთ უფრო მაღალ სოციალური დონეზე საარსებოდ.

გარესამყაროსთან ერთიანობის დონის მომატების გარეშე განვითარება შეუძლებელია. მაგრამ როგორც კი ეს ერთიანობა ღვთაებრივს ეფარება, იწყება შეუმჩნეველი დეგრადაცია, რომლის შედეგებსაც მაშინვე ვერ ვგრძნობთ.

ანალიზის გაგრძელება

პირველად ბიბლიას ახალ ათონში, აფხაზეთში გავეცანი. მაშინ ახალგაზრდა ექსკურსიამძღოლი ვიყავი და ხშირად ვატარებდი ექსკურსიებს ახალი ათონის მონასტერში. მე გადმომცეს ათეისტური ლექციის ტექსტი, რომელიც “რელიგიურ გონების დაბინდვას” ამხილებდა. არადა შაბლონურად სიტყვების რახარუხი არაა საინტერესო. თუ ვინმეს ადანაშაულებ, უნდა იცოდე მაინც, რაშია დამნაშავე. ამიტომ მე ავიღე ისტორიკოსების და აკადემიკოსების სტატიები, რომლებიც ბიბლიას ამხილებდნენ. თავიდან ძალიან ჭკვიანურნი, მაგრამ არასაინტერესონი მომეჩვენნენ. შემდეგ მივხვდი რომ აქ სიტყვების თამაშს და ძალიან ზედაპირულ ანალიზს ქონდა ადგილი. რთული და ლამაზი სიტყვების უკან სიცარიელე იყო. ერთი პაწაწინა აზრი რამდენიმე ათეულ გვერდზე.

მაშინ მივხვდი, რომ საჭირო იყო პირველწყაროების წაკითხვა. ვიპოვე ბიბლია, რომელიც დასავლეთში იყო გამოცემული და გაოგნებული დავრჩი. მისი ყოველი ფრაზის უკან რამდენიმე აზრი იმალებოდა, ამასთან ინფორმაციის დონე რამდენიმე ფენაზე ადიოდა. ამას გარდა ბიბლიას იმის გასაგებადაც

ვკითხულობდი, თუ რა ეხატა მონასტრის კედლებზე. ყველაფერი დამთავრდა იმით, რომ რელიგიის დადანაშაულების და მხილების ნაცვლად, მონასტერში ქრისტიანობის შესახებ ლექციების კითხვა დავიწყე. ამასთან ვგრძნობდი, რომ მუშაობდა არა მხოლოდ ჩემი ენა და ტვინი, არამედ სულიც. ეს ძალიან სასიამოვნო შეგრძნება იყო. სიძულვილის მეცნიერება, რომელსაც ზრუნვით ზრდიდა ჩემში სოციალიზმი, სუსტდებოდა და მეორე ადგილზე ინაცვლებდა. აქ, აფხაზეთში, ახალ ათონზე, ჩემი ურყევი შეხედულებები აბსოლუტურ ჭეშმარიტებაზე, სამართლიანობაზე და სასჯელზე ცოტა არ იყოს შეირყა. შემდეგ მრავალჯერ გადავიკითხე ბიბლია, მაგრამ ვერაფერს ვხვდებოდი, თუმცა ინტუიტიურად ვგრძნობდი, რომ იქ უზარმაზარი ინფორმაციაა დაფარული. ამ წიგნის კითხვა საჭირო იყო არა თავით, არამედ სულით.

მშობლები, რომლებიც ყველაფერს აძლევენ შვილებს, შემდეგ წუწუნებენ, რომ შვილებს ისინი არ უყვართ. ისინი ელოდებიან, რომ მათი სიყვარული საპასუხო სიყვარულის გრძნობას დაბადებს შვილებში და არ ესმით უბრალო ჭეშმარიტება. იმისათვის რომ ბავშვს უყვარდეს ისინი, ბავშვობიდან უნდა ზრუნავდეს მათზე. მას უნდა ვასწავლოთ სხვებისადმი თანაგრძნობა და დახმარება, ვასწავლოთ ტკივილის გადატანა და მსხვერპლის გაღება. როცა ბავშვი მშობლებს ხედავს, მასში მათდამი დახმარების და ზრუნვის რეფლექსი უნდა ჩაირთოს. ადრე მოხუცები ვერ იღებდნენ პენსიას, ამიტომ მშობლები იძულებულნი იყვნენ სწორად გაეზარდათ შვილები, რათა თავისი სიბერე უზრუნველეყოთ. ახლა კი მოხუცებზე და ინვალიდებზე ზრუნვა სოციალურ სამსახურებს დაეკისრათ. ბავშვები მშობლებში მხოლოდ სარგებლის მიღების წყაროს ხედავენ. რა სიყვარულზე შეიძლება აქ ლაპარაკი?

თუ ადამიანი ბავშვობაშივე არ გათბა სიყვარულით, საკუთარი თავის სხვებთან გათანაბრება ძალიან გაუჭირდება. ის იძულებული იქნება ან ეთაყვანოს, ან გათელოს. თუ ადამიანს აქვს ტენდენცია მლიქვნელობის, სარგებლის მიღების და თაყვანისცემისა ვინმესადმი, ამავდროულად მან უნდა დაამციროს და გათელოს ვინმე. პრინციპში ეს ნორმალური ქცევაა წარმართისთვის. სოციალიზმმა ისესხა რა ქრისტიანობისგან ერთიანობის და თანასწორობის იდეა, მაშინვე დაყო საზოგადოება ელიტად, რომელსაც კანონებზე მაღლა დოგმა შეეძლო და დამცირებულ ხალხად, რომელიც დამოკიდებული უნდა ყოფილიყო და თაყვანი ეცა მათთვის.

ჩემს ტერმინოლოგიაში არსებობს დიაგნოზი "მიჯაჭვულობა იდეალებზე". ეს ნიშნავს თაყვანისცემას სექსუალური სურვილებისადმი, სილამაზისადმი, მაღალი გრძნობებისადმი და საკმაოდ უცოდველად ჟღერს. აი რეალურად კი ეს სხვაგვარად გამოიყურება.

ცოტა ხნის წინ პაციენტი ქალი ასეთ ისტორიას მიყვება. ის მუდმივად დადიოდა კოსმეტოლოგთან, მას კი ხშირად სურდო ქონდა და სეანსების გადატანა ხდებოდა საჭირო.

- იქნებ რამე ხალხური პრეპარატით სცადოთ მკურნალობა? – შესთავაზა პაციენტმა. მან სერიოზული სახით შეხედა და უპასუხა:

- მე ეს არ მიშველის, ცოტა ხნის წინ შიდსი აღმომიჩინეს.

მოუყვა, რომ რამდენიმე ხნის წინ გათხოვდა და ბავშვი შეეძინა. ქმართან შეხვედრამდე დაახლოებით ერთი წლით ადრე კი შიდსი აიკიდა და არ იცოდა ამის შესახებ. ქმარს, მიუხედავად იმისა, რომ ერთი წელი იცხოვრა მასთან, ვირუსი არ გადაედო.

- თავიდან პანიკაში ჩავვარდი, სიცოცხლე არ მინდოდა, - ყვება კოსმეტოლოგი, - მაგრამ შემდეგ შევეგუე ამას და მივხვდი, რომ ცხოვრება უნდა განვაგრძო და ყველაფერი ისე მივიღო როგორც არის. მაგრამ ყოველ თვეში უამრავი წამლის მიღება მიწევს. აღმოჩნდა რომ ხელისუფლება უზარმაზარი რაოდენობის თანხას გამოყოფს, რომ შიდსით დაავადებულები უფასოდ ღებულობდნენ წამლებს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ძალიან ძვირი ღირს.

- ვერც კი წარმოიდგენთ, რამდენი შიდსით ავადმყოფია რუსეთში, - თქვა ქალმა, - და ათჯერ მეტია ვინც ჯერ არ იცის ამის შესახებ.

- შეგიძლიათ მითხრათ, რატომ დაავადდა შიდსით? – მეკითხება პაციენტი.

- მისი სახელი მითხარით, - ვთხოვე მე, - როცა ქალმა სახელი მითხრა, ნატიფ დონეებზე შევედი და ნაცნობი სურათი დავინახე.

კონცენტრაცია იდეალებზე, მაღალ გრძნობებზე და მომავალზე კრიტიკულზე რვაჯერ მეტია. მომავალი სიყვარულზე მნიშვნელოვანი გახდა და უნდა დაკარგოს. შეიძლებოდა დაწყებულიყო დიაბეტი ან კიბო, მაგრამ ქვეცნობიერმა სულის განწმენდის სხვა სქემისკენ წაიყვანა ქალი.

პაციენტს ვუხსნი: ყველაფერი თითქოს უცოდველად იწყება. თავიდან ნელ-ნელა ვკარგავთ ღმერთისადმი მისწრაფებას და სიყვარულს. შემდეგ კი ვიწყებთ საკუთარი სექსუალური სურვილებისადმი თაყვანისცემას. აღარ ვზღუდავთ თავს ჭამაში, სიამოვნებებში. ვეთაყვანებით კომფორტს და სილამაზეს. ამ დონეზე ძვრები და წმენდა საკმაოდ იოლად გადაიტანება. ეს ფოთლებს გავს, რომლებიც შემოდგომაზე ცვივა. მაგრამ თანდათანობით შხამი ტოტებში და ღეროში შედის. და ჩვენი თაყვანისცემა გარე დონიდან შიგნითა, ნატიფ დონეებზე გადადის. რაც უფრო ღრმად ვიძირებით ადამიანურ საფუძვლებში, მით უფრო ძნელია მათი ნგრევის გადატანა. და რაც უფრო გვიან იწყება წმენდა, მით უფრო მტკივნეულიად მიმდინარეობს იგი.

ადამიანი, რომელიც სექსითაა გატაცებული, ქვეცნობიერად უფრო და უფრო ეჭვიანი ხდება. და როცა მისი სული ადამიანურ ბედნიერებას დასაშვებზე მატად ეწებება, ავტომატურად ირთვება დაცვის და სულის გადარჩენის მექანიზმი. მორწმუნე ადამიანში ეს პროცესი უფრო ადრე იწყება. მასში კი, ვინც საკუთარ სულზე არ ზრუნავს, - გვიან და უფრო მტკივნეულად.

ამ ქალის შემთხვევაში სიყვარული მომავალმა გადაფარა, ამიტომაც კარგავს მას. შიდსის, კიბოს და დიაბეტის თავისებურება ისაა, რომ ადამიანი განუწყვეტლივ გრძნობს გვერდით სიკვდილის არსებობას.

ესმის რომ მომავალი თითქმის არა აქვს. მაგრამ საჭიროა იცოცხლოს და უყვარდეს. და თანდათანობით ადამიანი აცნობიერებს რამდენად უფრო მნიშვნელოვანია სიყვარული, ვიდრე მომავალი. და თუ ადამიანი თავისუფლდება შიშისგან და თავისი სხეულისა და სურვილებისადმი თაყვანისცემისგან, მას შეუძლია დაამარცხოს ვირუსი. ამ ბოლო დროს ასეთი შემთხვევები გახშირდა.

როცა 12 წლის ვიყავი, დედაჩემმა, რომელიც ექთნად მუშაობდა, საოცარი ისტორია მომიყვა. ქალს დაუსვეს დიაგნოზი: "ღვიძლის კიბო" და დანიშნეს ოპერაცია. როცა გახსნეს მუცლის ღრუ, დაინახეს რომ საოპერაციო იქ უკვე აღარაფერია. კიბომ პრაქტიკულად მთელი ღვიძლი შეჭამა. ოპერაცია აღარ გააკეთეს და მუცელი გაკერეს. გადაწყვიტეს ქალი არ გაემწარებინათ. ქირურგმა უთხრა, რომ მნიშვნელოვანი არაფერი სჭირს, კიბო არ არის და უბრალო პოლიპი იყო, რომელიც ამოჭრეს.

ის გაწერეს რომ თავისთვის მომკვდარიყო. მაგრამ ქალი, რომელიც დარწმუნებული იყო რომ არაფერი სჭირდა, გამოჯანმრთელებისკენ წავიდა. ნახევარი წლის შემდეგ გამოჯანმრთელებული და გაბრწყინებული კვლავ მივიდა კლინიკაში. ანალიზებმა დაადასტურა რომ ის სრულიად ჯანმრთელია. და ამ დროს ერთ-ერთი ექთანი გახარებული სიმართლეს ეუბნება. სამი თვის შემდეგ ქალი ღვიძლის კიბოთი და მეტასტაზებით მოკვდა. მომავლისადმი შიშმა და სიყვარულის დაკარგვამ თავის საქმე გააკეთა.

ორი ათასი წლის წინ ქრისტე ამბობდა: "უკანონობის გამრავლების გამო ბევრში გაცივდება სიყვარული." უკანონობის გამრავლებაში მცნებების დარღვევა იგულისხმებოდა. "ნუ იზრუნებთ ხვალინდელ დღეზე" – ამ ფრაზის აზრი მარტივია: იმედი უნდა გვქონდეს არა მომავლისა, არამედ ღმერთისა. სიყვარული მომავალზე მნიშვნელოვანი უნდა იყოს. იმიტომ რომ ჭეშმარიტი სიყვარული არაა მიმართული ჩვენს ინსტიქტებზე. ისინი მხოლოდ გვემსახურებიან, რომ სულში სიყვარული გავზარდოთ.

მახსენდება ქალი, რომელსაც მსგავსი ბიოველი ქონდა.სამართლიანობის, იდეალების, მორალურობის ცნებები მისთვის ურყევი იყო. თაყვანისცემა მაღალი გრძნობებისადმი მისი ძლიერი ენერგეტიკის და სილამაზის პირობებში კრიტიკულ ზღვარს ბევრად აჭარბებდა. არამორალური და უპრინციპო ადამიანების კრიტიკა და განკითხვა ძალიან მატულობდა. ნაძირალებს და მოღალატეებს საშინლად ვერ იტანდა. სიცოცხლე არ უნდოდა, როცა ინგრეოდა შეხედულება სამართლიანობაზე. შედეგი – შვილი ნარკომანი, რომელსაც დიდი მიდრეკილება აქვს ტყუილებისკენ და ქურდობისკენ. რომელიც ამ ქალს უხეშად ექცევა და ხშირად აგინებს.

- თუ გინდათ, რომ შვილს დაეხმაროთ, - ვუხსნი ამ ქალს, - დაეხმარეთ შეცვლაში. თქვენ ისე მიეჩვიეთ მდაბალი სულის, უნებისყოფო ადამიანების განკითხვას, რომ მცირე უკმაყოფილებაც კი ამ ადამიანისადმი, თქვენში მისი განადგურების პროგრამას რთავს.

- ჩემი მეორე ქმარი ნარკომანი იყო, - თქვა მან, - მე განვიკითხავდი მას და დავშორდი, ბოლოს კი ასეთივე შვილი მივიღე.

- მოკლედ, საჭიროა დაეხმაროთ თქვენს შვილს. პირველი რაც უნდა გააკეთოთ: უნდა გიყვარდეთ, როგორც არ უნდა მოიქცეს იგი. მეორე: არ უნდა დაუთმოთ და ნებაზე არ უნდა მიუშვად მისი უხეშობა თქვენდამი. შინაგანად არ უნდა იყოთ დამოკიდებული ცოდვილ ადამიანზე. მაგრამ ამას რომ მივაღწიოთ, საკუთარ ცოდვებზე არ უნდა ვიყოთ დამოკიდებული, ანუ უნდა დავძლიოთ განკითხვა, ზიზღი, სასოწარკვეთილება. შეიგნეთ, რომ თქვენს შვილს უბრალოდ არა აქვს მომავალი. თუ ის წესიერი, , სამართლიანი იქნება და კარგად მოგეპყრობათ, ის მოკვდება. შვილი ადამიანისა, რომლისთვისაც ფული – ეს ყველაფერია, იმისათვის რომ გადარჩეს, უნდა გაღატაკდეს. თუ შვილი არა, მაშინ შვილიშვილი. ყველაფერი თაყვანისცემის დონეზეა დამოკიდებული.

თუ ქალისთვის იდეალები, სამართლიანობა, მაღალი გრძნობები უმაღლესი ღირებულებებია, მისმა შვილმა, იმისათვის რომ გადარჩეს, უარი უნდა თქვას ამ ყველაფერზე. და მისთვის უფრო ადვილია სიყვარულის შეგრძნება, როცა დედას იგინება, ნარკოტიკს ხმარობს, იტყუება და ქურდობს.

მან რომ ღირებულებათა სისტემა სწორად გაანაწილოს, პირველ რიგში ჯერ თქვენ უნდა გაანაწილოთ ეს სისტემა. მაგრამ თქვენ ძალიან გიჭირთ შეცვლა და გეტყვით რატომაც. გინახავთ ოდესმე როგორ იცვლის გველი ტყავს? ამ მომენტში ის აბსოლუტურად დაუცველია. ასევე ადამიანიც, იმისათვის რომ ხასიათი შეიცვალოს, სრულიად დაუცველად უნდა გრძნობდეს თავს. მატერიალური კეთილდღეობა, ფული, სახლი, ბინა დაცულობის მაღალ შეგრძნებას გვაძლევენ. და ადამიანი, რომელსაც ეს ყველაფერი აქვს, ავად ხდება, იმისათვის რომ საკუთარ თავს შეცვლაში დაეხმაროს. სხვათაშორის, რატომ ამბობდა ქრისტე, რომ მდიდარს უფრო გაუჭირდება ცათა სასუფეველში მოხვედრა, ვიდრე ღარიბს? საქმე აქ ფულში კი არა, სწორედ დაცულობის შეგრძნებაშია.

მაგრამ არსებობს გაცილებით სახიფათო თემაც. ის დაკავშირებულია არა მხოლოდ სხეულის, არამედ სულის დაცულობასთან. ეს გაცილებით საშიშია. სულის დაცულობის სიმბოლო – ეს სიმართლეა. სწორედ საკუთარი თავის მართალად შეგრძნება იწვევს სხვა ადამიანების განკითხვას. თუ მართალი ხართ, ესე იგი არ გჭირდებათ შეცვლა. სანამ მართალად გრძნობთ თავს, ესე იგი ვიღაც სხვა დამნაშავეა. დამნაშავე კი ქვეცნობიერად გინდა რომ გაანადგურო. გამოდის რომ სამართლიანობის შეგრძნება შეუთავსებელია სიყვარულთან. და სანამ მართლად ყოფნის შინაგანი შეგრძნება არსებობს, ცვლილება შეუძლებელია. მას, ვინც მუდამ მართალ ადამიანად გრძნობს თავს, ყოველთვის დამნაშავეები ახვევია გარშემო, განსაკუთრებით ახლობლებს შორის, რათა ამ შეგრძნების დაძლევის გზით შეძლოს მათი შეყვარება.

ცნებები მართალი და დამნაშავე ადამიანურ კანონებს მიესადაგება და მათ შესრულებას და სტაბილურობას ნიშნავს. ღვთაებრივ კანონებს ბოლომდე ვერასოდეს შევიცნობთ, სანამ შემოქმედს არ დავუბრუნდებით. ამიტომ ლაპარაკი ჩვენს აბსოლუტურ სიმართლეზე შეუძლებელია. ადამიანი, რომელიც

თავს სრულიად მართლად გრძნობს, პრეტენზიას აცხადებს იმაზე, რომ ღმერთი გახდეს. ამას კი უკვე დემონიზმის სუნი ასდის.

სცადეთ ხელმეორედ განიცადოთ ყველა ცხოვრებისეული სიტუაცია. შეეცადეთ ღვთის ნება დაინახოთ სიკეთეშიც და ბოროტებაშიც. სიკეთეც და ბოროტებაც სიყვარულისკენ უნდა გვიბიძგებდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში მუდამ ერთმანეთში აგვერევა ისინი. სწორედ სამართლიანობის შეგრძნება აძლევდა ნებას ადამიანებს, რომ ერთმანეთი ამოეხოცათ და ამასთან სინდისის ქენჯნაც არ ეგრძნოთ.

სიყვარულის ხელოვნება

მანქანით მივდივარ და მსჯელობას განვაგრძნობ. როგორ სწავლობს ბავშვი მშობლებისგან? მას უყვარს ისინი, ბაძავს მათ, მათთან აიგივებს თავის თავს. იმისთვის, რომ ვინმესგან ინფორმაცია ავიღოთ, შინაგანად ერთიანობაში უნდა ვიყოთ მასთან. მომხმარებლობის პროცესი ბუნებრივი და აუცილებელია, მაგრამ ნებადართულ საზღვრებს არ უნდა სცდებოდეს.განვითარება ნიშნავს, რომ გამოყენება გაცემად გარდაიქმნება. თუ ვიცით, რომ თაყვანისცემა მხოლოდ ღმერთისადმი შეიძლება, მაშინ ჩვენ შევიგრძნობთ, რომ მთავარი ინფორმაცია და სიყვარული მასთან ურთიერთობაში მოდის. და სხვა ადამიანს შეუძლია მხოლოდ გვიბიძგოს ამ პროცესის საკუთარ თავში გახსნისკენ. ხოლო თუ სული ძალიანაა მიჯაჭვული სხეულზე, სურვილებზე, კეთილდღეობაზე, ჩვენ იმდენად საკუთარ თავში არ გვინდა ამ პროცესის განვითარება, რამდენადაც სხვისგან გვინდა მისი აღება.

წარმოვიდგინოთ, რომ მამაკაცი უზომოდაა შეყვარებული ლამაზ ქალზე. ის იმდენადაა მიჯაჭვული მასზე, რომ საშინლად ეშინია მისი დაკარგვა ან მისი ღალატის დაშვება. საბოლოო ჯამში იგი მოკლავს მას, რომ არავის ეკუთვნოდეს მის გარდა. ეს კარგი დემონსტრირებაა იმისა, როგორ მივყავართ თაყვანისცემას სიძულვილამდე და მკვლელობამდე.

წარმოვიდგინოთ უფრო მარტივი ვარიანტი. მამაკაცს უყვარს ქალი, მიჯაჭვულია მასზე, მომხმარებლობა მას უკვე ნაკლები აქვს. მაგრამ მაინც ტანჯავს მას წყენით, დადანაშაულებით, ეჭვიანობით. იმისგან, რასაც თაყვანს ვცემთ, ჩვენ ენერგიას ვიღებთ. ნებისმიერი ეჭვიანი ადამიანი – ეს მომხმარებელი და ვამპირია, ამიტომ ჰარმონიული ურთიერთობის აწყობა მას არ შეუძლია. მაგრამ თუ ქალი უღალატებს მას, წავა ან მოკვდება, პირველისგან განსხვავებით ცოტათი, მაგრამ მაინც შეინარჩუნებს სიყვარულს სულში. პირველმა კი, როგორც აბსოლუტურმა მომხმარებელმა უნდა მოკლას იგი ან თავის თავი.

წარმოვიდგინოთ მესამე, უკეთესი ვარიანტი. მამაკაცს უყვარდება ლამაზი ქალი და მასში ვნება იღვიძებს. მაშინვე იწყება დაშორების პროცესი და ქალს სხვისადმი უჩნდება გრძნობა. მაშინ მამაკაცი ამბობს: "შენ ლამაზი გრძნობის გაღვიძებაში დამეხმარე და მადლობელი ვარ ამისთვის. ეს გრძნობა უკვე აღარაა შენზე დამოკიდებული. და თუ შენ მიღალატებ ან წახვალ, ჩემ გრძნობაზე ეს უკვე ვეღარ იმოქმედებს.". თავიდან ეს კაცი ასე ილაპარაკებს, შემდეგ კი იგრძნობს კიდეც და ბოლოს მისი სურვილი, რომ გასცეს, ბევრად გადაფარავს მომხმარებლობის სურვილს. ის შინაგანად აღარ იქნება დამოკიდებული ქალის სილამაზეზე. და მაშინ ნებისმიერი ქალი ბედნიერი იქნება მასთან, იმიტომ რომ შინაგანად კი არ გაძარცვავს, არამედ ბევრს გაიღებს მისთვის.

ერთი საინტერესო კითხვა მახსენდება, რომელიც მფრინავმა დამისვა:

- არსებობს სამი რაღაც, რაც გაფრენის წინ არ უნდა გავაკეთოთ: ფოტოგრაფირება, სექსი და ხელფასის აღება, რატომაა ასე?

- არა მხოლოდ მფრინავებისთვის, - ვუპასუხე მე. ჩემმა ნაცნობმა მომიყვა ახალგაზრდა ბიჭის და გოგოს შესახებ, რომლებიც პარაშუტით ხტომით იყვნენ გატაცებულნი. მათ დაქორწინება გადაწყვიტეს, ქორწილის წინ კი ფოტო გადაიღეს და პარაშუტებით გადმოხტნენ. და ორივე დაიმტვრა. ეს ორი წლის წინ მოხდა.

ერთხელ ლექციაზე ქალმა წერილში დამიწერა, რომ ქმარი ალპინისტი ყავს და ყოველთვის, როცა მისი წასვლის წინ ფოტოს იღებდნენ, სწორედ ეს კადრები გადანათდებოდა ხოლმე და ფოტო არ გამოდიოდა.

და მოკლედ, როცა ნებისმიერ სერიოზულ საქმეს ვიწყებთ, ჩვენ ქვეცნობიერად ენერგიის დიდ რაოდენობას ვაგროვებთ, რომელიც სწორად უნდა იქნეს განაწილებული. ანუ სიყვარულის და სიხარულის მეტი წილი ღმერთისკენ უნდა იყოს მიმართული, მცირე ნაწილი კი – ჩვენს ცხოვრებაზე, მთავარ ინსტინქტებზე. ფოტოგრაფია ბედნიერების და მისდამი თაყვანისცემის შეგრძნებას დიდი ხნით აღბეჭდავს. სექსი და ფული აძლიერებს ეჭვიანობას და სიამაყეს. და სიტუაციაში, რომელშიც ადამიანის შინაგან მდგომარეობაზე ბევრია დამოკიდებული, შინაგანმა დისჰარმონიამ შეიძლება უბედურებამდე მიგვიყვანოს.

მახსენდება მეორე სიტუაცია "მსხვერპლი – დამნაშავე", რომლის შესახებაც პაციენტმა მომიყვა. ის სასტიკი იდეალისტი იყო, მხოლოდ პრინციპების სჯეროდა. ჩემი წიგნები წაიკითხა, მაგრამ იმის დაჯერება, რომ საჭიროა შინაგანად აპატიო დამნაშავეს, ვერ შეძლო. მას ყავდა მდიდარი ძმა. და ერთხელაც ის გაიტაცეს, რათა გამოსასყიდი გამოეთხოვათ. ის ბატარეასთან მიაბეს და ორი დღე ცემდნენ. გამტაცებლებმა ნიღბები მოიხსნეს და ეს კაცი მიხვდა, რომ განწირული იყო. შემდეგ მათი საუბარი გაიგონა. გამტაცებლები თათბირობდნენ, როგორ მოეკლათ იგი. და მაშინ გაახსენდა, რომ დამნაშავე არ უნდა გძულდეს და არ უნდა განიკითხავდე. გაიხსენა, რომ ადამიანი თავად ახდენს აგრესიის პროვოცირებას. სცადა შეცვლილიყო და ლოცვა დაიწყო. მთელი დღე ლოცულობდა, ყველას აპატია და სიკვდილისთვის მოემზადა. მეორე დღეს ის გაანთავისუფლეს. როცა საავადმყოფოში მივიდა, ექიმებმა უთხრეს, რომ შინაგანი ორგანოები დაზიანებული ქონდა. დიდხანს მკურნალობდა, გამოჯანმრთელების შემდეგ კი ჩემთან სატელეფონო მიღებაზე ჩაეწერა.

“თქვენი ბედი შეიცვალა, - ვუთხარი მე, - იმიტომ რომ შეძელით სიღრმისეულად შეცვლილიყავით. მაგრამ უსიამოვნებები ისევ შენარჩუნებულია. განკითხვისთვის მზადყოფნა და მომავლისადმი თაყვანისცემა ჯერ კიდევ არაა დაძლეული. არ იფიქროთ, რომ რადგან სიცოცხლე შეგინარჩუნეს ზემოდან, ამით ყველა ცოდვა მოგეხსნათ.”

მე დავფიქრდი, ტყეს ვუყურებ, რომელიც ტრასას აკრავს გარშემო. ამ წელს ზამთარი აგვიანებს. მართლაც, გლობალური დათბობა უფრო და უფრო შესამჩნევი ხდება. მზერა მძღოლისკენ გადავიტანე. რამდენიმე დღის წინ თავის პრობლემების შესახებ მომიყვა. მისი ველი საკმაოდ ცუდად გამოიყურებოდა. მის ცოლს და ბავშვს თვითგანადგურების ძლიერი პროგრამა ქონდათ და ავტორი თავად იყო.

- ცუდად გამოიყურებით, - ვეუბნები მე, - გამოტყდით, რა შეგემთხვათ ოჯახში.

ხანგრძლივი პაუზის მერე ძალა მოიკრიბა და აღიარა:

- სხვა შემიყვარდა და ოჯახიდან წასვლა მინდოდა. ცოლთან დიდი ხანია უსიამოვნებები მქონდა და ინტერნეტით ნაცნობობისკენ გამიწია გულმა. გავიცანი ძალიან ლამაზი ქალი დ ავერ მოვერიე ჩემს გრძნობებს. ის გათხოვილია, მაგრამ ქმართან ნაჩხუბარი იყო და არ ელაპარაკებოდა. ეს მისთვის მეორე ქმარია, რომელიც ამ ქალის გამო თავის პირველ ცოლს გაშორდა. და მოკლედ, როგორც კი ოჯახის მიტოვება გადავწყვიტე, ის დაეჭვდა ჩვენს ურთიერთობებში და ყველაფერი აღიარა თავის ქმართან. და სულში სრული ქაოსი მაქვს ახლა. არ ვიცი გავეყარო თუ არა ცოლს.

- გინდათ, რომ დიდი პატივით დაგასაფლავონ? – ვკითხე მე.

- სერიოზულად მეუბნებით? – გაუკვირდა მას.

- სერიოზულად, მაგრამ ჯერ იმ ქალის სახელი მითხარით, ვინც გაიცანით.

როცა ამ ქალის ველს შევხედე, სწორედ ის დავინახე, რასაც ველოდი. მსხვერპლი ყოველთვის იპოვის დამნაშავეს.

- თქვენ შინაგანად ეთაყვანებით ქალს და ქალურ სილამაზეს. მიჯაჭვულობა ბადებს პრეტენზიებს, წყენას და ეჭვიანობას. თუ კაცი შინაგანად ზედმეტად ეთაყვანება ქალს, მაშინ როგორც წესი დიდ გრძნობას მაშინვე არ აძლევენ, რომ არ დაიღუპოს. თაყვანისცემა – ეს ვნებაა და არა სიყვარული. და ასეთ კაცს ძლიერი ვნება მაშინ ეძლევა, როცა უკვე ცოლ-შვილი ყავს. ეს მას აძლევს შანსს, რომ შეინარჩუნოს დისტანცია და გადალახოს ვნება და თაყვანისცემა. საყვარელი უნდა იყოს ძალიან მიმზიდველი, მაგრამ არც თუ ისე წესიერი და ნებით თუ უნებლიეთ უნდა დაამციროს მისი გრძნობები – ან გათხოვილი უნდა იყოს, ან მომატებული შინაგანი აგრესიულობა უნდა ქონდეს.

თქვენი რჩეული – ნადდი “ტყის სანიტარია”, კაცების გამანადგურებელი. თუ ქალი კაცს ართმევს ვიღაცას, ეს ნიშნავს მომატებულ ვნებიანობას და თავის სურვილებზე კონცენტრაციას. ეს თითქმის იგივეა რაც “მოჯადოება”. ასეთ ქმართან ალბათ ვერ ექნება ნორმალური ოჯახური ცხოვრება, ხოლო სურვილებისადმი თაყვანისცემა უფრო აგრესიულს გახდის მას. ასეთი ქალები როგორც წესი ქმარს გაშორებულები ან ქვრივები არიან.

- და მე რა ვქნა ახლა? – მეკითხება ის.

- პირველ რიგში არავითარ შემთხვევაში არ ჩაკლათ სიყვარულის გრძნობა. მეორე, არ გაბრაზდეთ ამ ქალზე. ის, რომ ქმარს შეურიგდა და ყველაფერი მოუყვა, თქვენი სიცოცხლის გადარჩენაა. თქვენ ვნებას აყევით და ეთაყვანეთ მას. და შეუმჩნევლად დაიწყეთ სიყვარულის მოკვლა თქვენს სულში. ცოლს რომ გაშორებოდით და ეს ქალი მოგეყვანათ ცოლად, ვფიქრობ რამდენიმე თვესაც ვერ გაქაჩავდით. ამიტომ ახლავე სასწრაფოდ ცოლს – ყვავილები, ბავშვებს – ნაყინი. და რაც შეიძლება მეტი კომპლიმენტი უთხარით ცოლს, იმიტომ რომ ძალიან უჭირს ახლა.

თუ მამაკაცი არასწორად იქცევა, არასწორი მსოფლმხედველობა აქვს, ის თავისივე ცოლ-შვილს ანადგურებს. ტანგოს ორი ცეკვავს. მამაკაცი და ქალი – ალპინისტები არიან ერთმანეთზე მიბმულნი. და თვითოეულმა თავის ქცევით შეიძლება დაღუპოს ან გადაარჩინოს მეორე.

იმ ქალისკენ კიდევ გაგიწევთ გული, და ეს გრძნობა არ უნდა დათრგუნოთ. მაგრამ იცოდეთ, ამ გრძნობამ შეიძლება მოგკლათ, თუ ვნებას სიყვარულად არ გადააქცევთ და ქალებისადმი შინაგან თაყვანისცემას არ გადალახავთ. ის, რომ სიკვდილს გადაურჩით ახლა, სრულებით არ ნიშნავს, რომ საკუთარ ბედს მოატყუებთ. თუ შეცვლას არ მოინდომებთ, ზემოდან მოულოდნელად და შეუბრალებლად გაგისწორდებიან.

ეს საუბარი, რომელიც რამდენიმე დღის წინ შედგა, ახლა გამახსენდა. პაციენტი თავდაჯერებულად მართავს მანქანას. აეროპორტს ვუახლოვდებით.

- იცით, ჩვენი საუბრის მერე კინადამ მოვკვდი. თავიდან საშინლად ამტკივდა თირკმელები, ძლივს ვინძრეოდი. შემდეგ სუნთქვაც გამიჭირდა. არადა ერთი კვირით ადრე ფილტვები გავისინჯე და ყველაფერი იდეალურად იყო. აქ კი ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ფილტვების მძიმე ანთება დამეწყო. შემდეგ დამეწყო შარდ-სასქესოსისტემის პრობლემები. მივხვდი რომ ვკვდებოდი. დავწექი და ვფიქრობდი: “თუ ღმერთის ნება იქნება, ესე იგი მოვკვდები და მივიღებ ამას”. მეორე დილით კი სრულიად ჯანსაღი ავდექი. ორგანიზმი საათივით მუშაობდა. რა იყო ეს? – დიდი ინტერესით მეკითხება იგი.

მე მხრები ავიჩეჩე და გავუღიმე:

- ცოდვები სიამოვნებით შედიან, მაგრამ ტანჯვით გამოდიან. თქვენ დროულად გადაუხვიეთ გზიდან, რომელსაც უფსკრულისკენ მიჰყავდით, და იმ პრობლემებმა, რომლებიც დაგიგროვდათ გადახტომა მოასწრეს, ისე რომ თქვენი სიცოცხლე არ წაიყოლეს. ეს პროცესი რომ გაჭიმულიყო, მაშინ გაწმენდა სიკვდილის ან ხანგრძლივი და მტანჯველი ავადმყოფობების შედეგად მოხდებოდა.

სიყვარული – მიზანია, რომლისკენაც ჩვენ მივდივართ. წარმოვიდგინოთ, რომ კიბეზე უნდა ავიდეთ, ამისთვის 20 საფეხური უნდა ავიაროთ. სიყვარულში ეს საფეხურები ასე გამოიყურება: მეგობარზე ზრუნვის უნარი, კამათში არ გამოვიყენოთ სისტემა – ვინ უფრო მტკივნეულად დაარტყამს, პირიქით, გავუძლოთ ტკივილს და მივიდეთ საერთო გადაწყვეტილებამდე. შემდეგი საფეხური – ეს მუშაობის უნარია, ენერგიის გაცემის უნარი. კიდევ ერთი – არასოდეს გამოვიყენოთ უხეში სიტყვები ახლო ადამიანის მისამართით. შემდეგ – აღვზარდოთ საკუთარი თავი და სხვები და ა. შ.

თუ სტუმარს ელოდები, მისთვის ოთახი უნდა მოამზადო, თუ ვაშლის ხე გინდა გაზარდო. საჭიროა მისთვის ნიადაგი მოამზადო, თუ გინდა, რომ სიყვარული მოვიდეს, საკუთარი თავი უნდა მოამზადო ამ სიყვარულისთვის.

ქალის და მამაკაცის ურთიერთობა – ეს განუწყვეტელი ბრძოლაა, კონფლიქტია, რომელიც ერთიანობის ახალი დონეების ძებნისკენ გვიბიძგებს. ნამდვილი ქალი სულით ღმერთს უნდა მიმართავდეს და არა საყვარელ ადამიანს. ბევრი ქალი თვლის, რომ სიყვარული წავიდა, თუ ქმარი სექსუალურად მიმზიდველი აღარ არის. მაგრამ ნამდვილ ქალს ყველა საფეხურზე უყვარს. მას უყვარს ღვთაებრივ დონეზე, უყურებს რა თავის ქმარს როგორც ბავშვს, რომელიც განუწყვეტლივ უნდა უყვარდეს, ხშირად აღზარდოს და ხანდახან დასაჯოს. უფრო სწორად ეს მშობლისეური სიყვარულის დონეა, ხოლო ღვთაებრივი – ეს განუწყვეტელი სიყვარულია, რომელიც არაფერზე არაა დამოკიდებული. ღვთაებრივი და დედობრივი სიყვარულის გარდა მას აქვს ასევე მეგობრობის გრძნობაც მამაკაცისადმი. იგი მისთვის თავიდან მეგობარია, შემდეგ კი უკვე სექსუალური პარტნიორი. ქალი უნდა იყოს ნაზი და ამაყი, უნდა იბატონოს წვრილმანებში და უნდა დაუთმოს მთავარში, უნდა იყოს მტრედი და გველი ერთდროულად. ასეთი ქალი შურს არ იძიებს, არ წუხს და არ შურს, მასში ერთიანდება სინაზე და სიმამაცე, სიკეთე და სიმკაცრე. ურთიერთწინააღმდეგობანი, რომლებიც მასში ბობოქრობენ, განუწყვეტლივ წონასწორდებიან სიყვარულით. ის მრავალმხრივი და ჰარმონიულია, მხოლოდ თავად კი არ შეუძლია სიყვარული, ქმარსაც ასწავლის ამას და ეხმარება, რომ უფრო კეთილი და კეთილშობილი გახდეს. ის მამაკაცისგან ითხოვს დაცვას, სიმამაცეს და მსხვერპლს, თვითონ კი აძლევს არა მხოლოდ სიამოვნებას, არამედ ტკივილსაც და ასწავლის მოთმინებას, პატიებას და სიყვარულს.

მანქანა აეროპორტთან მივიდა. ჩვენ დავემშვიდობეთ ერთმანეთს. რეგისტრაციაზე მივდივარ ჩემი ნივთებით. და აი უკვე თვითმფრინავის სალონში ვზივარ და ილუმინატორიდან ვიყურები. ნოემბერი მთავრდება. ცა მოღუშულია, მაგრამ სულში სიხარული მაქვს.

მე გავიხსენე ჩემი პირველი მოგზაურობა ისრაელში. მითხრეს, რომ ისრაელში არის სიწმინდე, რომელსაც თაყვანს სცემენ ებრაელებიც, ქრისტიანებიც და მუსულმანებიც, - გოდების კედელი (стена плача). ის იმ დროიდანაა შემონახული, როცა ამ ადგილებში გაჩნდა და განვითარება დაიწყო ერთღმერთიანობამ. მრავალი ქვეყნიდან ჩამოსული ადამიანები მიდიან ამ კედელთან, სახით ეკვრიან და ქვების ღრიჭოებს შორის წერილებს ტოვებენ, თავისი სურვილებით. ეს სურვილები აუცილებლად უნდა ასრულდეს. მე თან არ მქონდა კალამი ან ფანქარი. ხელისგულები მივადე კედელს, ლოყით მივეკარი და ღმერთს ერთი რაღაც ვთხოვე – დამეხმაროს, რომ სიყვარული ვისწავლო. ვფიქრობ, რომ ჩემი ოცნება ადრე თუ გვიან ასრულდება.